ლამარა ფირალიშვილი

დაბრუნება

რომანი

თბილისი 2011

ISBN 978-9941-0-3686-6

დაბრუნება

სკოლის დამთავრების აღსანიშნავად, კლასელები – გამოსაშვებ საღამოს ზეიმს აწყობდნენ.

იგი სკოლისავე სპორტულ დარბაზში ეწყობოდა. ზეიმზე იკრიბებოდნენ როგორც კლასელები, ასევე სურვილისამებრ – მათი მშობლები და პედაგოგებიც.

დარბაზი სტუმრების მისაღებად მზად იყო. იგი თვითონ კლასელებმა მორთეს. დანარჩენებზე კი მათმა მშობლებმა იზრუნეს.

იქ, ყველას ოთხისაათთისათვის უნდა მოეყარათ თავი. ამ დროისათვის, ყველანი უკვე ადგილზე იყვნენ, რითაც კლასის დამრიგებლის გაოცება გამოიწვიეს.

არცერთი დაგვიანებული?!! ეს ხომ სასწაულია!

დიახ! მართლაც რომ სასწაული ხდებოდა.

ისინი დღეს საზეიმო ვითარებაში მიიღებენ სკოლის დამთავრების ატესტატს – „კომპასს“, რომლითაც შესცურავენ ცხოვრების დიდ ოკეანეში. ამერიდან მათ თვითონ ეკისრებათ გააკეთონ არჩევანი ყველაფერ იმისა, რასაც მათ ცხოვრების მიერ შედგენილი ნუსხა სთავაზობს.

დღეს, მათ არ აღელვებთ ვინ იქნებიან ისინი მომავალში, როგორ აეწყობა მათი ცხოვრება, „სადაურს სად წაიყვანს“. ბედის წერა, შერჩებათ თუ არა მათ დღემდე არსებული – სკოლის პერიოდის – განუმეორებელი სითბო და მრავალი მოგონებები.

მათ მხოლოდ ის აინტერესებთ – როგორი იქნება დღევანდელი-ზეიმი: როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველაზე თვითონ და მოეწონება თუ არა იგი „მას“?!!

გაიგებს თუ არა, რა გეგმები აქვს მის რჩეულს მომავალზე და რაც მთავარია – მასთან მიმართებაში.

შეკრებილები ყველანი საგანგებოდ მორთულნი, ლამაზები, მხიარულები და თითქოს უფრო თამამებიც ჩანდნენ.

ისინი თავს გაცილებით დამოუკიდებლად გრძნობდნენ და ცდილობდნენ, რომ უფრო ზრდასრული შეხედულება ჰქონოდათ.

საღამო, მოსალოცი სიტყვით სკოლის დირექტორმა გახსნა. მან ყველა სკოლა დამთავრებულს, ჯანმრთელობა, ბედნიერი მომავალი, საუკეთესო მიზნების შესრულება უსურვა, მათ ატესტატე-

ბი გადასცა და სახიამოვნო დროს ტარებისაკენ მოუწოდა.

უფროსები დარბაზის ერთ მხარეს – მათთვის განკუთვნილ სუფრასთან მიიწვიეს. ახალგაზრდები კი თავიანთი სურვილის მიხედვით განლაგდნენ, დიდი მაგიდის ირგვლივ.

გაბედულებმა მოახერხეს მათთვის სასურველთა გვერდით დაჯდომა. ნაკლებად გაბედულებმა – ეს არჩევანი თავიანთ რჩეულებს შესთავაზეს, ვისაც სითამამე არ ეყო – მათ კი, იქ მოუხდათ დაჯდომა, სადაც ამის არავითარი სურვილი არ ჰქონდათ!

ეს საღამო მათთვის საშუალო სკოლის დამთავრების და „ცხოვრების უნივერსიტეტში“ სწავლის გაგრძელების დასაწყისი იყო.

ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. ყველანი მხიარულობდნენ. ისინი უკვე „დიდი ბავშვები“ იყვნენ და ცდილობდნენ, რომ თავი ღირსეულად სჭეროდათ.

არაჩვეულებრივად თბილი ატმოსფერო სუფევდა, დრო და დრო მათ უფროსებიც შემოუერთდებოდნენ ხოლმე. ყველანი თავს ჩინებულად გრძნობდნენ. იქ ყველანი მეგობრები იყვნენ და მათი მშობლების ნაწილი – ნათესავებიც კი.

დღევანდელმა საღამომ ისინი თითქოს ერთ დიდ ოჯახის წევრებად აქცია.

იხსენებდნენ სკოლის პერიოდთან დაკავშირებულ ამბებს და კურიოზებს, რომლებიც ზოგიერთს კარგად არც კი ახსოვდა.

წვეულებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ერთ–ერთი გოგონა – მირანდა იქცევდა.

იგი მორცხვად უღიმოდა მის გვერდით მჯდომ თანაკლასელ ვაჟს, რომელსაც ეტყობოდა, რომ ბევრი სათქმელი დაუგროვდა და მას თავის რჩეულისათვის გულის გადაშლა უნდოდა. ღდეს კი ამის დროც დადგა.

ომარი მირანდას ელაპარაკებოდა და თან თვალს ვერ აშორებდა. მირანდა კი მას უსმენდა, იღიმებოდა და დღევანდელ დღის აღსანიშნავად, დეიდას მიერ ნაჩუქარ ძვირფასთვლიან ბეჭედს ისე ათვალიერებდა, თითქოს მასზე უნდა ამოეკითხა, ომარის მიერ დასმულ შეკითხვებზე გასაცემი პასუხები.

მირანდა, მარტო ომარისი კი არა, სკოლაში მყოფ თითქმის ყველა უფროსკლასელ ვაჟთა „გულთამპყრობელი“ იყო.

დღეს კი იგი, განსაკუთრებით – ვაჟიშვილების მშობლების – ყურადღების საგანადაც იქცა.

ნინო, ხედავ მირანდა როგორ დამშვენდა?

ეგ ყოველთვისაც მშვენიერი იყო. ყველასაგან გამორჩეული, ნაზი, ლამაზი, საქმიანი, ჭკვიანი, თავაზიანი, კეთილი და პატიოსანი! დასანანია, რომ მშობლები ადრე დაეღუპნენ. მერე და რა მშობლები ჰყავდა!

მართალია, მას თავისი დეიდები არაფერს აკლებენ, მაგრამ მაინც სევდიანი თვალები აქვს, თითქოს „ფრთამოტეხილი“ იყოს.

– მე ჩემი ირაკლისათვის მინდა საცოლედ. მას მირანდა საბავშვო ბაღიდან უყვარს!

– კარგი რა ნუცა, არა თქვა აკვნიდანაცო?

– დიახ, მასეა! სულაც არ გეხუმრები.

– შეიძლება ეგრეც იყო, მაგრამ არა მგონია, რომ ეგ თავისმა დეიდებმა უმაღლესდაუმთავრებელი გაათხოვონ. მათ ხომ მაგაზე ამოსდით მზე და მთვარე. მეორეც ის, რომ მაგას მგონი ომარი უყვარს!

ნუცამ მას გაკვირვებული შეხედა.

– რომელი ომარი?

– რომელი და რომელიც გვერდით უზის – გუბელაძე.

– შენ რა იცი?

– მაგას რა ცოდნა უნდა? ჩვენ ხომ არ ვიცით ეხლა ეგენი რაზე საუბრობენ, მაგრამ ამას რა ახსნა უნდა, აბა შეხედე მათ!

მაგრამ, შენ მაინც მოსინჯე – „ცდა, ბედის მონახევრეაო“ – ხომ გაგიგონია?

– ჰო, ნინო, ესმას ხვალვე დაველაპარაკები.

– მე მაინც არ მესმის, შენ რატომ მაჭანკლობ?

პატარები ხომ არ არიან, თვითონ ირაკლი რატომ არ დაელაპარაკება პირადად? მაშინ ყველაფერი გაირკვევა. ან აქამდე რას ელოდებოდა?

– არ ვიცი, ძალიან გულჩათხრობილია, ვერ უბედავს. სხვა ბიჭებს კი არა ჰგავს!

– მაშინ დროზე მიხედე მაგ საქმეს, თორემ ატესტატი უკვე აიღო, ხვალ საბუთებს გამოიტანს სკოლიდან და თბილისში წავა, მერე, დედა–შვილმა უქნიეთ ხელი გაქანებულ მატარებელს!

– მართლაი ხარ ნინო, მაგ საქმეს ხვალვე მივხედავ.

II

სახლში დაბრუნებული დეიდა და მირანდა კიდევ არჩევდნენ ზეიმის ზოგიერთ დეტალებს.

საერთოდ კი, ძალიან კმაყოფილები იყვნენ ამ ღონისძიებით.

მირანდა, ესმას დაღონებული ეჩვენა. იგი მას კითხვებს – კითხვებზე აყრიდა. ორივენი იცინოდნენ. ბოლოს კი სერიოზულად ჰკითხა:

– მირანდა, შენ არავისთან განშორებაზე არ გწყდება გული?

– არა დეიდა, მე არავინ არ მიყვარს, ისე კი, ყველანი კარგები არიან და ყველანი ძალიან მომენატრებიან.

თუ კი ვინმე ჩემზე შეყვარებულია, მათ გრძნობებს მეც პატივს ვცემ, მაგრამ ეს ბავშვური გატაცებაა და მალე ყველას დაავიწყდება.

მერეც ის, რომ რაც თავი მახსოვს სულ იმას მეუბნებოდი – პირველ რიგში ექიმის დიპლომი – მერე კი სხვა საკითხებიო, მეც ვაგრძელებს შენს მოწოდებას.

ესმამ მას ეჭვის თვალით შეხედა.

– აბა ომარი?!

– ომარიც ერთ–ერთი მათგანია, თუმცა ყველაში გამორჩეული. იგი ჭკვიანია, სიმპათიური და სერიოზული, არსად დაიკარგება!

– შენ მასე გგონია?

– დიახ მასეა! მე თუ ვინმე შემიყვარდება, ამას შენ პირველი გაიგებ – ხომ გჯერა?

– რა თქმა უნდა!

მირანდამ მას გაუღიმა და ამ საკითხს აღარ შეხებიან.

III

გუშინდელი ამბავი თითქოს წარსულში დარა, რეალურად ასეც იყო. იგი ხომ უკვე ისტორიას ჩაბარდა.

ისტორიის კუთვნილებაა ის რაც იყო, მაგრამ რაც ფაქტებს არ წარმოადგენს და ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება, იმას რა ეშველება?!

დიახ, ფანტაზიის დიდი ნაკადი გადმოყვა გუშინდელ დღეს და მან კი ყოველივე რეალური ნაცარტუტად აქცია. მან მირანდას არსება მთლიანად მოიცვა.

რასაც არ უნდა შეხებოდა იგი, საქმე იყო თუ საზრუნავი, ყველაფერი თავის მნიშვნელობას კარგავდა.

მას მხოლოდ ცალკე, განმარტოვებით ყოფნა უნდოდა და წარსულზე ფიქრი ავსებდა.

აწმყოს მოევლება, მაგრამ რა უყოს წარსულს? წარსულს რომე-

ლიც მოსაყოლად არც არსებობს, მაგრამ არსებობს რაღაც – სულიერი, განუმეორებელი, უთქმელი და აღწერას, რომ არ ექვემდებარება – ისეთი უხილავი ძალა, რომელიც მთლიანად იპყრობს ადამიანს და თვითონ აჰყავს იგი თავის ტყვეობაში – მსოფლიოში უძლიერესნი, უმამაცესნი და გენიოსებიც კი!!

ამ გრძნობას სიყვარული ჰქვია!

ნუთუ მართლა მასეა საქმე?!

დიახ ასეა! იმიტომ, რომ ჩვენი მშვენიერი გოგონაც ამით გახდა ავად!

მირანდამ შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს რაღაცის თავიდან მოშორება უნდოდა. ჩაფიქრდა, ჩაიბუდბუდა არა, ეს ჩემი ფანტაზიებია, მას ამის შესახებ ჩემთვის არასდროს არაფერი უთქვამს გუშინ უბრალოდ მკითხა – როგორი გეგმები გაქვს სამომავლოდო? მეც ვუპასუხე, რომ თბილისში მივდივარ და ყველაფერს დეიდებთან ერთად გადავწყვეტთ–მეთქი.

ეს რაღაც კოშმარულ სიზმარს ჰგავს. მან სკოლის კარი მიიხურა და ჩემს გულში შემოვიდა – დაუკითხავად, ყოველგვარი თანხმობის გარეშე. თანაც იქ, ყველაზე მყუდრო ადგილას დაიდო ბინა და თბილად მოკალათდა!!

არა, ეს არ შეძილება! მე ამიერიდან ბევრი საქმე, საზრუნავი და გეგმები მაქვს განსახორციელებელი, მაგას აქ არაფერი ესაქმება. თავისი გზა იპოვნოს. დღესვე გამოვაბრძანებ აქედან – ამას ვერ უყურებთ?!!“.

მირანდა ძალიან ცდებოდა, იგი ჯერ კიდევ „დიდი“, მაგრამ მაინც ბავშვი იყო და არაფერი იცოდა. იმის შესახებ, რომ ეს მისთვის უცნობი გრძნობა, რასაც პირველი სიყვარული ჰქვია – თუ ერთხელ შემოიჭრა ვინმეს ცხოვრებაში, მერე იგი იქედან არასდროს არ გამოდის – სიკვდილამდეც კი!

და შეიძლება რომ არც მერე!

ბრძენს უთქვამს: „როცა მე ვარ – სიკვდილი არ არის – როცა ის მოვა, მე აღარ ვიქნები“!!!

„საინტერესოა – „ის სადღა იქნება?“ ხედავ?! გინდა, რომ სიკდვილის შემდეგაც შენთან იყოს? – აი, გრძნობაც ეგ არის!

– მირანდა, არ გესმის, რომ გეძახი?

– მოვდივარ დეიდა, რა იყო?

– ის იყო, რომ ზეგ თბილისში მიდიხარ და ყველაფერი გულდასმით უნდა ჩაალაგო. ხომ ხედავ დრო როგორგარაბის. თუ ვერ

გამოიძინე, დაწექი და დაიძინე.

– რას ამბობ დეიდა, ეხლავე ყველაფერს მივხედავ, მირანდა სერიოზულად შეუდგა გასამგზავრებლად მზადებას – „თბილისში ხელს არავინ შემიშლის, აქ ფიქრის საშუალებაც კი არა მაქვსო.

ნეტავ ვის ელაპარაკება ესმა? ირაკლის დედას აქ რა უნდა? ალბათ თავის დასთან რაიმეს მატანს, გასაგებია.

ირაკლის დედამ ესმას ის უთხრა – რაც უნდა ეთქვა: – რომ ბავშვები უკვე დაიზარდნენ, ირაკლის მირანდა ძალიან უყვარს და თვითონ ვერ ბედავს მისთვის ამის თქმას.

– ესმა ხომ იცი ჩემი შვილი ძალიან იტანჯება, მორიდებული და მორცხვია, მირანდა ძალიან უყვარს, მირანდას თვალის ჩინივით მოვუვლით, ხომ იცი ჩვენი ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის ამბავი, ორივეს ერთად ინსტიტუში მოვაწყობთ, თბილისში – სადაც მირანდა ისურვებს – იქ და ისეთ ბინას ვუყიდით. ზღაპრულ ცხოვრებას შევუქმნით, ოღონდ კი დაითანხმე.

ესმა ძალიან გთხოვ, ჩემი შვილის ბედი და მომავალი შენს ხელთ არის. შენ როგორც ეტყვი მირანადაც ისე მოიქცევა. მე ხომ ვიცი, რომ იგი შენ გაღმერთებს. ფაქტიურად – იგი შენი გაზრდილია და დედაც შენა ხარ!

გთხოვ დაელაპარაკო მირანდას და საღამოს პასუხისათვის თვითონ მოვალ.

– რატომ საღამოს ნუციკო, ეხლავე ყველაფერს გეტყვი, შენ მხოლოდ ყურადღებით მომისმინე.

მართალია, მირანდა მე გავზარდე და იგი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ მე მაინც დეიდა ვარ და არა დედა! დედა – დედაა!!!

მე მისი საკუთარი დედაც რომ ვიყო მაგ საკითხზეც იგივეს გიპასუხებდი, რომ ცოლ–ქმრობის ამბავი მხოლოდ თვითონ უნდა გადაწყვიტონ.

სხვა საკითხია – რჩევის მიცემა და აზრთა გაზიარება, დეიდადან დაწყებული, ყველა კეთილის მსურველის ჩათვლით.

ეს რაც შეეხება ჩემს ამ საქმეში „ჩართვას“, ნუცა, შენთვის უცნობი არ არის ის ამბავი, რომ მირანდა ორი წლის იყო, როცა ჩემი და და სიძე ავტო კატასტროფაში დაიღუპნენ.

ჩემი დის ოცნება იყო, რომ გოგონა გაზრდილიყო თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად.

გახსოვს მთელი რაიონი, რომ ალაპარაკდა როცა სამი წლის

ბავშვს ცირამ თბილისიდან პიანინო, ჩამოუტანა და მასზე დაკვრას ასწავლიდა?

მერე კი თბილისში მიყავდა თვეობით, სანამ სასკოლო ასაკისა გახდებოდა და იქ ამეცადინებდა მუსიკაში, დაყავდა მუზეუმებში და სხვა მისთვის საინტერესო ადგილებში.

ცირას სურვილი იყო, რომ გოგონას კონსერვატორია დაემთავრებინა, მას ამის მონაცემები ჰქონდა და მისმა კოლეგებმაც არჩევანი მოუწონეს, მაგრამ მირანდას დედა ოცნებობდა, რომ მისი შვილი მასავით ექიმი გამოსულიყო.

მე, მას შევფიცე, რომ ამ ნატვრას შევუსრულებდი და ასეც მოვიქცევი.

ნუცა შენ ჭკვიანი ქალი ხარ და არა მგონია ეს არ გაგეთვალისწინებინა, რომ მირანდასათვის ეგ შემოთავაზებები – საწყენად კი არ მიიღო, მაგრამ – ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, არავისაგან არ იქნება მიღებული. რაც შეეხება მის გათხოვებას, როცა იგია მისთვის მზად იქნება, ალბათ არჩევანსაც თვითონ გააკეთებს.

შენი დიდი მადლობელი ვარ მხარდაჭერის და საუკეთესო გეგმებისათვის, მაგრამ არ გიფიქრია იმაზე, რომ ეგ ყველაფერი ჯერ ნაადრევია?

შენი ვაჟი მშვენიერი ახალგაზრდაა, იმედი მაქვს, რომ კარგი ბედი ექნება. შენისთანა დედამთილი ნამდვილად რომ საუკეთესო რძლის ღირსია.

კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას დაფასებისა და ჩვენი დანათესავების სურვილის გამოთქმისათვის.

ეხლა კი გაგიმასპინძლდები რაიმეთი.

– ესმა, მეც დიდი მადლობელი ვარ, რომ ყველაფერი მითხარი, რაც შეეხება გამასპინძლებას, მე იგი უკვე მივიღე – „რბილი პანღური“ – ხომ ასეა?

როგორც თქვი, დეიდა დედა არ არისო მართალია, მაგრამ შენ მგონი დედის უფლებებსაც გადააჭარბე!

თვითონ მირანდას არც კი შეეკითხე, რას იტყოდა. შეიძლება ის თანახმაა ჩემს რძლობაზე? რატომ წაართვი მას ყველა უფლება? – მისი გაზრდის სანაცვლოდ?!!

– ნუ ცხარობ ნუცა, მირანდას ხომ არ გაუგია შენი აქ მოსვლის შესახებ? ეხლავე დავუძახებ და შენ თვითონ დაელაპარაკე.

– არ არის საჭირო! ჩემი შვილი უცოლოდ არ დარჩება, მაგრამ ღმერთმა ინებოს, რომ მირანდას მაზე კარგი ქმარი შეხვდეს.

კარგად ბრძანდებოდეთ!

ნუცა გაწიწმატებული წავიდა. ესმა იღიმებოდა, „რა ამბიციურია! ძალიან კარგი ქალია, კარგი ოჯახიც აქვს, კარგი ქმარ–შვილიც ჰყავს, მაგრამ თვითონ არ უნდა ეფიქრა! – რა დროს მირანდას გათხოვებაა, ჩვენთან შია, სწურია თუ ალერსი და მოვლა აკლია?“

ესმა მირანდას ოთახში შევიდა. მას თავის საწოლში ბავშვივით ტკბილად ეძინა.

მას, გვერდით – მასზე მლოცველი და მისი მფარველი „ანგელოზი“ – ესმა ედგა.

IV

მეორე დღეს, როცა გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო, ესმამ მირანდას უთხრა;

– მირანდა, სულ დამავიწყდა – გუშინ როცა შენ გეძინა – შენი ხელის სათხოვნელად ირაკლის დედა იყო მოსული, მე კი, შემეცოდე და არ გაგაღვიძე. დღეს პასუხისთვის მოვა და თვითონ დაელაპარაკე.

– რას ამბობ დეიდა, რას დაველაპარაკები? რა დროს ეგენია და მერე კიდევ ის, რომ – კაცი რომელიც ცოლის სათხოვნელად დედას გამოგზავნის, მასეთს – სულმთლად გაუთხოვარი რომ დავრჩე, მაინც არ წავყვები.

ამდენი წელი „ამირანივით“ გულში მღეროდა და ეხლა ამოიღო ხმა?! კიდევ ათი წელი მოითმინოს და მერე ალბათ მზად იქნება ცოლის სათხოვნელად და იმისათვისაც, რომ ერთი–ორი სიტყვა თავად ამოღერღოს.

ღმერთმა დამიფაროს მაგათგან!

შენ კი ძალიან საყვარელი და ჭკვიანი ხარ, რომ არ გამაღვიძე, ძალიან ტკბილად მეძინა და კარგ სიზმრებსაც ვხედავდი. ის იდილია ნუცას რომ ჩემთვის დაერღვია, აქედან ცოცხალი ვერ გამასწორებდა!

თუ კიდევ მოვა, მე არ გამაგებინო, უთხარი, რომ – ავად არის, სიცხე აქვს–თქო.

შენ, ცივი უარით გაისტუმრე, მპირდები?!

– რა თქმა უნდა.

– მოდი გაკოცო, შენ დეიდა კი არა, ნამდვილი ანგელოზი ხარ!

V

მირანდა, თბილისში მიმავალ მატარებლამდე, ესმამ ავტობუსით მიაცილა. იგი ვაგონში შეიყვანა და მათ „კუპეში“ მყოფ ორ მანდილოსანს საგანგებოდ ჩააბარა – თბილისში მას მეორე დეიდა დახვდებაო.

ესმას უჭირდა მირანდასთან განშორება. მათ გზა დაულოცა და მატარებლიდან ჩასვლა ძლივსღა მოასწრო.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ ბნელოდა და გარეთ – განათებულ ელექტრო ნათურების მეტს ვერაფერს ხედავდა, მირანდა მაინც ფანჯარასთან იდგა და სივრცეს გასცქეროდა. მას ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ თითქოს მატარებელი კი არ იძვროდა ადგილიდან, არა მედ ანთებული ნათურები გარბოდნენ მათგან.

მირანდას გაეღიმა, უნდოდა ამ უაზრობას გასცლოდა და კუპეში შესულიყო, მაგრამ იგი ფანჯრის მინას მონუსხულივით მიაჩერდა – მის გვერდით მომღიმარი ომარი იდგა.

მირანდამ თავი ნელა მოაბრუნა და გაიღიმა, დარწმუნდა, რომ ეს მოჩვენება არ იყო.

– შენ აქ რა გინდა? თბილისში მოდიხარ?!

– არა, შენ გაცილებ!

– ხომ არ გაგიჟდი?! დედაშენი იღელვებს, ეხლავე ჩადი!

კუპეში მსხდომმა მანდილოსნებმა ერთმანეთს ორაზროვნად გადახედეს.

– ნუ ღელავ მირანდა, მეზობელ სადგურზე გადავჯდები უკან მიმავალ მატარებელზე და სახლშიც უვნებელი მივალ.

– ეს რამ გაფიქრებინა? რად მინდა გაცილება, პატარა ხომ არა ვარ? რა აუცილებელია?

– ეგ, შენ სთვლი, რომ აუცილებელი არ არის ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ მე კი პირიქით მგონია და კიდევ ის, რომ ხანდახან – თუ კი ამის უფლებას მომცემ – მოსალოც ბარათებს მაინც გამოგიგზავნი. მისამართი კი არ ვიცი სად მოგწერო?

ომარიმ ჯიბიდან ბლოკნოტი საწერი კალმით ამოიღო და მირანდას გაუწოდა.

მანაც არ დააყოვნა – მას ცირას მისამართი და ტელეფონის ნომერიც ჩაუწერა.

– ეხლა კი, გთხოვ დროზე ჩახვიდე და თანაც ძალიან ფრთხილად. მატარებელი აქ მხოლოდ ერთ წუთს ჩერდება.

ომარიმ მას ბედნიერი მგზავრობა უსურვა და მეგობრულად ლოყაზე ეამბორა.

მატარებელი მხოლოდ ოდნავ შეჩერდა და ისევ მალე განაგრძო გზა. მიუხედავად იმისა, რომ მატარებელი ელვის სისწრაფით მიაპობლა წყვდიადს, ისინი მაინც – ერთმანეთს დიდხანს უღიმოდნენ და უქნევდნენ ხელს.

VI

მირანდა კუპეში შევიდა. ქალბატონები დასაძინებლად ემზადებოდნენ. ერთ–ერთ მათგანს მირანდამ თავისი ქვედა ადგილი დაუთმო და თვითონ მაღლა მოთავსდა.

მას არ ეძინებოდა. მატარებელი თბილისისაკენ მიჰქროდა, მირანდა კი პირიქით – ომარისთან დამშვიდობების მომენტიდან „კადრებს“ უკუსვლით არჩევდა.

ალბათ ეს გზა მას პირველკლასამდეც მიიყვანდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ „დიდი ბავშვი“ იყო და ლიანდაგების მონოტონურმა დარტყმების ხმამ და ვაგონის აკვანივით რწევამ თავისი გაიტანა.

მას თბილისში ჩასვლამდე ტკბილად ეძინა, როცა გაეღვიძა, ქალბატონებს მიესალმა და დაიწყო ჩასასვლელად მზადება.

ერთ–ერთი მათგანის შეკითხვაზე – თუ როგორ ეძინა? უპასუხა, რომ კარგად და მათ ღიმილს, ღიმილითვე უპასუხა.

მათში, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო მან მირანდას უთხრა.

– რა თქმა უნდა კარგად გეძინებოდა, შენ ისეთმა სიმპათიურმა და ზრდილობიანმა ყმაწვილმა გამოგაცილა, რომ სხვანაირი გუნებ–განწყობა, ნამდვილად უადგილო იქნებოდაო.

მირანდამ მას არაფერი უპასუხო მხოლოდ გაუღიმა.

თბილისში მას ცირა დახვდა. იგი ვაგონში ავიდა. ორივემ ერთმანეთი დიდი სიხარულით გადაკოცნეს და გახარებულები სახლში ტაქსით წავიდნენ.

ცირა პლეხანოვის ქუჩაზე ცხოვრობს – კინო სტუდიასთან, ქმრის ბინაში. აქვს მშვენიერი სამოთახიანი იზოლირებული ბინა – მესამე სართულზე.

მას, მეუღლე ხუთი წლის წინ გარდაეცვალა, იგი მხატვარი იყო. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ბავშვი არ ყავდათ.

ცირა მირანდას უფროსი დეიდაა, მეორე. ესმაა, უმცროსი კი თავისი დედა იყო – მას თამარი ერქვა.

ცირა ისევ მუსიკალური სკოლის პედაგოგია.

ისაუზმეს, ცოტა ისაუბრეს და ცირა სამსახურში წავიდა.

მირანდამ იქაურობა მოაწესრიგა, ჩამოტანილებს თავ–თავისი ადგილი მიუჩინა და შვებით ამოისუნთქა. მას ეხლა თავისუფლად შეეძლო მის მოზღვავებულ ფიქრებზე, დანახულსა თუ მოსმენილზე მშვიდად და თანმიმდევრულად ეფიქრა. ყოველი წვრილმანი გაეანალიზებინა. როცა ყველაფერი შეაკოწიწა, საერთო ჯამში კმაყოფილი დარჩა.

შეიძლებოდა, რომ ეს არაფერი არ მომხდარიყო, მაგრამ იმ ხუთ წუთში მოხდა ის – რამაც ომარის პიროვნებას უფრო დადებითი ელფერი შესძინა.

მაგალითად ის, რომ ესმას მატარებლიდან ჩასვლას დაელოდა და მირანდა ერთი სადგურით მაინც გამოაცილა, რომ პირადად მისგან უნდა ეთხოვა თანხმობა – ექნება თუ არა სურვილი მასთან საუბრის ან მისგან ღია ბარათის მიღებისა? და ეს ომარისთვის ცოტას არ ნიშნავდა. მან ამით მოიპოვა – მართალია მინიმალური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შანსი – იმით, რომ მირანდამ მას თავისი ხელით, უყოყმანოდ ჩაუწერა ბლოკნოტში თავისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ისიც აგრძნობინა, რომ მისი მომავალიც არ არის მისთვის ინტერესს მოკლებული.

მასთან საუბრისას ომარი ძალიან სიტყვა ძვირი იყო, ეტყობოდა, რომ მირანდას მიერ ნათქვამ სიტყვებს: „ჯერ მთელი ცხოვრება წინა გვაქვსო“ – ისიც ეთანხმებოდა.

მომავალი კი უკვე დაიწყო!

VII

ცირა ძალიან ნაზად და ალერსიანად ეპყრობოდა მირანდას. იგი მას ძალიან უყვარდა და ენატრებოდა, მირანდამ სკოლა დაამთავრა და საცხოვრებლად მასთან გადმოვიდა, იგი დამშვიდდა – თითქოს მხრებიდან უმძიმესი ტვირთი ჩაომიშორა.

მისმა ჩამოსვლამ, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი საზრუნავი გაუჩინა, იგი ამით ძალიან კმაყოფილი იყო.

მირანდა მის გვერდით არის – იგი 17 წლისაა. ჭკვიანი, კარგი სიმაღლის, მშვენიერი ფიზიკური აღნაგობა აქვს: ტანკენარი და მკერდსავსეა, აქვს თეთრი და პრიალა კანი, წაბლისფერი, ძალიან მიმზიდველი ლამაზი თვალები და სახის სწორი ნაკვთები. ოდნავ

ხვეული შავი თმა და მშვენიერი სახის ოვალი. ღიმილი ძალიან უხდება. აქვს რბილი და ხალისიანი ხასიათი. თავის წლებთან შედარებით ძალიან სერიოზულია და თავშეკავების საოცარი უნარი გააჩნია: გულთბილია, მგრძნობიარე, კეთილი და სამართლიანი.

როგორც ყველა ადამიანს, მასაც აქვს თავისი „ნაკლი“, – არ უყვარს პირადი გრძნობების სხვასთან გაზიარება და როგორც მისი ასაკის გოგონებს სჩვევიათ, მათთან „გულის გადაშლა“. და კიდევ ის, რომ არასდროს იხდის დაბადების დღეს!

როცა ცირამ და მირანდამ საუბრებით გული იჯერეს, შემდეგ შეუდგნენ სერიოზულ–სამომავლო გეგმების დასახვას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცნობილია ხალხის ეს ბრძნული გამონათქვამი – „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, ადამიანებს მაინც ურჩევნიათ, რომ თვითონვე დაგეგმონ და თვითონვე იზრუნონ პირად საზრუნავზე.

მათი უპირველესი საზრუნავი კი – მირანდას ინსტიტუტში მოწყობა იყო.

რამოდენიმე დღის შემდეგ დეიდა და დისშვილი სახლში კმაყოფილები ბრუნდებოდნენ. მათ სამედიცინო ინსტიტუტში საბუთები უპრობლემოდ ჩააბარეს.

ეს ამბავი უეჭველად უნდა აღენიშნათ.

ორივეს მშვენიერი გუნებ–განწყობა ჰქონდა, არსად არ ეჩქარებოდათ და ივლისის თბილისურ სიცხისგან თავის დაღწევა გადაწყვიტეს.

ქალაქის ცენტრი ერთ–ერთ მყუდრო კაფეში ფინჯან ყავით, თავიანთი საყვარელი ნამცხვრით და ნაყინით ისიამოვნეს.

გამოცდების დაწყებამდე ოცი დღე–ღა რჩებოდა. ცირას არდადეგები ჰქონდა და იგი მთლიანად გადართული იყო მირანდას ხელშეწყობაზე.

მირანდა მთელი მონდომებით მეცადინეობდა და მხოლოდ მაშინ წყვეტდა მას, როცა ცირა მას საუზმეზე ან სადილზე უხმობდა ხოლმე.

სახლში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ მას ნაყოფიერად ემეცადინა.

როცა ცირა საყიდლებზე ან სხვა საქმეზე მიდიოდა, ეკლესიაშიც შეივლიდა და ღმერთს გულმხურვალედ ევედრებოდა, მირანდას გამოცდების წარმატებით ჩაბარებას. ხშირად ცრემლებს ვერ იკავებდა და ღმერთს შესთხოვდა „შეიწყალე ჩემი ობოლი

გოგონა, ხელი მოუმართე არჩევანში. იგი ყოველივე სიკეთის ღირსია და ნუ მოაკლებ მას, შენს წყალობასო“.

VIII

პირველ აგვისტოს ცირას ხვეწნა–მუდარას, ესმას მუხლმოდრეკილი ლოცვებიც შეემატა და ხონიდან ჩამოტანილი თავიანთი ოჯახის ძველის–ძველი ხატიც მირანდას საწერ მაგიდაზე დადგეს.

ვისაც სახლში აბიტურიენტი შვილი, შვილი–შვილი ან სხვა ძალიან ახლობელი ჰყოლია, მხოლოდ მან იცის რა სიტუაცია სუფევს მისაღებ გამოცდების ჩაბარების დროს მათ ოჯახში. საკვირველია, როგორ უძლებენ ასეთ ემოციურ დატვირთვებს ხანში შესული ან სუსტი ჯანმრთელობის მქონე „გულშემატკივრები“?

ამ მდგომარეობის აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, რაც ხდებოდა გამოცდიდან გამოცდამდე, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მათი ბინა აფთიაქს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელს.

ცირას თავი უფრო ყოჩაღად ეჭირა, ვიდრე ესმას. მირანდა კი, მათ განუწყვეტლივ ამხნევებდა და წამლებს რიგ–რიგობით ასმევდა.

ასე იყო თუ ისე, სამივემ დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინეს, ამას მირანდას თავდაუზოგავი შრომის ნაყოფის მიემატა და ჩვენი ლამაზი გოგონა მათმა, ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიაში იხილეს.

ყველაფერი წარსულს ჩაბარდა! მომავალში კი მათ დიდი, გრძელი, ეკლიანი და მოულოდნელობით სავსე გზა ელოდათ.

და როგორც თვით უფალმა ღმერთმა დაანათლა ადამიანებს „წვალებითა შენითა, მოიპოვე საზრდო შენიო“ – ასეც იქნება.

ცირამ მირანდა მაღაზიაში წაიყვანა და რაც საუკეთესო იყო და მას ძალიან უხდებოდა ისეთი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები უყიდა.

ყველანი ძალიან ამაყები და მხიარულები იყვნენ, დღეს ხომ მისი დაბადების დღეც იყო.

ესმამ სთხოვა მათ, რომ კვირა დღეს მირანდას მშობლების საფლავზე გასულიყვნენ – მათაც ხომ უნდა გაეხარათ ამ ამბით?

ისინი ძველი კუკიის სასაფლაოზე იყვნენ დაკრძალულნი, მაშინ ყველანი საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობდნენ. მერე კი, როცა ოჯახს ეს უბედურება შეემთხვა, მოხუცმა დედამ ვერ აიტანა ეს და – შვი-

ლის და სიძის ტარგიკულად დაღუპვას – მისი გარდაცვალებაც მოყვა. ესმა გაუთხოვარი იყო და მირანდას იგი ზრდიდა.

დარჩა ხონის მშვენიერი სახლი, ეზო და ბაღი უპატრონოდ. ცირა ახალი გათხოვილი იყო და ორივე ცოლ–ქმარნი მუშაობდნენ.

რაღა დარჩენოდა ესმას – აიყვანა ორი წლის მირანდა და ხონში გადავიდა საცხოვრებლად. იქ თავის გაუთხოვარ მამიდასთან ერთად – გასწიეს ჭაპანი.

ესმას ოჯახს უკაცობა არ ეტყობოდა – ყველაფერს და ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული და მზრუნველი პატრონის ხელიც ეტყობოდა.

მას ძროხაც ჰყავდა, შინაური ფრინველიც და საქონელიც. ესმა ძალიან შრომის მოყვარე და მოამაგეა.

ასე იზრდებოდა მირანდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი და ყველასგან გათამამებული. მაგრამ იგი, რატომღაც არ გათამამდა:

ეტყობა არსებობს რაღაც გრძნობა, ჯერ კიდევ ამოუცნობი, რაც ბავშვებს მშობლებისგან, განსაკუთრებით კი დედისგან გადაეცმათ – გენეტიკური თუ ინსტიქტური – რითაც იგი გრძნობს მშობლების სიახლოვეს – უიმისობა კი იწვევს იმას – რასაც ჩვენ „ფრთა მოტეხილს“ ვუწოდებთ და მირანდას სწორედ ეს ფრთა აკლდა. მას ყველაფერი ჰქონდა ამის გარდა.

დედის მოფერება, მისი თბილი კოცნა, ალერსიანი სიტყვა, ამას ხომ ვერაფერი შეედრება!

მართალია – ზოგი დედის ყოლას, რომ არ ჰყავდეს ის სჯობია, მაგრამ დედა მაინც დედაა!

როცა დედა ყავთ – მისი ყველა სიკეთე არ ჩანს, სთვლიან, რომ – ეს, ესეც უნდა იყოს, მაგრამ როცა დედა არა ჰყავთ – ეს ტრაგედიაა!

კვირა დღეს სასაფლაოზე ავიდნენ. მირანდამ ჩვეულებისამებრ მორთო ესმამ, როგორც ყოველთლვის დაატირა „გაიხარე დაიკო, შენი მირანდა – როგორც შენ ნატრობდი – შენსავით ექიმი გამოვა. ორივემ ილოცეთ მისთვის, რომ იგი ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს“–ო

ყველანი ტიროდნენ მირანდას მოეჩვენა, რომ მისი მშობლები ფოტო სურათებიდან მას უღიმოდნენ.

ადამიანების ფანტაზიას ხომ ბოლო არა აქვს! სახლში ყველანი

დამშვიდებულები მივიდნენ. სადილობისას სანთლები დაანთეს და მათი სულები ახსენეს.

მირანდას გული დამძიმებული ჰქონდა,მ აგრამ იგი შეეცადა, რომ დეიდები გაემხიარულებინა და მათ თავისი ცელქობის რამოდენიმე ეპიზოდი შეახსენა.

მათაც მას მხარი აუბეს და საღამომ – „მხიარულად“ ჩაიარა.

IX

მირანდაზე ძალიან დეიდებს ეჩქარებოდათ სასწავლო წლის დაწყება.

მათი სანუკვარი ოცნება ასრულდა – მირანდას სტუდენტობას მოესწრნენ!

და იმ ბედნიერ დღესაც, როცა იგი პირველად ინსტიტუტში წავა – ჩვეულებრივი დღე ხომ არ შეიძლება ეწოდოს?

ეს ბედნიერი დღეც დადგა, ცირას რა თქმა უნდა არ შეეძლო მისი ინსტიტუტში მიცილება, მაგრამ ესმა – დილიდან პირჯვარს იწერდა და ღმერთს მისთვის ყოველივე სიკეთეს შესთხოვდა.

ინსტიტუტის ეზოში თავმოყრილ სტუდენტებს გამოცოცხლება და ხალისი სახეზე ეწერათ.

ისინი ერთმანეთს ყველანი უკვე იცნობდნენ. ისიც იცოდნენ თუ რომელ ჯგუფში იყვნენ და რომელ აუდიტორიაში ჩაუტარდებოდათ ლექციები.

მართალია, მირანდაც თავის ჯგუფელებს ყველას იცნობდა, მაგრამ ჯერჯერობით არავისთან დაახლოებას არ ჩქარობდა.

როგორც იქნა სტუდენტებს ინსტიტუტის რექტორმა – ახალი სასწავლო წლის დაწყება მოულოცა – მათ ბედნიერი სტუდენტობა უსურვა და ყველას თავ–თავიანთ ჯგუფში შესვლა სთხოვა.

დღეები გადიოდა, სექტემბრის ბოლოსათვის მირანდა და თავის ჯგუფელი – მასავით სიმპატიური და კარგად აღზრდილი გოგონა ეკა – ნამდვილ მეგობრებად ჩამოყალიბდნენ.

ეკამაც მასავით წარჩინებით დაამთავრა სკოლა, სტუდენტობასაც ბეჯითი და მუყაითი შრომით შეუდგა. ისინი ერთმანეთს მშვენივრად უგებდნენ.

ეკა, მათ ოჯახში უკვე ორჯერ ესტუმრა. მირანდას კი სახლში ყოფნა უფრო უყვარდა.

ოქტომბერში, ეკამ დაბადების დღეზე მან ჯგუფიდან მხოლოდ მირანდა მიიწვია. დანარჩენი თორმეტი სული კი, ეკას ახლო ნა-

თესავები და მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ.

მირანდა ეკას მშობლებს ძალიან მოეწონათ და შვილს არჩევანი შეუქეს.

ეკას ძმა – ბესიკი, მათზე სამი წლით უმფროსია – მანაც ყურადღება არ მოაკლო გოგოებს და ყველანი კმაყოფილები დაიშალნენ.

ბესიკმა მირანდას სახლში გაცილება შესთავაზა, მაგრამ მან მადლობა მოუხადა და უთხრა, რომ დეიდა მოსულია მის წასაყვანად. მან მადლობა მოუხადა ეკას მშობლებს, ყველას გამოემშვიდობა და ესმას წაყვა სახლში.

მირანდას სტუდენტობა ძალიან მოსწონდა, თავს ამაყად გრძნობდა. უხაროდა, რომ დეიდების ოცნებას ასრულდა.

იგი სისტემატიურად, ბეჯითად და მთელი დატვირთვით მეცადინეობდა და დამხარე სამედიცინო ლიტერატურითაც იმდიდრებდა ცოდნას.

ესმა ხონში დაბრუნდა. იგი უფრო მონდომებით მოეკიდა იქაურობას – ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი სურსათ–სანოვაგე დაემზადებინა მათთვის.

მათ ეხლა ძალიან ბევრი რამ სჭირდებათ, ქალაქში ყველაფერი ძვირია, ცირას ხელფასი კი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ორმა ადამიანმა ნორმალურად იცხოვრონ. თუ პროდუქტებით უზრუნველყოფილნი იქნებიან – ცირას ხელფასი, მისი ბავშვებთან კერძო პედაგოგიური დატვირთვის საფასური და მირანდას სტიპენდია – უკვე საკმარისი იქნება მათი აუცილებელი ხარჯებისათვის.

თითქოს ყველანი კმაყოფილები იყვნენ დღევანდელი მდგომარეობით, მაგრამ მირანდას რატომღაც – უკმარისობის გრძნობა დაეუფლა.

ყველაფერი იყო – ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა, სტუდენტური მხიარული და ხალისიანი ატმოსფერო, თანაკურსელი ვაჟკების სინაზით სავსე მზერა და გულთბილი ღიმილი. თანაკურსელი გოგონების ირონია ნარევი მისალმებები და ზოგიერთთა თვალთა მზერას გამოყოლილი შურის ლანდები.

ყველაფერი იყო „რაღაცის“ გარდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მირანდა ჯერ კიდევ – დიდი, მაგრამ მაინც ბავშვი იყო, იგი იმ დასკვნამდე მაინც მივიდა, რომ – ეს რაღაცა – რაღაც უმნიშვნელო სულაც არ იყო და იგი მიუხედავად ამ სიცოცხლით მჩქეფარე

საერთო ფერხულისა – თავს ძალიან მარტო სულად გრძნობდა.

მის დასახმარებლად – უნებლიედ ფრაზა მოფრინდა: „რატომ არ რეკავს ომარი?“ – მე ხომ მას ტელეფონის ნომერი მივეცი, ალბათ დაეკარგა.

საინტერესოა სად არის? როგორ არის? მოეწყო თუ არა სადმე? ალბათ დავავიწყდი! ბუნებრივია.

კურსელები ახალ მზადებაზე ალაპარაკდნენ – არჩევდნენ, ვისთან შეხვდნენ ახალ წელს!

მირანდას ეკამ ჰკითხა:

– გიყვარს ახალი წლის შეხვედრა?

– რა თქმა უნდა. მე ყოველთვის მახარებდა ეგ თარიღი.

უკვე დიდი ვიყავი და მაინც მჯეროდა, რომ ნაძვის ხის ძირას დაწყობილი სათამაშოები და ტკბილეული თოვლის ბაბუას მოტანილი იყო.

ერთხელ, რატომღაც – ალბათ თოფის გასროლის ხმამ გამომაღვიძა და ლოგინიდან წამოვხტი. მეორე ოთახში სინათლე ენთო და იქ შევირბინე, დავინახე როგორ დებდა საჩუქარს ესმა ნაძვის ხის ძირას.

ორივემ ერთმანეთს შევხედეთ – ვიცინოდით, ერთმანეთს ახალ წელს ვულოცავდით და რატომღაც ცოტათი მგონი ვიტირეთ კიდეც.

ალბათ ეს სიხარულის ცრემლები იყო, იმიტომ, რომ მე უკვე გავიზარდე, „გავეშმაკდი“ – როგორც ამას ესმა მეუბნებოდა ხოლმე.

– ჰო, მირანდა, იმას გეუბნებოდი, რომ – გადავწყვიტეთ ჩვენთან სახლში შევხვდეთ ახალ წელს, ვინაიდან მე, ჩემი მშობლები სხვაგან არასოდეს მარტო არ მიშვებენ.

– ძალიან კარგი, მაგას რა სჯობია, ვინ იქნებიან?

– ჩვენი ჯგუფელები. შენ რა, სხვა წინადადება გაქვს?

– არა, რას ამბობ? რა წინადადება უნდა მქონდეს?

პირიქით, მიხარია, რომ შენთან ვიქნებით. სხვაგან არც მე გამომიშვებენ.

– მე მგონია, რომ კარგად ჩაივლის. მშობლებმა ყველაფერი მონდომებით მოაწყვეს და მოამზადეს. მიუხედავად ჩემი დიდი პროტესტისა დედაჩემმა ნაძვის ხე მაინც დაგვიდგა და ძალიან ლამაზადაც მოგვირთო.

რადროს ჩვენი ნაძვის ხეა, კიდევ ბავშვები ხომ არა ვართ, ძლივს

გამოვედით მაგ ასაკიდან–მეთქი.

მან კი მიპასუხა, რომ მაგ ასაკიდან კი გამოხვედით, მაგრამ – „ის ვინც ბავშვობას მთლიანად კარგავს, კარგ ადამიანად არასოდეს გაიზრდებაო!“

X

31 დეკემბერს, საღამოს ხუთი საათისათვის, ყველანი ეკას ოჯხაში უნდა შეიკრიბონ.

იგი დადიანის ქუჩაზე ცხოვრობს, აქვს დიდი და მშვენიერი ბინა.

ცირამ იცოდა, რომ მირანდა ამ წვეულებაზე მიდის, მაგრამ ძალიან უკვირდა, რომ იგი ამით აფსოლუტურად არ გახალისდა.

– ესმა, რატომ არის მირანდა ასე უხალისოდ?

– არ ვიცი/ ჩასაცმელები გუშინვე მოამზადა. ძალიან გულდასმით არჩევდა ყველაფერს. კარგ ხასიათზეც იყო. ჩემს ჩამოტანილებსაც ყველაფერს თავ–თავის ადგილი მიუჩინა და ყველას ამბებს მეკითხებოდა. ისიც კი იკითხა – კრუხმა რამდენი წიწილი გამოჩეკაო?

– კარგი, რადგან სერიოზული არაფერია, იმედია, რომ დღევანდელი წვეულება გაახალისებს.

– მირანდა, უკვე სამი საათია. შენ ხომ დღეს პირველად ხვდები ს ტუდენტურ ახალ წელს? კარგად უნდა გამოიყურებოდე. დროა მოემზადო. მე მიგაცილებ და როცა კი დამირეკავ, მოვალ და წამოგიყვან.

– კეთილი ესმა – საქმეს შევუდგები.

იგი უკვე წასასვლელად მზად იყო. კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში, გაიღიმა და გაიფიქრა: „კარგია, მაგრამ აჯობებდა, რომ მარტო ჩვენი ჯგუფი კი არა, კურსელებიც ყოფილიყვნენ“.

მაშინ, ისიც აუცილებლივ იქნებოდა. არა უშავს, ჯერ კიდევ ბევრი ზეიმი იქნება!

– მირანდა, წავედით გვაგვიანდება, ეკასთვის გამზადებული საჩუქარი არ დაგავიწყდეს.

– წავედით. ცირა – ბედნიერ ახალ წელს გისურვებ. იქედანაც მოგილოცავ.

ესმამ მირანდა მიაცილა ეკას ბინის კარებამდე. მას დამდეგი ახალი წელი მოულოცა და უთხრა, რომ მის წასაყვანად თვითონ მოვა.

მირანდას კარები ეკამ გაუღო. მან იქ მყოფთ საერთო სალმით

მიესალმა და გაიფიქრა – ჩენი კურსის მეტიჩრები, სრული შემადგენლობით უკვე აქ არიანო.

ისინი „სამნი“ იყვნენ, მშვენიერი გოგონები, მაგრამ რატომღაც მირანდას მიმართ – არა კეთილად განწყობილნი.

ალბათ იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ძალიან მომხიბლველები იყვნენ, შინაგანად ვერ გამოსცემდნენ იმ განწყობას რასაც ხიბლი ჰქვია.: ან იმიტომ, რომ ვაჟების უმეტესობის ყურადღება და სიმპათიები მირანდასაკენ იყო მიმართული.

იგი ყველასადმი კეთილად იყო განწყობილი, მისთვის ყველანი კარგები იყვნენ – რა თქმა უნდა მის ჯგუფში!

მაგრამ „ისიც“ პარალელურ ჯგუფიდან არის და იგი ყველაზე უკეთესია!

ვინმეს რომ ეკითხა – რატომ? ვერ უპასუხებდა. იგი მას არ იცნობდა და არც ესალმებოდა. არც კი იცოდა რა ერქვა მას.

აი, ის რომ ყოფილიყო დღეს აქ – სულ სხვანაირი ახალი წელი იქნებოდა, მაგრამ ეტყობა, რომ თოვლის ბაბუამ მისი სხვა წვეულებაზე წაყვანა გადაწყვიტა და იგი უკვე სხვისი „საჩუქარია“! – რა გაეწყობა?!

უკვე ყველანი ადგილზე იყვნენ. ყველანი ამაღლებული გუნებ– განწყობით ელოდნენ ახალი წლის მოსვლას.

ეკამ ყველა იქ დამსწრეებს თავისი ძმა – ბესიკი გააცნო და სთხოვა მას, რომ მირანდასათვის მოწყენის საშუალება არ მიეცა.

მეტიჩრებმა ერთმანეთს ორაზროვნად გადახედეს – „ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა“!

ყველანი მხაირულობდნენ, ზოგნი კარტს თამაშობდნენ, ზოგნი როიალზე უკრავდნენ და მღეროდნენ.

მშობლები, რომლებიც ამ წვეულების მომწყობნი იყვნენ – ეკას მშობლებთან ერთად მეორე ოთახში ილხენდნენ.

ბესიკმა მირანდას მოუბოდიშა და ცოტა ხნით სიგარეტის მოსაწევად გავიდა. ეკამ მირანდას უთხრა რომ:

– მირანდა იცი, თურმე პარალელურიდანაც მოვლენ! ორი ან სამი ბიჭი. შენ, რომ ძალიან მოსწონხარ ვნხაოთ ისიც მოვა თუ არა?

მირანდას თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა, რომელიც უმალვე ჩაქრა. „არა მგონია, ის თავის ჯგუფთან იქნება, ალბათ იქედან მოსწონს ვინმე. ნეტავი მოვიდეს!...

– მირანდა იცი, მას შიო ქვია, გვარად გელაძეა.

– რას ამბობ ეკა?! შიო ვინ დაარქვა? ეხლა მასეთ სახელებს ვინ არქმევს თავიანთ შვილებს?

მაგ სახელის პატრონს – ცხოვრებაში გათხოვება, რომ არ მეწეროს ცოლად არასოდეს გავყვები!

შიო!! – ღმერთო ჩემო, თითქოს სადღაც მთიულეთში მოხუც პაპას ვეხმიანები.

გუნებაში კი გაიფიქრა ღმერთმა არ ქნას, რომ ეგ – „ის“ – იყოსო. ბესიკი დაბრუნდა მოუბოდიშა და თამაში განაგრძეს.

უკვე ათი საათი იყო, მღელვარებამ იმატა, კარებზე ზარი დარეკეს. გოგოები ადგილიდან წამოიშალნენ. ატყდა ჩოჩქოლი.

– აი, მოვიდნენ!!!

მირანდა თვალებს არ უჯერებდა – მოვიდა! ღმერთო, რა კარგია!

ახლადმოსულები ყველას საერთო სალმით მიესალმნენ და დასხდნენ.

მირანდა ეკას თვალებით ეძებდა – ის არსად ჩანდა. მოსულებს, პირველ რიგში მეტიჩრები დაეხვივნენ, კითხვებს აყრიდნენ. ორნი პასუხობდნენ, ერთი კი თვალებით ვიღაცას ეძებდა.

გოგონებმა მას ამოსუნთქვა არ აცალეს, უმალვე გიტარა მიაწოდეს.

– მოიცადეთ, რა გეჩქარებათ? ჩვენც თქვენთან ერთად ვხვდებით ახალ წელს.

მირანდა მხოლოდ მას ხედავდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

იგი გიტარის სიმებს თითებით შეეხო და გიტარამ მას მელოდია გაუცოცხლა. მისმა სიმებმა ჯადოსნური ხმა მიაწვდინა მირანდას გულს, იგი ამურის ისარივით შეეხო მის სულის სიმებს და სიმღერამ, რომელსაც ბიჭები მღეროდნენ – მთლიანად შეარყია მირანდას სულიერი სამყარო.

ეს, მისი საყვარელი სიმღერა „ქარი გიმღერებს ნანასა“ იყო. მირანდა ლამის ატირდა.

ყველას ყურადღება მომღერლებისაკენ იყო მიპყრობილი. ყველანი გრძნობდნენ, რომ შიო, მირანდას თვალს ვერ აშორებდა.

მირანდა თავს მოერია, სასწრაოფდ მოთოკა მოზღვავებული გრძნობები.

შიომ შეამჩნია, რომ მისმა სიმღერამ მირანდაზე შთაბეჭდილება მოახდინა და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი დღეს

მხოლოდ მისთვის მღეროდა და უკრავდა – ასე მოჯადოვებულივით.

ეკა მირანდასთან მივიდა და უთხრა:

– აი, ეგ ის არის – მე რომ გითხარი – გიტარას, რომ უკრავს.

– მართლა? რა ქვია?

– ხომ გითხარი – შიო!

– ეგ არის შიო?!

ყველამ მირანდასკენ მიიხედეს, მას ფერი არ ედო.

– ჰო მირანდა. სახელს რა მნიშვნელობა აქვს? კარგი ბიჭია!

მეტიჩრებმა „ფაფარი აიწეწეს“! ყველაფერს მიხვდნენ. პირველობის დაფნა მათმა რჩეულმა მას მიანიჭა და ის კი, მისი სახელით უკმაყოფილოა?!!

ეკამ იგრძნო, რომ სიტუაცია იძაბეოდა და შიო მირანდას ოფიციალურად წარუდგინა. მირანდამ მას ოდნავ გაუღიმა და ამით ამოიწურა, მისი ესოდენ სასურველი და სანატრელი შეხვედრა.

მირანდას თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა. უნდოდა, იმ წუთში ამდგარიყო და იქაურობას გასცლოდა.

მან თავი განადგურებულად იგრძნო, იმდენად განადგურებულად, რომ თავი მაღალ ასწია, იქაურობა მოათვალიერა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს – თავისუფლად ამოისუნთქა.

ერთ–ერთმა მეტიჩარამ მირანდას რისხვით შეხედა და უთხრა:

– ნუ გიკვირს ჩემო კარგო, თბილისში ეხლა ბავშვებს, ძველებურ სახელებს არქმევენ. პროვინციელებს საოცარი ადაპტაციის უნარი გაქვთ, მალე ქალაქურ წეს–ჩვეულებებს შეისწავლი და ყველაფერს შეეჩვევი.

ეხლა კი, მოილხინე და ვისი სახელიც მოგეწონება, იმასთან იმეგობრე – ვინ გიშლის?!

მირანდას თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა. უნდოდა, იმ წუთში ამდგარიყო და იქაურობას გასცლოდა.

მან თავი განადგურებულად იგრძნო, იმდენად განადგურებულად, რომ თავი მაღლა ასწია, იქაურობა მოათვალიერა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თავისუფლად ამოისუნთქა. მას ისეთი გრძნობა დაეუფლა როგორც სასიკვდილოდ დაჭრილ მეომარს ეუფლება – ბრძოლის ველზე – აიღოს ძირს დაცემული დროშა და ამაყად წინ წარუძღვეს თავის მეგობრებს – წინ, გამარჯვებისათვის!!!

ომი დაიწყო!! – მირანდას დროშას „რევანში“! ეწერა. იგი ისევ

ბესიკს მიუბრუნდა და მათმა საუბარიგანაგრძეს, რითაც „მტრის ბანაკს“ დიდი სიამოვნება მოჰგვარა.

მეტიჩარები, გამარჯვებას ზეიმობდნენ!

ცოტა ხნის შემდეგ როცა ბესიკი და მირანდა საუბრით იყვნენ გართულნი – ბესიკი მას რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა – რომელსაც მირანდა თითქმის არ უსმენდა – მეტიჩრებმა კიდევ ერთხელ სცადეს მირანდაზე გამანადგურებელი იერიშის მიტანა:

– მირანდა – შენ რითი გაგვახარებ? ან იმღერე, ან იცეკვე, ან რაიმე მოგვიყევი!

მირანდამ ბესიკს შეხედა და ადგილიდან წამოდგა. იგი როიალთან მივიდა. დაჯდა, სკამი გაისწორა და გაკვირვებულ „სამეულს“ გადახედა.

მირანდას, ხელები ოდნავ უცახცახებდა.

რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ აქ მყოფთა ასეთი „შოკი“ გამოეწვია?

„აპასიონატას“ პირველივე აკორდისთანავე – როიალი და მირანდა თითქოს ერთ მთლიანობად იქცნენ. მისი ვირტოუზული აჟღერებით, თითქოს თვით მუსიკის ჯადოქარი უდგა მას გვერდით და მას მისივე ბობოქარი სულის სიძლიერეს მატებდა.

ამის გამგონე, ეკას მშობლებიც და მათი სტუმრებიც მაგიდიდან წამოიშალნენ და გაოცებულები მათთან შემოვიდნენ.

– ვინ უკრავს? რა საოცრებაა?!

მირანდა ამ ადგილიდან ძალიან შორს იყო. იგი ბეთჰოვენის ჰანგების ტყვეობაში იმყოფებოდა.

ალბათ იგი, ესე – სხვა დროს და სხვა ვითარებაში – ვერასოდეს დაუკრავდა. აქ მისი ორგანიზმის ყველა ძალები მობილიზირებული იყო. მისმა ემოციურმა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია!

როცა მან დაკვრა დაასრულა – ადგილიდან არ დაძრულა – ისევ კლავიშებზე თითებდაწყობილი დარჩა.

ყველანი ჩუმად იყვნენ. გრძნობდნენ, რომ ეს მხოლოდ მუსიკა არ იყო – ეს გრძნობების ნამდვილი ბეთჰოვენისეული – ქარიშხალი იყო!

მერე თითქოს ყველანი – ღრმა ძილიდან გამოფხიზლდნენ – ყველამ ტაში დაუკრეს. ბიჭებმა „ბრავოც“ კი შესძახეს.

ეკას მამა მიუახლოვდა როიალს. მირანდას მხარზე ხელი დაადო, დაიხარა მას თავზე აკოცა და უთხრა:

– ყოჩაღ მირანდა – რა დასანანია, რომ შენ კონსერვატორიაში

არ სწავლობ – შენგან უდიდესი მუსიკოსი გამოვიდოდაო.

მირანდა ფეხზე წამოდგა, მას გაუღიმა, მადლობა მოუხადა და არავისთვის არ შეუხედავს ისე დაჯდა თავის ადგილზე. მართალია მას არ ახასიათებდა თავის გამოჩენის მიზნით რაიმეს გაკეთება, მაგრამ ამისაკენ მას თვითონ „სამეულმა“ უბიძგა.

ეს გამოწვევა იყო და მანაც ანგარიშგაუწევლად მიიღო იგი და ამით კმაყოფილიც კი იყო.

დიახ! იცოდნენ, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებ! მე, რომ დღეს ეს ჩემი შეურაცხყოფა არაფრად ჩამეგდო, ამიერიდან მათი მუდმივი ქილიკის საგნად ვიქცეოდი!

მას იქ დარჩენა აღარ უნდოდა, მაგრამ რა თქმა უნდა წასვლასაც არ აპირებდა – იმიტომ, რომ ეს დამარცხების ტოლფასი იქნებოდა – თანაც უტაქტობის თანხლებით.

მართალია ოდნავ უხერხული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველანი ვერ გარკვეულიყვნენ რა ხდებოდა.

ეკას დედა შეეცადა, რომ მხიარული ატმოსფერო შეექმნა და ბიჭებს გიტარა გამოართვა – თქვენ კი ხმები შემიწყვეთო უთხრა და ისეთი მშვენიერი კვარტეტი გამოვიდა, რომ შემსრულებლებსაც და მსმენელებსაც მხიარული განწყობილება დაუბრუნდათ.

ვინაიდან დრო მათ აჩქარებდათ – ათი წუთი დარჩებოდა ახალი წლის დადგომამდე – დიასახლისმა ყველანი მაგიდასთან მიიწვია – ცოტათი დანაყრდით, თორემ ახალი წლის მშიერი შეხვედრა არა მგონია კარგი ნიშანი იყოსო.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

ეკას მამამ ძველიწლის მშვიდობით გაცილება აღნიშნა და ახალი წლის მოსვლამდე საკუთარ თავს მივხედოთო – მოუწოდა ყველას.

ეხლა ხუმრობისთვის აღარავის ეცალა და ყველანი შესაშური ენთუზიაზმით შეუდგნენ ოჯახის უფროსის მოწოდების განხორციელებას.

არავისი ხმა აღარ ისმოდა – მათი პირები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულები.

და, აი – ქუჩიდან თოფის გასროლის ხმა გაისმა და ტელევიზორის ეკრანიდან „მრავლაჟამიერის“ დიდებულმა ჰანგებმა ამცნო ქვეყანას – მისი უდიდებულესობის ახალი წლის მობრძანება! ყველანი მხიარულები და ბედნიერები ულოცავდნენ ერთმანეთს ახალ წელს.

ეკას მამამ – კიდევ ერთხელ უსურვა ყველას ბედნიერება და ბოდიშის მოხდით – ახალგაზრდები ისევ ერთად დატოვეს.

ბესიკი და ეკა მირანდას გვერდით ისხდნენ. ყველანი მხიარულობდნენ. მირანდა თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. იგი „სამეულისა“ და შიოსაკენ არც კი იხედებოდა. თითქოს მათ არსებობას აღარც კი ამჩნევდა.

ბესიკს თავაზიანად უღიმოდა – თუმცა მისი ლამაზი იუმორის ნაწილს. ყურსაც ვერ უგდებდა. მისი გონება „რევანშით“ იყო დაკავებული.

შიოს ეს ამბავი ძალიან აღელვებდა. იგი დარწმუნდა იმაში, რომ მირანდას მარტო მისი სახელი კი არა თვითონაც არ მოეწონა – „ეტყობა ბესიკი მოსწონს“!

„სამეული“ შიოს გულის მოგებას ცდილობდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ უბრალოდ დროს კარგავდნენ და შეეცადნენ კიდევ ერთხელ „ეჩხვლიტათ“ მირანდას მტკივნეულ ადგილზე.

– მირანდა, სად ისწავლე ესეთი კარგი დაკვრა, ხონის ბურგში?!

მირანდამ მათ მშვიდად შეხედა გაუღიმა და უპასუხა:

– არა, რატომ? მე უკვე შვიდი თვეა თბილისში ვცხოვრობ და როგორც უკვე აღნიშნეთ – პროვინციელებს საოცარი ადაპტაციის უნარი აქვთ და მართალიც არის – ეს ხომ სრულიად საკმარისი დროა იმისათვის რაც მე აქ შევისწავლე?!!

– ჰო, ნიჭიერი გოგონა ხარ, ვხედავთ დროს ტყუილად არ კარგავ.

– მართალია, მე დროს ფასი ვიცი და ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენო იგი.

საათის ისარი ორს უახლოვდებოდა. ლამაზმა სადღეგრძელოებმა, უხვმა საახალწლო სუფრამ, გემრიელმა შინაურმა ღვინომ და ახალგაზრდულმა ხალისმა – ყველანი გაამხიარულა.

მირანდამ ეკას სთხოვა ტელეფონით დეიდასთან დარეკვის ნებართვა. ისინი საძინებელ ოთახში შევიდნენ.

მირანდა ესმას დაელაპარაკა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, ბესიკს უთხრა, რომ სახლში უნდა წავიდეს. მან გაცილება შესთავაზა, მაგრამ მირანდამ მას მადლობა მოუხადა და უთხრა, რომ დეიდა მოდის მის წასაყვანად.

ბესიკრმა მას გულწრფელად სთხოვა, რომ ხვალ დღის მეორე ნახევარში ისევ თავი მოეყარათ მათთან – ეხლა უკვე მარტო ოჯახის წევრები ვიქნებითო.

მირანდა მას სიამოვნებით დაეთანხმა. იგი ბესიკმა და ეკამ ჩაიცილეს. სადარბაზოსთან მას ესმა ტაქსით ელოდებოდა.

სახლში მისულებს ცირა მოუთმენლად ელოდა. მირანდამ მათი ცნობის მოყვარეობა ძალიან მოკლედ დააკმაყოფილა.

– ეკას დიდებული მშობლები და ძმა ჰყავს. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ჩვენ ერთ ოთახში ვისხედით – უფროსები კი მეორეში. ყველაფერი ლამაზად და მხიარულად ჩატარდა.

ეხლა კი, ძალიან მეძინება და თქვენც დაიღალეთ ჩემს მოლოდინში. გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს და ღამე მშვიდობისა.

მიუხედავად იმისა, რომ მირანდას ნათქვამში დეიდებს ეჭვი არ ეპარებოდათ, მაინც იგრძვნეს, რომ მის მონაყოლს, სტუდენტური პირველი ახალი წლის ხალისი აკლდა.

– ესმა, შეატყვე, რომ რაღაცა არ სთქვა?

– ჰო, მაგარმ ალბათ ჩვენი დიდხანს დაყოვნება არ უნდოდა, შევეცოდეთ. ხვალ უფრო დაწვრილებით მოგვიყვება.

– ეგეც მართალია. ეტყობა თვითონაც გადაიღალა. მათმა ერთმანეთს ღამე ნებისა უსურვეს.

XI

საუზმემ ჩვეულებრივად ჩაიარა. დეიდების შეკითხვებს მირანდამ მხოლოდ ის დაუმატა, რომ დღესაც ოთხი საათისათვის მიწვეულია ეკასთან, რომ დღეს იქ მხოლოდ ოჯახის წევრები იქნებიან.

დეიდებს იგი მხიარული და დასვენებული ეჩვენათ, ზედმეტი შეკითხვებით მისთვის თავი აღარ მოუბეზრებიათ.

ესმამ მხოლოდ ის ჰკითხა:

– მარტო წახვალ თუ მე გაგაცილო?

– კარგი რა ესმა, კიდევ პატარა ხომ არა ვარ? ოთხ საათზე რა გაცილება მინდა?

იქედან, ეკა ან თავისი ძმა მომიყვანენ. გუშინაც არ უნდა შეწუხებულიყავი, მათ უნდოდათ ჩემი გამოცილება.

– გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ არც მე მოვიდე და არც ვინმემ გამოგაცილოს, მაშინ?

– მაშინ, მარტო არასოდეს წამოვალ, დაგირეკავთ და დაგელოდებით. დაწყნარდი?

– დიახ დავწყნარდი.

– მაშინ მოდი გაკოცო და დაიმახსოვრე, რომ უკვე დიდი ვარ და

არსად დავიკარგები!

ბოლო სიტყვები მირანდამ განსაკუთრებული სიამაყით წარმოსთქვა.

მართალია ამ ფრაზამ ესმას ახალი არაფერი აუწყა, მაგრამ აშკარად შეამჩნია, რომ მირანდას თავდაჯერებულობა დღითი–დღე ემატებოდა, რაც მას ძალიან ახარებდა.

ისადილეს. ცოტათი დაისვენეს. მალე მირანდას წასვლის დროც მოვიდა.

ცირამ მას ურჩია, რომ დღეს სხვა კაბა ჩაეცვა და თავს შებოჭილად ნუ იგრძნობ, ცოტათი შენც მოილხინეო.

მირანდამ მას გაუღიმა:

– ვეცდები, მაგრამ ცოტაზე მეტი რომ მომივიდეს – მაშინ?

– მაგას შენ არ იკადრებ. ეგ შენს ხასიათში არ არის, შენს უკვე საკმაოდ დიდი ხარ და თავს მშვენივრად აკონტროლებ.

– სწორეა ცირა. როგორც გამზარდეთ ისეც მოვიქცევი. მაგაზე არასოდეს ინერვიულო. მე ისეთ რამეს არ ჩავიდენ, რაც თქვენ უსიამოვნებას მოგგვრით.

ვეცდები მხოლოდ ისე მოვიქცე, რაც თქვენ გაგახარებთ. თქვენ მხოლოდ ამას იმსახურებთ.

– ჰო მირანდა, ჩვენ ისედაც ბევრი მწარე ვიგემეთ. ღმერთმა ინებოს, რომ ამიერიდან ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალოს.

მირანდა წავიდა და მათ დაუბარა, რომ ათი საათისათვის დაგირეკავთო. მან საკონდიტროში შეიარა, ეკას ტკბილეული უყიდა და ზუსტად ოთხ საათზე მათ ესტუმრა.

კარები ბესიკმა გაუღო და იგი მხიარული ღიმილით შეიპატიჟა.

მირანდას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ სტუმრებთან ერთად შიოც იყო თავის ორ მეგობარ ბიჭთან ერთად.

იგი ყველას საერთო სალმით მიესალმა და ტკბილეული ეკას გადასცა.

მირანდას გვერდით ბესიკი მოუჯდა. ეკამ ბოდიში მოიხადა – დედას მივეხმარებიო და სამზარეულოში გავიდა.

ორივენი მშვიდად საუბრობდნენ. მირანდა შიოს ყურადღებას არც კი აქცევდა. გაუხარდა, რომ ბესიკი სახლში იყო და მას მარტო არ სტოვებდა.

მირანდა გრძნობდა, რომ ეს ამბავი შიოს აღიზიანებდა, იგი მას თვალს არ აშორებდა და ეძებდა მომენტს, რომ მირანდა მარტო

დარჩენილიყო.

ბესიკი სიგარეტის მოსაწევად აივანზე გასასვლელად მოემზადა. მირანდამ უთხრა, რომ სიგარეტი მოითმენს, ხომ იცი რომ ეგ ძალიან მავნეა! ლაპარაკით და ანეკდოტების მოყოლით ავად ჯერ არავინ გამხდარა, ისე რომ, ვერსად ვერ წახვალ სანამ ეკა არ მოვაო. ორივემ ბევრი იცინეს. ბესიკი ძალიან კმაყოფილი იყო მირანდას ულტიმატუმით. იგი მიხვდა რაშიც იყო საქმე და მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ნეტავი ყველა ულტიმატუმი ასეთი სასიამოვნო იყოს უთხრა მან მირანდას.

– ბესიკ, ძალიან გთხოვ მიპასუხო – ეგ „ტრიო“ აქ ვინ დაპატიჟა?

– მე მგონია, რომ ეგ ეკას მხარდაჭერით ხდება.

– მეც მასე მგონია, მაგრამ რატომ? ხომ თქვით, რომ დღეს მარტო ოჯახის წევრები იქნებოდით?

– გავიწყდება, რომ თქვენ მომავალი კოლეგები ხართ?

ეს კი ცოტას არ უნდა ნიშნავდეს.

– მართლი ხარ! ჯერ კიდევ ბევრი ახალი ცნება შემოვა ჩვენს ცხოვრებაში და ყველას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

– ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ მე მოხარული ვიქნებოდი თუ ეგ ენთუზიაზმი მხოლოდ კოლეგიალურობით შემოიფარგლება.

– გეთანხმები. ახალგაზრდა ერთ ადგილზე არ უნდა იდგეს, პროგრესი მისი თანამგზავრი უნდა იყოს.

– აი, თურმე რაშია საქმე – აქ მარტო ეკა არაფერ შუაშია, ხომ ასეა?!

ორივენი იცინოდნენ. ეკამ თავის სახელის გაგონებაზე ყურები სცქვიტა და მათთან მივიდა.

– რატომ მახსენეთ?

მირანდამ მას გაღიმებულმა უპასუხა:

– გავიგე რომ, თურმე მაჭანკლობის ბიუროს გახსნას აპირებ! – უკვე სამივენი იცინოდნენ.

შიო მოთმინებას კარგავდა. ეკას დედამ ყველანი სუფრასთან მიიწვია.

ეკას მამა სხვაგან იყო მიწვეული.

დღეს სულ სხვა სიტუაცია იყო – ოჯახური, თბილი ატმოსფერო. ისადილეს, შეისვენეს, უკრავდნენ, მღეროდნენ, ხუმრობდნენ.

შიოს და მირანდას მზერა რამოდენიმეჯერ შეხვდა ერთმანეთს და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ორივეს თავი კარგად ეგრძნოთ.

როცა ცოტათი უფრო მოშინაურდნენ შიომ მირანდას ჰკითხა:

– შეიძლება, რომ შენ როიალზე დაუკრა და ჩვენ ყველამ ერთად ვიმღეროთ?

– რა თქმა უნდა!

მირანდამ სიამოვნებით შეასრულა მისი თხოვნა და დღეს იგივე სიმღერას სულ სხვა ჟღერადობა ჰქონდა – იგი უნაზესი გრძნობების ჰარმონიით იყო შეჯერებული.

მართლაც რომ სასიამოვნო საღამო იყო. ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. ყველანი ერთმანეთისადმი პატივისცემით და მოწიწებით იყვნენ განწყობილნი.

როცა წასვლის დრო მოვიდა მირანდამ ესმას დაურეკა და უთხრა, რომ ამჯერად არ შეწუხდეს, მას ეკა და თავისი ძმა მოაცილებენ.

ამის გამგონე შიო მირანდასთან მივიდა და სთხოვა რომ, თუ ნებას მისცემს – იგი თვითონ გააცილებს მას.

– დადიანის ქუჩიდან, პლეხანოვის ქუჩამდე – მთაში გაზრდილ მწყემს ბიჭსაც კი არ გაუჭირდება ქალიშვილის სახლში მიცილება.

– კეთილი, წავიდეთ. მირანდა მიხვდა, რომ გუშინ მას მეტიჩრებმა ყველაფერი უამბეს.

ეკამ მათ კარები სიხარულით მიუხურა.

სადარბაზოდან გამოსულებმა თავი სულ სხვა სამყაროში იგრძვნეს. შიომ ტაქსი გააჩერა და წავიდნენ.

ისინი მანქანაში არ ლაპარაკობდნენ. შიომ მას მხოლოდ მისამართი ჰკითხა და ისიც, თუ სახლში ვისთან ერთად ცხოვრობს. მირანდამ მოკლედ უპასუხა, რომ დეიდებთან ერთად.

როცა მანქანიდან გადმოვიდნენ შიომ მირანდას ურჩია, რომ სადარბაზოში მარტო შესვლა არ არის სასურველი და ოთახამდე მიგაცილებ – ესე უფრო მშვიდად ვიქნებიო.

როცა დეიდა ზარის ხმას გამოეხმაურა, შიო მხოლოდ მაშინ დაემშვიდობა მას და წავიდა.

მირანდას დანახვაზე ესმა მიხვდა, რომ დღეს განსხვავებული საღამო იყო და მის შეკითხვებზე თუ როგორი დრო გაატარა და სხვა – მხოლოდ ერთი პასუხი მიიღო.

– ძლაიან კარგი!

– ჰო, სახეზეც გეტყობა. მალე ყველას შეეჩვევი და ვინც ყველაზე უფრო მოგეწონება იმასთან იმეგობრებ.

– მე უკვე ეკასთან ვმეგობრობ, ძალიან კარგი გოგოა! ესმას მისთვის აღარაფერი უკითხავს . სრულიად საკმარისი იყო ის, რომ მირანდა შინ კმაყოფილი დაბრუნდა.

მალე ცირაც მოვიდა – თავის კოლეგებთან შეხვედრიდან. მათ ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისე მუშაობენ ამდენი წლის მანძილზე.

XII

დილით, როცა მირანდამ გაიღვიძა, ჩვეულებისამებრ ტუმბოზე დადგმულ საათს შეხედა. მან საათზე მიფარებული კონვერტი დაინახა. ჯერ არ წაეკითხა, უკვე იღიმებოდა.

წერილს ომარი სწერდა. მირანდას გული სიხარულით აევსო.

– რა კარგად დაიწყო ეს წელი, ნეტავი რას იწერება?

მან კონვერტი გახსნა, შიგ წერილი და სურათი იდო.

– ღმერთო, რა ლამაზია, მეზღაურის ფორმა როგორ უხდება!

მან სურათი დასდო და სასწრაფოდ წერილის კითხვა დაიწყო.

გამარჯობა მირანდა – გილოცავ ახალ წელს, გისურვებ ყოველივე სიკეთეს და ყველა იმ ოცნების ასრულებას რაც შენ გსურს.

ვიცი, რომ ჩემი ამბავი გაინტერესებს. მე წავედი ბათუმში. იქ ხომ მამიდაჩემი ფიქრია ცხოვრობს. მისი მეუღლე შოთა გემის კაპიტანია – ბათუმსა და ოდესას შორის ასრულებს რეისებს.

მან მირჩია, რომ საბუთები ბათუმის საზღვაო აკადემიაში შემეტანა და როგორც თავის ახლო ნათესავს დამეხმარა საბუთების მიღებაზე.

აკადემია – საზღვაო ფლოტს ეკუთვნის. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე – ფიზიკა–მათემატიკურ ფაკულტეტზე. ისწავლება ყველაფერი ის, რაც თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად საზღვაო ფლოტს სჭირდება.

მოვეწყვე საერთო საცხოვრებელში. ყველაფერი ძალიან მომწონს. სწავლა ძალიან საინტერესოა.

ძალიან მენატრებით. ბიძაჩემი ხშირად მნახულობს და ყველას ამბავს მაგებინებს. ეხლა არდადაგები გვაქვს და სახლში მივდივარ. ძალიან მენატრებიან დედა და ჩემი დაიკო.

ძალიან მენატრები და მაინტერესებს შენი ამბავი. თუ დრო და

ამის სურვილი გექნება, ძალიან გამახარებ თუ ვრცელ წერილს მომწერ.

ნეტავი სულ სკოლაში გვესწავლა. მთელი ჩემი სიცოცხლე – კლასელები ვყოფილიყავით! გეცინება არა?

მირანდა იცი – ჩემს მაგიდაზე მიდევს ჩვენი სკოლის დამთავრების – გამოსაშვები ფოტო–სურათი. წარმოიდგინე, რომ ჩემი კურსელები როც ამ სურათს ნახულობენ, მათი უმეტესობა მეუბნება, რომ ალბათ ეს გოგო გიყვარსო, დაიჯერებ? იმდენ გოგოებში როგორ გარჩევენ?

მეც ვებუნები მათ, რომ მაგი ჩემი მსაჯულია, მან მომისაჯა ექვსი წლით გადასახლებაში ყოფნა, – მერე კი ვნახოთ რა იქნებაო!

ყველანი დამცინიან, სულელადაც კი მთვლიან! ალბათ შენც იცინი არა?!

მირანდა, არაფერი დამიმალო, ყველაფერი მომწერე. მომწერე რაც შეიძლება ბევრი.

ძალიან მენატრები. მოკითხვა დეიდებს.

ველი შენს პასუხს.

შენზე უზომოდ შეყვარებული ომარი.

მირანდამ წერილი წაიკითხა. ცრემლებიშეიმშრალა, როცა საძინებლიდან გავიდა, მას მომღიმარი ესმა შესცქეროდა.

– გაგიხარდა?

– რა თქმა უნდა! აი, წაიკითხე.

ესმამ მას წერილი გამოართვა და ღიმილით უთხრა:

– მე ხომ გასწავლიდი, რომ სხვისი წერილის წაკითხვა არ შეიძლება!

– ჰო, მაგრამ, ჩვენ უკვე გავიზარდეთ და წესებსაც ვარღვევთ!

– მაშ კარგი, რადგან ნებას მაძლევ?

ესმამ წერილი წაიკითხა და მირანდას მიუგო:

– ომარი მე ყოველთლვის მომწონდა, ჩინებული ახალგაზრდაა!

– მართალია, კარგი ბიჭია, ნეტავ აკადემიაში სწავლა არ გაუჭირდეს. მაგრამ არა მგონია, ჭკვიანი და ნიჭიერია, დასძლევს! და კიდევ ის, რომ მან შორს წასვლა არჩია, რომ ერთმანეთის გრძნობებში გავერკვეთ და სწავლაში ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ.

მშვიდად ისაუბრეს, ცირაც ძალიან კმაყოფილი იყო მეგობრებთან ერთად, ახალი წლის შეხვედრით, როგორც თვითონ ამბობს – ეს ერთფეროვანი ცხოვრება ამდენი წლის მანძილზე მობეზრ-

და.

მირანდას ჩამოსვლამ მისი ცხოვრება გაახალისა და მის არსებობას აზრი გაუჩნდა.

– მირანდა, არგინდა სადმე წავიდეთ, ცოტათი გავერთოთ?

– როგორ არ მინდა, მაგრამ ძალიან ბევრი სამეცადინო მაქვს, წუთსაც ვერ დავკარგავ. ეგ ყველაფერი ზაფხულისთვის შევინახოთ.

– ზაფხულში ჩემთან უნდა ჩამოხვიდეთ.

– მაგას რა შეხსენება უნდა, უკვე ყველანი და ყველა ფერი მენატრება.

ეკამ დარეკა. იგი მოკითხვის შემდეგ მირანდას რაღაცას უყვებოდა, მირანდას კის–კისზე ესმას და ცირას გული ხალისით ევსებოდათ.

მირანდა ხომ მათი ცხოვრების არსი, სითბოსა და სიხარულის ერთადერთი წყაროა!

XIII

მირანდამ ომარის ძალიან თბილი და ვრცელი წერილი მისწერა. ყველაფერი ის რაც და როგორც იყო მათი ბოლო შეხვედრიდან დღემდე.

ყველაფერი, გარდა იმისა რაც მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა. ესმა მიხვდა და ჩურჩულით უთხრა:

– მირანდა, ალბათ მაგ წერილს ომარის სწერ არა?!

– ჰო, მართალია – ომარი ძალიან მომწონს, მაგრამ მისი დაიმედება არ მინდა. იგი კარგი მეგობარია და მინდა რომ ამადაც დარჩეს. ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია. ვნახოთ რას მოგვიტანს დრო?!!

– მართალია, ჯერ მთელი ცხოვრება წინა გაქვთ.

– ესმა, ხონში რომ ჩახვალ, იქ არავის უთხრა ამის შესახებ, ხომ იცი იქაურების ამბავი? ყველა თავისებურად გაიგებს და დასკვნის გამოტანასაც არ დააყოვნებენ.

– რას ამბობ? ეგ რამ გაფიქრებინა!

– ან, აქ რა არის მოსაყოლი?

– მითუმეტეს!

ზაფხულამდე ალბათ წერილის დასაწერადაც აღარ მექნება დრო. ბევრი სამეცადინო და ჩასაბარებელი საგნები მაქვს.

– მირანდა, შენ იცი რომ ცირაც ძალიან დაკავებულია და მეც

ზეგ მივდივარ, შენ სწავლას არ გადაყვე და ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაიუარესო. დროზე და ხარისხიანად იკვებე – მადლობა ღმერთს სახლში ყველაფერი გაქვთ.

– შენ მაგაზე ნუ ფიქრობ, ყველაფერი ისე იქნება როგორც შენ გესიამოვნება. შენც ხომ შენი უამრავი საოჯახო საქმეები გაქვს მოსაგვარებელი და შენც თავი არ დაივიწყო – ხომ იცი, რომ შენ ჩვენი დედა ბოძი ხარ!

ესმას ეცინებოდა, უხაროდა, რომ მირანდას ყველაფერი ესმის და მათზე თვითონაც ზრუნავს, როგორც შეუძლია და რითაც შეუძლია.

XIV

ისევ ლექციები, ისევ თავაუღებელი მეცადინეობები – და ისევ „ის“.

შიო დარწმუნებულია, რომ მირანდას იგი არ მოსწონს და თავს უხერხულად გრძნობს, ცდილობს პირის–პირ არ შეხვდეს მას.

მირანდა დარმწუნებულია, რომ „სამეულმა“ იგი მის წინააღმდეგ განაწყო და მასაც იგი „გულზე არ ეხატება“.

ეკამ კი უთხრა, რომ შიოს ძალიან მოსწონხარო, მაგრამ ეტყობა ეგ იყო მაშინ, სანამ მას ახლო გაიცნობდა, მერე – კი აზრი შეეცვალა.

მასე რომ არ იყოს, უკვე ერთი კვირაა რაც ლექციები დაიწყო და იგი მხოლოდ ორჯერ მიესალმა მას, ისიც შორიდან – უკვე ყველაფერი ნათელია!

მართალია მისი სახელი არ მომწონს, მაგრამ თვითონ ძალიან საყვარელი ბიჭია, თავდაჭერილი, თავაზიანი, სიმპათიური, ჭკვიანი და მხიარული. მასთან თავს შებოჭილად არ ვგრძნობ. მიუხედავად იმისა, რომ სულ ნახევარი საათიც კი არ ვიყავით ერთად, ისიც ტაქსით რომ მომაცილა.

ხომ შეეძლო რომ ეკასათვის ჩემი ტელეფონის ნომერი გამოერთვა და დაერეკა? მთელი ოცი დღე სახლში ვიყავით. გასაგები და დასანანია!!

ლექციები დამთავდა. ეკამ უთხრა მას, რომ დეიდასთან მიდის. ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

მირანდამ გზა განაგრძო, მას შიო წამოეწია.

– მირანდა, შეიძლება დაგემგზავრო? დღეს შენსკენ მოვდივარ.

– შიო, შენა ხარ? როგორა ხარ?

– კარგად, შენ?

– მეც, კარგად ვარ.

– თუ წინააღმდეგი არ იქნები ცოტათი ფეხით წავიდეთ. დღეს არ ცივა. ჩვენ ხომ ერთმანეთს კარგად არ ვიცნობთ.

– რა გეჩქარება, ჯერ წინ კიდევ ხუთი წელი გვაქვს და მე მგონია, რომ ეს საკმარისი დროა იმისათვის, რომ ორმა სტუდენტმა ერთმანეთი გაიცნონ – რას იტყვი?

– მართალია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ესეთი მარტივი საკითხი მანამ მოგვარდეს, სანამ სხვა უფრო სერიოზული პრობლემები არ წამოჭრილა?

– არ მომწონს თუ პრობლემების მოგვარებას ჩემი გაცნობით იწყებ! – შიო დაიბნა.

– მირანდა, შეიძლება მე ჩემი აზრი ისე ვერ გამოვთქვი როგორც ვფიქრობდი. მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მომწონხარ და მინდა, რომ დავმეგობრდეთ! რას იტყვი?

– კეთილი! საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენ სამაგისოდ არ გვცალია, ძალიან დატვირთულები ვართ.

– მე ბევრ დროს არ წაგართმევ. ნება მომეცი, რომ ხანდახან დაგირეკო და სახლამდე მიგაცილო ხოლმე.

– თანახმა ვარ. მეც ისე ვიღლები ხოლმე მეცადინეობით, რომ რამოდენიმ ეწუთით შესვენება არც მე მაწყენდა.

– შევთანხმდით?

– დიახ! ეხლა კიწავიდეთ თორემ ბევრ დროს დავკარგავთ.

ორივენი იღიმებოდნენ, არც ერთს არ ეგონა, რომ ეს ყველაფერი ასე ადვილად და ასე მოკლე დროში მოგვარდებოდა.

შიომ იგი სახლამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

ერთი საათიც არ იყო გასული რომ შიომ მას დაურეკა. ტელეფონით საუბარი უფრო ადვილად აეწყო. ორივენი ძალიან ბედნიერები, ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

მეცადინეობის ხალისი არც ერთს აღარ ჰქონდათ, საღამოს იგივე გამეორდა.

ასე მეორდებოდა თითქმის ყოველ დღე!!!

XV

უკვე მთელმა კურსმა იცოდა მათი ურთიერთ სიმპათიების ამბავი. ეს ხომ სტუდენტური პერიოდის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ისინი ერთმანეთს მშვენივრად შეეწყვნენ. მირანდამ ცირას უთ-

ხრა ამის შესახებ. მანაც რა თქმა უნდა სათანადო რჩევა–დარიგება მისცა. მას მირანდას იმედი, ყოველთვის და ყველაფერში ჰქონდა.

– რაც დრო გადიოდა, მათ ერთმანეთი უფრო მეტად მოსწონდათ. ყველაფერმა სწავლის გარდამ მეორე პლანზე გადაინცვლა. მათ აღარ აღელვებდათ „ს ამეულის“ რეპლიკები „აკი არ მოსწონდაო“, ეკას საყვედურები – „სულ დამივიწყე ჩვენთან აღარ მოდიხარ, ბესიკს ძალიან ენატრებიო“ და სხვა.

ისინი უკვე მეორე კურსზე გადავიდნენ. მათი მეგობრობა აკადემიურ მაჩვენებლებზე მხოლოდ სასიკეთოდ მოქმედებდა, ცდილობდნენ, რომ მათ ურთიერთობას უარყოფითი შედეგი არ მოეტანა – სასურველ პროფესიის დაუფლებაზე. ლექციებს პრაქტიკული მეცადინეობებიც დაემატა. ხან რომელ კლინიკაში უწევდათ მისვლა და ხან რომელში. მათი სამეცადინო ცხრილი ურთიერთ განსხვავებული იყო. ინსტიტუტშიც ხშირად ერთ დროს არ უწევდათ ყოფნა. რჩებოდა მხოლოდ საღამოობით ტელეფონით საუბარი და კვირა დღეობით შეზღუდული პაემანი.

შიო შიშობდა, რომ რომელიმე კლინიკაში მირანდას ყურადღება, რომელიმე ახალგაზრდა სიმპათიურ ექიმს არ მიეპყრო და ხშირად ეკას საიდუმლოდ ეკითხებოდა ამის შესახებ.

ეკა მას ამშვიდებდა, რომ მირანდას ძალიან მოსწონხარ და არავის ყურადღებას არ აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც შენ ამბობ – ახალგაზრდა სიმპათიურ ექიმებს იგი შეუმჩნეველი არ რჩებათო.

შიოს სჯეროდა ეს და მირანდასაგან სიკეთის მეტს არაფერს ელოდა, მაგრამ ეჭვიანობამ მისი არსება მისდაუნებურად მაინც მოიცვა.

მას სერიოზულად აფიქრებდა ის რომ, როგორ გადაელახა ეს სიძნელე და გადაწყვიტა – მირანდას დალაპარაკებოდა ამის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მას ამის მიზეზი ნამდვილად არ ჰქონდა.

მორიგ შეხვედრისას მირანდამ მას განუცხადა, რომ თვითონ და ცირა მეორე კვირას ხონში მიდიან მთელი ზაფხულით. ამ ამბავმა შიო ლამის შოკში ჩააგდო.

– რა დაგემართა შიო? მესმის ორი თვე არც ისე ცოტა დროა, ვიცი მოგენატრები, მაგრამ მეც ხომ მინდა დასვენება? დეიდასაც ჩემი მიშველება სჭირდება. შენც რაიმეთი გაერთე, კარგად

დაისვენე და სექტემბერში ახალი ენერგიით გავაგრძელებთ მეცადინეობას. ხომ ხედავ რაც დრო გადის პროგრამა მით უფრო რთულდება, ამას პრაქტიკულებიც ემატება და ცოტა დასვენება ნამდვილად არ გვაწყენს.

– მირანდა, მე გადავწყვიტე სერიოზულად დაგელაპარაკო ჩვენს მომავლაზე. შენ კარგად იცი, რომ ძალიან მომწონხარ და ძალიან მიყვარხარ. თუ შენც იზიარებ ჩემს გრძნობებს, მაშინ მინდა, რომ ოფიციალურად გთხოვო შენი ხელი შენს დეიდებს და დავქორწინდეთ! რას იტყვი?

– შიო, შენს გრძნობებს მეც ვიზიარებ, მაგრამ შენი წინადადება ჩემთვის მიუღებელია ამ ეტაპზე და აი რატომ: მე, რომ დაგეთანხმო და დავქორწინდეთ, შეიძლება შენც დაგკარგო და ექიმობასაც სამუდამოდ დავემშვიდობო, იმიტომ, რომ ეხლა არც მაგის დრო და არც მაგის აუცილებლობა არ არსებობს.

ჩვენ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ. ქორწინება კი ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი რამ არის!

რა გვეჩქარება? ჯერ მთელი ცხოვრება წინა გვაქვს.

– მირანდა, მე შენს დაკარგვას ვერ ავიტან, როცა შენ ჩემს გვერდით არა ხარ, მე არაფრის უნარი არ შემწევს და რომელ მეცადინეობებზეა აქ ლაპარაკი?!

– შენს გვერდით რომ ვიყო ამით რა შეიცვლება? შენ რა ეჭვიანობ?!

– ვეჭვიანობ კი არა, მეშინია სხვამ არ წამართვას შენი თავი! – მირანდა გულიანად იცინოდა.

– მერე შენ თუ გგონია, რომ თუ მე მაგას მოვისურვებ და შენ კი შენი ქორწინების მოწმობა გიშველის, ძალიან სცდები.

სისულელეებს თავი დაანებე და ბავშვივით ნუ იქცევი. რა დროს შენი ცოლის შერთვაა?!

– აბა შენ რას მირჩევ? მე უშენოდ ყოფნა ერთი წუთითაც არ შემიძლია!

– მაშინ დაწერე განცხადება და ჩვენს ჯგუფში გადმოსვლა ითხოვე. ამით ყველაფერი მოგვარდება. ცოლის უღელიდანაც განთავისუფლდები და მთელი დღეები ერთად ვიქნებით – რას იტყვი?

– სწორია! დიდებული აზრია.

მაშინ, წავიდეთ ჩემს მშობლებს გაგაცნობ, მათ დიდი სურვილი აქვთ შენი გაცნობის.

– თუ შენ ასე გსურს, მე წინააღმდეგი არა ვარ.

– ეხლავე წავიდეთ!

– როგორც იტყვი! მხოლოდ ცოტა ხნით, სახლში მელოდებიან.

შიომ სასწრაფოდ ტაქსი გააჩერა და წავიდნენ. იგი არ მოელოდა, რომ ასე იოლად შეიძლებოდა, მისთვის ურთულეს პრობლემის ასე ადვილად გადაჭრა.

სახლში მისულებს კარი შიოს დედამ, იზამ გაუღო. იგი მიხვდა რაც ხდებოდა და გაღიმებულმა, მირანდა სახლში შეიპატიჟა.

შიომ იგი დედას ოფიციალურად წარუდგინა.

– დედა, იცნობდე ეს ჩემი საცოლე მირანდაა!

იზამ მირანდა სხელი ჩამოართვა და დაჯდომა სთხოვა.

– თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში, მე კი ცოტახნით დაგტოვებთ.

იზამ მოიბოდიშა და სამზარეულოში შევიდა.

– შიო, რატომ უთხარი დედაშენს, რომ საცოლე ვარ?

იქნებ ნაადრევია? ჯერ ერთმანეთი უნდა გაგვეცნო. შეიძლება შენს მშობლებს არ მოვეწონო და რატომ გვაყენებ ყველას უხერხულ მდგომარეობაში?

– მირანდა, ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია. ჩემი სურვილი მათთვის კანონია!

მხოლოდ შენი თანხმობა იყო ამისათვის საჭირო ხომ ასეა?

– დიახ, მაგრა მშენ იჩქარე – ჯერ მხოლოდ ერთმანეთი უნდა გაგვეცნო.

– ამით რა შეიცვალა?

– კარგი. არ გვინდა კამათი. დღეიდან შენი საცოლე ვარ! კმაყოფილი ხარ?

– კმაყოფილი კი არა ქვეყანაზე უბედნიერესი კაცი ვარ!

– ღმერთმა ინებოს, რომ ასეთივედ დარჩე.

იზამ ორივენი მაგიდასთან მიიწვია.

მირანდა მიხვდა, რომ ისინი ამ ამბისათვის მზად იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ შიოს მამაც მოვიდა. მას, მათი იქყოფნა არ გაკვირვებია.

შიომ მამასაც გააცნო თავისი საცოლე. მამამ არჩევანი მოუწონა და დასძინა, რომ მთავარია ერთმანეთი გიყვარდეთ და ჯანსაღი ოჯახი შექმნათო.

მირანდა თავს უხერხულად გრძნობდა, ნანობდა რატომ დაეთანხმა შიოს, ესოდენ სერიოზული საკითხის ნაჩქარებად პასუ-

ხისგაცემით, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, რომ მისი უარის თქმის შემთხვევაში შიოს რაიმე შეცდომა არ დაეშვა–გრძნობას არ აყოლოდა და სწავლა – ვერ გაეგრძელებინა.

„საცოლე“ კი ხომ არაფრით ბოჭავდა მას. ინსტუტის დამთავრებისშემდეგ კი, შეიძლება სერიოზულად იმსჯძელონ აღნიშნულის შესახებ.

არც იზას და არც გიორგის მირანდასათვის არავითარი კითხვები არ დაუსვიათ.

მშვიდად, ოჯახურად, დიდი ხნის ნაცნობებივით ისადილეს.

იზას და მის მეუღლეს მირანდა ძალიან მოეწონათ. მირანდასაც ასეთივე გრძნობა გაუჩნდა მათ მიმართ:

ისინი – ორივენი სიმპათიურები, ინტილიგენტები, კეთილები და გულღიები არიან.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მირანდამ ბოდიშის მოხდით უთხრა მათ, რომ სახლში ელოდებიან და უნდა წავიდეს.

ერთმანეთს კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ. შიომ მირანდა სახლამდე მიაცილა და ჰკითხა:

– შენ არ გსურს ჩემი წარდგენა – შენს დეიდების წინაშე – საქმროს სახით?

– თუ მე ამას ვცნობ საჭიროდ არ თქმა უნდა კი! მაგრამ ექიმის დიპლომის გარეშე არც იოცნებო. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დეიდას ერთად დავკარგავ.

– რატომ? უდიპლომო კაცი – კაცი არ არის თუ რა?!!

– დიახ! რამდენიც არ უნდა იხუმრონ, იცინონ, რამდენი კინოფილმიც არ უნდა გადაიღონ, ჩვენთვის – სასიძო ექიმის დიპლომის გარეშე – დიახაც, რომ მიუღებელია!!!

ისე, რომ კარგად დაიმახსოვრე: ჯერ დიპლომი, მერე კი ცოლი!!

შიო გულიანად იცინოდა.

– კეთილი შევთანხმდით!

სექტემბრიდან გადმოვდივარ თქვენს ჯგუფში და ერთად ვიწყებთ მეცადინეობას.

– თუ ძალიან ზარმაცი და მოსაბეზრებელი არ იქნები თანახმა ვარ.

– კარგი. როდის მიემგზავრებით?

– ალბათ შაბათს.

– არ შეიძლება, რომ მეც წამოვიდე თქვენთან ერთად ხონში?

– არა! ჯერ ხომ სასიძო არა ხარ? მოცდა მოგიწევს. წადი ზღვა-

ზე დაისვენე, ლამაზ გოგოებთან გაერთე.

შიოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მირანდამ აღარ დააცალა. მელოდებიან, ინერვიულებენო და სახლში ავიდა.

ოთახში შესულ მირანდას ესმამ და ცირამ ერთხმად ჰკითხეს:

– რატომ დაიგვიანე? უკვე ექვსი საათია. აქამდე სად იყავი?

– დამშვიდდით. დავიღალე. გამოვიცვლი და ყველაფერს მოგიყვებით.

მირანდამ მათ ყველაფერი ისე უამბო, როგორც იყო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შიოს ძალიან სიმპათიური მშობლები ჰყავს. შევამჩნიე, რომ იმათაც მოვეწონეო.

– მერე შენ რას ფიქრობ?

– შიო კარგი ბიჭია. ეტყობა, რომ მშობლებისაგან განებივგრებულია, მაგრამ ჩემი ულტიმატუმი მიიღო – ჯერ ექიმის დიპლომი – მერე კი დაქორწინება! ისიც იმ შემთხვევაში თუ მაგ დროისათვის ჩემთვის სასურველი პიროვნება იქნება.

ხუთი წელი ცოტა დრო არ არის. ჩვენ უკვე ექიმები ვიქნებით, ერთმანეთს უკეთესად გავიცნობთ.

თუ ყველაფერი კარგად იქნება ხომ დავქორწინდებით თუ არა და ჩვენი გზებიც გაიყრება, ისე როგორც სხვა მრავალთა გზები გაყრილა.

ეს არის და ეს!

– კარგი აზრია და მაგას არ გადაუხვიოო – უთხრა ესმამ.

მირანდამ ცირას შეხედა. მანაც თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა.

– შეგიძლიათ ხუთი წელი მშვიდად იყოთ. მერე კი ღმერთი იყოს ჩვენი მოწყალე!

XVI

შიო, დღის მანძილზე მირანდას ტელეფონით რამოდენიმეჯერ ესაუბრებოდა. ხან კი ერთმანეთს ხვდებოდნენ და სასეირნოდ ან კინოში მიდიოდნენ.

კვირა დღეს შიომ სამივენი ხონში გააცილა, დეიდებს იგი ძალიან მოეწონათ. მათ ეს სასიამოვნო გუნებ–განწყობა, მთელი მგზავრობის მანძილზე გაყვათ.

საღამოს გვიან ჩავიდნენ. სახლში ტაქსით მივიდნენ. სამივენი დაღლილები იყვნენ. ბარგი არც კი ამოალაგეს ისე ივახშმეს და დაიძინეს.

ესმა როგორც ყოველთვის დილით ადრე ადგა. იგი ორი კვირაა სახლში არ ყოფილა. მეზობლის ქალს მადლობა მოუხადა და თავის ოჯახს მონატრებული, საქმეს შეუდგა.

ესმა და თავისი მეზობელი დოდო – ბავშვობიდან ერთად დაზრდილები არიან. დებივით უყვართ ერთმანეთი, ურთიერთ პატივსაცემად თავს არ იზოგავენ.

ცირამ და მირანდამ მოგვიანებით გაიღვიძეს. მირანდამ თვალების გახელისთანავე ხალათი ჩაიცვა და გალიიდან გამოფრენილი ჩიტივით აივანზე გაიჭრა.

კიბეებზე ჩაირბინა, ეზო მოათვალიერა, მერე წყაროსთან მიირბინა, ყველაფერს აკვირდებოდა, თითქოს ამოწმებდა მისი აქ არაყოფნის დროს რაიმე ხომ არ შეიცვალა.

არა, არაფერი არ შეცვლილა, ყველაფერი რიგზეა. ფისოს მოუალერსა, მურიაც წკმუტუნით შეეგება მას. ძროხა, ხბო, ქათმები და იხვები ყველანი ისევ ისეთები არიან.

მაგრამ არა! მგონი რაღაც შეიცვალა.

დიახ! ის პატარა ყვითელი წიწილები, უკვე თავმომწონე და გაყოყოჩებული ყვინჩილები არიან! ლამაზი ღაჟღაჟა წითელი ბიბლოებით და ბასრი დეზებით ერთმანეთს ეყვინჩილებიან, თანაც მათ ირგვლივ თავმოყრილ პუტკუნა ვარიებს თავს აწონებენ, დეზებით გამოჩხრეკილ ნუგბარ საკენკს თამამად სთავაზობენ მათ.

ისინი სამართლიანად იმსახურებენ იმას, რასაც მათზე ამბობენ, რომ – „ქვეყნად ყველაზე გალანტური, კავალრები მამლები არიანო!“. დიახ, ეს ესეც არის!

მირანდას თითქოს იქაური დილის სიგრილე და სუფთა ჰაერით სუნთქვა მონატრებოდა. დაეწაფა წყაროს კამკამა ცივ წყალს და მისი განუმეორებელი გემოც შეიგრძნო.

ამას ყველაფერს, რაც თავი ახსოვს იმ დღიდან ხედავდა. ეს ყველაფერი მასთან ერთად იზრდებოდა და რაც დრო გადიოდა მით უფრო საყვარელი და სანატრელი ხდებოდა.

ჩიტების ჭიკჭიკი, მამლის ყივილი, ქათმების კაკანი, ძაღლების ყეფა და საღამოს ნახირიდან დაბრუნებული საქონლის ბღავილი – ეს ყველაფერი მისთვის საყვარელი და განუმეორებელია.

მირანდამ მთელი ეზო, ბაღი და ბოსტანი მოიარა. სიმინდის ყანა უკვე იმხელა გაზრდილიყო, რომ მასში ადამიანი თავისუფლად იმალებოდა.

მერე აივანზე ავიდა და ტახტზე ჩამოჯდა. ტახტზე რომელ-

ზეც მთელი ბავშვობა „სახლობანას“ თამაშობდა და საყვარელ თოჯინებს ზღაპრებს უყვებოდა. ამიტომაც ამბობენ, რომ „ადამიანს ყველაზე ძალიან ის ადგილი უყვარს, სადაც ბავშვობა გაატარა“–ო.

ესმამ მათ საუზმეზე უხმო. სუფრას შემოუსხდნენ:

– კეცში გამომცხვარ ხაჭაპურს რა სჯობია?

– სწორე ხარ ესმა! სანამ აქა ვარ, ძალიან გთხოვ კაკაო და ერბოკვერცხი არ დამანახვო! ეგენი თბილისშიც მომბეზრდა.

ყველაფერი ისეთი მოამზადე, რასაც იქ ვერ ვჭამთ.

რა ბედნიერებაა, რომ ისევ აქა ვარ! თავი ისევ პატარამგონია და ძალიან ბედნიერი ვარ. ძალიან მიყვარს აქაურობა – ადამიანმა თავისი ფესვები არ უნდა დაკარგოს, მშობლიური კერა არ უნდა გააცივოს. როგორც არ უნდა იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი, პატარა ქოხიც, რომ ჰქონდეს იქ, სადაც ბავშვობა გაატარა – თავს მაინც ბედნიერად იგრძნობს. ხომ გაგიგონიათ – „მშობლიური ბოლიც კი ტკბილიაო“. მე ეს ყველაფერი ძალიან მენატრებოდა. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ!

– ცირა სად არის ჩემი ჰამაკი? ძალიან მიყვარს მაში წოლა და წიგნის კითხვა.

– შენახულია, დღესვე გავაბამთ.

მირანდა თავის ოთახში შევიდა. იქ ყველაფერი ისევ–ისე იყო, როგორც მისი სკოლაში სწავლის დროს. მისი საწოლი, საწერი მაგიდა, წიგნის თაროები, მაგიდაზე მისი ჩანთა და წიგნები. კედელზე ეკიდა მისი სკოლის დამთავრების – მთელი კლასის სურათი.

ყველას სათითაოდ ყურადღებით დააკვირდა. ყველანი ენატრება.

აი, ომარიც! რა კარგია. რა ჭკვიანი თვალები აქვს. ნეტავ ჩამოვიდეს და ვნახო – მენატრება.

რომელი სჯობია – შიო თუ ეს? ორივენი კარგები არიან, მაგრამ განსხვავებულები.

საინტერესოა – არჩევანის გაკეთება, რომ დამჭირდეს, რომელს მივანიჭებდი უპირატესობას?!

არ ვიცი, კარგად არც ერთს არ ვიცნობ. ორივენი კარგები არიან, მაგრამ – ომარი ჩემს გულთან უფრო ახლოა. იგი ჩემი ბავშვობის განუყოფელი ნაწილია, რაღაც ძალიან ახლობელი. ის მხოლოდგრძნობებით მეხმიანებოდა და თვალებით მელაპარაკებოდა.

სადილის შემდეგ სამივემ ერთობლივად გააბეს ჰამაკი. მირანდამ ცირას „პლედი“ გამოიტანა, შიგ ჩააფინა და „ძველებურად“ ჩაწვა კიდეც.

დეიდები სახლში შევიდნენ, იქაურობას აწესრიგებდნენ.

მირანდა ჰამაკში იწვა და ცას შესცქეროდა.

რა საოცარი შეგრძნებაა – თითქოს იგი ისევ სკოლის მოსწავლეა. არც არსად წასულა და არც არაფრეი შეცვლილა მის ცხოვრებაში. თითქოს ის – რაც ამ ერთ წელიწადში მოხდა სიზმარი იყო და რაც აქ, ეხლა ხდება მხოლოდ ეს არის რეალობა!

მირანდას გაეცინა – სულ იმაზე ვოცნებობდი სკოლას როდის დავამთავრებ და თბილისში როდის გადავალ საცხოვრებლად – ეხლა კი აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ – რატომ?

მან ამის პასუხი მშვენივრად იცოდა, მაგრამ მას ამის აღიარება არ სურდა.

ნუთუ ამას ამხელა მიზიდულობის ძალა აქვს? ჰო, ეტყობა ასეა!

XVII

ბინდდებოდა. ცირა მირანდას მიუახლოვდა და უთხრა, რომ სახლში შესულიყო – არ ჩაგეძინოს და არ გაცივდეო. მირანდა მას დაუყონებლივ გაჰყვა.

სამივენი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. დღეს ადრე დავიძინოთ, ძილი ყველას გვაკლიაო – განუცხადა მათ ცირამ. მას ორივენი უყოყმანოდ დაეთანხმნენ.

ასე გადიოდა დრო. ყველა დღე თითქმის ერთმანეთს ჰგავდა – მანამ, სანამ დოდომ არ აუწყა, მათ, რომ დილით ბათუმიდან ომარი ჩამოვიდაო!

მირანდას ძალიან გაუხარდა ეს ამბავი, მაგრამ არ შეიმჩნია, როცა დრო იხელთა დაჯდა და სერიოზულად აწყობდა გეგმას – რა კითხვებს დაუსვამდა მას, რომ გარკვეულიყო სიტუაციაში. ბოლოს გაეცინა – რა სულელი ვარ, იქნებ სულაც არ აპირებს ჩვენს მონახულებას? მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მის მიერ მოწერილ თბილ წერილებს მიღმა უფრო ძლიერი გრძნობა იყო შემონახული.

ერთი დღე – მხოლოდ ერთი დღე შესძლო მან თავშეკავება, რომ მირანდა არ მოენახულებინა და ისიც იმიტომ, რომ მეზობლებს არ ეთქვათ – „ჩამოსვლის დღესვე მიირბინა მასთანაო“.

მიუხედავად იმისა, რომ მირანდას აღელვების მიზეზი არ ქონ-

და, რატომღაც მაინც ღელავდა, ძალიან კი ცდილობდა, რომ ეს დეიდებს არ შეემჩნიათ, მაგრამ იგი ხომ მათი გაზრდილია და მათ ვერაფერს გამოაპარებს.

მირანდა თავის ოთახში განმარტოვდა. სარკეში ჩაიხედა, თმები შეისწორა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ იგი წუთი–წუთზე მოსულიყო მის სანახავად. სასტუმრო ოთახი მოათვალიერა – რაიმე ხომ არ იდო უადგილოდ, რაც მათ სახლში იშვიათობას წარმოადგენდა. „დამშვიდდა“, მაგრამ მისდაუნებურად თვალები სულ ჯიშკრისკენ გაურბოდა.

არანაკლებად ღელავდა ესმაც. ცდილობდა, რომ ყველაფერი მზად ყოფილიყო და სტუმრებისათვის რაიმეს მირთმევა არ დავიწყებოდა.

საღამოს გვიან ყველანი გულდაწყვეტილები იყვნენ, რომ მათმა მღელვარებამ ფუჭად ჩაიარა, თუმცა ამას არავინ იმჩნევდა.

სტუმრებისათვის განკუთვნილი ხაჭაპური, ვახშმად თვითონ მიირთვეს და ერთმანეთს გულღიად და უსიტყვოდ – მხოლოდ გაუღიმეს.

დილით ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ. დღეს მათი იმედგაცრუება გამოირიცხული იყო.

შუადღისით მათ ომარი ესტუმრა. მას პირველი ესმა შეეგება, მოკითხვის შემდეგ სახლში შეიპატიჟა. მირანდამ და ცირამ იგი სიხარულით მიიღეს. გადაკოცნეს, მოიკითხეს და მირანდამ იგი, დივანზე გვერდით მოისვა.

– როგორ გაზრდილხარ, ამე ერთ წელიწადში ძალიან შეცვლილხარ – რა თქმა უნდა უკეთესობისაკენ. ძალიან მიხარია ინსტიტუტში რომ მოეწყვე. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამიერიდან ზღვები და ოკეანეები ჩვენს განკარგულებაშია! ყველანი იცინოდნენ. ცირამ ბოდიში მოიხადა და ესმას მისაშველებლად გავიდა.

– მირანდა, ზღვის და ოკეანეების რა მოგახსენო, მაგრამ მე პირადად მთელი ჩემი არსებით შენს განკარგულებაში მიგულე.

– ძალიან კარგი! ეხლა კი დაწვრილებით მომიყევი როგორ შეეგუე ინსტიტუტს, რა ხდება ბათუმში და შენს პირად ცხოვრებაში?

– ბათუმს ვერ იცნობ ისეა აყვავებული და გალამაზებული. დანარჩენი ჩემს წერილებიდან იცი. რაც შეეხება ბოლო შეკითხვას – გეტყვი, რომ ეხლა მთელი ჩემი ძალები მიმართულია სწავლაზე.

პირადი ცხოვრების მოწყობის და სამიჯნურო ამბები, სულ ცოტა ხუთი წლით „დაკონსერვებულია“! ასეთია განაჩენი.

– კი მაგრამ, რომელმა გულქვამ გამოგიტანა იგი და შენ რისი იმედი გაქვს მაგ ვადის გასვლის შემდეგ.

– ღმერთის მირანდა, მხოლოდ ღმერთის!

– საინტერესოა, რისთვის მოგესაჯა და ღირს იგი ამად თუ არა?

– მირანდა, შენ ძალიან კარგად იცი რომ მე მთელი ჩვენი სკოლის პერიოდი მიყვარდი. რა საჭიროა სიტყვებით თამაში? მე ხომ შენგან არაფერს მოვითხოვ? შენ წამოაყენე ულტიმატუმი – ჯერ ინსტიტუტის დამთავრება და მერე კი ვნახოთო. ხომ ასეა?

– დიახ ასეა!

– ჰოდა მეც მივიღე შენი ულტიმატუმი – რაც შენ არაფრით გავალდებულებს. შენ თავისუფალი ხარ. რაც შემეხება მე – იმდენად ძლიერია ჩემი გრძნობები შენდამი, რომ ხუთი წელი კი არა, თუ საჭირო იქნება მთელი ჩემი სიცოცხლე დაგელოდები!

ამიერიდან შენ იცი, როგორც გსურს ისე მოიქეცი. მე ჩემი სათქმელი გითხარი. თუ ჩემს წერილებს და ტელეფონის ზარს უპასუხებ – დიდად მადლიერი ვიქნები. შენს ამბავს გავიგებ, მეცოდინება როგორ ხარ. თუკი რაიმეში დაგჭირდები, ჩემი მისამართი და ტელეფონი იცი.

შენი კეთილდღეობა და ბედნიერება ყოველთვის გამიხარდება, რაც შენ გესიამოვნება, ის ჩემრთვისაც მისაღები იქნება.

იმედს ვიტოვებ, რომ ზაფხულობით მაინც ვნახავთ ერთმანეთს და ეს მომცემს ძალას, რომ ცხოვრება გავაგრძელო!

– კარგი რა ომარი, შენმა სიტყვება გული ამიჩუყა. თავს ნუ იკატუნებ. რა გაქვს საწუწუნო? ხომ ვიცი, რომ შენ გოგოები გასაქანს არ მოგცემენ და რომ არ გინდოდეს მაინც გაგამხიარულებენ.

– ეგ ერთი და იგივე არ არის. სიყვარული და გართობა – სულ სხვადასხვა რამეა. სიყვარული ტანჯვაა და უფრო მეტიც, იგი განუკურნებელი სენია!

გართობა კი უბრალოდ მოთხოვნილებაა.

ესმამ ისინი სუფრასთან მიიწვია.

სტუმარ–მასპინძლის მოვალეობისამებრ დეიდები რამოდენიმე სიტყვით გაესაუბრნენ ომარის.

ცოტა ხნის შემდეგ იგი მათ გამოემშვიდობა და სთხოვა, რომ თუ წინააღმდეგნი არ იქნებიან, ხანდახან მოინახულებს ხოლმე

მათ.

– რას ამბობ ომარი? ჩვენ შენი ნახვა ყოველთვის გაგვიხარდება, უცხო ხომ არა ხარ? როცა კი მოისურვებ მაშინ მოდი.

ომარიგრძნობდა, რომ ეს სიტყვები მირანდას გულიდან მოდიოდა. იგი ბედნიერი იყო.

როცა ომარი გააცილეს დეიდები დაინტერესდნენ მათი საუბრის შინაარსით.

მირანდამ მათ რაც ითქვა და როგორც ითქვა, ყველაფერი ისევე მოუყვა.

– მერე, შენ უთხარი რომ საქმრო გყავს?!

– რას ამბობ ესმა, რომელი საქმრო? შიო კარგი ბიჭია, ძალიან მომწონს, მაგრამ მანაც იცის, რომ ინსტიტუტის დამთავრებამდე ეს საკითხი არ განახლდება.

მერე კი, თუ ამ დროის გავლის შემდეგ დავრწმუნდები იმაში, რომ შეიძლება მასთან სერიოზული ურთიერთობის გაგრძელება – დავქორწინდებით კიდეც. თუ არა და, ჩენ ჩვენი გზები გვექნება.

– სწორეა მირანდა, სავსებით გეთანხმები – კვერი დაუკრა ცირამ.

– თქვენ ნუ ღელავთ, მე ისევ პატარა ხომ არა ვარ?!

XVIII

მეორე დღეს საღამოს, ომარი კვლავ ესტუმრა მათ, რითაც ყველანი გააოცა. გუშინ რომ გააცილეს, იფიქრეს, რომ კვირაში ერთხელ გვესტუმრებაო და აი მირანდამ მას გაკვირვებულმა ჰკითხა:

– რა იყო ომარი? რამე მოხდა?

– არა ნუ ღელავთ. ვერ ვიცრუებ და გამოგიტყდებით რომ ძალიან მომენატრე – მეტი აღარ შემეძლო და წამოვედი.

მირანდამ და ესმამ ერთმანეთს გაუღიმეს.

– მოდი, აივანზე ავიდეთ. შემეშინდა, დღეს ნამდვილად არ გელოდით.

– აკი გითხარით, რომ შენინახვა ძალიან მომინდა და თავს ვერ მოვერიე.

– კარგი დაჯექი.

მე ხილს მოგიტანთ, თქვენ კი ისაუბრეთ. მალე ესმაც შემოგიერთდებათო უთხრა მათ ცირამ.

– ნუ იჩქარებ ცირა, საქმეს მიხედე. ჩვენს სტუმარს მხოლოდ

ჩემთან საუბარი სწყურია! ხომ ასეა?

– ჰო მირანდა, როგორც ყოველთვის შენ მართალი ხარ!

– კარგად მოიქეცი, რომ მოხვედი. ეგ იმიტომ მოხდა რომ, ამდენი წელიწადი თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით და ეხლა კი წელიწადზე მეტია არ გინახივარ. მადლობელი ვარ შენი.

– მართალია ძალიან მეუხერხულებოდა, მაგრამ დილიდან ვებრძოდი ჩემს თავს. ერთ–ორ დღეს მოვითმენ–მეთქი, მაგრამ ხომ ხედავ რა სუსტი ნებისყოფისა ვყოფილვარ.

– არაფერია! ყველაფერი ხდება. გაიზრდები და ისწავლი საკუთარი ემოციების მოთოკვას.

– დიახ ექიმო, მაგისი იმედი მაქვს.

ორივენი იღიმებოდნენ. ცირამ მათ ხილი მოართვა ისევ ეზოში ჩავიდა.

– ომარი, ხილი მიირთვი და მომიყევი შენს შესახებ. რითი ერთობი? სწავლა ძნელია თუ არა? როგორ არის დედაშენი და შენი დაიკო და კიდევ ის... სხვა რამეები.

– ყველანი კარგად არიან. ბათუმი ძალიან მომწონს, სწავლაც არ მიჭირს, მაგრამ არ მეგონა უშენობა თუ ესე გამიჭირდებოდა.

– რას იზავ, სკოლა დავამთავრეთ, ჩვენი გზები გაიყარა, ყველას ჩვენ–ჩვენი ცხოვრება გვაქვს. ჩვენ არა ვართ პირველნი და უკანასკნელნი. ხომ ასეა? მირანდას ომარი ძალიან შეებრალა, უნდოდა საუბრის თემა შეეცვალა. იგი ყოველთვის გაწონასწორებული და მშვიდი ბიჭი იყო. გულჩათხრობილი და ძალიან მგრძნობიარე. დღეს კი მითუმეტეს. მის სიტყვებში თითქოს ცრემლიც ერია.

– სულ მინდოდა შენთვის მეკითხა – საზღვაო აკადემიაში რომ მოეწყვე, ცურვა იცი?

ომარიმ მას დაბნეულმა შეხედა.

– როგორ არ ვიცი, ცხენის წყალში ვბანაობდი და ცურვა არ ვიცი? თანაც რა აუცილებელია ვინც იქ სწავლობს ყველამ ცურვა იცოდეს! ჩვენ ინჟინრები გამოვდივართ მეზღაურები კი არა!

– ისე შეგეკითხე, მაგრამ ჩემის აზრით ნებისმიერ ასაკის ადამიანმა და მითუმეტეს მამაკაცმა ცურვა უნდა იცოდეს.

– მართალიხარ, ნეტავი ყველაფერი ცურვასავით ადვილი იყოს.

– ყველაფერი ადვილია რაც იცი – ძნელი კი ის არის რაც არ იცი. აქ როდემდე აპირებ დარჩენას?

– მანამ სანამ შენ არ გამაგდებ.

– აბა რას ამბობ? ღმერთმა ნუ ქნას ისე მოიქცე, რომ მაგის გა-

კეთება დამჭირდეს.

– დღეს მაგის საბაბი ნამდვილად გაქვს!

– არა უშავს, ეს მონატრების ბრალია. გეპატიება. შენ არ უპასუხე ჩემს კითხვას – ბათუმში როგორ ერთობი?

– მიყვარს თავისუფალ დროს კარგი წ იგნის კითხვა ან კარგი ფილმის ყურება, კარგ გუნდთან ფეხბურთის ან ფრენბურთის თამაში, კარგი მუსიკის მოსმენა და კიდევ რა ვიცი, რა?

– „დისკოტეკაზე“ სიარული არ გიყვარს?

– არა! ჯერ კიდევ ხონელი ვარ – მერე კი ვნახოთ.

– როდის მერე – თუ კარგი გოგო შეგხვდება და ცეკვასაც გასწავლის?

– არ ვიცი. შეიძლება, მაგრამ, არა მგონია მაგან გამიტაცოს.თ უმცა ეს ხუთი წელი რაღაცამ ხომ უნდა შეავსოს?

– რაღაცამ და ვიღაცამ არა?!

ორივენი იცინოდნენ.

მირანდას უხაროდა, რომ ომარი გაამხიარულა, იგი საშინლად დაძაბული იყო.

ბოლოს მან ბოდიში მოუხადა მათ „დაუპატიჟებელი“ სტუმრობისათვის,ყ ველას დაემშვიდობა და სახლში წავიდა.

ცირამ მორიდებულად უთხრა მირანდას:

– ომარის ეტყობა, რომ ძალიან არის შენზე შეყვარებული, ხომ ნახე ერთი დღეც კი ვერ გაძლო შენ რომ არ ენახე. რას იტყვი?

– არაფერსაც არ ვიტყვი, მან ნერვების გაკაჟება და ემოციების მოთოკვა უნდა ისწავლოს.

– მერე რა, რომ სკოლა დაამთავრა, ჯერ კიდევ ბავშვია, ისე კი, როგორი კარგია. ამ ერთ წელიწადში ძალიან გაიზარდა და დამშვენდა, რას იტყვი ხვალაც მოვა?

– ალბათ!

– რას ამბობ ცირა? ეგ შეყვარებულია, სულელი კი არ არის?

– რომ მოვიდეს?

– თუ მოვა, მაშინ თავხედი ყოფილა და უთხარი, რომ ავად ვარ და მძინავს.

– ეწყინება!

– ცივი წყალი დალიოს ან წავიდეს თავის ბათუმში და მადლობა ღმერთს შავი ზღვა დიდია, გაგრილდეს ან თავი დაიხრჩოს!

– რას ამბობ მირანდა, გაგიჟდი?! ღმერთს პატიება სთხოვე – ეგ რა სთქვი?

– ღმერთი მაპატიებს, იცის რომ ვხუმრობ.

– კარგი, წამოდი ესმა გველოდება, მგონი კარტის თამაში უნდა.

XIX

დილით ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სტუმრის მოსვლა გამორიცხული იყო – მირანდას თვალი მაინც სულ ჭიშკრისკენ გაურბოდა – „ნეტავ მოვიდეს“!

ისაუზმეს, ყველაფერი მოაწესრიგეს, სადილის მზადებას შეუდგნენ. „არ მოდის! ალბათ რაიმე ეწყინა. მოვა, საღამომდე ვერ მოითმენს“

– მირანდა, დღეს ომარი მოვა? შეეკითხა მას ესმა.

– არ ვიცი. ალბათ გუშინდელის შერცხვა, ვნახოთ.

ცირა თავს იკატუნებდა, თითქოს ყურადღებას არ აქცევდა მათ საუბარს, იგი მირანდას შეკითხვებით არ აწუხებდა, კარგად ერკვეოდა სიტუაციაში – „არ მოვა“!

– არ მოვიდა!!

ივახშმეს, ერთმანეთს ღამე მშვიდობისა უსურვეს. დეიდებმა დაიძინეს. მირანდას ძილი არ ეკარებოდა, რატომ არ მოვიდა? ავად ხომ არ გახდა? გუშინ დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა, ყინულივით ცივი ხელები ჰქონდა, თანაც ოდნავ უთრთოდა. ალბათ გაცივდა, ნეტავ სულაც არ ჩამოვსულიყავი აქ. ავად არ გახდეს. ნეტავ რატომ ვთქვი ის ცუდი სიტყვა? ღმერთო მაპატიე! ოღონდ ავად არ გახდეს და როცა მოვა ხმას აღარ ამოვიღებ. არ ვიცი რა სწყინს და რა უხარია? სკოლაში ესეთი არ იყო, როცა დაბალ ნიშანს მიიღებ და იმ დღეს თვალს ვერ მისწორებდა, მაგრამ არ ვიცი მაშინაც ცივი ხელები ჰქონდა თუ არა.

მირანდა ვერ იძინებდა. ადგა ფანჯარასთან მივიდა, რა საოცარი საღამოა, რამდენი დღეა აქ ვარ და ღამე გარეთ არც კი გამიხედავს. რა მშვენიერი ღამეა, ღდესავით ნათელი, სავსე მთვარე. თითქოს მხოლოდ ჩვენ ეზოს ანათებს. მართალია რომ ამბობენ: „ასეთ მთვარიან ღამეში ნემსიც რომ დაგივარდეს, არ დაიკარგებაო“.

ოჰ, ეს ჭრიჭინები – ნეტავი რა აქვთ ამდენი საჭრიჭინო? მთელი ღამე არ იღლებიან? ალბათ რამე ძალიან უხარიათ და ერთმანეთს უზიარებენ ან მღერიან.

საინტერესოა – ბაყაყებით მაგათ ეხმიანებიან თუ ისინი ცალკე

„ანსამბლს“ შეადგენენ?

რა საინტერესოა – ალბათ ოდესმე მაგათ ჭრიჭინ–ყიყინსაც შეისწავლიან მეცნიერები.

საინტერესოა – ხვალ მოვა? რომ არ მოვიდეს?“

შუადღისით ძალიან ცხელოდა. დიდ კაკლის ხის ჩრდილში, რომელიც ეზოს მარცხენა მხარეს იდგა, მირანდას ჰამაკი ეკიდა. მიუხედავად სიცხისა მათ ეზოში ყოველთვის სასიამოვნო სიგრილე იყო, რასაც მათი წინაპრების მიერ დარგულ საჩრდილობელ თუ ხეხილიან ხეებს უნდა უმადლოდენ.

მირანდა ჰამაკში იწვა და წიგნს კითხულობდა. უფრო სწორედ – წიგნი ეჭირა ხელში – თვითონ კი გზისკენ იყურებოდა.

ეზოში დოდო შემოვიდა. მირანდას მიესალმა და ბარათი გაუწოდა. მირანდა სასწრაფოდ წამოხტა, ბარათი გახსნა და კითხვა დაიწყო.

მირანდა, მაპატიე ძვირფასო, რომ შენთან გამოუმშვიდობებლად წავედი. არაფერი არ მომხდარა იმის გარდა, რომ თავს ვერ ვერევი.

გადავწყვიტე, რომ სანამ ღირსება მთლიანად არ დამიკარგავს – რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს – წავიდე!

წავიდე იმიტომ, რომ რაღაც სისულელე არ ჩავიდინო და შენს თვალში უფრო უსუსურად არ გამოვჩნდე.

როცა თბილისში ჩახვალ მაშინ ან დაგირეკავ ან წერილს მოგწერ, ესე უფრო მიადვილდება შენთან საუბარი.

გთხოვ მაპატიო, დეიდებსაც ბოდიშს ვუხდი რა წარმოდგენა ექნებათ ჩემზე? არადა არც ისეთი უნებისყოფო და „ლაყე“ ვარ როგორი შთაბეჭდილებაც დავტოვე თქვენზე.

მირანდა მიყვარხარ! ძალიან მიყვარხარ და არ ვიცი როგორ გადავიტან ამ განშორებას, არადა მანდ დარჩენაც აღარ შემეძლო.

ან მუდამ შენს გვერდით უნდა ვყოფილიყავი ან სუმთლად უშენოდ!

იმედია გამიგებ, მაშინ მაინც, როცა შენც ვინმე ჩემსავით შეგიყვარდება.

გემშვიდობები კეთილი სურვილებით და იმ იმედით, რომ არ განმსჯი და მაპატიებ.

ომარი.

მირანდა სამზარეულოშიშევიდა. წერილი ესმას გაუწოდა და დოდოს მშვიდად ჰკითხა.

– მართლა წავიდა?

– ჰო მირანდა, ხელში ორი ჩანთა ეჭირა. ჩვენს ჭიშკართან რომ ჩაიარა, მე ეზოში დამინახა და მანიშნა, რომ მასთან მივსულიყავი. მომესალმა, წერილი გადმომცა და მთხოვა, რომ იგი პირადად შენთვის გადმომეცა. ძალიან მოწყენილი იყო.

– კარგი დოდო, შენი მადლობელი ვარ. ე. ი. წავიდა!

– იქნებ სასწრაფოდ გამოიძახეს ბათუმში?

– არ ვიცი ესმა, მაგას დედამისისგან გავიგებ.

ესმამ დოდოს თანდასწორებითწერილი არ წაიკითხა, მირანდას კი შეეკითხა – მაგ ბარათში რა სწერიაო?

– არაფერი. დაგვემშვიდობა. ძალიან ადრეა და თქვენი შეწუხება მომერიდაო.

მადლობა ღმერთს, რომ სერიოზული არაფერი ხდება.

მირანდა სახლის უკან გავიდა. წყაროს პირას ჩამოჯდა ჩაფიქრდა. ცოტახნის შემდეგ კი, თითქოს ვილაცას ესაუბრებოდა ისე ხმამაღლა სთქვა – სწორედ მოიქცა, ესე სჯობია – ნამდვილი რაინდული საქციელია!

XX

ბათუმში ჩასული ომარი ადგილს ვერ პოულობდა. იგი ამ ქალაქში თავის მამიდის და ბიძის მეტს არავის იცნობდა. სტუდენტები კი – მხოლოდნაცნობები იყვნენ და ისინიც ყველანი თავ–თავიანთ გზას გაუდგნენ. ახლო დამეგობრება ჯერ ვერავისთან მოასწრო.

მას ისღა დარჩენოდა, რომ მამიდას წიგნების კარადას დამეგობრებოდა.

ომარის წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. ეს მისთვის სასურველი დასვენება იყო, მაგრამ რატომღაც რომელი წიგნიც კი გადმოიღო და გადაფურცლა, ვერცერთს გული ვერ დაუდო.

ის ამისათვის ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, რომ რბილ სავარძელში მოკალთებულს რომანები ეკითხა.

ომარის გული გარედ მიუწევდა. მამიდას შეკითხვებს თავაზიანად პასუხობდა – უთხრა, რომ გაძლიერებულად უნდა იმეცადინოს და ხონში ამის საშუალება და საჭირო წიგნები არა აქვს.

მამიდამ მას გაუღიმა. თავზე ხელი გადაუსვა და გაეცალა. იგი შეკითხვებით აღარ შეუწუხებია.

სადილის შემდეგ ომარი ქალაქში გავიდა.

ბათუმი – ულამაზესი ქალაქი პორტი – საოცარი შთაბეჭდილებას ახდენს, მისი მჩქეფარე ახალგაზრდა თუ სოლიდური, ადგილობრივთა და ტურისტების სიცოცხლით სავსე ნაკადით – გადავსებული კაფეები, რესტორნები, ბულვარი და პლიაჟი.

ლამაზი ლამპიონებით განათებული ქუჩები, პარკები და ზღვის სანაპირო.

სავსე მთვარე, მომაჯადოებელი ღრუბლების კომბინაციები და პალმების სილუეტები, ზღვაში თითქოს ცოცხალი და მთრთოლვარე მთვარის ორეული, რესტორნის ფანჯრებიდან გამოსული მუსიკის ჰანგები და ზღვა...

ზღვა მშვიდი და მთვარის შუქითგანათებული. იგი ტალღების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით გიზიდავს თავისკენ, რათა ნაზად მოგეხვიოს, მოგეფეროს და თავის ტალღებში აკვანივით დაგარწიოს. ვაგრძნობინოს, რომ შენ ის მოგენატრა, მასთან მიხვედი და მან მიგიღო – რომ სიცოცხლე მშვენიერია, მითუმეტეს მაშინ, როცა ბუნების გესმის და მის სიკეთეს შეიგრძნობ.

ბევრი ვერ უმკლავდება ზღვის ცდუნებას და მიდის მასთან. ნელ–ნელა იჭრება მის სიღრმეში და საბოლოოდ მისი ხიბლით მოჯადოებული თავდავიწყებით შესცურავს მის სიღრმეში.

ზღვა კი – ალბათ ისიც შეყვარებულია, ისიც ჩაგიკრავთ გულში, თავის ნაზ და მგრძნობიარე ტალღებს შემოგახვევთ და გაგიტაცებთ შორს, მოფერებით და რწევით. მის გარემოცვაში მთლიანად იკარგებით, ერთ მთლიანობად გადაიქეცით, ერთმანეთს გაუგეთ!

ღმერთო რა ბედნიერებაა, რომ ტანსაცმელი არავინ წაიღო! რა სიგიჟეა? რა განუმეორებელი გრძნობაა!

ომარიმ ტანს ჩაიცვა და კენჭებზე წამოწვა. ჯერ მთვარეს უღიმოდა. მერე კი სანაპიროზე წავიდა და სკამზე ჩამოჯდა. მას გვერდით შეყვარებული წყვილი მოუჯდა. იგი მოშორებით სხვა სკამზე გადაჯდა და ფიქრებს მიეცა. ბოლოს დაასკვნა, რომ ეს ყველაფერი თვალს ახარებს და სიცოცხლეს გიადვილებს, მაგრამ რა ვუყო გულს?! როგორ გავძლო მირანდას გარეშე?! მე მის სიახლოვეს ვერ ავიტან, გამოსავლაი კი არ ჩანს!

ომარი თითქმის ყოველდღე, დღის მეორე ნახევარში ზღვაზე მიდიოდა. ბანაობის შემდეგ სანაპიროზე ჯდებოდა და ზღვის ცქერით ტკბებოდა. ოცნებობდა. მისი „ყველა გზები მირანდასკენ მდიოდა“!

მას თავისი ინსტიტუტის ჯგუფელი დათო მიესალმა. ცოტა საუბრის შემდეგ მან ომარი ლუდის დასადევად კაფეში დაპატიჟა.

დასხდნენ, ისაუბრეს, ლუდი დალიეს. კაფეში თითქმის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ და მხიარული ატმოსფერო სუფევდა. დათომ ომარის უთხრა:

– შენ რა ბაბუაჩემივით დინჯად ზიხარ, ყველაფერი რიგზეა თუ სერიოზული პრობლემა გაქვს?

– არა, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ცოტა ხასიათზე ვერა ვარ – ოჯახური ამბების გამო.

– მაგას მოევლება. წამოდი ბულვარზე გავიაროთ, იქ ისეთი გოგოები არიან, რომ ოჯახის პრობლემებს კი არა საკუთარ თავსაც კი დაგავიწყებენ! წავიდეთ?

– წავიდეთ,მ აგრამ არა მგონია ვინმეს მოვეწონო, ძალიან დათრგუნული ვარ და არც არავის გაცნობა არ მინდა.

– ე. ი. შეყვარებული ხარ! – მიგატოვა? უარი გითხრა?

გიღალატა? თუ სხვაზე გათხოვდა?

– მოიცა დათო, მე არ მეხუმრება.

– კარგი, ის მაინც მითხარი ამათში რომელი ხარ?

– პირველი და უიმედო!

– შენ ჯერ სუმთლად ბავშვი ყოფილხარ. ეგ პრობლემა არ არის! წავედით.

ისინი ბულვარზე სეირნობდნენ, გოგოების გაცნობას არ ჩქარობდნენ. ეს საქმე ხვალისთვის გადადეს და შეხვედრა იმავე კაფეში დანიშნეს.

მათ, არც მეორე დღეს გაუმართლათ ბედმა. უკვე გვიან იყო და სახლში წასვლას აპირებდნენ, როცა მათ გზად გოგოების ჯგუფი წამოეწია. ერთ–ერთი მათგანი დათოს ნაცნობი იყო და დანარჩენი ორნიც მათ გააცნო. დათომ ყველანი კაფეში მიიწვია. ყველანი ერთ მაგიდას მოუსხდნენ, ცოტა ხანს ისაუბრეს, ყავა და ნაყინი მიირთვეს და მალე დაიშალნენ.

– რა იყო, არცერთი არ მოგეწონა?

– რატომ? ყველანი კარგები არიან, მაგრამ ხომ გითხარი – ცუდად ვარ!

– კეთილი. მე ყოველ საღამოს აქა ვარ. როცა მოისურვებ შეგიძლია შეგხვდეთ, ეგ მალე გაგივლის და ყველაფერიშარშანდელი თოვლივით დაგავიწყდება!

– მართლა?! არა მგონია.

– სიყვარულს, რომ კაცი მოეკლა, ქვეყანაზე არავინ აღარ დარჩებოდა – აბა კარგად!

სახლში მისულ ომარის ოდესიდან დაბრუნებული ბიძია დახვდა. გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, შოთას მისთვის შეკითხვები არ დაუსვია, ეტყობა ფიქრიამ მას ყველაფერი უამბო.

ის კი უთხრა, რომ მეორე კვირას ისევ ოდესაში მიემგზავრება და თუ გინდა – რაკი აქა ხარ შენც წაგიყვანო.

ომარის ეს ამბავი ძალიან გაუხარდა და გაიფიქრა – რამოდენიმე დღით მაინც დავაღწევ თავს ამ ჩემს გაუსაძლის მდგომარეობასო.

გემით მხოლოდ ერთხელ იმგზავრა, ზამთრის არდადეგებზე – ბათუმიდან ფოთამდე. მაშინ სულ სხვა ვითარება იყო, გული ესე დამძიმებული არ ჰქონდა. ვერასდროს იფიქრებდა, რომ მირანდას ნახვა, მასზე ესე ძლიერ იმოქმედებდა, ეგონა, რომ პირიქით მოხდებოდა – მოინახულებდა მას და დამშვიდდებოდა.

მათ ურთიერთობაში ხომ არაფერი შეცვლილა? კლასელები იყვნენ და ამადვე დარჩნენ. მაგრამ მაშინ ერთმანეთს ყოველდღე ხედავდნენ. მერე მთელი ერთი წელი ერთმანეთი არ უნახავთ და როგორც გაირკვა – ამიერიდანაც ვერ უნდა ნახოს? იმიტომ, რომ მასთან განშორება რაც დრო გადის მით უფრო უჭირს! და გამოსავალს ვერ ხედავს.

არც იმის იმედი აქვს რომ – ხუთი წლის შემდეგ, როცა დამოუკიდებელნი და დიპლომირებულნი იქნებიან – დანარჩენზე მერე ისაუბრებენ!

მოცემული დრო ძალიან დიდია, იმედი კი ძალიან მცირე!

რამ უნდა შეავსოს ეს პერიოდი, როცა ომარისთვის მირანდა სგარეშე გატარებული ყოველი წუთიც კი სატანჯველია?!

კვირა დღეს ომარი და ბიძამისი ოდესაში გაემგზავრნენ.

გემბანზე ასვლის თანავე ომარის უჩვეულო გრძნობა დაეუფლა რომ მას ძალიან უყვარს ზღვა, მისი ჰაერით სუნთქვა, გემზე ყოფნა, თოლიების ჭყივილი და იმის ცქერა თუ როგორ იჭერენ ისინი თევზს და როგორ ელვის სისწრაფით ყლაპავენ მას. მოსწონ ზღვის აქოჩრილ ტალღებიდან ქარის მიერ ასხლეტილი წვეთების მიპკურება – მის სახეზე. მოსწონს მეზღვაურთა ფორმა და ენერგიული მოძრაობები. მისი აზრით ეს ყველაზე საამაყო და ვაჟკაცური პროფესიაა!

შოთამ მას დაათვალიერებინა, ამ გიგანტური გემის ყველა განყოფილება.

ომარი სიხარულს, გაოცებას და სიამაყეს ვერ მალავდა.

ბიძიამ მას ჰკითხა მოგწონს?

– ძალიან! მინდა რომ როცა ინსტიტუტს დავამთავრებ გემზე დავრჩე. ზღვა ძალიან შემიყვარდა.

ვოცნებობ უცხო ქვეყნებში გემით მოგზაურობაზე. ბავშვობაში ჟიულ ვერნის პერსონაჟებით ვიყავი გატაცებული.

– მართლა? მაშ ჩათვალე რომ რაღაც ხუთ წელიწადში შენს ოცნებას ახდენს უწერია!

მერე და როგორ მოგიხდება გემის კაპიტნობა!

– ეგ, მეტისმეტია ბიძია.

– რატომ? მთავარია ცხოვრებაში მიზანი გქონდეს, შრომისუნარიანობით, ნიჭით და სწავლით, მისი მიღწევა რეალურია.

– ღმერთმა ინებოს. ჩემს გემს შენს სახელს დავარქმევ!

– არ შეიძლება – ერთი „შოთა რუსთაველი“ უკვე არის!

ორივენი იცინოდნენ.

XXI

„ზღვაოსნობამ“ ხუთ დღეს გასტანა. როცა ომარი ბათუმში დაბრუნდა, მამიდამ შეამჩნია, რომ იგი ისეთი სევდიანი აღარ იყო – და თვითონაც გამხიარულდა.

მეორე დღეს ომარი და დათო ერთმანეთს შეხვდნენ. ომარიმ მოუყვა მას თავის მოგზაურობის შესახებ.

დათომ უთხრა, რომ ჩვენს გოგოებს ძალიან მოეწონე და სულ შენზე მეკითხებიანო!

– არა დათო, გთხოვ, მხოლოდ ეგ არა! ცოტა დრო კიდევ მომეცი. მერე კი ვნახოთ.

– კეთილი, მე გოგოებს ვეტყვი, რომ შენი იმედი არ ჰქონდეთ, რომ შენ ბერად აღკვეცა გადაწყვიტე.

სხვათა შორის წესით დიდ ლაინერებზე მღვდელი უნდა ჰყავდეთ!

– კარგი, მათ რაც გინდა ის უთხარი. ეხლა კი წავიდეთ, ყავა დავლიოთ.

საღამოს სახლში მისულ ომარის მამიდამ აუწყა, რომ – კვირას შოთას დისშვილის ქორწილში ვართ მიწვეულნიო.

– თქვენ წადით მამიდა. მე, არ მიყვარს ქორწილებში და დიდ

წვეულებებზე ყოფნა. თანაც იქ არავის არ ვიცნობ.

– სამაგიეროდ შენ გიცნობენ და იციან რომ ეხლა ჩემთან ხარ. რომ არ წამოხვიდე მათაც ეწყინებათ და ბიძაშენსაც. მისი დისშვილი ცოლს ირთავს, უცხონი ხომ არ არიან?

– კეთილი. რადგან შენ მასე გინდა, წამოვალ.

– აი ეგრე, ჩემო ბიჭო. მე, შენ ცუდრამეს არ გირჩევ. შენ მარტო დედაშენის შვილი კი არა, ჩემი შვილიც ხარ. ხომ იცი, რომ შენი თავი, მან მე ჩამაბარა, მე კი ძალიან მიყვარხარ.

– მადლობელი ვარ მამიდა. შენ ძალიან მზრუნველი და კეთილი ხარ. მეც ძალიან მიყვარხარ.

ქორწილი მართლაც, რომ დიდებული იყო. ფიქრიამ ომარი ძალიან ახლო ნათესავებს გააცნო და იგი მათ ვაჟიშვილებს ჩააბარა – „აბა, თქვენ იცით – ბიჭი არ მოაწყინოთო“!

მათმაც რა თქმა უნდა იგი პატარძლის დას მოუსვეს გვერდით.

(ომარი მას მიესალმა. ქალიშვილმა უთხრა, რომ მას ჟუჟუნა ჰქვია, მაგრამ ყველანი ჟუჟუს მეძახიან და თქვენც ესე მომმართეთო.

იგი მშვენიერი აღნაგობის, შავთვალა და თმახუჭუჭა მხიარული გოგონაა.

მალე ისე დამეგობრდნენ, რომ თვითონ ლამის თავის ხელით აჭმევდა ომარის ყოველივე გემრიელს და საუკეთესოს.

ომარი თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ გოგონას ჩინებულ „კავალრობას“ უწევდა. ჟუჟუ მას აშკარად თავს ევლებოდა. თავისი სკამი ისე ახლოს მიადგა ომარის სკამს, რომ მათი ფეხები ერთმანეთს ეხებოდნენ.

რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ყველანი გამხიარულდნენ. ჟუჟუ, ომარის ჭიქას ღვინით უვსებდა და თავის სავსე ჭიქას მისას უჭახუნებდა.

– ჟუჟუ, ღვინის სმა გიყვარს?

– ჰო, როცა გვერდით შენნაირი კარგი ბიჭი მიზის!

– დათრობის არ გეშინია?

– არა, მე ხომ უცხო საზოგადოებაში არა ვარ, ჩემი დის ოჯახში ვარ. თუ დავთვრები დავიძინებდ და მორჩა!

– როდისმე დამთვრალხარ?

– არა, მაგრამ დღეს რატომღაც კარგ ხასიათზე ვარ. ომარიმ მისი სიახლოვე იგრძნო, მოერიდა, სკამის გაწევა დააპირა, მაგრამ არ მოხერხდა, ყველანი ისე ახლო–ახლო ისხდნენ ერთმანეთ-

თან. ჟუჟუმ ომარს ფეხზე ხელი დაადო, მას თვალებში შეხედა და თამამად უთხრა.

– არა გცხელა? მოდი ცოტახნით გავიდეთ და გავიაროთ.

– არა, უხერხულია, ვერ ავდგებით. იფიქრებენ, რომ მე გაგიყვანე.

– მერე რა? მასეც რომ იყოს რა მოხდა? დილამდე ესე ერთ ადგილზე ხომ არ უნდა ვისხდეთ.

ჟუჟუმ არც აცია – არც აცხელა და თავისი ფეხი ომარის ფეხებზე გადასდო.

ომარი დაიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იგი ამ გამოწვევის წინააღმდეგი არ იყო, პირიქით!

ასეთი რამ მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა და ძალიანაც სიამოვნებდა, მაგრამ ესეთი ქმედება ბათუმში და ისიც მასპინძლის სხალში,თ ავიანთ ნათესავ გოგონასთან, შეიძლება ნებისმიერ ახალგაზრდას სიცოცხლის ფასადაც კი დაჯდომოდა!

ჟუჟუ მას გამომწვევად უყურებდა და თავის ფუმფულა ფეხის, ომარის მუხლებიდან აღებას არც კი ცდილობდა.

ომარი შეცბუნებული იყო – გადაწყვიტა, რომ თუ კიდევ ალაპარაკდება ჟუჟუ გარეთ გასეირნებაზე – არავითარ შემთხვევაში უარს არ ეტყვის.

ასეც მოხდა. ისინი ეზოში გავიდნენ, სადაც მათ გარდა კიდევ მრავლად იყვნენ – ვისაც მათთავით „ცხელოდათ“.

ჟუჟუმ იგი ქუჩისკენ წაიყვანა.

– რა მშვენიერი ღამეა, იქ კი კინაღამ სული შემეხუთა. წამოდი ერთი კარგი ადგილი ვიცი, იქ გრილა და იმ მადლიან მეზობელს თავის ჭიშკართან ძალიან კარგი და განიერი სკამიც გაუკეთებია. დღისით დაღლილი მგზავრი ჩამოჯდება და დალოცავს, ღამე კი შეყვარებულები დალოცავენ.

ჟუჟუმ ომარის წელზე ხელი მოხვია და ნაქებ სკამისაკენ წაიყვანა. დასხდნენ ომარიგაოგნებული იყო, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ამისათვისაც გამოუგზავნა მას განგებამ ჟუჟუ, რომელმაც ყველაფერი კარგად იცოდა და ამ ცოდნას ისიც აზიარა.

ჟუჟუს ცხელმა პუტკუნა ტუჩებმა და მისმა გაბედულმა მოძრაობამ ომარი ჭკუიდან გადაიყვანა. იგი რამოდენიმე წუთით ამ ქვეყნიდან – ედემის ბაღში, იმ ცოდვის წალკოტში შეიტყუილა და აბობოქრებული ვნების მორევში, თავდავიწყებით ჩასძირა, სა-

დაც იგი ნამდვილ მამაკაცად აქცია.

დაბნეულ ომარის ჟუჟუ თან თავდავიწყებით კოცნიდა და თანაც ყურში ჩასჩურჩულებდა:

– ნახე ძვირფასო, სულაც არ არის ძნელი მოგეწონა?!

– ჰო, ძალიან–ძალიან მომეწონა! მოდი დილამდე აქ დავრჩეთ!

– არა, აქ რომ დიდხანს დავრჩეთ ამას ჩემი ძმა შეამჩნევს და მეშინია, რომ ეს ამბავი ჩემთვის ცუდად არ დამთავრდეს.

მან მე უკვე გამაფრთხილა, რომ ცუდად აღარ მოვიქცე, მაგრამ რა ვქნა თავს ვერ ვიკავებ შევპირდი რომ ესე აღარ მოვიქცეოდი, მაგრამ შენ ძალიან მომეწონე. იმედია ამის შესახებ არავის არაფერს არ ეტყვი.

– რას ამბობ ჟუჟუ? არავის არაფერს ვეტყვი, მაგრამ მეც ძალიან მომეწონე და გთხოვ ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს, მე ძალიან მომეწონა ისე, როგორც შენ მოიქეცი, კიდევ როდის გნახავ?

– კარგი, როცა დამირეკავ, იმწუთში შენთან გავჩდები, ოღონდ იმ პირობით, რომ საღამოს არ დამირეკავ, აკრძალული მაქვს ამ დროს სახლიდან გამოსვლა.

– მართალს ამბობ? რომ დაგირეკო მოხვალ?

– აუცილებლად, ძალიან მომეწონე! არ შეგეშინდეს მე შენ პრობლემებს არ შეგიქმნი.

– კეთილი, მაშ დავბრუნდეთ.

– არა, ჯერ არა. კიდევ ერთხელ მოგეფერო და მერე. შენ ჯერ გამოუცდელი ხარ. მე ყველაფერს გასწავლი და მალე მთელი ბათუმის გოგოების ზღაპრულ ულაყად გაქცევ, შენ ამის მონაცემებიგაქვს.

– მართლა? მე არავინ არ მინდა შენს მეტი, ძალიან მომწონხარ.

– ჯერ სადა ხარ, ისეთებს გასწავლი, რომ ჟუჟუ მასწავლებელი მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე გემახსოვრება!

– ჰო? მეც მასე მგონია!

– მე შენ არაფრით გავალდებულებ, მხოლოდშემომფიცე, რომ არავის არაფერს მოუყვები.

– აბა რას ამბობ ჟუჟუ? ეგ რამ გაფიქრებინა?

– იმან, რომ ბიჭებს პირზე არაფერი დაგადგებათ.

– არა, ჩემო სიხარულო ჩემი იმედი გქონდეს.

– მადლობელი ვარ. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ, ხომ გაიგე?

– ხომ გითხარი, როგორც შენ გეტყვი ისეც მოვიქცევი.

– კიდევ ის, რომ ჩემთან არასოდეს დარეკო. მე თვითონ დაგირეკავ, ვიცი როდის, სად და რა დროს, შევთანხმდით?

– დიახ, შევთანხმდით.

როცა დაბრუნდნენ, ქორწილმა უკვე პიკს მიაღწია ომარის, მამიდამ ხელით ანიშნა სად იყავიო? მან კი მხოლოდ გაუღიმა მას.

მის ღიმილს მამიდამაც იგივეთი უპასუხა და თავი გადააქნია.

დილით, როცა სამსახურში შოთ აგაისტუმრეს, ფიქრი ამ ომარის უთხრა.

– ფრთხილად იყავი, შენ მასეთ გოგოებს არ იცნობ, თავს ანგელოზებად მოგაჩვენებენ, ჭკუას აგიმღვრევენ და მერე კი, კოდექსებით დაგიწყებენ ლაპარაკს!

– არა მამიდა, მე და ჟუჟუ მხოლოდ დავმეგობრდით.

ძალიან კარგი გოგოა, კეთილი დაგულღიაა.

– დიახ, შევამჩნიე. კეთილი, რომ არ ყოფილიყო იმდენხანს შენ სუფთა ჰაერზე არ გასეირნებდა!

ორივენი იცინოდნენ.

XXII

ომარის გამგზავრების შემდეგ მირანდა ადგილს ვერ პოულობდა და ეს დეიდებმაც შეამჩნიეს.

ესმამ სთხოვა დოდოს, რომ გაეგო რატომ გაუჩინარდა ომარი?

დოდომ შესაშური ოპერატიულობით დაადგინა, რომ ომარის აქ საკმაო რაოდენობით და საჭირო წიგნები არ აღმოაჩნდა სამეცადინოდ და გაემგზავრა, რათა ბათუმში იმეცადინოს და წარმატებით შეხვდეს ახალ სასწავლო წელს!

ეს რომ მირანდამ გაიგო დეიდას უთხრა:

– როცა მოდიოდა არ იცოდა აქ რა ბიბლიოთეკის პატრონიც იყო? მერე გაახსენდა მეცადინეობა?!!

ესმა ძალიან გთხოვ, ამ თემაზე აღარ ვილაპარაკოთ!

და იმ ბატისტვინა დოდოს ნუღარაფერს ავალებ. ეგ საქმეს უფრო გაართულებს თავისი სისულელეებით.

– მირანდა, ომარის წასვლით რამე გართულდა?

– არა პირიქით, არც კი მინდოდა, რომ ხშირად მოსულიყო. ხომ იცი აქაურების ამბავი, ყველაფერს კუდს გამოაბამენ.

მაგრამ ესე უეცრად რომ წავიდა, არც ეგ მომეწონა.

– არა უშავს, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თავის საქციელს ვერ აკონტროლებს.ყ ველაფერს თავისი დრო აქვს.

– მართალია, ხვალიდან – ჩვენს პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ბაღის მოვლას ვიწყებთ. ვერ ვუყურებ რა დღეშია ჩვენი ყვავილები.

– ცირა, შენ რას კითხულობ? ეგრე გაფაციცებით?

– ეს ჩემი ახალგაზრდობის დღიურია. ნეტავი იმ დროს, ამას რომ ვწერდი.

ცირას აღარ უნდოდა, რომ ისედაც გულდამძიმებულ მირანდა სიგი წაეკითხა. მან რვეული გვერდზე გადადო, მასთან ყვავილების შესახებ დაიწყო ლაპარაკი და ბევრი საინტერესო ისტორიაც მოუყვა მათ შესახებ.

მირანდა და ცირა სერიოზულად შეუდგნენ თავიანთი საყვარელი ბაღის გალამაზებას, ესმა კი, ძველებურად ოჯახს უძღვებოდა.

მირანდას თითქოს გული ორად გაეყო – ნანობდა ხონში რომ ჩამოვიდა. არადა როგორ მოუხაროდა აქეთ. ეხლა კი გული სტკივა – შიო კარგად არის, ომარი კი ძალიან ეცოდება. „რა ყინულივით ცივი ხელები ჰქონდა, ნეტავ რატომ წავიდა?“

XXIII

ორმა თვემ ძალიან მალე გაირბინა და ისევ თბილისში გამგზავრებაზე ალაპარაკდნენ.

ეს სირთულეც გადალახეს და 25 – აგვისტოს უკვე თბილისში იყვნენ.

მირანდამ შიოს დაურეკა, იზამ უპასუხა. გაუხარდათ ერთმანეთის ხმის გაგონება. ურთიერთ მოკითხვის შემდეგ მირანდამ შიოს ამბავი იკითხა. იზამ უთხრა რომ: აქ ძალიან ცხელა და ჯერ არ გელოდით. შიო თბილისში იყო. გიორგის გულმა შემოუტია და ოცი დღეა რაც ქობულეთში წავიდნენ – მარტო ხომ ვერ გავუშვებდი. ალბათ ისინიც ამ ორ–სამ დღეში ჩამოვლენო.

მართალია მირანდას არ ესიამოვნა ეს ამბავი, მაგარმ მაინც აწყობდა – მას და ცირას ორით ვის მიტოვებული ბინა წესრიგში ხომ უნდა მოეყვანათ.

30– აგვისტოს შიო და გიორგი ჩამოვიდნენ. შიომ მირანდას დაურეკა, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ საღამოსთვის შეხვედრა დაგეგმეს.

მირანდამ მას თავიანთთან მისვლა შესთავაზა – უფრო თავისუფლად ვიქნებითო. შიოც მას დაეთანხმა.

საღამოს მათ შიო ესტუმრა. ცირას და მირანდას იზას მიერ მომზადებული ნამცხვარი მიართვა.

მასპინძლებიც მას სიხარულით შეეგებნენ. მას ხილი და გამაგრილებელი სასმელები მიართვეს.

ცირა თავის საქმეებით იყო დაკავებული, ისიც ხომ პირველ სექტემბერს სკოლაში უნდა ყოფილიყო.

შიო მირანდას ზღვაზე დასვენების ამბავს უყვებოდა და ისიც უთხრა, რომ მამაჩემთან ამიერიდან არასოდეს წავალ დასასვენებლად – პატარა ბავშვივით დამკანკალებდა. ავად რომ არ ყოფილიყო იქიდან გამოვექცეოდიო.

მირანდა იცინოდა, ცირა ბედნიერი იყო მისი კისკისი რომ ესმოდა.

ცოტა ხანს კიდევ საუბრობდნენ. მერე შიო მათ გამოემშვიდობა, უთხრა რომ ხვალ ისევ დაურეკავს.

მარტო დარჩენილი მირანდა დივანზე ჩამოჯდა. რატომღაც გული დამძიმებული ჰქონდა. „შიო მთელი დღეები ჩემთან იქნება, ომარის კი ამის საშუალება არა აქვს. ჩვენთან რომ იყო და მელაპარაკებოდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა“.

XXIV

30–აგვისტოს აკადემიის ყველა სტუდენტი საერთო საცხოვრებელში უნდა ყოფილიყო. მათ შესახვედრად ყველაფერი მზადყოფნაში იყო და საზეიმოდ გამოიყურებოდა.

ომარიც თავის ოთხაში შევიდა, ჩანთები დააბინავა და საწერ მაგიდასთან დაჯდა.

მას, სურათის ჩარჩოდან მთელი თავისი კლასელები უმზერდნენ. ომარიმ მირანდას შეხედა, თავი უხერხულად იგრძნო. თვალები დახარა და იქაურობას გაეცალა.

ჩამოჯდა, თვალები ცრემლით აევსო, წამოდგა სურათთან მივიდა, იგი ხელში აიღო და უთხრა – „გთხოვ მაპატიო, ჩემზე ცუდი არ იფიქრო, მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ! ეს სულ სხვა რამეა – როცა გაიზრდები გაიგებ!

ეს, ის მაშველი თოკია, რომელმაც დახრჩობას გადამარჩინა. მე ძალა და დრო მჭირდება, რომ ამ ჩემს გაუსაძლის მდგომარეობას, რასაც უშენობა ქვია, რომ გავუძლო.

მიყვარხარ მირანდა, რაც დრო გადის უფრო და უფრო ძლიერად მიყვარდები. არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომ მე

შენი სიყვარული გამინელოს!

გჯეროდეს ჩემი, რომ ჩემს ბოლო ამოსუნთქვამდე მეყვარები – ჩემო ლამაზო, ჩემო ბავშვობის მეგობარო, ჩემო წარსულო, აწმყოვ და მომავალო!“

ომარიმ ცრემლები შეიმშრალა, სურათს აკოცა და ისევ ადგილზე დადო.

თვითონ მაგიდას მიუჯდა, მირანდასთვის წერილის დასაწერად მოემზადა. ვერადავერ მოახერხა აზრების დალაგება. რამოდენიმე წერილი პირველ სტრიქონებიდანვე დახია – არ ვარგა, არ მოეწონება. ერთი და იგივე სიტყვებია, დამცინებს!

იჯდა, ფიქრობდა, საწერ კალამს ხელში უაზროდ ატრიალებდა. ფიქრებმა იგი პირველ კლასამდე მიიყვანა.

ბევრი რამ გაახსენდა, გაეცინა – ერთხელ როცა სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, მირანდამ გზათ მწყობრად მიმავალ ბატებს გვერდით ჩაუარა. ერთ–ერთმა მათგანმა – ალბათ მამალი იყო – მირანდას წაუსისინა და საკბენად გამოუდგა.

მირანდა შეშინებული გარბოდა და ისე კიოდა, თითქოს მას ბატი კი არა დინოზავრი გამოკიდებოდეს.

ყველანი იცინოდნენ – რა ბედნიერი დრო იყო!!

როცა სკოლიდან მოსწავლეები ჩაის საკრეფად პლანტაციაში მიჰყავდათ, კლასელები პირველ რიგში მირანდას გოდორს ავსებდნენ – შენ ქალაქელიხარ და მზეზე გაშავდებიო.

იგი პატარაობიდანვე ყველას უყვარდა, წყნარი, ლამაზი და კეთილი გოგონა. როცა დაიზარდნენ, ამას ისიც დაემატა, რომ გაიგეს – ობოლიაო. იგი ყველას ებრალებოდა მას უფრო გულთბილად ეპყრობოდნენ – რამაც მირანდას თვალებს, სევდიანი ელფერი შემატა.

იგი როგორ კარგ ხასიათზეც არ უნდა ყოფილიყო, თითქოს ყოველთვის დათრგუნული იყო და თვალები სევდიანი ჰქონდა – მიუხედავად იმისა, რომ იგი დეიდების საფიცარი და მათი ამომავალი მზე იყო. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მირანდას თავი ობლად და დაჩაგრულად არ ეგრძნო.

ომარი ფიქრებიდან გამოერკვა და ისევ წერილის წერას შეუდგა – კარგი გამოვა თუ ცუდი მაინც მივწერ. იგი უკვე თბილისშია და ჩემგან წერილს ელის, მითუმეტეს იმის შემდეგ როგორ უტაქტოდაც მე მოგვიქეცი.

რაც უნდა მომსვლოდა, პირადად მაინც უნდა დავმშვიდობე-

ბოდი.

წერილი დაწერა. გადაიკითხა, გადაწყვიტა რომ გაგზავნის.

ინსტიტუტის ეზოში დიდი გნიასი იდგა. ყველანი მხიარულები, ლამაზები და გალაღებულები ერთმანეთს ხვდებოდნენ. მოკითხვებით და ქათინაურებით ნასიამოვნები. ბოლოს და ბოლოს თავ–თავიანთ ჯგუფებში შევიდნენ.

მირანდა უკვე თავის ადგილზე იჯდა. შიო ჯერ არ ჩანდა. ეკამ მირანდას სთხოვა, რომ დღეს ლექციების შემდეგ ჩვენთან წავიდეთ, ყველას ენატრები და ერთად ვისადილოთო.

– დიდი მადლობა. ცირას დავურეკავ და გავაფრთხილებ.

– მირანდა, ბესიკი შენზე შეყვარებულია და ამი სშესახებ ჩვენმა მშობლებმაც იციან.

მათმა სინანული გამოთქვეს იმის შესახებ, რომ ასე ვთქვათ შენ უკვე „დაკავებული“ ხარ!

მაგრამ ბესიკი იმედს არ კარგავს – შეყვარებულები კი არა ცოლ–ქმარი შორდებიან ერთმანეთს და სანამ ეგენი ინსტიტუტს დაამთავრებენ, შეიძლება ცალკ–ცალკე, თავ–თავიანთი ოჯახებიც კი ჰყავდეთო.

მირანდა იცინოდა.

– ეკა, ბესიკი ძალიან კარგი ბიჭია, შენი მშობლები ხომ ენით აუწერელნი არიან, მაგრამ მე იმისი თქმა არ შემიძლია რა იქნება ხვალ. დღეს კი, მე შიოს გარდა ვერ წარმომიდგენია ჩემს გვერდით, რომ სხვა იყოს.

– ეგ, არაფერს არ ცვლის. დღეს ერთად ვსადილობთ?

– რა თქმა უნდა. მე სუყველანი ძალიან მიყვარხართ!

ლექცია დაიწყო. შიო არ ჩანდა. მირანდა ნერვიულობდა – ნეტავ რა მოხდა? ხომ არაფერი შეემთხვა?

ლექცია დამთავრდა. მირანდა სამდივნოში შევიდა. უნდოდა მათთან სახლში დაერეკა და ვითარებაში გარკვეულიყო. ვერ დაუკაშვირდა. გამოვიდა.

ამ დროს დერეფანში შემოსული შიო დაინახა.

– რა მოხდა?

– მამაჩემს გულის შეტევა ჰქონდა. სასწრაფო გამოვიძახეთ. ეხლა უკეთ არის.

– მადლობა ღმერთს. მირანდა ლექციების შემდეგ შენი კონსპექტი მათხოვე, გადავიწერ და ხვალ მოგიტან. არ მინდა რამე გამოვტოვო.

– წაიღე. მე დღეს მაინც არ წავიკითხავ. ეკასთან ვარ დაპატიჟებული სადილად – თავისი მშობლების მოწვევით,.

– რა თქმა უნდა ამის ინიციატორი ბესიკი იქნება!

– შეიძლება. შენ რა, ეჭვიანობ?

– არა. მე შენი იმედი მაქვს. შენ ძალიან მართალი გოგო ხარ და თუ ჩემს მიმართ აზრს შეიცვლი, ვიცი არ დამიმალავ. სწორია?

– რა თქმა უნდა. მაგრამ ეცადე, რომ ეგ არ მოხდეს!

– ვეცდები, მაგრამ თუ რამეს შემამჩნევ არ დამიმალო შემისწორე და სწორ გზაზე დამაყენე. მპირდები?

– რა თქმა უნდა – გპირდები?

ორივენი ერთად შევიდნენ ჯგუფში და როგორც ყოველთვის, ერთმანეთის გვერდით დასხდნენ.

ლექციების შემდეგ მირანდამ შიოს უთხრა:

– არსად შეყოვნდე, პირდაპირ სახლში წადი. მამაშენს გვერდიდან არ მოშორდე. შენ მომავალი ექიმი ხარ და უნდა იცოდე, რომ – ავადმყოფს პირველ რიგში იმედი სჭირდება.

– გავიგე „დოქტორო“ კარგ დროსტარებას გისურვებთ! სახლში, რომ მიგაცილებს შენი „რომეო“ – დამირეკე.

– აუცილებლად დაგირეკავ, მაგრამ იცოდე, რომ ჩემი რომეო მხოლოდშენა ხარ!

ეკა და მირანდა ერთად წავიდნენ.

მირანდას სტუმრობა ყველას გაუხარდა. მათმა ერთმანეთი მოიკითხეს. ისაუბრეს და ეკას დედამ ისინი სუფრასთან მიიწვია.

სადილობისას ბესიკმა მირანდას უსაყვედურა:

– ამდენიხანია ჩამოხვედი და არც კი დაგვირეკე.

მირანდა ყველაფერ ღონეს ხმარობდა, რომ ბესიკი მეგობრობის ჩარჩოდან არ გამოსულიყო. არ მიეცა იმის საშუალება, რომ მას თავისი გრძნობები მისთვის გაემხილა. ბესიკი კარგი ბიჭია და არ მინდა გული ვატკინო. არც ის მინდა, რომ ფრთები შეისხას და მერე მასთან სერიოზული ლაპარაკი დამჭირდეს. უნდა ვეცადო, რომ თვითონ მოთოკოს თავისი გრძნობები.

ეკას მშობლებს აშკარად ეტყობოდათ, რომ მირანდა ძალიან მოსწონთ.ბესიკი ხომ მირანდას თვალს ვერ აშორებდა და მას სთხოვა, რომ მამაჩემი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს შენს მუსიკალურ ნიჭს და გთხოვთ რაიმე დაუკრა – ღდეს მას ზეიმი მოუწყვეო.

– ნიკო ბიძია, თქვენ მითხარით რისი მოსმენა გსურთ და მე ყო-

ველივე ძალას ვიხმარ იმისათვის, რომ თქვენ გასიამოვნოთ.

– შენ რაც გინდა ის დაუკარი, მე კი, სიამოვნებით მოგისმენ.

– კეთილი, მაშინ მე ჩემს საყვარელ სიმღერას დავუკრავ.

მირანდა როიალთან დაჯდა თითებით კლავიშებს თითქოს მოეფერაო ისე შეეხო და მთელი მონდომებით დაუკრა – „ქარი გიმღერებს ნანასა“.

ამ მელოდიამ ბესიკი თითქოს ღრმა ძილიდან გამოაფხიზლა – ფეხზე წამოიჭრა და აივანზე სიგარეტის მოსაწევად გავიდა. სიგარეტს მოუკიდა და სანამ მირანდამ დაკვრა არ დაასრულა ოთახში არ შემოსულა.

ნიკო მირანდას გადაეხვია, იგი გადაკოცნა და უთხრა:

– მირანდა შენ მარტო როიალზე კი არ უკრავ, შენ მსმენელის გულის სიმებსაც სწვდები და მთავარი ეს არისო.

– ვცდილობ ძია ნიკო და მიხარია თუ კი ამას ვახერხებ.

ოთახში შემოსულმა ბესიკმა მირანდას შეცვლილი ხმით უთხრა:

– მირანდა, შენ მგონი მხოლოდეგ მელოდია კი არა, ისიც გიყვარს ვინც მაგ სიმღერას გიტარაზე უკრავს და მღერის! ხომ არ ვცდები?!

– არა ბესიკ, სრული სიმართლეა! შენ ალბათ ტელეპატიის დიდი უნარი გაქვს.

ამის გამგონე ბესიკს ხასიათი გაუფუჭდა. იგი არ მოელოდა მირანდასგან ასე საჯაროდ ამის აღიარებას. მირანდა კი კარგ ხასიათზე იყო. მამაც ასიამოვნა და შვილსაც თავისი ადგილი მიუჩინა, სრულიად ბუნებრივად და მისთვის უმტკივნეულოდ.

მირანდამ, თითქოს არაფერი მომხდარიყო ისე უხმო ბესიკს და უთხრა:

– აბა, ეხლა შენ მითხარი რომელი მელოდია გსურს რომ დავუკრა?

– ჩემს დღევანდელ განწყობას მხოლოდ „თაო ჩემო“ შეეფერება – შეგიძლია დაუკრა?

– რას ამბობ? ეგ სიმღერა თურმე ბაბუაჩემს უყვარდა. ჩვენ, ხონში პატეფონი გვქონდა „თაო ჩემოს“ ვანო სარაჯიშვილის შესრულებით იგი ხშირად უსმენდა ხოლმე.

ბებია კი საყვედურობდა – გეყო ამ პანაშვიდის მოსმენა, ამ ფირფიტას მეორე გვერდიც ხომ აქვსო.

– მოდი მე შენთვის უფრო მხიარულ მუსიკას დავუკრავ და ყვე-

ლამ ერთად ვიმღეროთ.

მათ ეკას დედაც შემოუერთდა და მართლაც რომ მშვენიერი საღამო გაატარეს.

როცა მირანდას ბესიკი სახლში აცილებდა მან მადლობა მოუხადა მათ მისი მოწვევის და მშვენიერი საღამოსათვის. მან კი უპასუხა:

– შენთვის შეიძლება მშვენიერიც იყო, მაგრამ ჩემთვის კი პირიქით. შენ მე – ღდეს ჟანგბადის მომწოდებელი ონკანიგადამიკეტე – ავადმყოფს, რომელსაც უიმისოდ სიცოცხლე არ უწერია!

მირანდამ მას სერიოზულად შეხედა და უხთრა:

– მე ძალიან მომწონს შენი ჯანმრთელი იუმორი, შენ იგი გიხდება და კარგადაც გამოგდის. მაგრამ უნდა გითხრა, რომ ძალიან უნიჭო ტრაგიკოსი ხარ!

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენ სულაც არა ხარ ავადმყოფი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ფსიქიატრის კონსულტაცია აუცილებლად გჭირდება.

ჩვენს ქვეყანაში ლამაზი და ჭკვიანი გოგონების დეფიციტი ნამდვილად არ აღინიშნება. შენ კი, შენს ასაკში და შენი მდგომარეობის პატრონი, რომელ „ჟანგბადის“ უკმარისობაზე ლაპარაკობ?

ეგ აღარ გაიმეორო! მე კი მგონია, რომ შენ კიდევ ბავშვური ჟინიანობა გაქვს გამოყოლილი – სწორედ ის სათამაშო გინდა რაც სხვასა აქვს! ხომ ასეა?!

ბესიკი იღიმებოდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მირანდამ მას ხელით ანიშნა, რომ აღარაფერი ეთქვა და თვითონ უთხრა მას:

– დაივიწყე. არც შენ გითქვამს არაფერი და არც მე გამიგონია. შევთანხმდით?

– კარგი, მასე იყოს. შენ შეგიძლია დაივიწყო, მეც დავივიწყებ, რომ ამ საკითხს შევეხე, მაგრამ ამ გრძნობას, ჩემს გულიდან ვერავინ და ვერაფერი ამოშლის!

– კეთილი. სათქმელი ითქვა, ჩვენ კი ისევ კეთილ მეგობრებად დავრჩით – ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, სხვა რა გზა მაქვს?

დიდი მადლობა გამოცილებისათვის და ღამე მშვიდობისა.

ბესიკი ნანობდა, რომ ეკას არ დაუჯერა და ამ თემაზე მირანდასთან ალაპარაკდა. მიუხედავად იმისა, რომ მირანდამ მას ყველას გასაგონად განუცხადა, რომ შიო უყვარს.

ბესიკი იმით მაინც იყო კმაყოფილი, რომ მირანდამ მას ყველა გზა მოუჭრა და მხოლოდ კეთილ მეგობრობა შესთავაზა – მას ესეც ანუგეშებდა.

სახლში მისულ მირანდას ცირამ ჰკითხა – კმაყოფილია იგი დღევანდელი სტუმრობით?

– რა თქმა უნდა, ძალიან ინტელიგენტური ოჯახია. ნიკო ძია სახლში დარჩა, რომ ერთად გვესადილა და კმაყოფილიც იყო ამით.

ძალიან მშვიდ და ნამდვილ ოჯახურ ატმოსფეროში ვისადილეთ. ვიმღერეთ, ვისაუბრეთ და ბესკმა მომაცილა.

– ბესიკი როგორ მოგწონს?

– იგი ძალიან თავაზიანია, ნამდვილი თავისი ოჯახის შვილია. არც შეიძლებოდა, რომ მასეთ მშობლებს სხვანაირიშვილები ჰყოლოდათ.

– უცნაურია, რატომ მიგიწვიეს სადილად ყოველგვარი მიზეზის გარეშე? მითუმეტეს, რომ ნიკო ისეთი დაკავებული პიროვნებაა და ისიც სახლში დარჩა. აქ რაღაც ისე არ არის!

შენ ვერაფერი შეამჩნიე? არც არაფერი უთქვამთ შენთვის?

– რას ამბობ ცირა? რა უნდა ეთქვათ, ეკამ ხომ იცის, რომ მე და შიო ვმეგობრობთ. თუ რაიმე ჩემს ირგვლივ აინტერესებთ, არ შეიძლება, რომ ნათელამ, ნიკომ და ბესიკმა არ იცოდნენ სიამართლე.

რა აზრი ქონდა ჩემს იქ მიწვევას? ახალი რა უნდა გაეგოთ?

– მირანდა, შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ყველაფერს ვერ მიხვდები რა აქვთ უფროსებს გუნებაში. თანდათანობით ცხოვრება ყველაფერს გასწავლის.

მე კი ვფიქრობ, რომ დღეს მათმა პირადად შენგან გაიგეს შენი და შიოს ურთიერთობის შესახებ – შენი აზრი! მეთანხები?

მირანდა დაფიქრდა.

– კი მაგრამ, ამის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს.

– მაშინ მომავალ სადგილზე ან ვახშამზე გკითხავენ.

– რაში სჭირდებათ?

– ალბათ სარძლოდ დაგადგეს თვალი. ეკამ შეიძლება კი უთხრა ყველაფერი, მაგრამ მათ ამის გაგება პირადად შენგან აინტერესებდათ – გამიგე?

– მერე რატომ არ მკითხეს?

– იმიტომ, რომ როგორც შენ აღნიშნე – ისინი ინტელიგენტები

არიან!

– გასაგებია!

ცირა ვახშმის სამზადისს შეუდგა, მირანდა თავის ოთახში გავიდა, დივანზე ჩამოჯდა და გაიცინა/ ინტელიგენტები კი არა, ნამდვილი დეტექტივები არიან! როგორ გამაბრიყვეს!... ბესიკის შეკითხვაზე – „მგონი შენ ეგ სიმღერა კი არა, ვინც მაგ სიმღერას მღერის ისიც გიყვარსო, რომ მკითხა – როგორმა გახარებულმა ვუპასუხე – მართალია–მეთქი!

მაგრამ სულაც არ ვნანობ. ძალიანსაც კარგი! იცოდნენ და ყველამ თავის თავს მიხედოს.

ეტყობა – ბესიკმა მშობლებს გული გაუწყალა „დავპატიჟოთ და აქ მყუდრო ვითარებაში დაველაპარაკებიო“.

ჰოდა დამელაპარაკა და პასუხიც მიიღო! რა საჭიროა მკითხაობა და დროის გაყვანა? სიმართლეს არაფერი სჯობია!

მირანდამ შიოს დაურეკა და აუწყა, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა.

– სახლში იმან მოგაცილა?

– აბა ნიკო ხომ არ მომაცილებდა?

– ხომ არაფერი წამოიწყო?

– არა, დამშვიდდი, მაგდაგვარი არაფერი ხდება.

– ძალიან კარგი. მე ყველაფერი გადავიწერე. დილით დროზე გამოდი.

ერთმანეთს ღამე ნებისა უსურვეს.

XXVI

დღეები სწრაფად მიფრინავდნენ. ყველაფერი თავის დინებით მიდიოდა, რაც მოსახდენი იყო, მხოლოდ ის ხდებოდა.

იანვრის სესიები ახლოვდებოდა და მისი ციებ–ცხელება ყველა სტუდენტს აფიქრებდა.

შიო და მირანდა მთელი სერიოზულობით მეცადინეობდნენ. ხან ერთად ხან კი – ცალ–ცალკე.

მუსიკალურ სკოლებსაც არდადეგები ჰქონდათ და ცირაც სახლში იყო. ხელს უწყობდა მათ, რათა მეცადინეობის გარდა დრო არაფერზე დაეკარგათ.

ზამთრის სესიები ორივემ ნორმალურად ჩააბარეს და გადაწყვიტეს, რომ ეს ამბავი აღენიშნათ.

შიომ მირანდას შესთავაზა – თავიანთ სახლში ვახშმის მოწყობა

– ეს ჩემი მშობლების სურვილიაო. მირანდამ მას მადლობა მოუხადა და რა თქმა უნდა თანხმობა განუცხადა.

შაბათ დღეს შიო თვითონ მივიდა მირანდას წამოსაყვანად და ცირას თავისი მშობლების მოკითხვა და დიდი სურვილი გადასცა, მათთან ერთად მისი ვახშამზე მიწვევისა.

ცირამ მას მადლობა მოუხადა – სხვა დროს იყოსო და მათ ხაზგასმით უთხრა – არ დაიგვიანოთ, დროზე მოდითო.

იზას მშვენიერი სუფრა გაეწყო. მირანდას ძალიან ალერსიანად შეხვდა და თვითონ და გიორგიც მთელი საღამო მირანდას განსაკუთრებულად თბილად ესაუბრებოდნენ.

არანაირ კითხვებს არ უსვამდნენ. ის, კი უთხრეს, რომ შიოს ძალიან უყვარხარ და ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით თუ ეს ამბავი თქვენი შეუღლებით დასრულდებაო.

მირანდაც მათდამი ძალიან კეთილად იყო განყწობილი და მანაც უთხრა, რომ ღმერთმა ინებოს და ხელი არაფერმა შეგვიშალოს და როცა ინსტიტუტს დავამთავრებთ ალბათ მასეც იქნებაო.

მშვენიერი საღამო იყო. ყველანი კმაყოფილები იყვნენ. მირანდას ძალიან მოეწონა შიოს მშობლები და იმაშიც დარწმუნდა, რომ მათაც იგივე გრძნობა დაებადათ მის მიმართ.

როცა შიომ მირანდა სახლში მიაცილა, ცირას დიდი მოკითხვა გადასცა თავის მშობლების მხრიდან და უთხრა, რომ მათ დიდი სურვილი აქვთ თქვენი გაცნობის.

ისინი წინასწარ გთხოვენ, რომ 12–მარტს ჩემი დაბადების დღეა და მირანდასთან ერთად თქვენც მობრძანდეთო.

ცირას ესიამოვნა ეს მიწვევა და რაც მთავარია, მისდამი გამოჩენილი ყურადღება. თვითონაც მოწვევისათვის დიდი მადლობა და მოკითხვა დააბარა თავის მშობლებთან.

მირანდამ ცირას დაწვრილებით უამბო ყველაფერი. ორივენი ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ.

დაბადების დღეზე მოწვეულ სტუმრების შესახებ, მირანდას თვითონ შიომ აუხსნა: იქნებიან მხოლოდ ახლო ნათესავები, მეორე დღეს კი, სკოლის და ინსტიტუტის მეგობრები, იგი წელს 22 წლის ხდება.

მირანდას ჯგუფელების ხსენება არ ესიამოვნა, ხომ შეიძლება რომ „სამეულიც“ მოვიდეს? რაშიც იგი თითქმის დარწმუნებული იყო.

შიომ ეს შეამჩნია და უთხრა, რომ იქ ყველანი შენთვის სასურველნი იქნებიან, ვინც შენ არ ესიამოვნებს ისინი ვერც მოვლენ და თუ მოვლენ, შენ ეს არ უნდა გაღელვებდეს. პირიქით, შენ ყველაფერში გამარჯვებული ხარ!

არა მგონია, რომ ეს მათ ჯერაც არ შეეგნოთ.

– მეც სწორედ ეგ არ მომწონს, შეიძლება, რომ კიდევ ერთხელ სცადონ ჩემს წინააღმდეგ გამოლაშქრება. მითუმეტეს, რომ მათ „პუბლიკის“ წინაშე თამაში უყვართ.

– იქ უცხონი არ იქნებიან, მადლობა ღმერთს ამ ორი წლის მანძილზე ყველამ გაიგო ვინ–ვინ არის.

– მე სულაც არ ვღელავ, მხოლოდ ის არის, რომ არ მსიამოვნებს შურიანებთან ერთი ჰაერით სუნთქვა. მაგრამ შენ მაგაზე არ იფიქრო, მე როგორმე მოვიგერიებ მაგათ დარტყმებს – თუ კი ამას შეეცდებიან. ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა – და შენ ეს მათ უკვე აგემე, არამგონია კიდევ რამე გაბედონ.

წინა დღეს იზა ცირას ტელეფონით ესაუბრა და შიოს დაბადების დღეზე იგი ოფიციალურად მიიწვია, მირანდასთან ერთად.

არც ის დაუმალა, რომ მას და მის მეუღლეს ძალიან მოსწონდათ მირანდა და თავიანთი შვილის არჩევანი. ჩვენ კი, მის გამზრდელ დეიდასთან დაახლოვება აუცილებლად მივიჩნიეთო.

მართალია დრო და ბედისწერა ყველაფერს გადაწყვეტს, მაგრამ თქვენი გაცნობა და თქვენთან დაახლოება აუცილებლად მიგვაჩნია – რა თქმა უნდა თუ ამას თქვენც ისურვებთო.

ცირამ სიამოვნებით მიიღო მათი მოწვევა, მადლობა მოუხადა და დაპირდა, რომ უეჭველად ეწვევა, რათა მასაც სურს იმ პიროვნებების გაცნობა, რომლებმაც ასეთი კარგი ახალგაზრდა აღზარდეს და მირანდას ყველანი ძალიან უყვარხართო.

საუბრის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ინსტიტუტის შემდეგ შიომ მირანდა სახლში მიიყვანა და თვითონაც მაღლა ავიდა, თავის დაბადების დღეზე ცირას ოფიციალურად მისაწვევად.

ცირა შინ არ იყო. მაგიდაზე წერილი დახვდათ:

„მირანდა, დღეს პედსაბჭო გვაქვს და არ დამელოდო. ისადილე უჩემოდ“.

მირანდამ შიოც დაიწვია. ისადილეს მაგიდაც ერთად აალაგეს, როცა იქაურობა მოაწესრიგეს, შიო დივანზე დაჯდა და დედას

დაურეკა – ცოტათი მირანდასთან შევყონდებიო.

– შენ რა, სახლში წასვლას არ აპირებ?

– დახ არ ვაპირებ, აქ ძალიან მომწონს. მოდი გვერდით მომიჯექი რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გითხრა.

მირანდამ მას გაღიმებული შეხედა და გვერდით მოუჯდა. შიო ხმას არ იღებდა, მან მირანდას ხელი თავის ხელებში მოიმწყვდია და იგი თავისკენ მიიზიდა. მირანდა არ შეწინააღმდეგებია. მათმა ერთმანეთს აკოცეს.

მირანდამ შიოსთვის რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მან ამის საშუალება არ მისცა. იგი ძლიერად ჩაიკრა გულში და ნაზად მაგრამ ძალიან ვნებიანად კოცნიდა.

მირანდამ მთელი სერიოზულობით იგრძნო ეს ამბავი რითი დამთავრდებოდა და შიოს გაეცალა.

– შიო, ეს დაუშვებელია! მეც ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ესეთი რამეები აღარ უნდა გამეორდეს! ჯერ ამისი დრო არ არის, ხომ შევთანხმდით, რომ ჯერ ინსტიტუტი უნდა დავამთავროთ და მერე ვიქორწინოთ!

– მირანდა, მე შენ ძალიან მიყვარხარ და არა მგონია რომ მაგ დრომდე მოვითმინო. ხომ შეიძლება, რომ ერთადაც ვიყოთ და ვისწავლოთ კიდეც?

შიომ მირანდას ხელი მოხვია და ისევ თავისკენ მიიზიდა. იგი მას თავდავიწყებით კოცნიდა, მირანდაც კოცნითვე პასუხობდა. შიომ იგი დივანზე დასვა თავისკენ მიიზიდა და ხელი კაბის ქვეშ შეუცურა. მირანდა წამოხტა, კაბა ჩამოიწია და თმები შეისწორა. იგი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

– რას შვრები შიო, გაგიჟდი?!

– რატომ, მირანდა? ჩვენ ხომ უნდა დავქორწინდეთ, დღეს მოხდება ეს თუ სხვა დროს ამას რა მნიშვნელობა აქვს? მოსახდენი უნდა მოხდეს.

ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, დღეის შემდეგ უფრო მეყვარები – რა ტკბილი და ჭკუიდან გადამყვანი კოცნა გცოდნია. მირანდა მე შენ ცოცხალი თავით არ დაგთმობ, ნუ მეწინააღმდეგები, ტყუილად ცდილობ დროს გაყვანას. გთხოვ, მოდი–მოდი თორემ გავგიჟდები!

შიო მის დამორჩილებას შეეცადა. მირანდამ მას ძლიერად ჰკრა ხელი და მაგიდის მეორე მხარეს მოექცა.

ზარი დარეკეს. მირანდამ კარები გააღო. ცირა მოვიდა. შიოს

მიესალმა, არაფერიშეიმჩნია, პალტო გაიხადა და ხელების დასაბანად შევიდა.

მირანდამ შიოს ანიშნა, რომ იგიწასულიყო. იგი სასწრაფოდ დაემშვიდობა ცირას და წავიდა.

ცირამ ისადილა. მირანდა მეცადინეობდა.

საღამოს როცა ცირა პრესას ეცნობოდა და მირანდა ტელევიზორს უყურებდა, ცირამ მას მოულოდნელად უთხრა.

– მირანდა, შიოს სახლში ნუღარ მოიწვევ, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. იგი უკვე პატარა აღარ არის და შენი მასთან მარტო დარჩენა მიზანშეწონილი არ არის!

– მართალიხარ ცირა, ეს აღარ გამეორდება.

XXVII

ლექციებზე ყოფნისას მირანდა ძალიან ღელავდა. გადაწყვიტა, რომ დღეს შიოს სერიოზულად დაელაპარაკოს, წინააღმდეგ შემთხვევაშიშეიძლება თვითონაც თავს ვერ მოერიოს და მაშინ?..

არა, ამის დაშვება არ შეიძლება! შიო ჩქარი ნაბიჯებით შემოვიდა ჯგუფში და მირანდას გვერდით მოუჯდა. ეტყობოდა, რომ ლექციის დაწყებამდე უნდოდა მისთვის რაღაცის თქმა, მაგრამ მირანდამ წარბშეკრულმა მას ნაღვლიანი ხმით უთხრა, – შიო, მე შენ სერიოზული და თავდაჭერილი მეგონე, შენ კი თურმე შენს ემოციებს ვერ ერევი. მე გატყობ, რომ პატივს სრულებითაც არ მცემ და ჩვენი მომავალის ერთმანეთთან დაკავშირებაზე სერიოზულად არც კი ფიქრობ – რაც გუშინ შენი საქციელით დაამტკიცე.

ან მომეცი პირობა, რომ მასეთი რამ აღარ გამეორდება, ან არა და ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით და ვინც შენ კალათაში ჩაგიჯდება და ყველაფერზე დაგთანხმდება იმასთან იმეგობრე!

– კეთილი, ნუ განიცდი. სიტყვას გაძლევ, რომ რაც შენ არ გესიამოვნება, იმას არასოდეს მოვიმოქმედებ!

დამშვიდდი?

– დიახ!

– კოცნაზეც მეტყვი უარს?

– რა თქმა უნდა! ყველაფერი მაქედან იწყება!

– კარგი, შევთანხმდით – „მხოლოდ სწავლა და სწავლა“ ხომ?

– ჯერჯერობით ასეა, მერე ვიქორწინებთ და როცა შენი ცოლი ვიქნები მეც ბევრს გაკოცებ, კარგი?

– კარგი საყვარელო კარგი, ამიერიდან როგორც შენ მოისურვებ ისე მოვიქცევი.

ლექცია დაიწყო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მირანდამ არ იცოდა თუ რა ულტიმატუმი წაუყენა თავის საქმროს, რომელიც თავის ფიქრებით გატაცებული თავჩაღუნული „ულვაშებში იცინოდა“, მაშინ როცა მირანდას ეგონა, რომ შიო საბოლოოდ მოათვინიერა და ეხლა იგი დიდის მონდომებით კონსპექტს იწერს.

ცირა და მირანდა დაბადების დღეზე წასასვლელად სერიოზულად ემზადებოდნენ. საჩუქარიც კარგი შეარჩიეს – ძვირფასი ცისფერი პერანგი ლამზაი ლურჯი ჰალსტუხით და ფრანგული ოდეკალონი.

თვითონაც ელეგანტურად გამოეწყვნენ და დანიშნულ დროს მათთან მივიდნენ.

სტუმრების ნაწილს უკვე თავი მოეყარათ. წვეულებას იზა მასპინძლობდა.

მირანდას და ცირას დანახვაზე უმალ მათ მიეგება, ორივენი გადაკოცნა, მადლობა მოუხადა სტუმრობისათვის და სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა. ისინი ყველას ოფიციალურად გააცნო, მათ დაბრძანება სთხოვა და ბოდიშის მოხდით ახლად მოსულ სტუმრების მისაღებად წავიდა. შიომ გიორგი გამოიყვანა და ორივენი შევიდნენ მათ მისასალმებლად.

მან მამას მირანდა და ცირა წარუდგინა. გიორგი ორივეს ხელზე ეამბორა და დაბრძანება სთხოვა. თვითონაც მათ სიახლოვეს დაჯდა და მშვიდი საუბარი გაუბა.

მათ უთხრა რომ – დრო უმონყალოდ გარბის, შიო უკვე 22–წლისაა და სინანულს გამოთქვამს, რომ იგი დედისერთაა. მაგრამ ალბათ უკვე მალე დაქორწინდება და ოჯახში ბედნიერება, სიხარული და ბავშვების ჟრიამული დაიდებს ბინას.

ცირა და მირანდა მას უღიმოდნენ და ყოველივე კეთილი სურვილების შესრულებას უსურვებდნენ.

გიორგის და იზას მიმართ დიდი სიმპათიით განეწყვნენ. ისინი მართლაც რომ ყოველივე სიკეთის ღირსნი არიან.

მალე ყველანი სუფრასთან მიიწვიეს.

თამადა ბატონი გიორგი იყო. მისი დინჯი და აზრიანი საუბარი ყველას მისდამი პატივისცემით ავსებდა.

შიო ყველამ გულითა და სულით დალოცა – თავისი მშობლე-

ბით, ახლობლებით და კეთილის მსურველებით.

მშვენიერი საღამო გაატარეს. ყველანი ერთმანეთს გაეცვნენ. ახალგაზრდები – უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ნამდვილი ახალგაზრდული შემართებით მხიარულობდნენ.

ყველანი ძალიან კმაყოფილები დაიშალნენ. გიორგიმ და შიომ ცირა და მირანდა თავიანთი მანქანით სახლში წაიყვანეს.

დილით როცა მირანდამ გაიღვიძა ცირა სახლში არ იყო. კვირა დღე იყო და იგი საყიდლებზე წასულიყო.

მირანდა ადგომას არ ჩქარობდა, გუშინდელ წვეულების დეტალებს იხსენებდა. იღიმებოდა, ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ თავს მაინც შებოჭილად გრძნობდა. თავისთვის აანალიზებდა – გუშინ სულ სხვა მდგომარეობა იყო, ყველანი ძალიან ახლობლები, ოჯახური წრე, ყველანი სერიოზულნი და ფრიად განათლებული პიროვნებები.

მაგრამ დღეს?.. სულ სხვა შემადგენლობა იქნება. მე ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყო!

მირანდა სასწრაფოდ წამოდგა, მოწესრიგდა, საუზმე მოამზადა, ცირას ნაყიდების ამოტანაში მოეხმარა და ორივემ ერთად ყველაფერს თავ–თავისი ადგილი მიუჩინეს.

ისაუზმეს. მირანდამ საღამოსთვის განკუთვნილი ტანსაცმლის შერჩევა დაიწყო. ყველაფერი შეარჩია და დამშვიდდა. სამზარეულოშიშევიდა, ცირას მიეშველა.

მერე მისივე რჩევით – „ცოტახნით წამოწექი, დაისვენე, მინდა, რომ დღეს განსაკუთრებულად ლამაზი იყო“.

მირანდა საძინებელში შევიდა, უჯრიდან თმების სამაგრის ამოღება უნდოდა – იქ სადაც ომარის სურათი და წერილები ჰქონდა შენახული. მან სურათი ამოიღო, ომარის გაუღიმა და ჩურჩულით უთხრა: „გუშინ შიოს დაბადების დღეზე ვიყავი, კმაყოფილი ვარ. ძალიან კარგია, მიყვარს, მაგრამ ის შენსავით მორიდებული არ არის, ამისათვის ძალიან დავტუქსე და ჭკუაც ვასწავლე!

დღეს ყველანი ისევ მასთან ვიკრიბებით. ვნახოთ რა მოხდება? ეხლა კი წავედი, ვერ ვისვენებ, ძალიან ვღელავ – იმიტომ, რომ ალბათ „კრაზანის ბუდეში“ უფრო კარგ დროს გავატარებ ვიდრე იქ!

როცა დავბრუნდები ყველაფერს მოგიყვები, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!“

მირანდამ სურათი ისევ წერილებთან ერთად უჯრაში შეინახა.

წასვლისას ცირა მას ჩაცმაში ეხმარებოდა და რამოდენიმე რჩევაც მისცა.

შიო მის წასაყვანად მოვიდა.

როცა სახლში მივიდნენ ჯერ სტუმრებიდან არავინ იყო მოსული. იზამ მირანდა გადაკოცნა და „თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლშიო“ – უთხრა.

მირანდამ უხერხულობა იგრძნო.

– შიო, მგონი ძალიან ადრე მოვედი!

– რატომ? შენ ხომ სტუმარი არა ხარ, შენ ოჯახის წევრი ხარ და ეს ყველამ უნდა იგრძნოს!

ხომ ასეა?

მირანდამ უნებლიედ იზას შეხედა. მან კი, გაუცინა და უთხრა:

– შიო მართალს ამბობს. მოდი სუფრის გაშლაში მომეხმარე. ამიერიდან გული არ დამწყდბება, რომ გოგო არა მყავს.

მირანდას თვალებზე ცრემლები მოადგა.

იზამ იგი დედა–შვილურად გულში ჩაიკრა და აკოცა.

– მირანდა მაპატიე, არ მინდოდა შენი გულის აჩუყება. შენ ძალიან მგრძნობიარე ხარ – მესმის შენი, მეც მასეთი ვარ.

მოდი სტუმრების მისაღებად მოვემზადოთ, ხომ იცი დღეს აქ რა ამბავი იქნება?

ამიტომაც დაიბარა გიორგიმ, რომ დღეს გვიან მოვა.

იზა და მირანდა სამზარეულოში შევიდნენ. იქ ორი ნათესავი ქალი ფუსფუსებდნენ. მირანდამ ისინი გუშინ გაიცნო.

მალე სტუმრებმაც იწყეს მოსვლა, შიო კარების გაღებას ვერ აუდიოდა.

მირანდა სამზარეულოდან განგებ არ გამოდიოდა, მას უნდოდა მეტიჩრებისათვის სიურპრიზი მოეწყო – სამზარეულოდან მაშინ გასულიყო როცა ყველანი უკვე ადგილზე ისხდებოდნენ და მათ, დიასახლისის სახით მოვლენოდა.

იზა მიუხვდა ჩანაფიქრს და ერთმანეთს გაუღიმეს. ასეც მოიქცა მირანდა იმის შემდეგ, როცა იზამ ყველანი სუფრასთან მიიწვია.

მირანდა არსად ჩანდა – „სამეული“ გამარჯვებას ზეიმობდა.

შიოს ამხანაგმა გოგონამ ჰკითხა:

– შენი საცოლე რატომ იგვიანებს?

– არ იგვიანებს, სამზარეულოშია – ეხლავე გამოვიყვან.

შიო სამზარეულოში შევიდა და მირანდას უთხრა, – ყველანი უკვე მაგიდასთან სხედან – დროა გამოხვიდეო.

შიომ მირანდა ხელჩაკიდებული გამოიყვანა და განუცხადა რომ, „ესენი ყველანი ჩემი ახლო მეგობრები არიან და აბა შენ იცი როგორ დიასახლისობას გაუწევ მათო“.

მირანდა ყველას საერთო სალმით მიესალმა და თავისი ადგილი დაიკავა. შიო მის გვერდით დაჯდა.

მეტიჩრებს, როგორც ამბობენ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. თუმცა მათ შორის ხელში ჩაგდების იმედი – დიდი ხანია გადაწურული ჰქონდათ.

თამადად შიომ მისი მეგობარი ვაჟა აირჩია, – „მე დღეს ვქეიფობ, სუფრის გაძღოლის ხასიათზე არა ვარო“.

როგორც ახალგაზრდებს ჩვევიათ ყველანი მალე გამხიარულდნენ; სვამდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ისინი „თავიანთ სტიქიაში“ იყვნენ.

ეკა მირანდა სგვერდით იჯდა და მას უთხრა, რომ გუშინ ვაჟასთან ერთად კინოში იყვნენ. რომ იგი ძალიან კარგი ბიჭია, ვნახოთ მოვლენები როგორ განვითარდებაო.

მირანდამაც მოუყვა გუშინდელი წვეულების ამბავი, რომ ცირას იზა და გიორგი ძალიან მოეწონა, მათმა მას, თითქმის ოფიციალურად სთხოვეს მისი ხელი. ძალიან კარგები არიან. უკვე მივეჩვიე მათო, დღესაც შიომ ადრე მომიყვანა, ალბათ იზას რჩევითო.

არც მირანდას და არც ეკას ბესიკი არ უხსენებიათ.

ჭორიკნებს თავი მშვენივრად ეჭირათ – მირანდას უღიმოდნენ, მისი და შიოს სადღეგრძელო ძალიან ლამაზი სიტყვებით წარმოსთქვეს.

მირანდა ეკასთან საუბარში ისე გაერთო, რომ ვერც კი შეამჩნია – შიო მის გვერდით, რომ აღარ იჯდა. იფიქრა ალბათ სიგარეტის მოსაწევად გავიდაო და ეკასთან საუბარი გააგრძელა – მანამ, სანამ ეკამ თვითონ არ უთხრა მას, –მირანდა, შიო და მერი სად გაქრნენ?

მირანდამ იქაურობა მოათვალიერა და ისევ ეკას შეხედა.

– ჰო ეკა, უკვე რა ხანია შიო არა ჩანს, აბა ვნახო სად წავიდა? არც მერი ჩანს!

მირანდა მშვიდად ადგა. გავიდა, სამზარეულოში შეიხედა, იზას ჰკითხა – შიო სად არისო? იზამ მხრები აიჩეჩა – უარით უპასუხა. მირანდა აივანზე გავიდა, საძინებელ ოთახში და კაბინეტშიც შეიხედა, არსად არ იყვნენ.

მერე ტუალეტშიც შეიხედა და სააბაზანოს კარის შეღებაც სცადა – იგი დაკეტილი აღმოჩნდა.

მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა და თავის ადდგილს „მშვიდად“ დაუბრუნდა. არც ეკას უთხრა რამე.

მის კითხვაზე კი უპასუხა, რომ – აივანზე არიან, სიგარეტს ეწევიანო.

ცოტა ხნის შემდეგ – ჯერ შიო შემოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა, ხელში სანთებელა ეჭირა, შემდეგ კი – მერი შემოიპარა და ისიც თავის ადგილს დაუბრუნდა. მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მირანდას თვითონ უკვირდა, როგორ აიტანა ყველაფერი ეს? შიოსთვის აღარც კი შეუხედავს მერის თვალი გადაკრა და მიხვდა, რაც მოხდა – იგი სახეალეწილი და ნირწამხდარი იყო.

მირანდას უნდოდა იზასთან შესულიყო, მისთვის ყველაფერი ეთქვა, მერე კი ჩუმად წასულიყო სახლში. მაგრამ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, არადა, არც ამის მოთმენა იყო ადვილი.

მირანდას თითქოს აზროვნების და მოქმედების უნარი ერთად დაეკარგა. მან ძალ–ღონე მოიკრიბა და ისევ ეკას დაუწყო საუბარი. იგი ვერც კი ხვდებოდა, რომ ეს ცხოვრებისეული გაკვეთილები იყო და ამას არ აკონსპექტებენ! თუკი ვინმე ამას აკეთებს – ამ ჩანაწერებს მისი პირადი დღიური ჰქვია და – მისი წაკითხვის მორალური უფლება არავის აქვს იგი ძალიან პირადული და ინტიმურია, კარგად აღზრდილი ადამიანი კი, სხვისი დღიურის წაკითხვას არ იკადრებს.

მირანდას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე წასულიყო სახლში, მაგრამ მანამ სანამ ყველანი არ აიშლებოდნენ მისი აქედან წასვლა – გაქცევის ტოლფასი იქნებოდა.

შიო, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს ისე იქცეოდა. ეგონა, რომ მისი და მერის განმარტოვება ყველას შეუმჩნეველი დარჩა.

როცა წასვლის დრო მოვიდა ყველანი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

მირანდაც დაემშვიდობა მათ, მაგრამ იზამ იგრძნო, რომ რაღაც ძალიან სერიოზული მოხდა!

შიომ მირანდა გააცილა და გზაში მიხვდა, რომ მან ყველაფერი იცოდა. ტაქსით მიდიოდნენ და არცერთს ხმა არ ამოუღიათ.

მირანდა მანქანიდან გადმოვიდა და შიოს უთხრა, რომ – ცირა

მელოდება, არ გადმოხვიდე, თვითონ წადი დროზეო.

შიო მიხვდა, რომ ეხლა არაფრის დრო არ იყო – გარდა იმისა, რომ დროზე გაცლოდა იქაურობას – და ასეც მოიქცა. ცირა მირანდას მართლაც ელოდებოდა და იკითხა:

– შიო რატომ არ გადმოვიდა მანქანიდან?

– მე არ გავუშვი, ნასვამია და სჯობია დროზე მივიდეს სახლში, იზა ინერვიულებს.

– სწორეა, ბევრი დალია? როგორ ატყობ სმა უყვარს?

– არა. ზომიერად, მაგრამ მაინც ნასვამია.

– როგორი დრო გაატარეთ, კმაყოფილი ხარ?

– ძალიან, მაგრამ დავიღალე. თავი მტკივა. მეძინება.

– ჰო, გვიანია, დაიძინე. მეც დილით ადრე უნდა ავდგე.

ცირა მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო. მირანდაც ეცადა რომ მას რაიმე არ შეემჩნია – ინერვიულებს, ეგღა აკლია!

მირანდა დასაძინებლად შევიდა. რა დააძინებს? როგორ შესძლო ყველაფერი ამის მოთმენა? „ეს როგორ გაბედა? მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, რაც უნდოდა ის ექნა, მაგრამ ეს ხომ ჩემთვის საქვეყნოდ სილის გაწნაზე უარესი იყო!

ჰო, არც მე შევიმჩნიე, მაგრამ იქ ბრმა და დეგენერატი არავინ იყო, ეს რა გამიბედა?!

საქვეყნოდ მომჭრა თავი, მე იქ მიმატოვა და თვითონ მერისთან ერთად იმდენი ხნით – სააბაზანოში ჩაიკეტა!

არა, ამის მოთმენა არ შეიძლება! მე მაგას ვინ ვგონივარ? მე მაგან სამაგიერო გადამიხადა – არაფრის უფლება რომ არ მივეცი ხომ!

აბა რა უნდოდა? მეც რომ მერისავით, სადაც უნდა იქ შემათრიოს და როცა მოისურვებს მაშინ წამომხადოს კაბა?

არა, მე მაგ ავხორცთან არავითარი საერთო არ მინდა რომ მქონდეს. ეგ რომ ეხლავე ესე იქცევა, როცა გაიზრდება, ალბათ ნამდვილ სექსუალურ მანიაკად ჩამოყალიბდება, ანდა ქალებს წინდებივით გამოიცვლის!

როგორც უნდა ისე მოიქცეს, მე კი მაგასთან ხვალიდანვე ყოველგვარ ურთიერთობას ვწყვეტ!

მაგის დანახვაც კი აღარ მინდა!!!

ორშაბათს ლექციაზე მისული მირანდა ადგილს ვერ პოულობდა. ღელავდა. უნდოდა სხვაგან გადამჯდარიყო, მაგრამ ეკასთვის რა ეთქვა? თუმცა პირველმა ეკამ შეამჩნია შიოს გაუჩინარე-

ბა, არც ის უნდოდა, რომ მერის და მის დაქალებს გაეგოთ, რომ ის და შიო დაშორდნენ ერთმანეთს.

ისინი გუშინვე მიხვდნენ, რომ მე ამ ამბავს შიოს არ ვაპატიებ და ალბათ მაგათი ვიზიტის მთავარ საზრუნავს სწორედ ეს წარმოადგენდა – რასაც ძალიან ადვილად მიაღწიეს.

ძალიან კარგი! ჰყავდეთ მაგათ ეგ მექალთანე. ერთის მხრივ კარგიც არის, რომ გავიგე ვინც არის. ეგ გამოუსწორებელი დონ-ჟუანი მაგათთვის მიჩუქნია.

მირანდამ ეკას მხოლოდ გაუღიმა. მომხდარის შესახებ ლაპარაკს აქ არ აპირებდა.

– მირანდა, წარმომიდგენია რა მდგომარეობაშიც ხარ!

– ძაიან კარგად ვარ, პირიქით – მიხარია, რომ დროზე გავიგე ვინც ყოფილა. მასეთი არაფერში მჭირდება.

„რა ჩიტიც არის, იმ გალიაშიც ზისში სწორედ მაგაზეა ნათქვამი. ეგ და მერი ჩინებულად შეეწყობიან ერთმანეთს.

ამ დროს შიოც მოვიდა. იგი მათ მიესალმა, დაჯდა, კონსპექტი და საწერი კალამი მოიმარჯვა.

მირანდამაც მის სალამს ჩვეულებრივად უპასუხა და ჩანთაში რაღაცის ძებნა დაიწყო.

ლექციების შემდეგ შიომ მირანდას უთხრა, რომ შენთან სალაპარაკო მაქვსო.

მირანდამ მას არ უპასუხა, მხოლოდ თვალებით აუდიტორია მოათვალიერა და დაინახა – როგორ ადევნებდა მერი თვალყურს მათ საუბარს.

რომ დაინახა – ისინი მშვიდად იყვნენ – იფიქრა, ალბათ მირანდა ვერაფერს მიხვდაო და აშკარად ხასიათი გაუფუჭდა.

ეკა და მირანდა აუდიტორიიდან მშვიდადგავიდნენ. შიოც მათ გაყვა და მირანდას გამოელაპარაკა.

– მირანდა შენთან სალაპარაკო მაქვს. მოდი კაფეში შევიდეთ.

– არ შემიძლია, ცირა მელოდება, ექიმთან უნდა წავიყვანო. საღამოს სახლში დამირეკე.

– კარგი.

ეკა და მირანდა მეტროში ჩავიდნენ. შინ მისული მირანდა – გალიაში გამომწყვდეულ ლომს ჰგავდა, ადგილს ვერ პოულობდა – დგებოდა, ჯდებოდა, ნივთებს უაზროდ დებდა ერთ ადგილიდან მეორეზე. ბოლოს დივანზე დაჯდა, ჩაფიქრდა. ტირილი დაიწყო – „როგორ დამამცირა! თითქოს განგებ – ყველას თანდასწრებით

ფეხქვეშ გამთელა. ნეტავი არ წავსულიყავი. ესე რატომ მომექცა? როგორ მიყვარდა! როგორ მომწონდა, რასაც აკეთებდა, რასაც ამბობდა და როგორც იქცეოდა – ყველაფერი იდეალურად მიმაჩნდა. ვაღმერთებდი! როცა მღეროდა და მე მიცქერდა უბედნიერესი ვიყავი, როცა მკოცნიდა ჭკუა მეკეტებოდა!

ღმერთო, რატომ ვარ ესეთი უბედური? ახლა ყველაფერი დამთავრდა! მე მაგისკენ აღარასოდეს გავიხედავ – ამას არ ვაპატიებ!!

მე მაგის მეტი არავინ შემიყვარდება – მორჩა!

დამთავრდა ჩემი ბედნიერება!

როგორ გამამწარა, ესეთი დარტყმა მე ცხოვრებაში არა მიმიღია. ესმა და ცირა რომ არ მეცოდებოდეს ინსტიტუტს მივატოვებდი და ხონში დავბრუნდებოდი. ესმასავით მარტოდ–მარტო დავრჩებოდი და მთელ ჩემს ცხოვრებას ტირილში გავატარებდი.

ღმერთო, რა დაგიშავე, რატომ შემახვედრე მას და მაზიარე მის სიყვარულს?!“

მერე კი – ესე უმოწყალოდ და დამცირებული დამტოვე!

მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგას არასოდეს ვყვარებივარ. მაგას მხოლოდ თავისი ცხოველური ჟინი ამოძრავებდა და მე, რომ მაგისთვის ყველაფრის ნება მიმეცა – სულიერთია ესევე მოიქცეოდა, მაშინ კი თავს ნამდვილად არ ვიცოცხლებდი! ტელეფონმა დარეკა, მირანდამ არ უპასუხა, არც ხმა არავინ გასცა. იგი მიხვდა, რომ შიომ გადაამოწმა მართლა ცირას წაყვა თუ მასთან საუბარი არ სურდა?

შიო მიხვდა რომ – მირანდა მოჩვენებით სიმშვიდეს ინარჩუნებდა – იმიტომ, რომ ძალიან თავმოყვარეა.

არც შიო იყო კარგ დღეში, ნანობდა თავის საქციელს გამართლება არ ჰქონდა!

მირანდას თანდასწორებით მაინც არ მომხდარიყოო. მერიმ სახლში დაურეკა შიოს და უთხრა, რომ ყველანი მიხვდნენ რაც მოხდა და მირანდა მაგას შენ არ გაპატიებსო.

მიუხედავად ამისა შიომ გადაწყვიტა, რომ მირანდას პატიება მაინც სთხოვოს – „მე მასთან განშორებას ვერ ავიტან – უეჭველად უნდა დაველაპარაკო“.

ისევ დარეკა.

– მირანდა, ეხლავე მოვდივარ თქვენთან, უნდა გელაპარაკო!

– რა?! ეგ არც გაიფიქრო. დაივიწყე ჩემი არსებობა და თუ კი-

დევ ამის გამეორება დამჭირდება, შენს მშობლებთან მივალ! მირანდამ ყურმილი დადო. ზარს აღარ პასუხობდა. ოდნავ გულზე მოეშვა – ხომ არ გონია, რომ ვაპატიებ?!

საძინებელ ოთახში შევიდა, უჯრიდან ომარის სურათი ამოიღო, რაც გულში ჰქონდა ყველაფერი უამბო და მისი ბოლოს მიწერილიწერილიც კიდევ ერთხელ წაიკითხა:

გამარჯობა მირანდა – გილოცავ ახალ სასწავლო წელს! ძალიან მენატრები. ვიცი რომ ჩემი ამბავი გაინტერესებს – კარგად ვარ. საერთო საცხოვრებელში კარგად მოვეწყვე. შაბათ–კვირას ქალაქში გასვლის უფლება გვაქვს. მე მამიდასთან მივდივარ, ისინი შველივით მეპყრობიან.

შოთამ გემით ოდესაში წამიყვანა. ვოცნებობ გემზე დარჩენაზე და შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე. ზღვა ძალიან შემიყვარდა. ქალაქში თითქმის არავის ვიცნობ. ბათუმი ზღაპრული ქალაქია. აქ მარტო ისიც საკმარისია, რომ ზღვის ნაპირას იჯდე და მზის ჩასვლას უცქერდე. უსმენდე თოლიების ხმას და ზღვის მომაჯადოებელი ჰაერით სუნთქავდე.

სანაპიროზე ჯდომა – ჩემი საყვარელი გართობაა. შემიძლია საათობით ვიჯდე და ვუქცერდე მის უკიდეგანო სივრცეს. იქ მხოლოდ ჩვენა ვართ – მე, შენ და ზღვა! იქ, როგორც დიდ ეკრანზე ისე ცოცხლდება ყველაფერი ის რასაც ჩვენი ბავშვობა ჰქვია. და რაც მთავარია, ხელს არავინ და არაფერი გვიშლის. აქ რეალობის და ფანტაზიის წარმოსახვის უდიდესი საშუალება გაქვს.

ვცდილობ წარმატებით დავამთავრო აკადემია და ცხოვრებაში ჩემი ადგილი დავიმკვიდრო.

ჩემს ერთგვაროვან ცხოვრებას მხოლოდ შენზე მოგონებები ავსებენ.

მირანდა ძალიან გთხოვ, რომ იმ ზომის შენი ფოტო სურათი გამომიგზავნო – ჯიბით რომ ვატარო.

ძალიან მენატრები. მოკითხვა ცირას და ესმას. დედა ხშირად მირეკავს, ხონში ყველაფერი ძველებურად არის.

მომწერე შენს შესახებ, რაც შეიძლება ხშირად და ვრცლად. ძალიან მიყვარხარ და მენატრები.

ნეტავ როდის გნახავ?!

ომარი. 5/IX.

ახალიწლის მოსალოცი ღია ბარათიც გადაიკითხა და ორივე წერილი სურათთან ერთად ისევ თავის უჯრაში შეინახა.

XXIX

მეორე დღეს შიოს სალამს არ უპასუხა და არც მის მხარეს იხედებოდა. მისი ყურადღება ეკასკენ იყო მიმართული, რამაც შიო სერიოზულად დააფიქრა.

მორჩა, მე გამებუტა და ეკას ეკურკურება – ადვილი შესაძლებელია, რომ ბესიკს დაუახლოვდეს. ძალიან ვაწყენინე – არ მაპატიებს!

შიომ ვაჟა სშესჩივლა, მანაც უპასუხა:

– შიო, შენ არასწორად იქცევი. თვითონ ხარ დამნაშავე და სანამ გვიან არ არის პატიება სთხოვე!

მასეთ სისულელეებს მოეშვი, თორემ მირანდა სერიოზული გოგოა და დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად დაკარგავ მას!

– მართალი ხარ, დროის დაკარგვა არ შეიძლება. ეხლავე დავეწევი და ყველაფერს ვეტყვი. შენც წამოდი და ეკაც გააცილე.

შიო მირანდასთან მივიდა და უთხრა:

– მხოლოდ დღეს მომეცი ნება, რომ დაგელაპარაკო და მერე თუ შენ ისურვებ, ნულარ შევხვდებით ერთმანეთს!

მირანდა სდუმდა. შიომ იგი კაფეში შეიყვანა. თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ.

შიომ ყავა და ნამცხვარი აიღო, მირანდამ მას სერიოზულად უთხრა:

– მე ცოტა დრო მაქვს – გისმენ!

– მირანდა, არ ვიცი როგორ დავიწყო, პირველ რიგში კი მინდა პატიება გთხოვო და გითხრა, რომ ეს აღარასოდეს გამეორდება. ნასვამი ვიყავი და თავს, ვერ მოვერიე! მირანდას, თეთრი ბაიარაღი არ ამშვიდებდა!

– გასაგებია, მაგრამ შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და ვერ დავიჯერებ, რომ ნასვამ მდგომარეობაში აღარასოდეს აღარ იქნები!

ე. ი. თავსაც ვერასოდეს მოერევი – ხომ ასეა?

მირანდა, შენ კარგად იცი რომ ძალიან მიყვარხარ, ძალიან მომწონხარ და შენი დაკარგვა არ შემიძლია. მაგრამ უნდა გთხოვო, რომ რასაც ეხლა გეტყვი საწყენად არ მიიღო და კიდევ უფრო არ შეიცვალო ჩემზე შთაბეჭდილება.

ჩვენ ხომ მომავალი ექიმები, მომავალი ქალი და მამაკაცი და მომავალი მეუღლეები ვართ!

შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ და ყველაფერი არ იცი. ამისათვის წინასწარ გიხდი ბოდიშს გულახდილობისათვის. მაშ ასე:

– როგორც შენ აღნიშნე მე ახალგაზრდა მამაკაცი ვარ და მომიხდება არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნაც. მაგრამ მე მექნება იმის საშუალება რომ ჩემს საყვარელ მეუღლესთან გამოვხატო ჩემი თავდავიწყება.

ეხლა კი რა ხდება? ერთხელ ვეცადე შენს მოფერებას და დეიდაშენი, რომ არ მოსულიყო ალბათ მცემდი! ხომ ასეა?

შენ გინდა, რომ მე კიდევ სულ ცოტა სამი წელი „ენგელოზად“ დავრჩე! მერე კი ვიქორწინებთ და ხელში შეგრჩება – იმპოტენტი, კანონიერი ქმარი! – ეს გინდა?!!

აქედან გამომდინარე – ნუ იბუტები ბავშვივით და გააკეთე არჩევანი – ან ვქორწინდებით ხვალვე და ვცხოვრობთ ბედნიერად, ანარა და მე მყავს ქალი – რა მნიშვნელობა აქვს სახელად რა ერქმევა? და ჩვენ ვრჩებით ე. ი. მე და შენ – დანიშნულებად, შეყვარებულებად, ახლო მეგობრებად – რაც გინდა შენ ის დაარქვი!

თუ ეს წინადადება შენთვის მიუღებელია, მაშინ მე სიტყვას ვერ მოგცემ, რომ ჩვენს ქორწინებამდე „პატიოსნად“ ვიქნები!

მე მგონი გამიგე რისი თქმაც მინდა.

მე ყველაფერი გულახდილად გითხარი და მხოლოდ ერთი შეკითხვაღა დამრჩა:

– თუ მიიღებ ამ პირობებს და კოცნის ნებას დამიტოვებ, ხომ კარგი, თუ არა და...

სანამ შიო ენაწყვლიანობდა მირანდა ჩუმად იჯდა და ყავის ფინჯანს თვალს არ აშორებდა.

მან ყველაფერი მოსმინა. აწონ–დაწონა და მთელი სერიოზულობით მიხვდა, რომ იგი ჩიხში იყო მოქცეული – „თემიდას სასწორით ხელში“!

მირანდამ თავი ასწია, შიოს შეხედა და ოდნავ გაღიმებულმა უთხრა:

– თანახმა ვარ მაგრამ, ჩემი თავმოყვარეობა არ უნდა შეილახოს!

რაც შეეხება კოცნას – იგი ძალიან იშვიათად და ხანმოკლე უნდა იყოს!

შიომ ისე გადაიხარხარა, რომ გვერდით მჯდომების ყურადღება მიიქცია. იგი მირანდას გადაეხვია და აკოცა.

– მეც თანახმა ვარ – ქალბატონო ექიმო, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ „დოზა“ თქვენის ინიციატივით გაიზარდა და ამას სავალალო შედეგი მოყვება, მაშინ, მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგე-

კისრებათ – ამაზე რას იტყვით?!

– რა თქმა უნდა ეგეც გავითვალისწინე!

– მაშ, ჩვენი „კონტრაქტი“ ხვალიდან ძალაში შედის?

– დიახ, შევთანხმდით!

მირანდა სახლში კარგ გუნებაზე მივიდა. „რა ვქნა, არ შემიძლია მაგის დაკარგვა. მომწონს რომ გულახდილად აღიარა. გულის სიღრმეში ვეთანხმები კიდეც. მე არც ეჭვიანი ვარ და არც ეგოისტი – „არც ჩემთან და არც სხვასთან“?! მაშინ ნამდვილად დავკარგავ.

ის ხომ მამაკაცია, მე კი მომავალი ექიმი.

ალბათ, ამ მიზეზითაც წავიდა ომარი ბათუმში სასწავლებლად და არა თბილისში.

ალბათ, იმიტომაც ჰქონდა ისეთი ცივი ხელები, ბათუმში კი მზე ძალიან მცხუნვარეა, იქაური კენჭებიც კი ცხელია!

XXX

მირანდა არსებულ ვითარებას შეეგუა.

ისინი ისევ მოკრძალებული შეყვარებულები იყვნენ.

უკვე მეორე კურსს ხურავდნენ და წინ სერიოზული მეცადინეობა ეკლოდათ.

მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. თითქოს ყველანი უფრო ენერგიულები და ხალისიანებიც კი იყვნენ.

პირველ ლექციაზე შიო არ იყო. მირანდა სშეეშინდა რამე ხომ არ მოხდაო და იზას დაურეკა.

მირანდას შეკითხვაზე – თუ რა მოხდა, ხომ მშვიდობაა? შიო რატომ არ მოვიდაო, იგი იზას დაბნეულ პასუხზე მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ არის.

– ქალბატონო იზა არ დამიმალოთ რა ხდება, ბ–ნი გიორგი თავს როგორ გრძნობს?

– ნუ ღელავ მირანდა, ყველაფერი რიგზეა, შიოც კარგად არის. ალბათ მოგვიანებით მოვა.

შენ რატომ ხარ მასე აღელვებული? რა მოხდა?

მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა. იზამ იცოდა შიოს დაგვიანების მიზეზი და დაიბნა.

– ბოდიში, რომ აგაფორიაქეთ, რადგან ყველანი კარგად ხართ – კარგად ბრძანდებოდეთ.

გასაგებია! ღამე სხვაგან იყო. ან ვერ გამოიძინა ან დედა გააფ-

რთხილა, რომ არ ინერვიულოს.

„შეთანხმება, შეთანხმებაა, მაგრამ ამას ვერ ავიტან!“

სამდივნოდან გამოსულმა, დერეფანში შიოს მოკრა თვალი. იგი ჩქარი ნაბიჯით აუდიტორიაში შევიდა.

მირანდა რომ იქ ვერ ნახა – მიზეზი ეკას ჰკითხა.

– მირანდა თქვენთან სახლში დასარეკად წამოვიდა.

დროზე რომ არ მოხვედი შეეშინდაო – უპასუხა მან.

შიოს ეს ამბავი არ ესიამოვნა.

– ხომ მოვედი, რა ეჩქარებოდა სახლში დარეკვა?

ეკას ხმა არ ამოუღია. მირანდა შიოს მიესალმა. იგი გამოსავალს ეძებდა, მირანდას გაუღიმა და უთხრა:

– სერიოზული არაფერია. გზაში შევყოვნდი.

– მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობაა. ასახსნელი არაფერიაა.

– დედას ელაპარაკე?

– დიახ!

– რა გითხრა?

– ის მითხრა, რომ ღამე სახლში არ ბრძანდებოდი!

კიდევ გაინტერესებს რამე?

– ხომ გთხოვე, რომ შენთვის არ ეთქვა, რატომ გამცა?!

– იმიტომ რომ ის შენსავით მატყუარა არ არის. მეორეც ის, რომ მას არაფერიც არ უთქვამს, თვითონ გამოტყდი.

შიო იცინოდა, მირანდას მოეხვია და უთხრა:

– შენ ექიმი კი არა, გამომძიებელი უნდა გამოხვიდე.

– შენი გადამკიდე, სანამ ექიმი გავხდები ალბად ნამდვილ გამომძიებლად ჩამოვყალიბდები, ხომ ასეა?

– ჰო ძვირფასო, ეგ შენი არჩევანია, ძალით იტკიებ აუტკივარ თავს?

ლექცია დაიწყო და მათმაც მთელი გულისყური მედიცინის შესწავლას დაუთმეს.

31

ეს სასწავლო წელიც წარმატებით დაამთავრეს და თბილისურმა ზაფხულმაც მათ თავი შეახსენა.

მირანდამ შიოს უთხრა, რომ ორი თვით ხონში წასვლას აპირებს. მისთვის კი ნოტაციების კითხვით თავი არ მოუბეზრებია, იცოდა, რომ ეს კედელზე ცერცვის შეყრას ნიშნავდა.

ამ ამბის გამგონეს – არც შიოს გამოუმჟღავნებია დიდი გულის

წუხილი, ის კი უთხრა, რომ – მირანდა, ძალიან მომენატრები, თავს მოუარე და კარგად დაისვენე, თუ შესძლებ დამირეკე–ხოლმე.

შეიძლება მამაჩემი ისევ ქობულეთში წავიყვანო, ეს მას აუცილებლივ სჭირდება.

– რა თქმა უნდა, თავს მოუფრთხილდი. ზღვაში შორს არ შესაცურო.

– მაგაზე ნუ ფიქრობ, კარგად ვცურავ. თანაც მამაჩემს ხომ არ ვანერვიულებ?!

– კარგი, წასვლამდე კიდევ შევხვდებით. მოკითხვა მშობლებს.

სახლში მისული მირანდა ფიქრებმა გაიტაცა. მას ვერ წარმოედგინა, რომ შიოსთან ორთვიან განშორებას ასე ადვილად შეელეოდა. ბოლოს დაასკვნა, რომ არა უშავს, სამაგიეროდ ამ ორთვეში რამდენ წიგნს წაიკითხავს, ესმას მხარში ამოუდგება და თავის საყვარელ ბაღსაც ბევრი ახალი ყვავილებით დაამშვენებს.

– ცირა, კვირას ბაზარში ერთად წავიდეთ, ყვავილების თესლები უნდა ვიყიდოთ.

– მაგაზე მეც ვიფიქრე.

ხონში გამგზავრებამდე ერთი კვირაღა რჩებოდა. შიო და მირანდა თითქმის ყოველდღე ერთად იყვნენ. ხან კინოში მიდიოდნენ, ხან თეატრში, ხან მუზეუმებში.

ეს ორკვირიანი დასვენების დღეები მათთვის უფრო ნაყოფიერი იყო – ვიდრე გასული, მთელი ორი წელიწადი.

მირანდას შიო ძალიან უყვარდა და რაც უფრო მეტ დროს ატარებდა მის გვერდით, მით უფრო მოსწონდა იგი:

მისი რბილი ხასიათი, საღი იუმორი, მისი ზრდილობიანი ქცევა და ნამდვილი ჯენტლმენური კავალრობა.

მშობლებისადმი ზრდილობიანი და ფაქიზი დამოკიდებულება, იგი თბილი და მოსიყვარულე შვილია. ძალიან მიმზიდველია, რომ არაფერი ვთქვათ მის ფიზიკურ მონაცემებზე:

ზომიერად მაღალ და კარგ აღნაგობაზე და ჭკვიან სახის გამომეტყველებაზე. ღიმილი საოცრად უხდება.

მირანდას უხაროდა, რომ სწავლით დატვირთული წლები სწრაფად გადიოდა. „კიდევ ერთი მაგდენი და მერე კი, ნამდვილად დავქორწინდებით“.

ხანდახან იმასაც ფიქრობდა, რომ შეიძლება შიო ქალებში გაერთოს და იგი საერთოდ დაივიწყოს! მაგრამ თუ ეგ მოხდება ე. ი. არ

ვყვარებივარდა ეს დრომაც დაადასტურა.

გატაცება გატაცებად დარჩება და ახალგაზრდობის მშვენიერ მოგონებად.

ომარი? ომარი ბავშვობის მეგობარი და ჩემი ცხოვრების ნაწილია, მისი დავიწყება როგორ შეიძლება?!

რაც მე იგი მახსოვს, მუდამ შეყვარებული თვალებით მიმზერდა. ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა, როცა ერთმანეთთან არც კი ვსაუბრობდით მაშინაც კი. ერთმანეთს ვხედავდით და ეს სრულიად საკმარისო იყო, იმისათვის რომ ერთნაირად გვეაზროვნა – ჩენ სულიერი ჰარმონია გვაკავშირებდა!

და როცა რომელიმე წყვილის, სულთა სამყაროს ჰარმონია ჩნდება – იქ სიტყვები აფსოლუტურად კარგავენ თავის მნიშვენლობას.

ნეტავი როგორ არის? ძალიან მინდა რომ ბედნიერი იყოს! იგი ამას ნამდვილად იმსახურებს.

საინტერესოა – ჩამოვა თუ არა არდადეგებზე ხონში?

ალბათ არა! ნეტავი ვინმე შეუყვარდეს და დაქორწინდეს, ძალიან გამიხარდება.

მე მხოლოდ შიო მიყვარს და მეტი არავინ! ომარი არასოდეს მყვარებია, იგი ძალიან კარგი ბიჭია და მე პატივს ვცემ მის გრძნობას.

იმედს ვიტოვებ, რომ მას ეს გატაცება გაუვლის. მირანდას ყველაფერზე ძალიან ხონში წასვლა უნდოდა.

თბილისში ძალიან ცხელოდა, იზამ შიო და გიორგი ქობულეთში გაისტუმრა. ერთი კვირის შემდეგ კი, თვითონაც აპირებდა მათთან ჩასვლას.

იზამ მირანდას დაურეკა და მასთან ერთად შიოს მოსანახულებლად ქობულეთში წასვლა შესთავაზა.

მირანდამ მადლობა მოუხადა მოწვევისათვის და უთხრა, რომ ესმა შეუძლოდ ყოფილა და მე და ცირა იქ მივდივართ. ალბათ სექტემბრამდე ხონში დავრჩებითო.

მას ბედნიერი მგზავრობა უსურვა და მათთან მოკითხვა და კეთილი სურვილები დააბარა.

32.

ხონში ჩასულ მირანდას და ცირას, ესმა მართლაც შეუძლოდ დახვდათ. მაგრამ მათმა ჩასვლამ და მაზე ზრუნვამ მალე იგი

ისევ მუხლჩაუხრელ მშრომელ ესმად აქცია.

მირანდა ხარობდა თავის მშობლიურ კერას რომ დაუბრუნდა. მას იქაური ყოველი კუნჭულიც კი ახარებდა.

მოვლილი სახლი, ეზო, ბაღი და ბოსტანი, ძროხა და ლამაზი ბოჩოლა. ქათმები, წიწილები, იხვები და ბატები, რომლებიც მის დანახვაზე უმალ მისკენ მირბოდნენ, მათ ხომ საკენკს მირანდა უყრიდა ხოლმე.

იგი თავს ბედნიერად გრძნობდა, მისთვის ჩვეულ და საყვარელ გარემოში. თითქოს აქ ყოფნისას უფრო ღრმად და თავისუფლად სუნთქავდა.

ცირამ და მირანდამ ბაღში ახალი ყვავილები დათესეს და პატარა ბავშვივი უხაროდათ. ყოველი დილა მათი მონახულებით იწყებოდა.

ნაშუადღევს მათთან დოდო მოვიდა. იგი უბანში მომხდარ ახალ ამბებს თავის საკუთარ მოსაზრებასაც უმატებდა და მისთვის ჩვეულ ენაწყლიანობით გადასცემდა მათ.

ერთ მშვენიერ დღეს მათ ისიც აუწყა, რომ ხვალ ომარი და თავისი მამიდა ფიქრია ჩამოდიანო.

ცირას მირანდას რეაქცია აინტერესებდა და უმალვე მას შეხედა – მირანდა სახეგაბრწყინებული იღიმებოდა.

როცა დოდომ თავისი საინფორმაციო წყარო ამოწურა და წავიდა, ცირამ მირანდას ჰკითხა:

– მირანდა, რას იტყვი იმაზე, რომ ომარი სერიოზულად დაგელაპარაკოს თქვენს შეუღლებაზე?

– სერიოზული ლაპარაკი და მისი აუცილებლობა არასოდეს ყოფილა, მაგრამ გამოსაშვებ საღამოზე რაღაც მაგდაგვარი ითქვა.

მე კი ვუთხარი, რომ ჯერ სპეციალობა უნდა მივიღოთ და მერე ვილაპარაკებთ–მეთქი.

– იმაზე არ გიფიქრია, რომ ეგ იმას ნიშნავდა – როცა ინსტიტუტს დავამთავრებთ, ეგ მერე მოხდებაო? რაც იმას ნიშნავს, რომ მას პირობა მიეცი?! ისე როგორც შიოს! და შეიძლება, რომ მან პრეტენზიაც კი წამოგიყენოს – თუ სხვა გიყვარდა, მე რატომ მალოდინე ხუთი წელიო?!!

– არა ცირა, მე, მისთვის არავითარი პირობა არ მიმიცია. უბრალოდ ამ თემაზე ლაპარაკს მოვერიდე.

ხუთი წელი არც ისე პატარა დროა, იგი ძალიან მგრძნობიარეა და ნამდვილად შეყვარებულია ჩემზე – რა უნდა მექნა? მისთვის

ყოველივე იმედი მომეკლა და გამებოროტებინა?

რაც მთავარია – თუ მას მართლა ძლიერი სიყვარულის გრძნობა ამოძრავებს, სიყვარული კი, როგორც ამბობენ სასწაულის მომქემედია, მაგი ამ ხუთი წლის მანძილზე ნამდვილ სპეციალისტად, კეითლშობილ ზრდასრულ მამაკაცად და რაც მთავარია „დიპლომიან სასიძოდ“ ჩამოყალიბდება!

ამაში კარგის მეტს ვერაფერს ვხედავ. ამ ხნის მანძილზე კი ბევრს უნელდება ეს ბავშვური გატაცება და შეიძლება, რომ მადლობელიც კი დამრჩეს, რომ უფრო მაგარ პალოზე არ დავაბი!

შეუყვარდება ვინმე და ის „ვინმე“ ჩაიბარებს კარგად აღზრდილ, მშვენიერ დაგანათლებულ პიროვნებას! ცუდია?! ცირა იღიმებოდა.

– ცუდი ის არის, რომ ადამიანს იმედი არ უნდა გაუცრუო!

– მე მისთვის არავითარი იმედი არ მიმიცია, უბრალოდ ვუთხარი, რომ მერე ვნახოთ–მეთქი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგი ბათუმში – ჩვენთან დაუმშვიდობებლად არ წავიდოდა.

– კარგი, კარგი. აბა ვნახოთ როგორ გუნებაზე ჩამოვა?

33

შიო და გიორგი ქობულეთში, ზღვის ნაპირას არსებულ პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზ და კომფორტულ სახლში ისვენებდნენ.

გიორგი იქაურ ჰავას კარგად იტანდა და თითქმის ყოველწელიწადს იქ ისვენებდა.

შიოს ძალიან უყვარდა იქაურობა და ზღვიდან თითქმის არ ამოდიოდა. რასაც ვერ ვიტყვით იზაზე. იგი თბილისიდან ჯანმრთელი მიდიოდა და იქიდან კი თითქმის ავადმყოფი ჩამოდიოდა. შიოს ბიჭებთან ერთად ზღვაში ღრმად შეცურვა უყვარდა, რასაც ნაპირზე მჯდომ იზასათვის განუწყვეტელი ნერვების წყვეტა მოჰქონდა.

გიორგის ხშირად აწუხებდა გულის შეტევები. მართალია იგი ეხლა თავს უკეთესად გრძნობს, მაგრამ მისი სადმე მარტო გაშვება მაინც არ შეიძლება.

ამჟამად იგი თავს კარგად გრძნობდა, რაშიც სახლის დიასახლისს დიდი წვლილი მიუძღვოდა. იგი გიორგის დიდ პატივს სცემდა და ანებივრებდა კიდეც. ისეთ სადილებს უმზადებდა რომელიც მისთვის სასარგებლო იყო.

მისი მეუღლე კი ნარდის თამაშის დიდი ოსტატი იყო და ისიც დიდ დათმობაზე მიდიოდა, რათა გიორგის ხშირად მოეგო მისთვის და ამით კარგი გუნებ–განწყობა შეენარჩუნებინა.

გიორგი ხვდებოდა ყველაფერს მაგრამ არ სწყინდა, პირიქით დიდად აფასებდა მის გულისხმიერებას.

გამარჯვება კი, როგორც არ უნდა იყოს იგი – მაინც სასიამოვნო ფაქტია!

თბილისიდან ჩამოსულმა იზამ მათ მირანდას მოკითხვა გადასცა და უთხრა, რომ ისინი სექტემბრამდე ხონში დარჩებიანო.

იზა გააოცა ამ ამბის გამგონე შიოს გულგრილობამ. მაგრამ იფიქრა, რომ იგი საკითხს შეგნებულად უდგება და მოთმინების მეტი აღარაფერი დარჩენია.

სადილის შემდეგ როცა იზა და გიორგი მარტონი დარჩნენ, მან გიორგის თავისი მოსაზრების ახსნა სთხოვა.

– იზა, გენაცვალე, მანდ გასაკვირი და საიდუმლო არაფერია. შიო უკვე 23 წლისაა. აბა რა გინდა, ქორწინებამდე ბერად ხომ არ აღიკვეცება?

აქ ისეთი გოგოები არიან რომ, შიო კი არა, მე, რომ ავად არ ვიყო – უთქვენოდაც კარგად დავისვენებდი!

– მესმის მაგრამ, მეშინია შიოსა და მირანდას შორის რაიმე უთანხმოება არ მოხდეს და ერთმანეთს არ დაშორდნენ.

– არა მგონია, მირანდა ჭკვიანი გოგოა და შიო ძალიან უყვარს. ეტყობა ზოგიერთებივით ეჭვიანი არ არის.

იზა მას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, პატარა ბავშვივით მოეფერა და უთხრა:

– ნეტავი მაგათაც ეყვარებათ ერთმანეთი ისე, როგორც ჩვენ? და ისიც ამდენი წლის შემდეგ?

– მე გონია, რომ მასეც იქნება – „თვალს რომ წყალი დაალევინო“ ეს სულ სხვა რამეა და ნამდვილი სიყვარული კი უდიდესი გრძნობაა!

34.

დილით, როცა ცირა და მირანდა თავიანთ ახლად ამოწვერილ ყვავილების ცქერით ტკბებოდნენ, ქუჩაში ტაქსმა ჩაიარა. ცირამ მირანდა სგადახედა და უთხრა:

– ესენი ალბათ ომარი და ფიქრია იყვნენ.

– მეც მასე მგონია.

– დღეს საღამოს თუ არა ხვალ ალბათ აუცილებლივ გვესტუმრებიან. ჩვენ და ფიქრია ერთად დავიზარდეთ. ძალიან კარგი ქალია. შოთაც კარგია – მათ ერთმანეთი ბავშვობიდან უყვადათ და როცა შოთამ გემზე დაიწყო მუშაობა შეუღლდნენ კიდეც.

თავიდანვე ბათუმში ცხოვრობდნენ. ორივენი მუშაობდნენ, ბავშვებს დედამისი უზრდიდა.

მათმა თავისი მოსაზრება ესმასაც გაუზიარეს.

– ეგ თქვენ გგონიათ, რომ მე მაგაზე არ ვზრუნავ? მე და ფიქრია ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით და როცა ეგენი შეყვარებულები იყვნენ, ყველაზე ადრე ეგ ამბავი მე ვიცოდი. მე, მისი გულის მესაიდუმლე ვიყავი.

ყველაფერი მზად მაქვს მაგათ შესახვედრად. ფიქრია გიჟდება ჩემ გამომცხვარ ხაჭაპურზე!

დღეს არა მგონია, მაგრამ ხვალ კი, უეჭველად მოვლენ.

– ესმა, შენ არასოდეს ყოფილხარ შეყვარებული?

ეშმაკური ღიმილით შეეკითხა მას მირანდა.

– როგორ არა და ძალიანაც! – მეათე კლასში რომ ვიყავი ჩვენს სკოლაში გადმოვიდა სასწავლებლად ქუთაისელი ვაჟი, რომელსაც დედა გარდაეცვალა და მამა ავტოქარხანაში მუშაობდა. ბიჭი სულ მარტო დარჩა სახლში.

მამას შეეშინდა ცუდ ბიჭებს არ აყვესო და იგი დედამისს ჩამოუყვანა – აქ ხონში.

ძალიან კარგი ბიჭი იყო. მთელი სკოლის უმფროს კლასელებს მოსწონდათ იგი.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რატომღაც მაგ ბიჭმა – იმდენ ლამაზ გოგოებში, – მარტო მე გამხადა თავის ყურადღების ღირსი!

მე, რომ მითხრა – ამდენ გოგოებში მარტო შენ მომწონხარ და მიყვარხარო, თავი უხერხულად და ძალიან შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი – ალბათ დამცინის–მეთქი და მის მხარეს აღარც კი ვიხედებოდი – და აღარც ველაპარაკებოდი.

ის მხოლოდ ერთი წელი სწავლობდა ჩვენთან და ყველას კარგად დაამახსოვრდა.

მე იგი ძალიან შემიყვარდა, მაგრამ ამის აღიარება არ მინდოდა – ჩემთვის ვიტანჯებოდი.

როცა სკოლა დავამთავრეთ, კიდევ გამიმეორა, რომ მიყვარხარ, ცოლად გამომყევი და ქუთაისში ჩვენ სახლში ვიცხოვროთო.

მე მას არაფერი ვუთხარი და მეორე დღეს მამაჩემს თბილისში

წავყევი, რომ იგი აღარ მენახა. ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი, ვფიქრობდი ძალიან შემეხვეწოს და მერე წავყვები–მეთქი, მაგრამ ის აქ აღარ დამხვდა!

ესე ვკარი ხელი ჩემს ბედს.

ჩემთვის კი „მერე“ საერთოდაღარ იყო!

შემდეგ თბილისში ვცხოვრობდით და არც მე ვამჩნევდი არავის და არც მე შეუმჩნევივარ ვინმეს!

ასე დამთავრდა ჩემი „სევდიანი რომანი“!! მირანდა ტიროდა. იგი ესმას გადაეხვია და აკოცა. ორივენი ტიროდნენ, არც ცირა იყო კარგ დღეში.

– მაპატიე ესმა, რომ მცოდნოდა ეს ამბავი, არასოდეს გაგახსენებდი მას. გთხოვ მაპატიო!

მეორე დღეს ნაშუადღევს მათ ფიქრია და ომარი ესტუმრნენ.

ცირა და მირანდა ოთახში ტელევიზორს უყურებდნენ ესმა სტუმრებს შეეგება, ორივენი გადაკოცნა, მოიკითხა და სახლში შეიპატიჟა.

ცირა და მირანდა ისე იყვნენ ტელევიზორის ყურებით გართულნი, რომ ესმას ხმამ – სტუმრებს შეეგებეთო – ისინი გააოცა.

მირანდამ, რომ დაინახა ომარი და მამიდამისი, ძალიან გაუხარდა. ორივენი გადაკოცნა და სანამ ცირა ფიქრიას ესიყვარულებოდა მან ომარის ისე შეხედა თითქოს იგი პირველად ენახოს.

– ღმერთო ჩემო! როგორი შეცვლილი ხარ? ძალიან გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ, ნამდვილი „ზღვის ლომი“ ხარ!

მოდი დაჯექი და ყველაფერი მომიყევი!

ცირა ფიქრიასთან ლაპარაკით იყო გართული. მირანდა ომარის ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა.

– წერილში რომ მწერ მომწერე ბევრიო, ეხლა შენ მომიყევი ბევრი – გისმენ!

– მოსაყოლი არაფერია, ერთფეროვნებაა, ვსწავლობ, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ, შაბათ–კვირას მამიდასთან ვარ. ეხლა კი აქეთ წამოვედი.

– ეგენი ხომ ვიცი, ნუ ეშმაკობ და თავს ნუ იკატუნებ. ძალიანაც კარგად იცი რაც მაინტერესებს! როგორა გაქვს საქმეები იმ სფეროში რაც გოგოებს შეეხება?!!!

შეყვარებული გყავს თუ არა და სხვა...

– რა გითხრა? გოგოები არიან, მაგრამ, რაც შეეხება შეყვარებულს ის მხოლოდ ერთია და იგი შენა ხარ!

– კარგი რა ომარი! როგორ გამაწბილე! ამდენი ხანია ბათუმში ხარ და არავინ შეგიყვარდა?!

მე კი შენგან ველოდი რაღაც ორიგინალურს, რომანტიულს, ლამაზ სიყვარულის ამბავს, შენ კი, ისევ ძველ ფირფიტას ატრიალებ?!

– თუ ეს ძველი ფირფიტა, შენი ცხოვრების არსია, მაშინ იგი ამად ღირს!

– კარგი, ე. ი. შენ ცხოვრებას ფეხი ვერ აუწყვე და ისევ შენსას იმეორებ, შენი ნებაა!

როგორ დაგხვდნენ აქ თქვენები? ხომ კარგად არიან? რატომ შოთაც არ ჩამოვიდა თქვენთან ერთად?

– იმიტომ, რომ იგი ერთი კვირით ფოთში გაემგზავრა, მე და მამიდა კი აქით წამოვედით. ძალიან მომენატრე, ჩემი ოცნება ასრულდა კიდევ ერთხელ ვიხილე მზე!

– შენ როგორა ხარ? შეგიძლია მომიყვე, რაღაც რომანტიული ამაღელვებელ, ლამაზ სიყვარულის შესახებ?

– ჯერ არა, მაგრამ რაღაცა გამოჩნდა ჰორიზონტზე!

– რაღაც თუ ვიღაც?

– ჰო, ვიღაც.

– მერე, როგორ გგონია საიმედოა? შენ შეგეფერება? ძალიან მეწყინება თუ გაწბილდები. მუდამ გახსოვდეს, რომ მე ყველა შემთხვევაში შენს გვერდით მიგულე. არამგონია ვინმეს ჩემსავით უყვარდე – ეგ კი, შენი გადასაწყვეტია.

– მადლობელი ვარ ომარი, მე მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

– ღმერთმა გისმინოს, წარმატებას გისურვებ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ კვლავ მეგობრებად დავრჩებით და ჩემს წერილებზე მიპასუხებ.

– რა თქმა უნდა. ჩვენ ძალიანაც რომ ვეცადოთ, ერთმანეთს მაინც ვერ დავივიწყებთ!

ომარი მირანდას ხელზე ეამბორა და მისი ხელი თავისაში მოამწყვდია.

მირანდას გაეცინა და გაიფიქრა – რა თბილი და მგრძნობიარე ხელები აქვს, ეტყობა ბათუმის ჰავა – სასიკეთოდ წაადგა!

ესმამ ყველანი სუფრასთან მიიწვია.

ფიქრიამ მირანდა მოიკითხა. გამოკითხა თბილისის და ინსტიტუტის ამბები. სთხოვა, რომ როცა მოისურვებ ბათუმში ჩამოდი

ჩვენთან – ჩვენს ქალაქს ვერ იცნობ, თავი ევროპაში გეგონებაო.

მირანდამ მიწვევისათვის მადლობა მოახსენა და თვითონაც ფიქრია თბილისში მიიწვია – არდადაგებზე გვეწვიეთო.

ისადილეს, ისაუბრეს და ცირას შეკითხვაზე – თუ რამდენ ხანს აპირებენ ისინი ხონში დარჩენას, ფიქრიამ უპასუხა, რომ, მხოლოდერთი კვირით არიან ჩამოსულები და რა თქმა უნდა, წასვლამდე კიდევ გინახულებთო.

35.

მართალია იზას ზღვაზე ყოფნა არ უყვარდა, მაგრამ ამჯერად იძულებული იყო – გიორგის ერთი წუთითაც ვერ მიატოვებდა.

იგი ხედავდა, რომ შიო მათ გვერდით ერთი წუთითაც არ ჩერდებოდა. ცურვით რომ გულს იჯერებდა, მერე ცხელ ქვიშაზე გასარუჯად წვებოდა და „ცალი თვალით“ პლაჟზე მყოფ გოგოებს ათვალიერებდა.

ეს, პლიაჟი კი არა უფრო სწორად – გრანდიოზული „პოდიუმი – ღია ცის ქვეშ“ იყო!

რა გინდა სულო და გულო, უფრო სწორად – „თვალო“?!! ევას დროიდან – დღემდე, ვისაც კი როგორიც უნატრია, თუ ვისი ფუნჯის შედეგრიც გამხდარა – ყველანი აქ არიან და რაც მთავარია თითქმის ყველანი – „ევას სამოსით“!

ეს ხომ ფანტაზიის სფერო არ არის? ეს რეალობაა და ამ ცდუნებას ვერცერთი ნორმალური მამაკაცი ვერ გაუძლებს!!!

ამაზე კი უკვე – „ვაშლ მირთმეულმა“, „ევას ქალიშვილებმა“ იფიქრეს:

ფრენ ბურთის თამაში პლაჟზე, ბანქოს თამაში, შეჯიბრი შორს ცურვაზე, „ბალეტი წყალქვეშ“ და სხვ...

არც ზოგიერთების მიერ „ექსპრომტად“ შემუშავებული კომპოზიციები იყო მიუღებელი!

რეკლამის მესვეურთ კი – დიდებული პანორამის არეალი და ვარიანტის არჩევანი აქვთ: „ედემის ბაღი“, „სამოთხე წყალზე და წყალქვეშ“!

– გიორგი შიო სად გაქრა?

– იზა, ჩემო კარგო, შენ ჭკვიანი ქალი ხარ და ამ კითხვას არ უნდა მისვამდე!

– მართალია, მაგრამ მე მას ვერ ვხედავ!

– თუ შიო პლიაჟზე არ არის ან ფრენბურთს არ თამაშობს, მაშინ

ჟაკ კუსტოს დაურეკე, მან იცის ზღვის ქვეშა სამყაროს ყველა საიდუმლოებანი!

ორივენი იცინოდნენ.

– მეშინია, შიო ძალიან არ გაერთოს გოგოებში და მირანდა არ დაკარგოს!

– მართალი ხარ საყვარელო, მაგრამ არა მგონია, რომ შიომ ეს სიამოვნება დათმოს და ეს რომ მოხდეს, მაშინ მე, მიუხედავად ყველაფრისა – ჩავთვლი, რომ იგი ჩემი შვილი არ არის!

– აბა რას ამბობ გიორგი? ხომ გითხარი რისიც მეშინია?

– რატომ გეშინია? მართალია მირანდა ძალიან კარგი გოგოა და ძალიან დასანანი იქნება ეგ, რომ მოხდეს, მაგრამ – ჩემი შვილი ქალაჩუნა არ არის და იგი ცხოვრებით უნდა დატკბეს!

ჩვენთვის კი, ყველა რძალი მისაღები იქნება ვისაც შიო შეიყვარებს! რას იტყვი?

იზამ თავი გადააქნია და მას კამათი არ დაუწყო.

36.

ბათუმში გამგზავრების წინა დღეს, ომარი და ფიქრია ისევ ესტუმრნენ მათ.

ესმას – სახლის უკანა ეზოში, საუკეთესო ჯიშის ხეხილიანი ბაღი ჰქონდა და მთელი ოჯახი ზაფხულის შემოდგომის და ზამთრის პერიოდშიც კი, ხილის ნაკლებულობას არ გრძნობდა.

მიუხედავად ამისა, ფიქრიამ მათ, მოზრდილი კალათით ძვირფასი ხილი მაინც მიართვა.

ომარიმ კი, მირანდას, ძალიან ლამაზი თეთრი ლეკვი მოუყვანა.

– როცა აქ ჩამოხვალ და ამას დაინახავ მე გაგახსენდებიო.

ყველანი იცინოდნენ. მირანდამ ლეკვი ხელში აიყვანა, მოეფერა, შეაქო – რა კარგი ბიჭიაო და ომარის დიდი მადლობა მოუხადა საჩუქრისათვის, თანაც გაეხუმრა:

– მე რა გაჩუქო, შენ რომ ბათუმში გამიხსენო – კატა?

– მე, შენ ყოველთვის მახსოვხარ, მაგრამ შენს ფოტო–სურათს თუ მაჩუქებ ძალიან გამახარებ.

– კეთილი, მოდი და თვითონ აირჩიე რომელიც გინდა.

მირანდამ მას თავისი ფოტო–ალბომი გაუწოდა, მათმა ერთად დაიწყეს მისი დათვალიერება.

ამ ფოტოებმა მათ თავიანთი ბავშვობის ბევრი მომენტი გაუცოცხლა. ორივენი ისეთი მხიარულები იყვნენ და ისე იცინოდ-

ნენ თითქოს ისევ ერთი კლასელები იყვნენ.

ცირა და ფიქრია კი, უფრო სერიოზულ თემაზე საუბრობდნენ. ესმა, როგორც ყოველთვის, ციბრუტივით ტრიალებდა. მალე მან ყველანი სუფრასთან მიიწვია და თვითონაც მათ საუბარში ჩაერთო.

უფროსებიც იხსენებდნენ თავიანთ ერთად გატარებულ ბავშვობას, ყველას და ყველაფერს.

ბოლოს მათი დამშვიდობების დროც მოვიდა, მასპინძლებმა სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილეს.

ომარიმ მირანდას დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა, მირანდა მისთვის ხელს წართმევას არ ჩქარობდა. ომარის მისთვის ხელი არ გაუშვია, ისე შეეკითხა:

– ჩემს ნაჩუქარ ლეკვს რას დაარქმევ?

მირანდა ამ კითხვას არ ელოდა, მისთვის ხელი არ წაურთმევია ისე – ოდნავ დაფიქრდა და უპასუხა:

– რას დავარქმევ და მარსიას! მოგწონს?

ომარისგაეღიმა, თვალები გაუბრწყინდა და სიხარულით უპასუხა:

– ძალიან მომწონს! როცა შენ მაგას მოეფერები, მე ამას ბათუმში ვიგრძნობ, გჯერა?!

– ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ დაუჯერებელი არაფერია.

როგორც იქნა ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ყველანი თავ–თავის საქმეს და ფიქრებს დაუბრუნდნენ.

როცა ყველაფერი მოაწესრიგეს მირანდა თავის ლეკვს მიუბრუნდა, მოეფერა და უთხრა:

– მე შენ მარსია დაგარქვი მოგწონს?

მირანდამ მას დაბალ მუყაოს ყუთში, ესმას ძველი შალი ჩაუფინა, რძე დაალევინა და შიგ ჩასვა. ყუთს ერთ მხარეს „კედელი“ შემოაჭრა, რომ ლეკვი მასში თავისუფლად შესულიყო.

მერე საძინებელ ოთახში შევიდა და თავისთვის იცინოდა – რა ლამაზი ლეკვია, ნეტავ რამ აფიქრებინა მისი ჩემთვის ჩუქება?

ამას თბილისში ხომ ვერ წავიყვან და აქ მის დატოვებაზე გული დამწყდება.

თვითონ როგორი შეცვლილია, უფრო გამაღლდა და დავაჟკაცდა, უფრო თავდაჯერებული და ლაღი გახდა.

ისეთი გულჩათხრობილი და ჩუმი აღარ არის.

რა საინტერესოა – როცა ადამიანები ხშირად ერთად არიან ერთმანეთის ცვლილებებს ვერ გრძნობენ. მიხარია, რომ უკეთესობისკენ იცვლება.

ნეტავი ბედნიერი იყოს!!!

37.

თბილისშიგამგზავრებამდე მირანდა სულ ლეკვის ფერებში იყო. ისიც მას ისე შეეჩვია, რომ მის გარეშე ერთი წუთითაც არ რჩებოდა – ბავშვივით ჭირვეულობდა, წკმუტუნებდა და განუწყვეტლივ მირანდას ეძებდა. ცირა სერიოზულად იყო შეშფოთებული.

– მირანდა, შენ ფიქრობ იმაზე თუ რა დაემართება ამ ლეკვს ჩვენ რომ წავალთ? ხომ იცი, ძაღლები ძალიან მგრძნობიარენი არიან!

– ცირა შენ ლეკვი განაღვლებს და იმაზე არ ფიქრობ მე რა დღეში ვიქნები? ყველა ადამიანიც ხომ უგულო არ არის?

– ჰო, მეც სწორედ ეგ მაწუხებს.

– ნუ ნერვიულობთ, მაგას ჩემთან არაფერი გაუჭირდება, შეეცადა მათ დამშვიდებას ესმა.

– გეთანხმები, ლეკვს კი, მაგრამ მირანდას?

მაშინ ხვალ ფოტოგრაფთან წაიყვანეთ, სურათი გადაუღეთ, ლამაზ ჩარჩოში მოათავსეთ, კედელზე დაკიდეთ და დატკბით მისი ყურებით!

– ესმა ალბათ მისი აქ დატოვება მართლაც მომიწევს. სურათს კი ნამდვილად გადავუღებ და თან წავიღებ!

ცირა მეორე ოთახში შევიდა და იქ იჯერა გული ტირილით.

მას მირანდა ძალიან შეეცოდა. ცირა თან ტიროდა და თან თავისთვის ბუდბუდებდა – სურათები! შენს ირგვლივ სულ სურათებია – დედის, მამის, ბავშვობის პერიოდის, „ობლის“, ბავშვობის მეგობარის, ეხლა კი ძაღლის?!!! მირანდა მას ოთახში შესვლისთანავე შეეკითხა:

– ცირა რატომ წევხარ? ცუდად ხარ?

– არა, უბრალოდ ჩემი მშობლები გამახსენდნენ და გული ამიჩუყდა.

– ეგ ბუნებრივია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისინი მოხუცებულები გარდაიცვალნენ, შენი ნერვიულობა კი არ შეიძლება.

თუ არაფერი გჭირდება, ცოტა დაიძინე და მერე ტელევიზორს ვუყუროთ, დღეს კარგი ფილმია.

– ჰო, ცოტას დავიძინებ.

მირანდა მიხვდა, რომ ცირას სევდის მიზეზი სულ სხვა რამე იყო – მაგრამ რა?! ამას ვერ ხვდებოდა.

თვითონ კი ლეკვთან თამაშით ისე გაერთო, რომ კინოს შესახებ მას ცირამ შეახსენა.

25 – აგვისტოს ცირა სკოლაში უნდა გამოცხადებულიყო – როგორც წესი და ორივენი თბილისს გასამგზავრებლად სამზადისს შეუდგნენ.

მირანდას იქაურობის დატოვება არ ეთმობოდა, იგი ისეთი თვალებით უყურებდა ყველას და ყველაფერს, თითქოს ხეებსაც კი ემშვიდობებოდა.

გიორგი თავს კარგად გრძნობდა, იზამაც ცოტათი დაისვენა. ყველაზე კარგად კი თავს, რა თქმა უნდა შიო გრძნობდა. მას ზღვაზე ბანაობას და მზეზე გარუჯვა ძალიან მოუხდა. იგი ბრინჯაოს ლამაზ ქანდაკებას დაემსგავსა. ნამდვილი – ახალგაზრდობის და ჯანმრთელობის განსახიერებაა.

მართალია მათ თბილისური – აგვისტოს სიცხეების გაძლების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ გიორგის შვებულება უმთავრდებოდა და ვერც შიო გააცდენდა ლექციებს.

თუმცა დღევანდელ დროს აგვისტოს სიცხეები, არც ისე დიდ დისკომფორტს გვიქმნის როგორც წინათ – ეხლა სახლში და სამსახურშიც მაცივრები და კონდენციონერები აგვარებენ ამ პრობლემებს.

პლიაჟიც და სანატორიუმებიც ნელ–ნელა ცარიელდებოდა – ალბათ მათაც სწყდებათ გული, რომ ახალგაზრდულ ჟრიამულს, „ხავერდის სეზონის“ მოყვარული, უფრო მშვიდი და სოლიდური ხალხის ნაკადი შეცვლის.

რომელთა „ედემის ბაღის“ ზღაპრებმა უკვე მოგონებების სფეროში გადაინაცვლეს და მათმა ბრინჯაოს ლამაზმა ქანდაკებებმა – საოჯახო ფოტო ალბომებში სამუდამოდ დაიდეს ბინა.

39.

ცირა და მირანდა თბილისში გასამგზავრებლად მზად იყვნენ. ბარგიც ჩალაგებული ქონდათ. გადაწყვიტეს, რომ დილით ადრიანად გაემგზავრებიან.

ესმა მათ ყველაფერს საუკეთესოს და რისი წაღებაც კი შეიძლებოდა ყველაფერ აუცილებელს ატანდა.

– რა ამბავია ესმა, ამდენი რამე მანქანაში როგორ მოვათავსოთ?

– არა უშავს, შემოდგომაზე – როცა მე ჩამოვალ, მაშინ ნახავთ თურმე რამდენი რამის წამოღება შეიძლება!

სამივეს განშორების სევდა შემოსწოლოდათ. მაგრამ ცდილობდნენ, რომ თავი ხალისიანად სჯეროდათ.

დილით, როცა მათ წასაყვანად მანქანა მოვიდა და მძღოლმა ბარგი ჩაალაგა, მათი დამშვიდობება უცრემლოდ ვერ მოხერხდა.

ცირამ მირანდას კიდევ ერთხელ სთხოვა, რომ მანქანაში – არც დღეს და არც არასდროს წინ – მძღოლის გვერდით არ დაჯდეს!

მირანდამ იცოდა ამის მიზეზი და უხმოდ დაჯდა უკანა სავარძელზე. ცირამ ესმას რაღაც ანიშნა. ესმამ ნაჭერ გადაფარებული პატარა კალათი ცირას მიაწოდა.

მანქანა დაიძრა – ესმა ტიროდა და თან მათ გზას ულოცავდა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, ცირამ მძღოლს სთხოვა, რომ მანქანა გაეჩერებინა. იგი მანქანიდან გადმოვიდა და მირანდას კალათი მიაწოდა.

– ეს რა არის?

– რა უგულო ყოფილხარ! როგორ ტოვებდი ამ უმწეოს და რა არხეინად მიემგზავრები!?

მირანდამ კალათაში ჩაიხედა, იქ მის ლეკვს ისე უშფოთველად ეძინა, როგორც – ჩვილს დედის კალთაში!

მირანდა სიხარულისგან ტიროდა.

– ცირა, იცი რომ წუხელ მთელი ღამე ამას ჩემთან ეძინა? ვერ გაგიბედე მეთქვა. ვიფიქრე თავის გაწკრიალებულ ბინაში ლეკვს როგორ აიტანს–მეთქი, ამის გაფიქრებაც კი მერიდებოდა.

მადლობა ცირა – შენ მე დღეს მთელი სამყარო მაჩუქე! მიუხედავად იმისა, რომ რაც თავი მახსოვს, შენ ყოველთვის მათამამებდი და ყველაფერს საუკეთესოს მჩუქნიდი.

ძნელი სათქმელია, იმ წუთში ვინ უფრო ბედნიერი იყო – დეიდა თუ დისშვილი?!!!

40.

თბილისში ჩასვლისთანავე მირანდამ შიოს დაურეკა. ყურმილი იზამ აიღო. ორივეს ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ხმის გაგონება.

მოკითხვის შემდეგ მირანდამ შიო იკითხა. იზამ უთხრა, რომ

დაბლა მაღაზიაში ჩავიდა საყიდლებზეო. მირანდამ სთხოვა, რომ მოვიდეს დამირეკოსო.

ცოტა ხნის შემდეგ შიომ დაურეკა. ერთმანეთი მოიკითხეს. შიომ მირანდა საყვედურებით აავსო:

– ორი დღეა, რაც ჩამოვედი და ალბათ ასჯერ მაინც დაგირეკე, ვგიჟდები ისე მენატრები. როგორ გასძელი ორი თვე უჩემოდ? აღარ გიყვარვარ?!

– მეც ძალიან მენატრები, როდის გნახავ?

– როდის და ეხლავე, აქვე ვარ მარჯანიშვილზე, წუთში შენთან ვიქნები, ვაჟას მანქანით ვართ.

– რამდენი ხანია რაც მანდა ხარ?

– დილიდან. რა იყო რატომ მეკითხები?

– უბრალოდ. კარგი მოდი, მოუთმენლად გელოდები!

მირანდამ ყურმილი დადო. ხასიათი წაუხდა. ე. ი. იზამ მომატყუილა, შვილს იცავს – ბუნებრივია! არ უნდა, რომ პირველ დღესვე ვიჩხუბოთ.

მთელი დღე ვაჟას მანქანით დაქრიან, არ შეეძლო დაერკა? მას დრო აღარ ჰქონდა. სარკეში ჩაიხედა, თმები შეისწორა და თავისთვის ჩაილაპარაკა – „მწარე აბია, მაგრამ უნდა გადავყლაპო – თუ მინდა, რომ თავი არ მეტკინოს“.

ზარი დარეკეს. მირანდამ კარი გააღო. შიო მარტო იყო. მათმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

– მირანდა საყვარელო, მოდი ჩაგეხუტო, რა ლამაზი ხარ, კიდევ უფრო დამშვენებულხარ! ძალიან მომენატრე. ხონში ჩამოსვლა მინდოდა, მაგრამ ხომ იცი ჩვენების ამბავი? თანაც მამა სერიოზულადაა ავად.

მათი ხმის გაგონებაზე ცირა გამოვიდა და შიოს მიესალმა.

– შემოდით, რა უცხოებივით დერეფანში დგახართ?

შიო და მირანდა დივანზე დასხდნენ. ისინი თავ–თავიანთ ამბებს ყვებოდნენ.

ცირამ მათ ყავა, ნამცხვარი და ცივი ხილი შემოუტანა.

მირანდამ შიოს მარსია წარუდგინა:

– ნახე რა საყვარელია, ხონში მაჩუქეს. ცირასაც ძალიან უყვარს, თორემ ამას თბილისს ვინ აღირსებდა? რაც მთავარია – ძალიან კარგია, სუფთა და ზრდილობიანია. უკვე ყველაფრის ადგილი იცის! არც მტირალაა, ჭამს და სძინავს. ძალიან საყვარელი ვინმეა – ხომ მოგწონს?

შიოს გაეღიმა წარბები ასწია და მირანდას უთხრა:

– ეგ უფრო გიყვარს თუ მე? ვშიშობ, რომ ხონიდან ჩემი სერიოზული მეტოქე ჩამოიყვანე!

– აბა რას ამბობ? რა სულელიხარ, რა თქმა უნდა შენ უფრო მიყვარხარ!

შიოს ხარხარს, ცირას სიცილიც მიემატა და მირანდა ვერც კი მიხვდა ამის მიზეზს და ამას, თავისი კისკისიც წამოეწია.

შიოს ლეკვი მართლაც ძალიან მოეწონა, მაგრამ ცირა, რომ სახლში არ ყოფილიყო შეხვედრას უფრო წარმატებულად ჩათვლიდა.

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს, ხილი და ტკბილეული მიირთვეს. შიო მათ დაემშვიდობა და მირანდას უთხრა, რომ საღამოს დაურეკავს.

– მირანდა, შიომ მართალი გითხრა, მგონი ეგ ლეკვი ჩემზეც და მასზეც ძალიან გიყვარს, რას იტყვი?

– იმიტომ, რომ ეს პატარაა, უმწეო და მას ობოლის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, იცოდა რომ ამით ცირას ისევ ცრემლს მოჰგვრიდა.

ამას ამხანაგიც კი არა ჰყავს! ეხლავე ვაჭმევ და დილამდე იძინებს – ხომ ჭკვიანია ცირა?!

– ჰო, მალე პროფესორის ადგილს შესთავაზებენ. ეხლა კი საქმეს მივხედოთ და დროზე დავიძინოთ.

ხვალ ადრე უნდა ავდგეთ.

41.

პირველი სექტემბერი ყველასათვის გამორჩეული დღეა. განსაკუთრებით მათთვის ვინც სასწავლებლებში მიიჩქარიან.

ცირა სკოლაში წავიდა, მირანდა ინსტიტუტში. შიო მას იქ ელოდებოდა. ერთმანეთი გადაკოცნეს და სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს – კურსელების მისალმება–მოკითხვებს ვერ აუდიოდნენ.

როცა ჯგუფში შევიდნენ და დასხდნენ – იქ კი გული იჯერეს საუბრით. შიო მირანდას წამდაუწუმ ხელებს უკოცნიდა.

ეკაც მალე მოვიდა. მათი საუბრის შეწყვეტა მხოლოდ ზარის ხმამ შესძლო.

მათ თითქოს მონატრებოდათ კიდეც ლექციების მოსმენა და კონსპექტების წერა.

ეხლა ისინი მესამე კურსელები არიან და აუდიტორიებში უფრო

ნაკლებად რჩებიან, ვიდრე კლინიკებში – პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ცხრილით გაირკვა, რომ ხვალ ქალაქის პირველ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში უნდა იყვნენ. ყველას ძალიან გაუხარდა. ბუნებრივია – მათ ნამდვილი ექიმობა ეჩქარებოდათ.

ლექციების შემდეგ ვაჟამ და ეკამ მათ სახლში მანქანით წაყვანა შესთავაზეს.

შიომ მათ მადლობა მოუხადა, სთხოვა, რომ მირანდა წაიყვანეთ, მე კი მეტროთი წავალო.

ეკამ და მირანდამ ცალკე საუბარი ვერ მოახერხეს, ეკამ უთხრა, რომ საღამოს დაურეკავს და კვირას მარსიას სანახავად აუცილებლად მივა მათთან.

სახლში შესულ მირანდას ცირამ ბარათი გადასცა. – ეს წუთია მოვედი და ეს მოსალოციც გაზეთებთან ერთად ამოვიტანეო.

მირანდას ძალიან გაუხარდა – ომარი მას ახალ სასწავლო წელს ულოცავდა.

მირანდამ იგი თავის საწერ მაგიდის უჯრაში ჩადო, სადაც ომარის სურათს და სხვა წერილებს ინახავდა.

მან სურათი ამოიღო, გაუღიმა – მეც გილოცავო უთხრა და სურათი ისევ უჯრაში ჩადო.

ჩემი მოსალოცი ბარათი არ მიუღია თორემ მომწერდაო. მარსიას დახედა – გაეღიმა, მოეფერა. იგი მას ისე ესაუბრებოდა თითქოს მისი ახლო მეგობარი ყოფილიყოს. მარსიაც მის დანახვაზე კუდს მომეტებულად აქიცინებდა და ძალიან საყვარლად წკმუტუნებდა.

დრო გადიოდა. მირანდა ძალიან იღლებოდა პრაქტიკული მეცადინეობებით ქალაქის სხვადასხვა კლინიკებში და საგნებსაც მთელი დატვირთვით და გულსყურით სწავლობდა.

მართალია ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო და აუცილებელია, მაგრამ ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა და მათი ასაკისათვის დამღლელი და მოსაწყენიც კი იყო.

ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური ძვრებიც დაიწყო.

თითქოს ჰაერიც მავნე ენერგიით დაიმუხტა და ხალხიც რაღაც ცუდის მოლოდინშიგაინაბა.

ვაჟი სტუდენტებიც, ერთმანეთში მოკლედ და მშვიდად, ძალიან გასაიდუმლებულად, რაღაცაზე მსჯელობდნენ.

გოგოებს უკვირდათ – ნეტავ რა საიდუმლო გაუჩნდათ, რევოლუციას ხომ არ აწყობენო?

მირანდა არავის საქმეში არ ერეოდა და არც ცნობისმოყვარეობა სტანჯავდა.

მისი მთავარი მიზანი იყო ესწავლა და იგი ამას პირნათლად ასრულებდა.

მისი აზრით პოლიტიკა ყველა ქალის საქმე არ არის. ქალი უნდა იყოს კარგი მეუღლე, კარგი დედა, კარგი დიასახლისი და კარგი სპეციალისტი – თუ კი იგი რაიმე სპეციალობას ფლობს.

პოლიტიკა – პოლიტიკოსების საქმეა – ქალია იგი თუ მამაკაცი.

მისი და შიოს ურთიერთობა საუკეთესოა – ისინი ერთმანეთზე ძალიან შეყვარებულები არიან, ერთმანეთის აზრს და გრძნობებს პატივს სცემენ, არ ჭირვეულობენ, არასდროს არ კინკლაობენ, დასახული მიზნის მიღწევას თავდაუზოგავი მეცადინეობით ცდილობენ.

დრო ულმობლად გარბის, მალე მესამე კურსს დახურავენ. საინტერესოა ზაფხულს სად და როგორ გაატარებენ?

გიორგი ჯანმრთელობას აღარ უჩივის. იზას იგი ძალიან უყვარს და ბავშვივით ათამამებს. ისიც იზას გარეშე ერთ დღეს ვერ სძლებს.

შიომ მირანდას ზაფხულში – მათთან ერთად ზღვაზე წასვლა შესთავაზა, რაზედაც ლამაზი უარი მიიღო.

მოწვევისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ ზღვა არ მიყვარს და თანაც თავს თავისუფლად ვერ ვიგრძნობ.

– რატომ? ჩვენ ერთად ვიბანავებთ. დედა და მამა მამედიცინო პლაჟზე მიდიან–ხოლმე.

– არა, ჯერ მე თქვენი ოჯახისწევრი არა ვარ და ვერ შევზღუდავთ. სხვა დროს იყოს – კარგი?

– კეთილი, როგორც შენ ისურვებ ისეც იქნება. გინდა მე წამოვალ თქვენთან ერთად ხონში?

– რას ამბობ? ხომ გითხარი ეგ შემდეგისათვის გადავდოთ–მეთქი?

– კარგი საყვარელო, შენ რას აპირებ?

– მე, როგორც ყოველთვის ჩემ დეიდებთან დავისვენებ, მარსიასაც თან წავიყვან ეზოში თავისუფლად ინავარდებს. აქ პატიმარივით არის სახლში გამომწყვდეული.

– კარგი, შევთანხმდით. მშობლებს დღესვე მოვახსენებ შენს

აზრს.

– მოკითხვის გადაცემა არ დაგავიწყდეს!

– მირანდა, არ გინდა ამ კვირას ჩვენთან ერთად ისადილო?

– დიდი სიამოვნებით, მაგრამ არ მინდა რომ შეწუხდნენ.

– რა შეწუხებაა, უცხო ხომ არა ხარ? ეს მშობლების სურვილია.

– კარგი, მხოლოდ წინასწარ მითხარი როდის გესტუმროთ.

– აუცილებლივ!

კვირა დღეს ცირა და მირანდა ეკლესიაში წავიდნენ. ცირა დაიღალა და მირანდას უთხრა, რომ მაღაზიაში შედი, რაც ფურცელზე გიწერია ის იყიდე და მოიტანე, მე კი სახლში ავალო.

კიბეებზე ასულ ცირას კარებთან შიო დახვდა. იგი მათ ზარს რეკავდა.

ცირა მას მიესალმა, კარები გააღო და შიო შეიპატიჟა.

– შემოდი, მირანდა ეხლავე ამოვა, მაღაზიაში შეყოვნდა.

– მე კონსპექტისთვის მოვედი, დაველოდები.

– კონსპექტი აიღე და მომიყევი როგორ არიან იზა და გიორგი. ცირამ სამზარეულოს მიაშურა.

შიო მირანდას ოთახში შევიდა და მაგიდიდან კონსპექტი აიღო. მოხდა უნებურად მაგიდის უჯრა გამოაღო – იქ ომარის სურათი და მოსალოცი ბარათი იდო. მან სურათი სასწრაფოდ აიღო, უკან მხარეს დახედა – არაფერი ეწერა, ბარათი სასწრაფოდ უჯრაში ჩადებამდე წაიკითხა და ისევ სურათს დააკვირდა. ორივე სასწრაფოდ ჩადო უჯრაში და კონსპექტით ხელში სასტუმრო ოთახში გავიდა. დივანზე დაჯდა და კონსპექტის ფურცვლა დაუწყო, მაგრამ იგი სხვაგან იყო.

ცირამ მას ხილი და ცივი წვენი მიართვა.

– მიირთვი შიო, მირანდაც ამ წუთში მოვა.

– შიომ მას შეხედა, უნდოდა გაერკვია სად იყო და რა ხდებოდა.

– რა იყო შიო? ხომ მშვიდობაა? რაღაც ხასიათზე ვერ უნდა იყო.

– ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზეა. დღეს ბევრი საწერი მექნება. მირანდა ჩვენი ლექტორების არც ერთ სიტყვას არ კარგავს. ამდენს რა დაწერს?

კარებზე დარეკეს. ცირამ გაუღო. მირანდა ჩანთის ხელში შემოვიდა. ჩანთა ცირამ ჩამოართვა და უხრა, რომ შიო გელოდებაო.

– როდის მოხვედი? რატომ არ მითხარი თუ დღეს მოსვლას აპირებდი, ეკლესიაში ერთად წავიდოდით, აბა მითხარი რა ხდება, რაღაც ხასიათზე არ უნდა იყო, – რას მატყობ სამაგისოს? კონს-

პექტის მოცულობამ გამიფუჭა ხასიათი – სულ ეგ არის!

– არა უშავს, შენ ბეჯითი ბიჭი ხარ, ყველაფერს გაუმკლავდები.

– შენ მასე გგონია? უთხრა დაბნეულმა შიომ.

– მგონია კი არა, ასეც არის.

– კარგი მე წავალ. სამშაბათს ლექციების მერე ჩვენთან წავალთ, ცირა გააფრთხილე.

– რა გეჩქარება, ჩვენთან ისადილე.

– გმადლობთ, სახლში მელოდებიან.

– კარგი, ნახვამდის, მოკითხვა მშობლებს.

მირანდამ შიოს კარი მიუხურა და ცირასთან შევიდა, მისთვის არაფერი უთქვავს ისე დაიწყო მისი დახმარება.

– მირანდა, მე მგონია, რომ სადილად იმიტომ მიგიწვიეს, რათა ქორწინების დაჩქარებაზე ჩამოგიგდონ სიტყვა. რას ეტყვი?

– ცირა რატომ მეკითხები? ხომ იცი რომ, მე იმას ვეტყვი რასაც შენ სცნობ საჭიროდ.

– მართალია, მაგრამ შენ უკვე პატარა გოგო აღარა ხარ და ამიერიდან მე უნდა გეკითხებოდე შენ თუ როგორ აპირებ საკუთარი ცხოვრების მოწყობას.

– მე იმას ვიტყვი, რომ პირველი სიტყვა შენია, მერე მე თუ მექნება განსხვავებული აზრი გეტყვი და საერთო ჯამში როგორც ამბობენ „ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი უკეთესიაო“ ესეც იქნება!

– გეთანხმები, მაგრამ აქ საქმე შენს გრძნობებს და მომავალს ეხება. ამისათვის, ჯერ შენ უნდა სთქვა სათქმელი და მე კი, ან დაგეთანხმები ან რაიმეს გირჩევ.

– მაშინ ესე მოვიქცეთ, მე ხომ არ ვიცი ისინი რას შემომთავაზებენ? მე პასუხისთვის დროს მოვითხოვ და მერე ჩვენ ორივენი ერთად გადავწყვეტთ – კარგი?

– ძალიან კარგი! სწორი გადაწყვეტილებაა. საერთოდ გახსოვდეს – დაუფიქრებლად ნურას დროს გასცემ პასუხს – ნებისმიერ კითხვას!

– გასაგებია!

– ეხლა კი, ვსადილობთ და ვისვენებთ, დღეს ხომ კვირაა.

42.

ქუჩაში გამოსული შიო, თითქოს უცხო პლანეტაზე მოხვედრილიყო ისე შეჩერდა. იქაურობა მოათვალიერა, ცოტა მანძილის

გავლის შემდეგ ტროლეიბუსის გაჩერებაზე გაჩერდა. გადაწყვიტა, რომ იქ მას ყურადღებას არავინ მიაქცევს.

ესე ცუდად იგი არასოდეს ყოფილა. თავი უსკდებოდა, გული აჩქარებულად უცემდა, აზრებს ვერ ალაგებდა.

ვინ არის „ის“?! რატომ უდევს მირანდას მისი სურათი თავის უჯრაში? ვინ არის ომარი? რატომ გამოუგზავნა მოსალოცი ბარათი? და სხვა...

– ვინ არის ომარი მირანდასთვის? – სულერთია, მოვკლავ!!!

იქ კიდევ სხვა წერილებიც იდო, რატომ არ წამოვიღე? უნდა წამეკითხა! არა! – ეს რომ მირანდამ გაიგოს არ მაპატიებს, როგორ შევძელი ასე მოქცევა? ისიც მისი სახლში არ ყოფნის დროს!

რას იფიქრებს ცირა? – ქურდი ყოფილა, მე ვენდე – მან კი უჯრებში ქექვა დაიწყოო!

ეს არ უნდა ჩამედინა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მის საიდუმლოებას ფარდა აეხდება, რატომ არ ვიცი მე, მისმა საქმრომ – ვინ არის ომარი და რატომ აწარმოებენ ჩემს ჩუმად მიწერ–მოწერას?!!!

ძალიან შევცდი – წერილები უნდა წამომეღო, ის რომ თბილისელი იყოს რაში დასჭირდებოდა წერილებით ურთიერთობა?

არა! – უნდა გავიგო ყველაფერი, სადაც არ უნდა იყოს ვიპოვნი იმ „იუნგას“ და მივასიკვდილებ!!

შიო ისევ იმ გაჩერებაზე იდგა. ბოლოს გონს მოეგო და ოდნავ იმ იმედით დამშვიდებული, რომ ამ საიდუმლოს მალე ფარდა აეხდება, სახლში წავიდა.

მას თითქმის მთელი ღამე არ უძინია, ვიღას ახსოვდა კონსპექტი?

დილით ადრე ადგა, არ უსაუზმია ისე წავიდა ინსტიტუტში. დედის შეკითხვას თუ რა ხდება? არ უპასუხა.

მირანდამ იგი ესეთი გაფითრებული, რომ დაინახა თვითონაც შეშინდა:

– რა იყო შიო, რა მოხდა? ფერი არ გადევს, მითხარი ჩქარა!

– არაფერია, წუხელ ცუდად მეძინა, ალბათ გავცივიდი, სიცხე მქონდა.

– კარგი, მომეცი ჩემი და შენი კონსპექტები, ორივეს მე გადაგიწერ.

შიომ მას კონსპექტები გაუწოდა.

მირანდა გრძნობდა, რომ შიოს რაღაც აწუხებს და ლექციების

შემდეგ მორიდებულად ჰკითხა:

– შიო რა ხდება? – ჩვენ ხომ მომავალი მეუღლეები ვართ და ჩვენ თუ ეხლავე ერთმანეთს ჩვენს ჭირსა და ლხინს არ გავუზიარებთ და ერთმანეთისაგან საიდუმლოებები გვექნება – გარწმუნებ, რომ ვერ შევქმნით ისეთ ოჯახს, როგორსაც ორივენი ვისურვებდით!

შიომ თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო და თანხმობა განუცხადა – წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის თავს ვერ აპატიებდა ამ ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვებას.

– აბა გისმენ! ძალიან გთხოვ ყველაფერი მომიყვე, რაც ხდება – მაგ შენს ჭკვიან და ლამაზ თავში, რა უარყოფითმა ემოციებმა ჩაიბუდა?

– მირანდა, შენ იცი, რომ მე ძალიან მიყვარხარ და ძალიან მომწონხარ, მაგრამ გახსოვდეს, რომ ღალატს არ გაპატიებ!!

მირანდა მას გაკვირვებული მისჩერებოდა.

– რა სთქვი?! შიო არ მესმის რისი თქმა გინდა?

– იმისი, რომ შენ სხვა გიყვარს! მასთან საიდუმლოდ მიწერ–მოწერა გაქვს. მის სურათს შენს უჯრაში ინახავ და ალბათ ინსტიტუტის დამთავრებას ელოდები, რომ დიპლომიანი ექიმი და თანაც უმანკო ჩაბარდე მას!

მე კი, თითს არ მაკარებინებ, თავი უკარებად მოგაქვს და ჩემთან ერთობი – ხომ ასეა?!!

– ეგ რაც შენ ეხლა სთქვი, ვინ გითხრა?

– ვინ და მე თვითონ შემთხვევით ვნახე შენს უჯრაში, როცა კონსპექტს ვეძებდი.

– მხოლოდ ნახე თუ წაიკითხე კიდეც?

– არა, წაკითხვა ვერ მოვასწარი.

– მერე არ გაინტერესებს რა წერია იმ წერილებში?

– არა, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ ჩემთან ერთობი! და სერიოზულად, ნამდვილ საქმროდ არ მომიაზრებ.

– შიო, ეხლა მომისმინე რასაც გეტყვი და ძალიან გთხოვ ლაპარაკი არ შემაწყვეტინო! ჯერ კი მაგას – იმას დავამატებ, რომ ლეკვიც მან მაჩუქა და მე ის ლეკვი ძალიან მიყვარს! და მასთან ძალიან კარგადაც ვერთობი!!

ეხლა მეტს არაფერს გეტყვი იმის გარდა, რომ მე და შენ – ეხლავე მივდივართ ჩვენთან სახლში, მე დაგელოდები სადარბაზოში,

შენ კი ახვალ ცირასთან და ეტყვი, რომ მე გაგაგზავნე, უჯრიდან ამოიღებ ყველა წერილს და აქ ჩამოიტან!

მე და შენ შევალთ კაფეში და მათ იქ წავიკითხავთ.

დანარჩენზე კი მერე ვისაუბროთ – კარგი?

– კარგი, არ დაგიმალავ და ძალიან მაინტერესებს!

– სწორია, რატომ უნდა დავუმალოთ ერთმანეთს ის რაც ხდება ჩვენს ირგვლივ? როცა მე გკითხე მერის და შენს ურთიერთობაზე, შენ ხომ ყველაფერი აღიარე და ყველაფერშიც გამარკვიე, ეხლა კი ჩემი ჯერია!

ამ ლაპარაკში ისინი – მირანდას სახლთლან იყვნენ. მან შიოს ანიშნა, რომ იგიზემოთ ასულიყო.

შიო ყოყმანობდა, მაგრამ მაინც ავიდა. ქვემოთ ჩამოსულმა უთხრა მირანდას, რომ ცირას ძალიან გაუკვირდა ჩემი გამოცხადება, მაგრამ დავამშვიდეო.

– კეთილი, ეხლა კი შევიდეთ კაფეში. მყუდრო ადგილას დავსხდეთ და გავარკვიოთ – ვინ, ვინ არის!

შიომ ჯიბიდან წერილები ამოიღო და მირანდას გაუწოდა.

– მე ეგენი წაკითხული მაქვს, მაგრამ მომეცი თარიღების მიხედვით დაგილაგებ და შენ წაიკითხე, მე კი, კიდევ ერთხელ გავიხსენებ მას!

ამის გამგონე შიოს, სახეზე ალმური აუვიდა, თავი ძლივს შეიკავა და თითქოს შეთქმულების მონაწილე ყოფილიყო ისე დაიწყო წერილების – ერთი მეორეზე მიყოლებით ხმადაბლა კითხვა.

იგი ძალიან ნანობდა თავის საქციელს, რაც მეტ წერილს კითხულობდა – და ისინი არც თუ ისე ბევრი იყო – უფრო მეტად სცხვენოდა თავის საქციელის, მაგრამ თვითკმაყოფილების გრძნობას არ კარგავდა.

– დიახ, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე!!!

როცა წერილების კითხვა დაასრულა მირანდას შეხედა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია.

– როგორი აზრისა ხარ, კარგად წერს?! რა აზრი გამოიტანე? შიო მას თვალს ვერ უსწორებდა.

– არ ვიცი რა გითხრა!

– სამაგიეროდ მე ვიცი!!

შენ იცი, რომ მე ძალიან მიყვარდი და მართლაც ჩემი ბედის შენთან დაკავშირებას ვფიქრობდი, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება და აი რატომ:

შენ როგორ იკადრე და შეხვედი ჩემს საძინებელ ოთახში მაშინ, როცა მე სახლში არ ვიყავი?!

მეორეც ის, რომ – რატომ დაიწყე ჩემი უჯრების ქექვა? რას ეძებდი იქ, ან რა გაინტერესებდა? მე ხომ შენთვის ეჭვიანობის საბაბი არ მომიცია, რატომ გააკეთე ჩემი შეურაცხმყოფელი განცხადებები?

ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ შენი ეჭვები უსაფუძვლოა? რამ გაფიქრებინა, რომ მე შემიძლია შენთან გავერთო და სხვას გავყვე ცოლად? საიდან მოგდის ეგეთი აზრები?

ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ შენი ეჭვები სამარცხვინოა!

მართალია, ომარი ჩემი ბავშვობის მეგობარია, ერთად მოვდივართ საბავშვო ბაღიდან, ერთად გავიზარდეთ და სკოლაც ერთად დავამთავრეთ.

მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მას ვუყვარდი, მაგრამ მან ამის შესახებ მხოლოდ სკოლის დამთავრების გამოსაშვებ საღამოზე მითხრა.

ჩემი პასუხი შენ მისი წერილიდან ამოიკითხე. მე არ მინდოდა, რომ მისთვის გულცივად მეკრა ხელი, ვიფიქრე გაბოროტდება, შეიძლება ცხოვრებაზე გული აიყაროს და უმაღლესი განათლება არ მიიღოს – იგი ხომ ძალიან წესიერი, ნიჭიერი და ზრდილობიანია.

მან მთხოვა, რომ მეპასუხა მის მოსალოც ბარათებზე და მეც გული ვერ დავწყვიტე. მას ძალიან ვუყვარდი მთელი ამ წლების მანძილზე და მეც პატივს ვცემ მის გრძნობას. ამაში რა არის ცუდი?!

სამი წელია ხონში არ ჩამოდის, იმიტომ, რომ გრძნობს – მის და ჩემს ურთიერთობას მომავალი არა აქვს!

ჩამოვიდა თავის სახლში, თავის დედის და დის მოსანახულებლად, ჩვენც გვინახულა, ლეკვი მაჩუქა, ორივეს გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა – ნუთუ ეს დანაშაულია?!!

ჩემთვის არა, მაგრა მშენთვის თურმე მე ცრუ და მოღალატე ვყოფილივარ!

როგორ მოგივიდა აზრად, რომ ჩემს მხრიდან ესეთი რამე მოხდება?

შიო, შენ მე ძალიან მაწყენინე, გული მატკინე და დამამცირე. ჩემზე იფიქრე ის, რაც მე არასოდეს აზრადაც არ მომივიდოდა.

აქედან გამომდინარე, მე ჩემს მიმართ შენ აზრს ვერ შეგაცვ-

ლევინებ, მაგრამ მე, კი იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს გავუგებთ!

ძალიან გული მწყდება, მაგრამ ჩვენ დღეიდან მხოლოდ თანაკურსელებად ვრჩებით!

ხვალ კი, იზას ბოდიშს მოვუხდი, რომ დავპირდი სტუმრად მისვლას და ვერ მივალ.

მირანდა მწერილები ჩანთაში ჩაიდო და ადგილიდან წამოდგა. შიოს არც ხმა ამოუღია და არც ადგილიდან ამდგარა.

მირანდა დაუმშვიდობებლად გამოვიდა კაფედან და სახლში წავიდა. იგი თავს გამარჯვებულად გრძნობდა.

ცირას შეკითხვაზე თუ რატომ გამოგზავნა მან შიო რვეულისწასაღებად – უპასუხა, რომ კაფეში კურსელებთან ერთად ვიყავით და მაღლა ამოსვლა დამეზარაო.

მეორე დღეს მირანდა ისევ თავის ადგილზე დაჯდა. არ უნდოდა, რომ ვინმეს შეემჩნია მისი და შიოს ურთიერთობის გაწყვეტა.

ეკამ შეამჩნია, რომ მათ შორის რაღაც ხდება, რომ ერთმანეთს არც კი მიესალმნენ.

– რა იყო, გაიბუტეთ?

– დიახ და სამუდამოდ – მოკლედ მოუჭრა მირანდამ. ეკამ შიოს შეხედა, მართლა გაიბუტნენ თუ ხუმრობენ – და მას სერიოზულად ჰკითხა:

– მართლა?

– ჰო, მაგას მასე ჰგონია, მაგრამ მე არა! თუ მაგი მაგ ბუტიაობას არ მოიშლის – მე თავს მოვიკლავ და მერე მაგან ანუგეშოს ჩემი მშობლები.

ამის გამგონე მირანდას გული კინაღამ წაუვიდა. მართალია ხმა არ ამოუღია, მაგრამ ძალიან შეეშინდა.

– მირანდა, გაიგე რაც ვთქვი? ეკა მოწმეა, თუ ეხლავე არ დამელაპარაკები – იცოდე, რომ არ ვხმურობ!

– რა სისულელეებს ამბობ? გუშინ, შენ რა არ მაკადრე და მე რატომ არ მოვიკალი თავი? სახლამდესაც არ გამაცილე!

– იმიტომ, რომ შენ ისე არ გიყვარვარ, როგორც მე – შენ!

დღეს კი დედა გველოდება. თუ რაიმე გაწყენინე, ეკას თანდასწრებით ბოდიშს გიხდი, ყველაფერი დავიწყე კარგი?

– ჰო, კარგი, კარგი!

ლექციების შემდეგ ორივენი იზას ესტუმრნენ. მირანდამ მას ნამცხვარი და ყვავილები გადასცა. გიორგიც სახლში იყო. მან

მირანდა მოწიწებით მიიღო, ქათინაურებით შეამკო და თანაც უსაყვედურა, რომ ძალიან იშვიათად სტუმრობს მათთან, რომ იგი იზას და მას ძალიან მოსწონთ და შვილივით უყვართ, რომ მისი სტუმრობა მათთვის დიდი სიხარულია.

მირანდამ მადლობა მოუხადა მათ თბილი მიღებისათვის, ცირასგან კი დიდი მოკითხვა გადასცა. იზამ ისინი სუფრასთან მიიწვია.

ისადილეს ძალიან გულთბილ ვითარებაში, ხუმრობდნენ, იცინოდნენ და მუსიკას უსმენდნენ.

როცა მირანდამ მათ – მოწვევის და არაჩვეულებრივი საღამოსათვის მადლობა მოუხადა და წასვლა დააპირა, გიორგიმ მას რამოდენიმე წუთით დარჩენა სთხოვა, დივანზე მიუთითა და თვითონაც მის გვერდით დაჯდა. იზაც იქვე რბილ სავარძელში მყუდროდ მოკალათდა და გაღიმებული სახით მირანდას შესცქეროდა.

შიო აივანზე იყო გასული და სიგარეტს ეწეოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ღელავდა.

გიორგიმ გადაწყვიტა, რომ მირანდას გულახდილად მამა–შვილურად დაელაპარაკოს.

– მირანდა, ალბათ მიხვდი, რომ მე შენსა და შიოს მომავალზე მინდა დაგელაპარაკო.

მირანდას გაეღიმა, გიორგის თვალებში შეხედა და თვითონაც მოწიწებით უთხრა:

– ბრძანეთ, გისმენთ.

– მირანდა, როგორც მე ვიცი შენ და შიოს ერთმანეთი ძალიან გიყვართ და გადაწყვეტილი გაქვთ, რომ ლამაზი ოჯახი შექმნათ. რას იტყვი?

– თქვენ მართალს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენი მოლაპარაკებით ეგ უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ორივენი ინსტიტუტს დავამთავრებთ!

– სავსებით გეთანხმები, მაგრამ იმაზე რას იტყვი რომ ჩემს შვილს ძალიან უყვარხარ და უშენოდ ერთ წუთსაც აღარ სურს ყოფნა?!

თუ შენ გაითვალისწინებ ჩვენს მდგომარეობას – როგორც ერთად–ერთი შვილის მშობლებისას და ჩვენს თხოვნას ყურად იღებ – გპირდებით, რომ ჩვენ ყოველნაირ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ შენ სწავლაში ხელი არაფერმა შეგიშალოს.

– ბატონო გიორგი, მე მგონია, რომ თქვენ ოდნავ აზვიადებთ,

თქვენი ვაჟი კი, დაქორწინების აუცილებლობას სულაც არ გრძნობს!

– დიახ მირანდა, შენ სწორედ აღნიშნე და ჩვენც სწორედ მაგისი გვეშინია, რომ იგი ზომაზე მეტად არა გაეროთოს და ჩვენ ყველამ – შენი სახით, ჩვენთვის ყველაზე სასურველი და შვილივით საყვარელი ადამიანი არ დავკარგოთ!

– დიდი მადლობა ამ გულთბილი სიტყვებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც შიოსთვის, ასევე ჩემთვის, ბედნიერ მომავალის შექმნისათვის თავს არ დაზოგავთ.

სიმართლე გითხრათ, მეც მიფიქრია და ზოგიერთ რაიმეში დავეჭვებულვარ კიდეც, რომ შიომ დღეს არსებული თავისი დადებითი თვისებების შენარჩუნება შესძლოს.

– მირანდა შენი ეჭვები მაღელვებს, გთხოვ შეძლებისდაგვარად დააკონკრეტო – უთხრა მას გიორგიმ.

– ნუ ღელავთ, სერიოზული არაფერია, მაგრამ იგი ძალიან იმპულსურია და იმის მაგივრად, რომ სიტუაციაში მშვიდად გაერკვეს, იგი თავისი დაუსაბუთებელი ეჭვების ტყვე ხდება და მოვლენებს უსწრებს!

იზა არ მოელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას, მას ხასიათი აშკარად შეეცვალა.

გიორგიმ კიდევ ერთხელ სთხოვა მირანდას, რომ მას უფრო მკაფიოდ გამოეხატა თავისი აზრი.

მირანდა თავს უხერხულად გრძნობდა, მას არ უნდოდა, რომ მშობლებს მისგან გაეგოთ მომხდარის შესახებ. ეს მის მხრიდან შიოს დასმენას და მის ღალატს ნიშნავდა და გიორგის გაღიმებულმა უთხრა.

– ხომ გითხარით, რომ სერიოზული არაფერია, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, რაც შეეხება თქვენს წინადადებას, მასზე დასაფიქრებლად დრო მჭირდება და ალბათ ხვალ პასუხს მოგახსენებთ.

შიო ოთახში შემოვიდა და მიხვდა, რომ საქმე არც ისე კარგად არის როგორც მოელოდა.

იფიქრა – ალბათ მირანდამ მშობლებს ყველაფერი უამბო მის შესახებ და რა თქმა უნდა მათ წინადადებას იგი სიხარულით აღარ მიიღებდა და შეიძლება უარიც კი უთხრა, მათ რძოლობაზე!

მირანდამ მათ მადლობა მოუხადა და წასვლა დააპირა.

შიომ ნაძალადევად გაუღიმა მათ და უთხრა:

– რა მოხდა, საიდუმლო სერობა დამთავრდა?!

მას პასუხი მირანდამ გასცა.

– დიახ, მხოლოდ მისი პირველი „რაუნდი“ – მაგრამ იგი საიდუმლო სულაც არ იყო.

საკითხავი კი ის არის – რატომ შენ არ ესწრებოდი ამ ოჯახურ და ფრიად სერიოზულ საუბარს? თუ, პასუხისმგებლობას თავს არიდებ? და არა სასურველ შედეგებზე – შანსს იტოვებ, რომ თავი იმართლო – „მე რა ვიცი თქვენ უჩემოდ რა გადაწყვიტეთო“?

– არა არც მასია საქმე, მე შენ დღეს ჩემი სათქმელი გითხარი, დანარჩენი კი ჩემმა მშობლებმა გითხრეს!

– ე. ი. ყველაფერი რიგზეა? გამაცილებ?

– რა თქმა უნდა – რა შეკითხვაა? შეიძლება, რომ მარტო გაგიშვა?

– რატომაც არა? დაგავიწყდა, კაფედან, რომ მარტო წავედი?

– ეგ იმიტომ მოხდა, რომ თავს საშინლად ვგრძნობდი – მე შენს გვერდით ყოფნის უფლება არ მქონდა!!!

– ამიტომაც არ მიიღე დღევანდელ საუბარში მონაწილეობა? და ეხლა კი ცოდვებიდან განწმენდილი ხარ?!!

– კარგი, ხომ შევთანხმდით, რომ მაპატიე, ბოდიშიც ხომ მოგიხადე, რაღა გინდა?

– კეთილი, წავედით!

მირანდა იზას და გიორგის დაემშვიდობა. ორივენი წავიდნენ.

შიომ მშობლებს მომხდარის შესახებ უამბო. იგი თავს დამნაშავედ გრძნობდა. მათმაც იგივე აზრი გამოთქვეს – შეიძლება მირანდამ მათ უარი განუცხადოს მათი შვილის ცოლად გაყოლაზე.

ამან ყველანი შეაშფოთა და გიორგის წუთის დაკარგვაც კი აღარ სურდა.

მათმა მოითათბირეს და – მირანდას სერიოზულად სთხოვეს ქორწინების ვადის გადმოტანა. ამ ორ წელიწადში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს!

მითუმეტეს, რომ არც ქვეყანაშია სტაბილური მდგომარეობა. იზას და გიორგისათვის თავიანთი სათაყვანებელი შვილის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა ხომ მათი ცხოვრების არსია!

– იზა ძვირფასო ნუ ნერვიულობ, მათ ერთმანეთი უყვართ და ეს მთავარია. დანარჩენს ყველაფერს ეშველება.

რომელი შეყვარებული წყვილი არ წაკინკლავებულან და გაბუტულან?

– ჩვენ რატომ არ ვჩხუბობდით?

– იმიტომ, რომ მაშინდელი ახალგაზრდები უფრო შეგნებულები და კარგად აღზრდილები იყვნენ. ეხლანდელები კი ზომაზე მეტად გათამამებულები და თავდაჯერებულები არიან. უფრო ეგოისტები, უზრდელები და უწიგნურები! და რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება!

საერთო ჯამში კი – ეხლანდელებთან შედარებით, ჩვენი დროის ახალგაზრდობა უფრო მაღალი დონისა იყო – ყველა დადებითი კრიტერიუმების მიხედვით.

ცირა მოუთმენლად ელოდა მირანდას დაბრუნებას. შიომ იგი მიაცილა, მაგრამ სახლში არ შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ მირანდამ მას სთხოვა:

– შემოდი, ცირას მიესალმე, ცოტა ხანი დარჩი და მერე წადი.

შიოს სწორედ ცირასთან შეხვედრის ერიდებოდა.

– სახლში მელოდებიან, სხვა დროს ვნახავო და უმალვე წავიდა.

მირანდა კარგ გუნებაზე იყო. იცოდა, რომ ცირა ამბისგაგებას მოუთმენლად ელოდა და ოთახში შესულმა, მას დივანზე მიუთითა. დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი, რომ გიორგიმ სთხოვა მას ქორწინების ვადის გადმოწევა და თანაც კურსის დახურვის შემდეგ – მათი შეუღლება. თუ ჩემგან დადებით პასუხს მიიღებენ, მერე შენ – ოფიციალურად გთხოვენ ჩემ ხელსო.

მირანდას მონათხრობმა ცირა არ აღაფრთოვანა, მას მირანდას დაოჯახება ჯერ ნაადრევად მიაჩნდა და ისიც კარგად იცოდა, რომ დაპირებების იმედზე ყოფნა – არა საიმედოა!

ამისათვის მან მირანდას სერიოზულად განუცხადა, რომ – თვითონ მას მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

– მირანდა ცოლ–ქრობა – ადამიანების ცხოვრებაში ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო რამ არის.

აქ – პირველ რიგში ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მომავალ ოჯახის შემქმნელებს ერთმანეთისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობა, ურთიერთ გაგების და მოთმინების დიდი უნარი. პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის გრძნობებს, აზრებს, მოქმედებებს და უნდა იყვნენ მიმტევებლები!

კარგი ოჯახის შექმნა – ჩემის აზრით დიდი ხელოვნებაა! ზოგ შემთხვევაში ხელოვნების ნიმუში და შედევრიც კი!

ეს კი, ყველას არ ხელეწიფება.

წინასწარ არავინ იცის ვინ, ვინ არის, შეუღლებულთა უმრავლესობა – ბედნიერნი არიან, გონიათ, რომ, იპოვეს გულის სწორი და უბედნიერესნი არიან!

მაგრამ რამოდენიმე ხანში ეს „სიზმარი“ მთავრდება და ეს ბედნიერი წყვილი – ერთმანეთზე იმედგაცრუებულნი – ერთმანეთს საბოლოოდ შორდებიან.

ისე, რომ – როგორც ეხლა ამბობენ – ქორწინება ლატარიის ბილეთივის არისო – ძნელია ამას არ დაეთანხმო. ჩვენი წინაპრების გამონათქვამსაც გავიხსენებ – „ადამიანი რომ იბადება, მას თავისი ბედის წერა თან დაყვებაო“.

ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, რომ მივიღოთ ის რაც ბედისწერამ დაგვაწერა და ვთხოვოთ უფალს, რომ გულმოწყალება გამოიჩინოს და ყველას კარგი ბედი და იღბალი არგუნოს!!! ცირა მისგან პასუხს ელოდა.

– რას იტვი მირანდა? რა პასუხს გასცემ ხვალ მათ?

მირანდა ჩაფიქრდა – მას არ უნდოდა ცირასათვის ყველაფერი ეამბნა, იცოდა, რომ ამით მას ბევრ საფიქრალს გაუჩენდა და სევდას მოჰგვრიდა. შიოზე გულს აიყრიდა და ამით მდგომარეობა დაიძაბებოდა.

იზა და გიორგიც შეეცოდა. მართალია ისინი ცდილობენ, რომ თავი ისე სჭეროდათ, მირანდას არ შეემჩნია მათი მღელვარების ამბავი, მაგრამ ძალიან ღელავდნენ. შიო კი ავიანზე იდგა და სიგარეტს – სიგარეტზე ეწეოდა, ისე ღელავდა, რომ სკამზე დაჯდომასაც კი ვერ ახერხებდა.

როგორ უნდოდა მაშინ მირანდას, რომ მისულიყო შიოსთან, მისთვის სიგარეტი გამოერთვა, გადაეგდო, მოფერებოდა, თავზე ხელი გადაესვა, თბილად და ვნებიანად ეკოცნა და ეთქვა: – „ნუ ღელავ ძვირფასო, თუ გსურს, მე დღესვე დავრჩები თქვენთან და გვერდიდან არასოდეს მოგშორდები. მე მხოლოდ შენ მიყვარხარ და ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე მეყვარები. ნუ ფიქრობ და შენს ღირსეულ მშობლებსაც ნუ ანერვიულებ. ისინი ხომ შენით ხარობენ და შენი ბედნიერებით უნდათ რომ დატკბნენ.

მოდი ჩამეხუტე ძვირფასო, მე მგას კი არა, ყველაფერს გაპატიებ – რაც არ უნდა ჩაიდინო – ყველაფერს, ოღონდ კი ჩვენ ერთად ვიყოთ!“

– მირანდა არ გესმის? შენ გეკითხები – რა პასუხს გასცემ ხვალ მის მშობლებს?!

მირანდა ცირას შეხედა და მშვიდად უთხრა:

– შენ რას მირჩევ, რა ვუთხრა? როგორც მეტყვი ისე მოვიქცევი.

– მირანდა, ეგ საკითხი მხოლოდ შენი გადასაწყვეტია!

– კარგი, მაშინ ვეტყვი, რომ თანახმა ვარ!

როგორც შენ ამბობ, ვყიდულობ ლატარიის ბილეთს! ხომ ასეა?

– ღმერთმა ინებოს, რომ იგი „ბედნიერი ბილეთი“ აღმოჩნდეს.

პასუხს როდის ეტყვი?

– ალბათ ხვალ – როგორც შევპირდი.

– როდის იქორწინებთ?

– ალბათ სექტემბერში.

– კეითლი. უკვე მეოთხე კურსზე იქნებით და რადგან აღარ ითმენენ და შენც თანახმა ხარ – ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ! ცირა იღიმებოდა.

ესმას მოუწევს მკლავების დაკაპიწება – ხუმრობა ხომ არ არის – მირანდა თხოვდება!

ალბათ დიდ ქორწილს გადაიხდიან, ჩვენც მოგვიწევს ამაზე ზრუნვა.

მადლობა ღმერთს მზითები კარგი გაქვს, არაფერის ყიდვა არ დაგვჭირდება. ხუმრობა ხომ არ არის – ჩემი, ესმასი და დედაშენის მზითები – სულ შენი გასაცვეთია. ღმერთმა ყველაფერი ბედნიერებაში მოგახმაროს!

– მადლობელი ვარ, მაგაზე მერე ვილაპარაკებთ. ჯერ დრო კიდევ გვაქვს.

ცირა და მირანდა ვახშმის სამზადისს შეუდგენენ, მირანდა ბედნიერი იყო, ცირაც, მაგრამ მას იგი, გასათხოვებლად არ ეთმობოდა. მის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა.

მირანდა გრძნობდა ამას და ცირას ეხუმრებოდა:

– ხომ არ გგონიათ, რომ გავთხოვდები და ჩემგან მოისვენებთ? ერთ დღესაც ვერ გავძლებ უთქვენოდ, სულ აქ ვიქნები.

– მართალია, ჩემო საყვარელო, მე რომ ერთი დღე არ გნახო, ავად გავხდები.

– არც იფიქროთ, ჩვენ ამიერიდან უფრო ვჭირდებით ერთმანეთს! უთქვენოთ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია!

დღის მოვლენებით დაღლილებმა, ივახშმეს და ერთმანეთს ღამე ნებისა უსურვეს.

ცირა ვერ იძინებდა – ფიქრობდა, განიცდიდა, მას მირანდას მო-

მავალი აღელვებდა, ტიროდა, ლოცულობდა, თავს ინუგეშებდა.

მირანდასაც ძილი არ ეკარებოდა – ფიქრობდა, ოცნებობდა, გეგმებს აწყობდა.

უჯრიდან ომარის სურათი ამოიღო – გაუღიმა, უთხრა, რომ ბედნიერია, თხოვდება და მასაც კარგ ბედს უსურვებს. დაპირდა, რომ სადაც წავა, მარსიასაც თან წაიყვანს და როგორ განვითარდება მოვლენები, ყველაფერს მასაც მოუყვება–ხოლმე.

ბოლოს როგორც იქნა ჩაეძინა.

44.

ინსტიტუტში მისულ მირანდას შიო დერეფანში დახვდა, სიგარეტს ეწეოდა, ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა. მირანდას დანახვისთანავე მისკენ გაემართა, არც კი მისალმებია ისე შეეკითხა:

– რას ფიქრობ, რა გადაწყვიტე?

– არ ვიცი? შენ არა გგონია, რომ ჯერ ნაადრევია?

– აბა რას ელოდები? შენი აზრით სანამ მართლა თავს არ მოვიკლავ, ყოველთვის ნაადრევი იქნება?!!

– დამშვიდდი. ეგ რა, შანტაჟია?!

– შენ რაც გინდა ის დაარქვი, მე კი, ამ ზღვარზე ვარ მისული!

– კარგი, კარგი. მე შენს მშობლებს დიდ პატივს ვცემ და მათ მდგომარეობაში შევდივარ, რადგან მათ შენი დაოჯახება ეჩქარებათ. შენ კი ჭკვიანი და საყვარელი ბიჭი ხარ, მასეთ სისულელეს არასოდეს ჩაიდენ.

როგორ შეგიძლია, რომ ასეთ მშობლებს ტკივილი მიაყენო?

– ე. ი. დღეს რა პასუხს გასცემ მათ?

– იმას, რომ მე, შენ ძალიან მიყვარხარ და ყველანი ერთად ბედნიერები ვიქნებით!

შიოს თვალებზე ცრემლები მოადგა, მირანდას გადაეხვია, აკოცა და გულში ჩაიკრა.

– ეხლავე დავურეკავ და ვახარებ, ძალიან ღელავენ, საღამომდე ვერ გაუძლებენ.

– არა! ესეთ რამეებს ტელეფონით არ ატყობინებენ.

პირველი ლექციის შემდეგ მაინც საავადმყოფოში მივდივართ, ჯერ მათ შევუაროთ, მერე კი პრაქტიკულზე ტაქსით წავიდეთ.

– კეთილი, შევიდეთ, აი ზარიც დარეკეს.

ლექციის დროს მირანდა თავს მშვიდად გრძნობდა. კონსპექტს

ყურადღებით იწერდა.

შიოს კი საწერი კალამი ისევ ხელში ეჭირა და მას უაზროდ ატრიალებდა.

მირანდამ მას კალამი გამოართვა:

– მომეცი, ეს ლექცია შენთვის ჩინური უფროა, ვიდრე ანატომია!

ლექციის შემდეგ ორივენი მათთან სახლში წავიდნენ.

გიორგი სამსახურში იყო. იზამ ისინი ერთად მისული რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა.

შიო და მირანდა მას გაღიმებული უმზერდნენ. იზა მირანდას გადაეხვია, აკოცა, ტირილი დაიწყო. შიოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მირანდას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს თავისი დედა, რომ ცოცხალი ყოფილიყო ისიც ესე თბილად ჩაიკრავდა მას გულში, ისიც ასევე უსიტყვოდ გაუგებდა მას. მირანდაც ტიროდა.

ეს ხომ, მათ ცხოვრებაში უბედნიერესი წუთები იყო, რასაც ხშირად სიხარულის ცრემლები მოსდევს ხოლმე.

საღამოს გიორგიმ ცირას დაურეკა და მოკითხვის შემდეგ მოწიწებით სთხოვა, რომ მას და იზას მათთან სერიოზული სალაპარაკო აქვთ და როდის შეიძლება, რომ ესტუმრონ?

ცირამ ისინი გულთბილად მოიკითხა და უთხრა, რომ,

– თქვენ ყოველთვის სასურველი სტუმრები იქნებით, როცა ამის დრო და სურვილი გექნებათ, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მობრძანდეთო.

ბოლოს კი შეთანხმდნენ, რომ ეს სასურველი საღამო – დღევანდელი იქნება.

ცირამ ყურმილი დადო და ფიქრებს მიეცა. მართალია მას მირანდასთან განშორება უძნელდებოდა, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, რომ შიო კარგი ახალგაზრდაა, მისი მშობლები კი ღირსეული და საუკეთესო მეოჯახენი არიან. მირანდა უყვართ და მას არაფერს გაუჭირვებენ. მათ, შიოს მეტი არავინ ყავთ და ორივეს თვალის ჩინივით მოუვლიან.

მეც ხომ ჯერ მოხუცი არა ვარ და ესმაც ხომ მირანდასათვის გიჟდება, იგი შეუძლებელს შეძლებს – მის კეთილდღეობისათვის.

ღმერთო, ბედნიერი ამყოფე ჩემი გოგონა, იგი ყოველივე სიკეთის ღირსია!

მირანდა და შიო დღის ბოლოს, ცირასთან ერთად მოვიდნენ.

მათი შეხვედრა დღეს, რა თქმა უნდა განსხვავებული იყო!

შიომ სადილად დარჩენაზე ბოდიშის მოხდით უარი უთხრა, სახლში მელოდებიანო და წავიდა.

ცირამ მირანდას უამბო გიორგისა და იზას დღევანდელი ვიზიტის შესახებ.

ისინი მათ შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადებოდნენ.

მათმაც არ დააყოვნეს და შიო თავის მშობლებითურთ, საღამოს მათ ეწვივნენ.

ცირამ და მირანდამ ისინი ძალიან გულთბილად – ყოველგვარი ოფიციალურობის გარეშე მიიღეს.

ასეთ სიტუაციაში კი – ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი საკითხებიც კი, ადვილად გვარდება.

დღეს ყველანი ბედნიერები იყვნენ, საერთო ინტერესის და კეთილი სურვილების გარდა მათ არაფერი ამოძრავებდათ.

გიორგიმ ცირას სთხოვა, რომ მშვიდად იყოს, ჩვენ ხომ ყველანი ამათ ბედნიერებაზე ვზრუნავთო.

იზამ მირანდას თავისი ხელით დაუმშვენა ლამაზი თითები, ყელი და ყურები – თავიანთი საოჯახო ძვირფასეულობით, რომელიც ცირას და მირანდას ძალიან მოეწონათ.

შიო კი, სიამაყის გრძნობით, სახეგაბრწყინებული შეჰყურებდა მათ.

უფროსებმა მათ ბედნიერინიშნობა უსურვეს და ქორწილის თარიღიც დაასახელეს – იგი სექტემბრის თვის ბოლოს კვირისათვის დანიშნეს. ვახშმობის შემდეგ ყველანი ერთმანეთს კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ.

როცა ცირამ და მირანდამ სტუმრები გააცილეს, შემდეგ სამკაულების გულმოდგინედ დათვალიერებას შეუდგნენ.

ყველაფერი ძალიან ძვირფასი და ორიგინალური იყო.

ცირამ მირანდას საჩუქრები დაულოცა და მათი იმ ზარდახშაში შენახვა ურჩია, სადაც მისი სხვა სამკაულები ინახებოდა.

საღამოს ისინი ისე საბურობდნენ, თითქოს ღდეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს.

45.

შიო, მირანდას ინსტიტუტის ეზოში მოუთმენლად ელოდა. მირანდამ იგი გააფრთხილა, რომ მომხდარის შესახებ ჯერ არავის-

თვის ეთქვა.

– რატომ მირანდა, აქ დასამალი არაფერია, პირიქით! ჩვენ უკვე ოფიციალურად ვართ დანიშნულები და წესით შენ ნიშნობის ბეჭედს უნდა ატარებდე!

შიოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გაჩუმდა – შეიძლება მირანდას რაიმე ეწყინოს და ყველაფერი ისევ იზას დაუბრუნოს, „ბოდიში, აღარ ვთხოვდებიო“! მაშინ?!

„არა უშავს, ცოტაც და მერე უფრო გაბედულად შეუტევ“ – დაიმშვიდა თავი შიომ.

– კარგი ნუ ცხარობ, ხვალიდან ბეჭედსაც გავიკეთებ და თუ გინდა პლაკატსაც დავიჭერ ხელში წარწერით „(1ით–0) ე. ი. ერთით ნული“!

– არა, პლაკატი არ არის საჭირო – ისინიშენ თითზე რომ ბეჭედს დაინახავენ ეს მათთვის „ბომბი“ იქნება! არ მეთანხმები?

– მე ბომბს არავის ვუსურვებ – მინდა, რომ ყველანი ბედნიერები იყვნენ. ეგ ახალგაზრდული სიგიჟეა, მალე გაუვლით.

ხომ ხედავ უკვე როგორი, მორჩილნი და კეთილგანწყობილნი არიან ჩვენს მიმართ, ერთ–ერთი კი ყველა ზღვარზე ქვემოთაც კი დაეშვა.

– შენ რას თვლი ყველა ზღვარზე დაბლა დაშვებას? ვიცი, რომ ამას მერიზე ამბობ.

– მე არ ვთვლი, მე ხოლოდ ფაქტს ავღნიშნავ, ეხლა შენ ვინც ახსენე, მაგას საკუთარი სახელის გარდა – საზოგადოების მიერ შერქმეულიც აქვს.

– მთელი ინსტიტუტი მას – „ფოსტის სამელნეს“ ეძახის!

– რა სთქვი? ეგ რას ნიშნავს?! ჰო, მივხვდი. მართლა?!!!

– დიახ მართლა და ქორწილამდე კი, შენ ექიმს უნდა გაესინჯო!

– მე მერის მხოლოდ რამოდენიმეჯერ შევხვდი. დიდი ხანია უკვე სხვას ვხვდები – იგი ღირსეული ქალია!

– გთხოვ ამ თემაზე აღარასოდეს ვილაპარაკოთ!

ისინი ჯგუფში უსიტყვოდ შევიდნენ. ეკას მიესალმნენ და დასხდნენ. ზარის ხმა გაისმა და ყველანი ლექციის მოსასმენად განეწყვნენ.

– მირანდა არ გინდა ლექციების შემდეგ კაფეში წავიდეთ?

– კარგი, მე ცირას დავურეკავ და გავაფრთხილებ.

შიო ბედნიერი იყო. ცდილობდა ისეთი არაფერი ეთქვა, მირანდას რომ წყენოდა. მაგრამ დღესაც თავი ვერ შეიკავა – მადლობა

ღმერთს, რომ დროზე ალაგმა ემოციები – თორემ ეს ამბავი ცუდად დამთავრდებოდა მისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ბედნიერები იყვნენ და ერთად თავს კარგად გრძნობდნენ, შიო, როცა მარტო რჩებოდა ეჭვიანობა სტანჯავდა. მას თვალწინ სულ ომარის სახე ედგა. ქუჩაშიც, რომ დადიოდა, მას მუდმივად ვიღაცას ამსგავსებდა.

დიდი სურვილი ჰქონდა – შესულიყო მირანდას ოთახში, უჯრიდან ამოეღო მისიწერილები და სურათი – ისინი ფერფლად ექცია და ქარისთვის გაეტანებინა!

მაგრამ რა?! მას, მირანდას მეხსიერებიდან ხომ ვერ ამოშლის?!

არადა, მის წერილებიდან ჩანს, რომ მირანდა ძალიან უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მის გრძნობებს იგივეთი არ პასუხობს.

მას მე ვუყვარვარ! ესე რომ არ იყოს, მირანდა მე ზედაც არ შემომხედავდა, ისე როგორც არავის უყურებს. ამას ხომ ვგრძნობ!

მირანდა ანგელოზია, კეთილი, უბიწო, ნამდვილი სათნოების და კდემოსილების განსახიერებაა. როგორი თბილი და ალერსიანია, სამართლიანი და პირდაპირია, რაც მთავავარია ძალიან მგრძნობიარე თითები აქვს და ჭკუიდან გადამყვანი კოცნა იცის!

მე, რომ ეს ყველაფერი დავკარგო და ჩემი სისულელეებისგამო მირანდამ ხელი მკრას, ალბათ მართლა მოვიკლავ თავს. მე, მის გარეშე სიცოცხლე არ მიწერია!

შიომ შუბლზე ხელი მოისვა, ფანჯარასთან მივიდა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თავისთვის გაიფიქრა – მხოლოდ ერთი გზაა, უნდა მოვკლა ის ნაბიჭვარი!! სანამ იგი დედამიწაზე დააბიჯებს მე სიმშვიდე არ მეღირსება!!!

სიგარეტს მოუკიდა. გაეცინა რა სულელი ვარ! იმის მაგივრად, რომ სიხარულისგან ცას ვეწიო – ვიღაცის ფოტო–სურათს ვებრძვი და უბედნიერეს წუთებს ვიმწარებ!

ვფიცავ ღმერთს, რომ ეს აღარ გამეორდება! მირანდას დაურეკა, ისაუბრეს, იხუმრეს, იცინეს და ბოლოს ერთმანეთს ტკბილი ძილი უსურვეს.

იმ დღეს როცა წლის ბოლო ლექციები იყო, იზამ ამის აღსანიშნავად ცირა და მირანდა თავიანთთან სადილათ დაპატიჟა. ისინი სახლიდან შიომ თვითონ მოიყვანა.

გიორგიმ და იზამ მათი ნახვით ძალიან გაიხარეს. ცირა თავს ბედნიერად გრძნობდა, ხედავდა როგორ ღებულობდნენ ისინი

მას და მირანდას.

გიორგის ისევ გული აწუხებდა და როცა შიო გიტარაზე უკრავდა იზა და მირანდა კი მასთან ერთად მღეროდნენ, მან ცირას ნაღვლიანით ვალებით შეხედა და სევდიანად უთხრა:

– ცირა, ნეტავი მაგათ ქორწილს მოვესწრო და შვილი შვილს ველირსო, მერე თუ გინდ მეორე დღესვე მოვკვდე.

– რას ამბობთ გიორგი? სწორედ, რომ მერე უნდა იცოცხლოთ დიდხანს და მათთან ერთად იხაროთ. ეგ მეორეთ აღარ გაიმეოროთ!

მე თხუთმეტი წელია გულს ვუჩივი, მაგრამ ხომ ხედავთ არ ვაქცევ ყურადღებას. როცა ძალიან შემომიტევს, ცოტა ხანს ვიმკურნალებ და ცხოვრებას ვაგრძელებ.

სუსტი გულის პატრონებს – ყველაზე ძალიან მშვიდი და მხიარული ცხოვრება სჭირდებათ.

მე გირჩევთ, რომ ხშირად უსმინოთ თქვენთვის სასურველ მუსიკას. დამიჯერეთ როგორც პროფესიონალს და უხუცეს პაციენტს! და შედეგიც არ დააყოვნებს!

– კეთილი, ხვალიდან ვიწყებ მკურნალობას თქვენი მეთოდით.

– რატომ ხვალიდან? ეხლავე მიეცით ბანი და მკურნალობაში ჩაგეთვლებათ!

საღამომ ჩინებულად ჩაიარა.

იზამ, ცირას სთხოვა, რომ თუ შეიძლება მირანდამ წელს მათთან ერთად დაისვენოს?

ეს, მისი სურვილის მიხედვით მოხდება, სადაც უნდა და რამდენ ხანსაც ისურვებს.

ამის შესახებ მოითათბირეთ და პასუხი მითხარითო.

ცირამ და მირანდამ მათ მოწვევის და მშვენიერი საღამოსათვის დიდი მადლობა მოუხადეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. შიომ ისინი სახლში წაიყვანა.

46.

ივნისის თვის ბოლო დღეები იყო. თბილისში საშინლად ცხელოდა. ამ გაუსაძლისი სიცხის ატანა განსაკუთრებით ავადმყოფებს და მოხუცებს უჭირდათ.

გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობა მათ აშფოთებდა. ცირა და მირანდას ჯერაც არ გადაეწყვიტათ რა პასუხი მიეცათ მათთვის.

– მირანდა უხერხულია, ისინი ჩვენ პასუხს ელიან, გიორგის ქალაქიდან გაყვანა კი აუცილებელია, მითხარი როგორ მოვიქცეთ?

– სიმართლე გითხრა ცირა მე არ მინდა მაგათთან ზაფხულის გატარება, მაგრამ მე რომ მაგათ არ გავყვე, მაშინ შიო მოინდომებს ხონში წამოსვლას, რაც უფრო მეტად არ მინდა!

– რატომ? ახლა ხომ დანიშნულებიხართ.

– მართალია, მაგრამ დანიშნული გათხოვილი არ არის და რითი გინდა იქაურების პირის დაკეტვა? როცა დავქორწინდებით მაშინ კი ბატონო, წამოვა აბა რას იზავს?

– შენ რას მირჩევ?

ცირა მას ეთანხმებოდა, მაგრამ გიორგის მდგომარეობა აფიქრებდა. მას, რომ მათი მიზეზით მდგომარეობა გაუუარესდეს იგი თავის–თავს ვერ აპატიებს.

– მირანდა, მეც ხომ უნდა დავისვენო და მოდი ორივენი წავიდეთ იქ, სადაც თვითონ მიდიან!

– ცირა, შენ გენიოსი ხარ! სწორია, ჩვენ ხომ სულ ერთად ვართ ხოლმე?

– ჰოდა ხვალვე აუწყე, რომ ჩვენც მაგათთან ერთად დავისვენებთ.

– რატომ ხვალ? ეხლავე დავურეკავ და იზას თვითონ ვეტყვი.

– ძალიან კარგი, დაურეკე.

მირანდამ იზას დაურეკა და მისალმების და მოკიხთვის შემდეგ თავისი სათქმელი უთხრა.

იზამ სიამოვნებით მიიღო ეს ამბავი და უთხრა, რომ ექიმმა გიორგის – გრილ და მშვიდგარემოში ურჩია დასვენება. ჯერ ბორჯომის სანატორიუმში, მერე კი ორი კვირით ქობულეთშიო.

ყველანი კმაყოფილნი დარჩენენ მოლაპარაკებით და მომავალ შაბათს, გამგზავრება გადაწყვიტეს.

მირანდამ შიო მოკითხა, იზამ უთხრა, რომ აფთიაქში ჩავიდა, ამოვა და დაგირეკავსო.

საღამოს გვიან შიომ დარეკა, ოდნავ ნასვამი იყო. მირანდას უთხრა, რომ სკოლის ამხანაგები შეხვდნენ და კაფეში მათთან შეყოვნდა, რომ იზამ ყველაფერი უთხრა და მართალია უჩემოდ მიიღეთ გადაწყვეტილება, მაგრამ თქვენს გადაწყვეტილებას მეც სიამოვნებით უერთდებიო.

ეხლა გვიანია, ხვალ ნაშუადღევს მოვალ და სადმე გავისეირნოთო.

მირანდას მისი „დაკითხვა“ არც კი უცდია. უთხრა, რომ ხვალ მზად დახვდება.

მირანდა მიხვდა სადაც იყო და ვისთანაც იყო შიო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია – მოლაპარაკება ძალაშია, სადაც ამდენი მოვითმინე ცოტასაც მოვითმენ და მერე კი, ვაჟაბატონს მძიმე უღელს დავადგამ და ვეღარ იპარპაშებს თავის ჭკუაზე!

მაგას რომ ჭკუა ჰქონდეს, თვითონ უნდა ითხოვდეს ქორწილის ვადის გაგრძელებას. მაგან არ იცის რა ელის – ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამს უჩემოდ.

როცა ბორჯომის სანატორიუმში დაბინავდნენ, მირანდამ უთხრა ცირას, რომ ქორწილის შემდეგ ერთი წელი იზას თხოვნით, მათმა – მათთან უნდა იცხოვრონ, რათა სტუდენტებს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის დრო არ ექნებათ. ამას კი ბევრი ენერგიის დახარჯვა სჭირდება, მათ კარგი კვება და დასვენება! ამისათვის ორივეს იზას ხელშეწყობა სჭირდებათ:

– იზა მართლს ამბობს – ძალიან კარგი აზრია!

– როცა ინსტიტუტს დავამთავრებთ, მერე კი, ცალკე დაგვაბინავებენ. მაგრამ, მერე სამსახურით ვიქნებით დაკავებულები.

– მაგაზე ნუ დარდობ, აბა მე რისთვის ვარ?

როცა შენ ცალკე იცხოვრებ, მე პენსიაზე გავალ და შეგეშველები.

– საკითხავია, შენ როდისღა უნდა დაისვენო?

– მე, როცა შენს სასიკეთოდ რამეს გავაკეთებ წყალშიც რომ ვიდგე თავს მაინც კარგად ვიგრძნობ!

– შენ ხომ იცი, მე არ დავუშვებ იმას, რომ შენ ვინმემ ან რამემ შეგაწუხოს. მე როგორი დაკავებულიც არ უნდა ვიყო მუდამ შენს გვერდით ვიქნები.

– ძალიან კარგი. ეხლა კი წავიდეთ, ისინი გველოდებიან, საღამოს პარკში უნდა ვიყოთ.

მირანდამ შიოს დაურეკა და შეთანხმდნენ, რომ თავს სანატორიუმის წინ მოიყრიან.

გიორგი თავს კარგად გრძნობდა, ის, იზა და ცირა პარკში სხდებოდნენ, შიო და მირანდა კი ერთად სეირნობდნენ.

ყველანი კმაყოფილები იყვნენ, რომ ერთად ისვენებდნენ.

ერთმანეთს უფრო ახლო გაეცვნენ და უხაროდათ, რომ რაც დრო გადიოდა მათი ურთიერთობა უფრო სასიამოვნო და ახლო ნათესაური ხდებოდა.

შიო და მირანდა დღეებს ითვლიდნენ სანუკვარ ქორწილამდე.

მირანდას მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო და არც არავინ ცდილობდა მისთვის აეხსნა, რატომ შედიოდნენ იზა და გიორგი საფოსტო განყოფილებაში და იზა რას ელაპარაკებოდა თავის ძმას, ასე ენერგიულად და დიდხანს?!

როცა მან ამის შესახებ შიოს ჰკითხა, მან უთხრა, რომ იზა და თავისი ძმა თავიანთ შინაურ ამბებზე საუბრობენ. დედა, როგორც მისი უფროსი და რჩევა–დარიგებებს აძლევს ზაზასო.

დასვენებით და დროს ტარებით ყველანი კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ როგორც ამბობენ – „ყველაფერს ააქვს როგორც დასაწყისი, ისევე ბოლოო“. მათი დასვენების დროც ამოიწურა.

ყველანი დასვენებულები, გაჯანმრთელებულები და კმაყოფილები თბილისში დაბრუნდნენ.

თბილისში კი სადგურზე მათ თავისი მანქანით ზაზა დახვდათ და როგორც იქნა ცირამ და მირანდამ იგი გაიცვნეს.

მან შიო, მირანდა და ცირა სახლში წაიყვანა, მისმა მეგობარმა კი იზა და გიორგი მიაცილა, მათ ბარგის ატანაში მიეხმარა და მერე თავის გზას გაუდგა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ნამგზავრნი იყვნენ და ზაზა სადღაც წასვლას ჩქარობდა, ცირამ იგი სახლში შეიპატიჟა და უმასპინძლა, რითიც შიო ძალიან ასიამოვნა.

ორივენი ცირას და მირანდას დაემშვიდობნენ და იზასთან სახლში წავიდნენ.

როცა მივიდნენ, შიომ მირანდას დაურეკა და უთხრა, რომ დღეს დაისვენონ და ხვალ დილიდან მას, ცირას და მირანდას ზაზა თავის ოჯახში ეპატიჟება.

მეორე დღეს ცირამ ზაზას მადლობა მოუხადა მოწვევისათვის, კიდევ მრავალჯერ შევხვდებითო და სტუმრად მარტო მირანდა გაუშვა.

თქვენ იმხიარულეთ შენ უკვე საიმედო ხელში ხარო უთხრა და თან სთხოვა, რომ ძალიან არ დაიგვიანოთ სახლში მოსვლაო.

ზაზასთან მისულებს იზა და გიორგი იქ დახვდათ. ზაზა – მშვენიერი, ახვოანი, თავაზიანი, სერიოზული და საქმიანი ორმოცი წლის მამაკაცია, მისი მეუღლე ნანი და ორი გოგონა, ნამდვილი სინაზისა და სილამაზის განსახიერება არიან.

მათ მირანდა ძალიან მოეწონათ და წვეულების დამთავრებამდე, მას გვერდიდან არ მოშორებიან, დამეგობრებაც კი მოასწ-

რეს. მირანდა მათ გულწრფელად შეპირდა, რომ ქორწილში თან წაიყვანს, როგორც ორ ანგელოზს!

შიო და მირანდა სახლში ზაზამ თავის მანქანით წაიყვანა.

დამშვიდობებისას მან და შიომ ერთმანეთს რაღაცა გასაიდუმლოებულად გადაულაპარაკეს. მირანდას მისი გამოკითხვა არ დაუწყია, იცოდა, რომ ეს მხოლოდ მათთვის სასიკეთოდ ნათქვამი „პაროლი“ იყო.

47.

შიო და მირანდა ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ, ხან იზასთან და ხან მირანდასთან. ცირა მათ პატარა ბავშვებივით ათამაშებდა და თვალის არედან ერთი წუთითაც არ კარგავდა. მათმა იცოდნენ ეს რას ნიშნავდა და შიოსთან სახლში მარტო დარჩენისასაც, ცირას „ფიხზელ თვალს“ არ ღალატობდნენ.

მართალია, რაც დრო გადიოდა მათ ერთად ყოფნა უფრო იზიდავდა და არა მარტო ერთად ყოფნა, მაგრამ წესი–წესია და თანაც ქორწილამდე სულ რაღაც ოცდახუთი დღე რჩებოდა.

ქორწილის ორგანიზებას, მთელ მის ხარჯებს და ყველა წვრილმანს – ზაზას თაოსნობით: გიორგი, იზა და შიო იღებდნენ თავიანთ თავზე.

მირანდასთვის კი, ქორწილი დიდი ბედნიერების, სიხარულის, ახდენილი ოცნების და სასიამოვნო სიურპრიზების მომგვრელი უნდა იყოს – ასეთია ყველა მისი ახლობლების სურვილი!

ახალ სასწავლო წელს ყველანი სიხარულით შეეგებნენ. ეკას და მირანდას ერთმანეთი ორი თვეა არ უნახავთ. ისინი საუბარს მხოლოდ შესვენების დროს ახერხებდნენ, რაც მათთვის საკმარისი არ იყო და გადაწყვიტეს, რომ ლექციების შემდეგ მირანდასთან სახლში წავლენ.

ეკა ცირასაც მოინახულებს და საუბრითაც იჯერებენ გულს.

როცა ეს აზრი შიოს გააცნეს, მან წარბები მაღლა ასწია და აშკარად აგრძნობინა მირანდას, რომ მათი იდეა არ მოსწონს!

– ოჰ, ეს საიდუმლო სერობა!!

მირანდამ მას გაკვირვებული შეხედა – რომელ საიდუმლო სერობაზეა ლაპარაკი? უბრალოდ გვინდა, რომ მშვიდად ვისაუბროთ! თქვენ, კაცებს არ გიყვართ ქალების „მარაქა“, ჩვენთვის კი ეს ჩვეულებრივი ამბავია.

თუ არ მოგწყინდება, შენც ჩვენთან წამოდი, მხოლოდ საუბარ-

ში ხელი არ შეგვიშალო!

– არა, მე ხელს არ შეგიშლით, მაგრამ ხომ გაგიგონიათ „ჩურ-ჩულმა ქვეყანა დააქციაო!“

– ნუ ღელავ, შენს ქვეყანას, ვერავინ და ვერაფერი ვეღარ დააქ-ცევს, თუ შენ თვითონ არ მოინდომებ ამის გაკეთებას, რას იტყ-ვი?!

– იმას, რომ მეც თქვენთან ერთად მინდა ყოფნა!

– კარგი, ძვირასო, რომ იცოდე რა საყვარელი ხარ!

– შენც.

ცირას გაუხარდა მათი მისვლა. ეკა გადაკოცნა, მშობლები და ბესიკი მოიკითხა.

შიოს ბესიკის ხსენებაზე, უსიამოვნო აზრმა გაუელვა. იფიქრა, ალბათ ეკას მასზე უნდოდა მირანდასთან ცალკე საუბარი. მაგ-რამ თვითონაც არ სჯეროდა თავის ნაფიქრალის სინამდვილე.

წინათ არავიზე არ ვეჭვიანობდი, ეხლა კი მეჩვენება, რომ ყვე-ლას ჩემთვის მირანდას წართმევა სურს. რა საშინელი გრძნობაა ეჭვიანობა, ღმერთმა ყველა დაიფაროს მისგან!

ამბობენ, რომ ადამიანი რამდენადაც ასაკში შედის იმდენად ბრძენდებაო – მე კი, რატომღაც პირიქით მგონია.

ესეთი სულელური აზრები ეხლა, რომ მომდის თავში არასოდეს მომსვლია.

მირანდა მიხვდა შიოს რატომაც უნდოდა მათთან ყოფნა და როცა თვითონ და ეკა დივანზე დასხდნენ მან შიოს უთხრა:

– შიო, მოდის ჩვენს გვერდით დაჯექი და ახალ ჟურნალებს თვა-ლი გადაავლე, ჩვენ კი შევეცდებით, რომ ხელი არ შეგიშალოთო.

– დიდი მადლობა, არც მე შეგიშლით ხელს. ძალიან მიყვარს ჟურნალების კითხვა და თვალიერება.

ცირამ მათ ხილი და ცივი წვენები მიართვა. მირანდამ, ეკას ბორჯომში გატარებული დროს შესახებ დაუწყო მოყოლა, უთხ-რა, რომ ვაჟა, ბესიკი, ეკას მშობლები, ეკა და თ ავიანთი ყველა ჯგუფელი ქორწილში დაპატიჟებულები არიან.

შიომ ვერ მოთმინა და ეკას ჰკითხა:

– ეკა შენ ვისთან ერთად იქნები ჩვენს ქორწილში?

– როგორ თუ ვისთან? ვაჟასთან, ჩვენც მალე დავქორწინდე-ბით!

– მართლა? მაშ მე რატომ არ ვიცი მაგის შესახებ? იკითხა მი-რანდამ.

– იმიტომ რომ ეს, სულ ეხლა ხანს გადავწყვიტეთ.
– ბედნიერებას გისურვებთ, ძალიან მიხარია.
– მეც მირანდას მოლოცვას ვუერთდები. გილოცავთ და ბედნიერები იყავით!

– გმადლობთ!
როცა შიომ ეკა სახლში მიაცილა, უკვე ღამდებოდა. მას სადარბაზოსთან ბესიკი ელოდებოდა, შიო მის დანახვაზე ბესიკს არც კი მიესალმა – ისე უთხრა ეკას:
– გაიქეცი, ძამიკო გელოდაო. თვითონ კი მიბრუნდა და გზა განაგრძო.
– ეკა, შიოს რა მოუვიდა? არც კი მომესალმა. რაიმე ხომ არ ვაწყენინე?
– არა, უბრალოდ მირანდა სიგიჟემდე უყვარს და ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობს. ამ თვის ბოლოს ქორწინდებიან და მერე ალბათ დამშვიდდება.
– არა მგონია, ეჭვიანობა საშინელი სენია! საწყალი მირანდა დაიტანჯება მაგის ხელში. არა და რა კარგი გოგოა!
– ნუ ფიქრობ, როცა ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს ყველაფერს პატიობენ.
– მართალია, მაგრამ ადამიანის ხასიათი არ იცვლება!
ქორწილის დროც ახლოვდებოდა. ესმა ჩამოვიდა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.
ცირა და ესმა დიდი სიყვარულით და მონდომებით უწყობდნენ მირანდას მზითვს.
სახლში თუ ეკლესიაში, ჩუმათ თუ აშკარად გამუდმებით ლოცულობდნენ მირანდას ბედნიერებისათვის.
უფალს შესთხოვდნენ, რომ რაც მათ, სამივე დას ბედისწერამ სიკეთე და ბედნიერება დააკლო, ყველაფერი ის მირანდასათვის გაიმეტოს.
მათ იმისი იმედი ჰქონდათ, რომ „ობლის კვერი გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვება“.
სექტემბრის ბოლო შაბათ დღისათვის – საქორწილოდ ყველაფერი მზად იყო.
შიოს და მირანდას მეჯვარეებიც მოუთმენლად ელოდნენ ამ დღეს.
ხელს თბილისში მოაწერნენ, ჯვარს კი მცხეთაში – სვეტიცხო-

ველის ტაძარში დაიწერენ. და აი, ქორწილის დღეც გათენდა!

ყველანი ღელავდნენ, როგორც მოილაპარაკეს საპატარძლოდ მორთულ მირანდას, თავის სახლში გამართულ ხანმოკლე ქეიფის შემდეგ საქორწილოდ მორთულ მანქანებით, თავიანთი ამალითურთ მცხეთაში წაიყვანენ – ზაზა, ვაჟა და ეკა.

ნათესავების და მექორწინეთა ნაწილი სიძითურთ მათ იქ დახვდებათ.

ყველაფერიგეგმის მიხედვით მიდიოდა. მცხეთაში ყველამ დათქმულ დროს მოიყარეს თავი. ყველანი ღელავდნენ.

მირანდა, ეკა და ნანი – ზაზამ თავის მანქანით მიიყვანა. როცა ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ, ყველანი მათ მიეგებნენ.

მირანდას ფატა და საქორწილო კაბა ძალიან უხდებოდა, იგი ულამაზესი პატარძალი იყო. ყველანი მას შესცქეროდნენ და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ლოცავდნენ მათ კავშირს და ყოველივე სიკეთეს უსურვებდნენ მათ.

მირანდას და შიოს მეჯვარეები ეკა და ვაჟა იყვნენ. მირანდას ბიძა – გია, თავისი მეუღლით და ორი გოგონათი უკვე მათ ელოდებოდნენ.

ზოგიერთი ნათესავი მირანდამ სულ რამოდენიმე დღის წინ გაიცნო. ცირა კი მათ, რა თქმა უნდა დიდი ხანია იცნობდა.

მართალია მირანდას ნათესავებს მამის მხრიდან მის გაზრდაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ცირა მაინც კმაყოფილი იყო, რომ მირანდას დაქორწინებაში ისინი მას ყოველნაირად მხარში ამოუდგნენ და მირანდას სახელზე სალაროში სოლიდური თანხაც შეიტანეს!

მიუხედავად იმისა, რომ როცა მირანდას მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ, ცირამ მათ განუცხადა, რომ მას არავის დახმარება არ სჭირდება – ბავშვს თვითონ და ესმა გაზრდიან.

ცირა და ესმა ეჭვობდნენ, რომ მირანდას მამა მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.

ესე იყო თუ ისე – დღეს ყველანი მირანდას ბედნიერებას იზიარებდნენ და მთელი გულით ყოველივე საუკეთესოს უსურვებდნენ.

მათ ანიშნეს რომ მათი ჯვრის წერის დროა და ყველანი აფუსფუსდნენ.

მირანდა საკურთხეველთან თავისმა მამის ძმამ – გიამ უნდა მიიყვანოს.

იგი და გია ერთმანეთს ძალიან გვანან. ყველანი ყოველთვის ამბობდნენ, რომ მირანდა თავის მამის განსახიერებაა.

გია ორმოცდაორი წლის მაღალი, სიმპათიური და რაინდული სულისკვეთების მქონე მამაკაცია.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

გია მირანდას მიუხალოვდა, აკოცა, ბედნიერი ქორწინება უსურვა და სთხოვა, რომ მისთვის ხელკავი გაეკეთებინა და საყდარში, როგორც წესი მისი თანხლებით შესულიყო.

მირანდა რობოტივით მოქმედებდა, მას ამ ცოდვილი ქვეყნის არავითარი წეს–ჩვეულებები და რიტუალები არ აღელვებდა. მისი ერთადერთი სურვილი იყო ის, რომ გიას, იგი რაც შეიძლება მალე გადაელოცა შიოსთვის მღვდელმა კი რაც შეიძლება მოკლედ სთქვა ის, რისი თქმაც მას ამ ცერემონიალისთვის ევალება!

გიას ესმოდა მირანდას სულიერი განწყობა და როცა ხალხითგადავსებულ საყდარში შევიდნენ, მას წასჩურჩულა:

– მირანდა დაეშვი დედამიწაზე, შენი ოცნება სრულდება!

მირანდამ გაიღიმა – მან შიო დაინახა!

ქორწინების მთელ ცერემონიალს ვიდეო–კამერით იღებდნენ.

შიომ მირანდას შეხედა, თვალებს არ უჯერებდა, იგი განა მარტო გარეგნულად იყო მშვენიერი – მას, შინაგანად გაცისკროვნებულს მხოლოდ ანგელოზის ფრთებიღა აკლდა!!

სანთლების შუქით გაჩირაღდნებული ეკლესია, მგალობელთა გუნდის გალობა, ბედნიერი სახეების სიმრავლეს სულ სხვა სამყაროში გადავყავდით.

შიო მონუსხულივით იდგა, თავი სიზმარში ეგონა.

ვაჟამ მას წასჩურჩულა:

– შიო გაიღიმე, რა სახე გაქვს?

შიოს ბავშვივით გაეცინა – ნუთუ გავითიშე?!

გასაკვირი არაფერი იყო – როცა ადადმიანს დიდი ხნის სანუკვარი ოცნება უსრულდება იგი ასეთ მდგომარეობაშიხშირად ვარდება.

გიამ, მირანდა შიოს მიჰგვარა და ისინი საკურთხევლის წინ დააყენა.

როგორც იქნა მღვდელმაც დაასრულა ჯვრის წერის ცერმონიალი, შიომ და მირანდამ ბეჭდების გაცვლით და წმინდა ფიცის დადებით – რომ ისინი ამიერიდან მუდამ ერთად იქნებიან ჭირშიც და ლხინში, რომ სიკვდილის მეტი მათ ვერაფერი დააშორებს!

და მღვდლის ნებართვამ შეგიძლიათ პატარძალს აკოცოთ ბოლო მოუღო შიოს და მირანდას დაძაბულობას და ეს ამბორიც ყველა სხვა ამბორისაგან, მართლაც რომ განსხვავებული იყო.

საყდრიდან ერთად გამოსულებს ყველა ბედნიერებას და ყოველივე სიკეთეს უსურვებდნენ.

მაქორწილენი ჩასხდნენ მანქანებში და თბილისს გამოემგზავრნენ. აქ მათ საზაფხულო რესტორანში დიდებული , ლამაზი და უხვად გაწყობილი საქორწილო სუფრა ელოდათ.

ქორწილში თამადა ზაზა იყო. იგი ამ საქმის ჩინებული და გამოცდილი ოსტატი აღმოჩნდა.

ნეფე–პატარძალი ერთმანეთს ძალიან უხდებოდნენ. ისინი უბედნიერესი წყვილი იყვნენ.

იზა და გიორგი ბედნიერებას ვერ უმკლავდებოდნენ. მან გიორგის უკვე მეორედ დაალევინა წვეთები.

დღეს ხომ მათი სანუკვარი ოცნებაც ასრულდა – მათმა სათაყვანებელმა შვილმა, თავისი გულის და ცხოვრების მეგობართან იქორწილა, მირანდაც ხომ მათთვის სასურველი და შვილივით საყვარელი გოგონაა.

ქორწილმა შუაღამემდე გასტანა, ყველანი ნასიამოვნები, მხიარულები, ქეიფით და დროსტარებით დაღლილნი, ნელ–ნელა თავიანთ გზას გაუდგნენ.

შიო და მირანდაც დაიღალნენ და ეხლა მათ ყველაზე მეტად ერთად მარტო დარჩენა და დასვენება სურდათ.

ზაზამ ისინი თავისი მანქანით იზასთან მიიყვანა, სადაც მათ – იზა, გიორგი, ნანი და მათთვის ამ საგანგებო შემთხვევისათვის ულამაზესი საძინებელი ოთახი ელოდათ.

შიომ მირანდა ხელში აყვანილი შეიყვანა, იზამ და გიორგის ისინი სიხარულის ცრემლით თვალდანამულებმა ჩაიხუტეს, აკოცეს და ბედნიერი ცოლ–ქმრობა უსურვეს. იზა, მათ საძინელებლისაკენ წაუძღვა, კარი შეუღო და ბედნიერი შეუღლება უსურვა.

ნეფე–პატარძალმა არც კი მიიხედ–მოიხედეს ოთახში, რომელიც იზას და ნანის მიერ საგანგებოდ მათთვის ირთვებოდა – შიომ რაც პირველ რიგში მოიაზრა ის იყო, რომ კარიგასაღებით ორჯერ გადაკეტა.

მერე მირანდას მიუახლოვდა.

– მოდი საყვარელო, ბედნიერება მოგილოცო, მოდი ჩემთან ჩემო ანგელოზო – თავისუფლად მოგეფერო, ვეზიარო შენს

ტკბილ და ჭკუიდან გადამყვან კოცნას. შიო თვითონ მივიდა – დივანზე უღონოდ დაღლილ და შვილის ნუკრივით შეცბუნებულ მირანდასთან, იგი ორივე ხელით ნაზად შეეხო მის ხელებს და ფეხზე წამოაყენა. სათუთად მიიზიდა თავისკენ, მშვიდად და მოთმინებით, სათუთად და ვნებიანად დაეწაფა მის სასურველ ბაგეს.

მირანდას თავბრუ დაეხვა და მას საწოლზე დაჯდომაში თვითონ შიო დაეხმარა.

– დაიღალე ძვირფასო? ეხლავე მოგეხმარები ამ ლამაზი კაბის გახდაში და მოგასვენებ. მოგასვენებ ჩემს გვერდით, ჩემს მკლავებზე აწ და მარადის!!

მირანდა ხმას არ იღებდა, იგიმ თლიანად მიენდო შიოს, რომელიც მას აუჩქარებლად ხდიდა სამოსს და თან მთელ სხეულს უკოცნიდა.

მირანდა ოდნავ გაკვირვებული შესცქეროდა მას.

შიომ იგი სულმთლად გააშიშვლა, ფეხზე წამოაყენა და ისე უმზერდა მას – როგორც დიდი ხელოვანი შიშველ ნატურას უმზერს, ხატვის დროს.

– ეხლა შენ მომეხმარე გახდაში, მეც ხომ დაღლილი ვარ?!

მირანდამ მისი პერანგის ღილების გახსნა დაიწყო, შიო გაოცებული იყო მისი საქციელით. ნუთუ ეს მირანდაა? არავითარი რეაქცია მის სრულ გაშიშვლებაზე?!! ეს ხომ გაუგონარი რამ არის, როცა მირანდა მას კოცნის გარდა არაფერის უფლებას არ აძლევდა!

– საკმარისია ძვირფასო, დანარჩენს მე მივხედავ.

მან, მირანდა საწოლთან მიიყვანა, ჩააწვინა და ზემოდან მსუბუქი აბრეშუმის საფარი დააფარა.

თვითონაც მშვიდად დაწვა მის გვერდით და ორივენი ერთსაფარქვეშ მოექცნენ.

შიომ მირანდას ატლასივით პრიალა კანს ხელი გადაუსვა, იგი თავისკენ მიიზიდა და მის ლამაზ ყელს ვნებიანად და მოთმინებით კოცნიდა მირანდას აღარაფერი აღარ ახსოვდა. მან თავი შიოსკენ მიაბრუნა და თავის პუტკუნა ტუჩებით მის სასურველ ბაგეს დაეწაფა.

ისინი თითქოს მოწყდნენ ამ ქვეყანას და ვნების აბობოქრებულ მორევში ჩაძირულნი, ერთ მთლიან ნაზ მელოდიად ქცეულნი, ზეცაში მოცურავე ღრუბელთა ქარავანს შეუერთდნენ!

პირველმა შიომ გაიღვიძა. გაუღიმა, თავი გამარჯვებულად იგრძნო. იგი ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი და ამაყი მამაკაცია!!

იგი ბედნიერია იმით, რომ – მირანდამ სიამოვნებით მიიღო იგი – თავის ცხოვრებაში პირველი და მისთვის სასურველი მამაკაცი.

შიო სააბაზანოში შევიდა. მოწესრიგდა, ჩაიცვა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

იქ, იზა, გიორგი, ზაზა და ნანი იყვნენ. მის დანახვაზე ყველას თვალებში კითხვა იგრძნობოდა.

შიო მიუხვდა მათ ამის მიზეზს, მივიდა მშობლებს აკოცა/ ზაზას და ნანის მოეხვია და უთხრა, რომ იგი ძალიან ბედნიერია. მირანდას ჯერ კიდევ სძინავს ძალიან დაიღალაო.

თვითონ კი მათ მიერ შემოთავაზებულ ფინჯან ყავის დალევაზე, სიამოვნებით დაეთანხმა.

მირანდას რომ გამოეღვიძა უკვე 12 საათი ხდებოდა. მას გონების დაძაბვა მოუხდა, რათა ყველაფერი გაეხსენებინა.

როცა იგრძნო, რომ იგი სუმთლად შიშველი იყო შერცხვა. გაეცინა, ადგომას ვერ ბედავდა, ფიქრობდა როგორ უნდა შევხედო უფროსებს თვალებში? მათმა ხომ იციან აქ რაც მოხდაო?

მერე კი გაეცინა – რა სულელი ვარ! ეს ამბავი ხომ ადამ და ევასგან მოდის. არც მე ვარ პირველი ან უკანასკნელი, მეორეც ის, რომ მე ხომ მომავალი ექიმი, ცოლი და დედა ვარ?!!

იგი, იქვე სავარძელზე მისთვის გამზადებულ ლამაზ ფარჩის ხალათს დასწვდა, ჩაიცვა და სააბაზონოს მიაშურა, მაგრამ აი, ქორწინების პირველი დღე და პირველივე პრობლემა! იგი საქორწილო კაბით ან ხალათით ხომ ვერ გავა – დედამთილ–მამათილის მისასალმებლად?!

მირანდა კარადასთან მივიდა, იზას რომელიმე კაბას მოვირგებო, მაგრამ როცა კარადაში შეიხედა მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

– ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჩემი ტანსაცმელია?!!

ნუთუ ცირამ ჩემს ჩუმათ გამოატანა მათ ყველაფერი?

დიახ, ყველა ჩემი რჩეული კაბები და თეთრეული აქ არის!

მირანდა ლამაზად გამოეწყო და შიოს შემოსვლა დაელოდა.

მისმა ასე მზადყოფნაში დახვედრამ შიო, მაზე არანაკლებად გააოცა.

იგი მირანდას შესცქეროდა – მან კი უთხრა:

– მზად იყავი შიო, სიურპრიზების სერიები იწყება!

– გეთანხმები, ძვირფასო!

შიო მირანდას მიუახლოვდა, მოეხვია, აკოცა და ჰკითხა:

– როგორ ხარ? როგორ მოგეწლნა გათხოვება?

– ძალიან კარგი რამ არის, ეს ყველაზე ლამაზი და სასიამოვნო ზღაპარია, რაც კი არსებობს ამ ქვეყანაზე!

– ეგ ზღაპარი, ამიერიდან ჩვენი ცხოვრების სინამდვილე იქნება. რას იტყვი?

– მადლობის მეტს არაფერს. ეხლა კი მივიდეთ, უხერხულია, რას იფიქრებენ შენი მშობლები? – რა ზარმაცელა ყოფილა პირველ საათამდე სძინავსო.

შიო და მირანდა სასტუმრო ოთახში შევიდნენ, იზამ მათ მიეგება, მირანდას აკოცა, როგორ გეძინაო ჰკითხა.

მერე მირანდა გიორგიმ, ნანიმ და ზაზამ გადაკოცნეს.

ეხლა ისაუზმეთ და მერე უნდა წავიდეთ სტუმრები გველოდებიანო. მირანდას გაუკვირდა.

– კიდევ სტუმრები?

– დიახ ძვირფასო, დღეს და კიდევ რამოდენიმე დღე სულ სტუმრები გვეყოლება – აუხსნა შიომ.

იზამ ყველანი მაგიდასთან მიიწვია. ისაუზმეს, ზაზამ და შიომ ცოტათი ღვინოსაც გაუსინჯეს გემო. წასვლისას ზაზამ შიოს ორაზროვნად გაუცინა და უთხრა, – დავიღალე ძმაო, მე დღეიდან შენი მძღოლი აღარა ვარო!

მან შიოს მანქანის გასაღები გადასცა.

მირანდას ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როცა ეზოში ჩავიდნენ და შიომ მას ახალი მანქანისაკენ მიუთითა, მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა.

ზაზამ – იზა, გიორგი და ნანი თავის მანქანაში ჩაისვა და წავიდნენ.

მირანდა სახე გაბრწყინებული შიოს უყურებდა.

– მოდი ძვირფასო, ჩაჯექი და მომილოცე, ეს მანქანა მამამ გვიყიდა. მოგწონს?

მირანდამ შიოს აკოცა, მიულოცა სულ ბედნიერ და მწვანე შუქზე გევლოსო!

მანქანა ძალიან მოეწონა და როცა შიომ მანქანის კარი გამოუღო და ჩაღდომა სთხოვა, მირანდა ქალბატონივით მედიდურად ჩაჯდა მასში.

შიომ მანქანა დაძრა – ორივეს უხაროდათ და ბავშვებივით იცი-

ნოდნენ.

– სად მივდივართ? იკითხა მირანდამ.

– არ ვიცი, ალბათ იქ სადაც ეს მანქანა მიგვიყვანს.

მირანდა ჩუმად იყო. ბოლოს ველარ მოითმინა და უთხრა:

– ჩვენთან მივდივარ? ცირასთან?

– არა, მის მეზობლად!

მანქანამ თამარ მეფის ქუჩის ერთ–ერთ ეზოში შეუხვია.

– აქ ვინ ცხოვრობს? მართლაც, რომ ცირას მეზობლად არის?

– არ ვიცი, ეხლა ვნახავთ!

შიო მანქანიდან გადმოვიდა, მირანდას კარი გაუღო და გადმოსვლა სთხოვა. მანქანა ჩაკეტა და სადარბაზოში შევიდნენ.

მესამე სართულზე რომ ავიდნენ მირანდას სთხოვა, რომ კარებზე ზარი დაერეკა.

მანაც არ დააყოვნა და დარეკა. კარები ცირამ გაუღო.

– ცირა?! შენ აქ როგორ მოხვდი? ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ.

როცა ოთახში შევიდნენ იქ მათ გაშლილი სუფრა, იზა, გიორგი, ზაზა, ნანი, ცირა და ესმა დახვდნენ. მათ, მხარს რამოდენიმე ნათესავიც უმშვენებდა.

მირანდა ყველას მიესალმა, ისინი ხომ ქორწილში იყვნენ. ყველანი სუფრას მიუსხდნენ.

მირანდამ რაღაც უჩვეულო იგრძნო და იკითხა:

– ეს ვისი სახლია? მას გიორგიმ უპასუხა.

– ეს სახლი შენი და შიოსია! ბედნიერება და სიხარული მოეტანოს ამ ახალ ჭერს თქვენთვის!

მირანდამ იცოდა, რომ რადგან ეს გიორგიმ სთქვა, არ შეიძლება, რომ ასეც არ იყოს.

ყველამ ახალი ბინის და მისი მშვიდობაში მოხმარის სადღეგრძელო დალიეს.

შიომაც არ დააყოვნა – ბოდიში მოიხადა – მირანდას ბინას დავათვალიერებინებ და მალე შემოგიერთდებითო.

შიომ უთხრა მირანდას, რომ ეს ბინა და მანქანა მისმა მშობლებმა მათ ქორწინების საჩუქრად უყიდეს, სანამ ჩვენ ბორჯომში ვისვენებდით ზაზა და ნანი ამით იყვნენ დაკავებულებიო.

როცა რემონტი დამთავრდა, წინასწარ შერჩეული ავეჯიც შემოიტანეს და ასე ლამაზად და კომფორტულად მოაწყვეს. ამიერიდან იგი შენი საკუთრებაა და შენ რა თქმა უნდა როგორც მოისურვებ ისე მოაწყობ ყველაფერსო.

ორივემ ყველა ოთახი, სამზარეულო, სააბაზანო და აივნები მოიარეს. ეზოშიც და ქუჩაშიც გადაიხედეს. ოთახის ფანჯრები თამარ მეფის ქუჩაზე გადიოდა. სამზარეულო და დანარჩენის კი ეზოს მხარეს ეზოში კაპიტალურად ნაშენები გარაჟიც აქვთ.

მირანდა თვალებს არ უჯერებდა, თავი სიზმარში ეგონა. მან შიოს ჰკითხა:

– ცირამ იცოდა ყველაფერი ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა! ცირას გარეშე დედას არაფერი გადაუწყვეტია.

მირანდა გაოცებული იყო – ერთ დღეში ამდენი სასიამოვნო სიახლე?!! – ეს მეტისმეტია!

– შიო მითხარი – შენს მშობლებს ამდენი ფული საიდან ქონდათ?

– მირანდა, შენ ხომ იცი, რომ დედა სკოლის პედაგოგია, მამაც მართალია სამინისტროში მუშაობდა, მაგრამ ხელფასის გარდა არასოდეს კაპიკიც კი არ ქონია სხვა შემოსავალი.

ეს ყველაფერი იქიდან არის, რომ მამაჩემის მშობლებს დადიანის ქუჩაზე დიდი და ძვირფასი ბინა ჰქონდათ. ის ბინა ვიღაც ფულიანმა შეისყიდა, მათმა კი როგორც ჩვენი წინაპრების ნაანდერძები, ისევ ჩვენ დაგვილოცეს – ეს არის და ეს!

მირანდას ისედაც ძალიან მოსწონდა შიოს მშობლები და ეხლა მას, მათდამი უდიდესი მადლობის, მოკრძალების და პასუხისმგებლობის გრძნობაც მიემატა. ეს ყველაფერი ბუნებრივიც იყო და ბუნებრივზე მეტიც. ხომ შეეძლოთ მათ, რომ ეს ყველაფერი რამოედნიმე წლის შემდეგ გაეკეთებინათ – როცა დარწმუნდებოდნენ, რომ კარგი რძალიშეხვდათ!

მირანდა – იმისათვის რომ მას ყველაფერის მიმართ თავისი საკუთარი აზრი ჰქონდა, ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო და ყველაფერს ღებულობდა ისეთს, როგორსაც მას ცხოვრება სთავაზობდა.

49.

ინსტიტუტის მიერ ნაბოძებმა ათმა დღემ მართალია წარუშლელი შთაბეჭდილება და ზღვა სიხარული აჩუქა მათ და იგი ასევე მადლიანად დამთავრდა, მაგრამ მათ მომავლის მყარი საფუძვლისათვის და თავიანთ მიერ არჩეული სპეციალობის მისაღებად, წინ კიდევ დიდი შრომა ელოდათ.

მათი ჯგუფელები თითქმის ყველანი იყვნენ ქორწილში და ძა-

ლიან კმაყოფილები დარჩენენ. ისინი ყველანი მათი გულწრფელი მეგობრები და კეთილის მსურველნი არიან. პირველ დღეებში მირანდას გოგოების უმეტესობა, ეშმაკურად ეკითხებოდნენ:

– მირანდა, გათხოვება მოგეწონა?

მირანდაც მათ ღიმილითვე პასუხობდა:

– „გემოვნებაზე არ დავობენ“ და კიდევ ის, რომ გააჩნია ვის წაყვები ცოლადო!

ზოგიერთებს გულის სიღრმეში „თეთრი შური“ მაინც ებადებოდათ და ამბობდნენ, რომ მირანდას ძალიან გაუმართლა, მართალია იგი ღირსეული გოგოა, მაგრამ მან, კურსის საუკეთესო ბიჭის მოჯადოება შესძლოო.

ყველამ იცოდა, რომ შიოს მეგობარი ქალიც ჰყავდა, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ მას მირანდა ძალიან უყვარდა, რაშიც ყველანი დარწმუნდნენ.

სწავლისთვის მათ დაოჯახებას ხელი არ შეუშლია – პირიქით, ისინი უკვე განუყრელი წყვილი იყვნენ და უფრო სერიოზულად და გეგმიურად მოეკიდნენ სწავლას. მათ სხვა საზრუნავი და საფიქრალი არაფერი ჰქონდათ.

მირანდა და შიო თავიანთ ახალ ბინაში ცხოვრობდნენ. ნანის და იზას მიერ მოწყობილ ბინისთვის მირანდას ხელი არ უხლია – მან პატივი სცა მათ გემოვნებას და მცდელობას, რათა მისთვის ესიამოვნებინათ. იქ ყველაფერი სიხარულის მომგვრელი, რუდუნებით მორთული იყო და თვალს ახარებდა.

ლექციების შემდეგ მიდიოდნენ იზასთან, ერთად სადილობდნენ და მერე კი – როგორც თითონ მონათლეს „საკუთარ ოჯახში“ მიდიოდნენ.

შაბათ–კვირას კი ცირასთან სტუმრობდნენ.

ქორწილის შემდეგ, ყველას გასაკვირად მირანდამ გიორგის მამა დაუძახა! იზას კი სახელით მიმართავდა.

შიოს შეკითხვაზე თუ რა ახსნა აქვს მას?

მირანდამ ასე უპასუხა:

– არ ვიცი, ეს ჩემდაუნებურად მოხდა!

იზასთან კი იგი როგორც თავის უახლოეს მეგობართან, თავს ისე გრძნობდა.

ბორჯომში – ერთად გატარებულმა ზაფხულმა ისინი ძალიან დაახლოვა, მიუხედავად ამისა, მირანდა ეთიკის ნორმებს მკაცრად იცავდა.

მირანდას ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მას რომ მამა ჰყოლოდა, აუცილებლივ ესეთი ურთიერთობა ექნებოდა მასთან, როგორც გიორგის მიმართ აქვს, თბილი, ერთმანეთის აზრებს უსიტყვოდ რომ კითხულობენ, რა მოსწონს, რა უხარია, რას ისურვებდა და საერთოდ მათ შორის – მამა–შვილურმა, სულიერმა ჰარმონიამ დაიდობინა!

კიდევ ის, რომ მირანდას გიორგის მიმართ სიბრალულის გრძნობა ჰქონდა – მიუხედავად იმისა, რომ მას საამისო არაფერი უჭირდა. გარდა გულის შეტევებისა, რომელსაც წამალი უმალვე უხსნიდა.

გიორგისაც მიაჩნდა, რომ მას საკუთარი ქალიშვილი რომ ჰყოლოდა, ალბათ ასევე ეყვარებოდა როგორც მირანდა.

ადამიანის, როგორც შესაძლებლობები, ასევე მისი სურვილებიც უსაზღვროა!

ერთხელ როცა იზა სადილის სუფრას აწყობდა და გიორგი და მირანდა კარტს თამაშობდნენ, მან მირანდას უთხრა, მირანდა, ვგრძნობ, რომ დიდი დრო არ დამრჩენია და ღმერთმა ისე არ მომკლას, რომ შვილიშვილის ხელში აყვანას ვერ მოვესწროო.

მირანდამ მას გაუღიმა და უთხრა:

– ნუ ღელავთ, როგორც ვიცი თქვენი წინაპრები, თუ არაუბედური შემთხვევა – ისინი ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობდნენ. თქვენ კი, შვილისშვილს კი არა, შვილთაშვილსაც მოესწრებით!

გულს ნუ გაიტეხო, მე ჩემს მხრიდან მაქსიმალურად ვეცდები, რომ რაც შეიძლება მალე შეგისრულოთ ნატვრა!

ორივენი ისე გულიანად იცინოდნენ, რომ იზამ მათ შემხედვარემ თვითონაც გაიცინა, არც კი უკითხავს ის, თუ რა იყო ამ ემოციის ასე გულუხვად გამოხატვის მიზეზი.

სადილის შემდეგ მირანდამ იზას ყველაფერი უთხრა და სევდიანი გუნებ–განწყობით, შიოსთან ერთად თავიანთ სახლშიწავიდნენ.

შიოს შეკითხვაზე, თუ რატომ არის მოწყენილი, მან უპასუხა რომ ცოტათი დაიღალა და სხვა არაფერიო.

50.

მართალია გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო, სამივე ოჯახში სიმშვიდე სუფევდა. ცირა ადვილად შეეგუა მირანდას გათხოვებას, მირანდა ბედნიერი და ყველაფრით უზრუნველყოფილია.

მას იგი ისევ უყვარს და ბავშვივით ათამამებს, ეფერება, ყოველ შაბათს ან კვირა დღეს, შიო და მირანდა მისი სტუმრები არიან. როცა მოდიან თან ყველაფერი გამზადებული მოაქვთ – ცირა რომ არ დაიღალოს სადილის მზადებით და არ დაიხარჯოს.

იზა და გიორგი ხომ, უბედნიერესნი არიან! მათმა შვილმა თავისი რჩეული მოიყვანა ცოლად და იგი მათთვის შვილივით საყვარელი, მოამაგე და სათაყვანებელი რძალია.

ახალგაზრდები კი – თავიანთთვის ყველაფრით უზრუნველყოფილნი, ერთმანეთის სიყვარულით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ტკბებიან და მომავლის გზასაც ერთობლივად მთელი სერიოზულობით იკაფავენ.

განა ეს ცოტაა?!!! კიდევ რა უნდა უნდოდეს ადამიანს სრული ბედნიერებისათვის?!!!

ალბათ, რაიმე ისეთი, რომ თავი უფრო ბედნიერად იგრძნოს!! მაგალითად – საინტერესო თავგადასავლები! და როცა ეს არ არის, ბედნიერებას – „ის ეშხი“ არა ააქვს!!!

ერთ კვირა დღეს, როცა შიო და მირანდა ცირასთან იყვნენ შიო ტელევიზორს უყურებდა, მირანდა კი ცირას სარეცხის დაფენაში ეხმარებოდა.

შიო, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ ადგილიდან ელვის სისწრაფით წამოაყენა და მირანდას ოთახში საწერ მაგიდასთან მიიყვანა.

მან ხელის კანკალით უჯრა გამოაღო და რასაც იქ ელოდა „ის“ იქ აღარ იყო! ყველა დანარჩენ უჯრებშიც ეძება მაგრამ – ამაოდ!

შიო თავის ადგილს დაუბრუნდა. იგი მარსიას წკმუტუნმა მოიყვანა გონს.

„ლეკვი აქ არის, ისინი კი გადამალა!“ შიოს თავი ასტკივდა, ხელები უკანკალებდა – ნუთუ ჩვენთან სახლში წამოიღო და ჩუმ–ჩუმად კითხულობს?! ალბათ ახალი წერილებიც ძველებს დაამატა, ნეტავ სად დამალა?!!!

ოთახში მირანდა შემოვიდა, დაინახა, რომ შიო ტელევიზორთან ზის, მაგრამ სხვაგან იყურება.

–შიო, რა ხდება?!

შიომ მირანდას ხმა გაიგო და ისე მიიხედ–მოიხედა თითქოს იქ ცარიელი ადგილი ყოფილიყოს. მას ფერი არ ედო.

მირანდამ მასთან მიირბინა, სახეზე ხელი მოუსვა,და კითხვა გაუმეორა, მან კი უაზროდ უპასუხა –

–რა უნდა ხდებოდეს?

–არ ვიცი, ფერი არ გადევს და ტელევიზორის მაგივრად კედელს უყურებ!

–ჰო, ხანდახან ასეც ხდება – როცა გადაცემა არ მოგწონს, აზრებს ნებისმიერ მიმართულებით გაყვები.

–შიო, თუ რაიმე გაწუხებს არ დამიმალო,ხომ იცი მე ყველა შემთხვევაში გაგიგებ და მხოლოდ შენს სასიკეთოდ ვიმოქმედებ,

რამე პრობლემა გაქვს და მიმალავ?

–არა საყვარელო, რომელ პრობლემაზე ლაპარაკობ?

მე რომ მარსიას მოვეფერე – რატომღაც ვიფიქრე, რომ შენი ბავშვობის მეგობარი ძალიან წინდახედული ახალგაზრდაა. იმიტომ გაჩუქა ეს ლეკვი, რომ იგი მუდამ შენთან იყოს და მისი არსებობა არ დაგავიწყოს! ხომ ასეა?!

მირანდამ მას გაუღიმა და უპასუხა,

–სწორე ხარ! ის ჩემი ბავშვობის მეგობარია და ჩემით ბავშვობიდანვე გატაცებული იყო – ეგონა, რომ ვუყვარდი, მაგრამ უკვე რა ხანია დავავიწყდით, მეც და მარსიაც. აღარც წერილებს მწერს და აღარც მოსალოცებს მიგზავნის.

–მერე შენ როგორ ეგუები მის ასეთ გულგრილობას?

–მე სხვას არაფერს ვისურვებდი იმის მეტს, რომ ეს რაც შეიძლება მალე მომხდარიყო.

მე პატივს ვცემდი ჩვენს ბავშვობის განუმეორებელ წლებს, მის მოგონებებთან ერთად, მასკი, ჩემს გულში ადგილი არასოდეს ჰქონია!

მე ხომ არ ვიცოდი, რომ შენ შეგხვდებოდი და შემიყვარდებოდი, ხომ შემეძლო, რომ მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა, თუკი ჩემში მისი საპასუხო გრძნობა იქნებოდა?

მისი წერილები დასახევად ვერ გავიმეტე – ისინი ერთ მუყაოს ყუთში ჩავალაგე და ცირას ძველ წიგნების კარადაში წევინახე. მათი განადგურება, მისი გრძნობების შეურაცხყოფად მივიჩნიე – ისინი ხომ მეოცნებე ახალგაზრდა რომანტიკოსის და შეყვარებული ყმაწვილის აზრისა და გრძნობების ნაყოფია!

–მართალი ხარ ჩემო ჭკვიანო, შენ ქალი კი არა ანგელოზი ხარ!

–რაც შეეხება მარსიას, თუკი შენ გსურს, მიუხედავად იმისა, რომ მე იგი ძალიან მიყვარს – შემიძლია ესმას ხონში გავუგზავნო.

–არა, რას ამბობ? ეგ რამ გაფიქრებინა?

—იმან, რომ – მისმა წკმუტუნმა და კუდის ქიცინმა შენ ეჭვიანობის საფუძველი შეგიქმნა!

—კარგი, გეყოფა! იმ დღეს ღმერთმა ნუ მომასწროს, რომ მარსიაზეც ვიეჭვიანო!

—თუ შენ ეჭვიანობის მასე დიდი „ნიჭი“ აღმოგაჩნდება – იქნებ ასეც მოხდეს! ვერ ვიტან ეჭვიანებს!!!

ამ სიტყვებმა ბოლო მოუღო მათ კინკლაობას

შიომ იგი მეხსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა და გადაწყვიტა, რომ ამგვარი რამ – არასოდეს გაიმეოროს და საერთოდ ყველაფერი ის, რაც კი მირანდას გააღიზიანებს.

***

მათ ოჯახურ იდილიას არაფერი ემუქრებოდა. შობა, ახალი წელი ახლოვდება და მეცადინეობით დაღლილები გეგმებს აწყობენ როგორ მოილხინონ, ამ ყველასათვის საყვარელ დღესასწაულებზე.

რა თქმა უნდა, ესმა ხონიდან ჩამოვა და თავის გამოზრდილ გოჭს, ინდაურს და ყველაფერ იმას, რაც მათ სუფრას დაამშვენებს თან ჩამოიტანს.

თვითონაც გაიხარებს და მათაც გაახარებს, ქორწილის შემდეგ მათ ერთმანეთი არ უნახავთ.

თავიანთი გეგმის მიხედვით – შიო და მირანდა ახალ წელს სახლში შეხვდებიან. ესხომ პირველი ახალი წელია, მათი შეუღლების შემდეგ. მერე კი ყველას მოულოცავენ – რიგრიგობით ამ დღესასწაულს.

შობა–ახალი წელი ხომ მთელი საქრისტიანოს საყვარელი დღესასწაულია და გამონაკლისს არც ფიქრიას ოჯახი წარმოადგენდა.

შოთა და ომარი საყიდლებზე ერთად მიდიოდნენ, დანარჩენს კი თვითონ ფიქრია უვლიდა. იგი საუცხოო დიასახლისია და მთელ სანათესაოში ყველაზე კარგ ნამცხვრებს აცხობს.

წლეულს მას დაგეგმილი აქვს თავისი კულინარული ნიჭის გამოვლინება,რათა ასიამოვნოს ომარის მეგობრებს, რომლებიც მისი თაოსნობით წელს თავს მის ოჯახში მოიყრიან, ხომ უნდა იცოდეს ვისთან მეგობრობს ომარი?

საშობაოდ ომარიმ ხონში წასვლა გადაწყვიტა, იგი ზაფხულის შემდეგ იქ არ ყოფილა, დედა და და არ უნახავს.

მართალია წლევანდელმა ზაფხულმა მას მირანდას ნახვის იმედები გაუცრუა, მაგრამ ის გრძნობა და გულის ძგერა, რომელსაც იგი მათ ეზოსთან გავლის დროს განიცდიდა, სულაც არ შესუსტებულა. იგი თავს ისევ სკოლის მოწაფედ გრძნობს და მირანდაზე ისევ ძლიერ არის შეყვარებული.

ხონში ყოფნის დროს კი, იმედი აქვს ყველაფერს გაიგებს მის შესახებდა მორიგ სტიმულს მიიღებს სამომავლოდ დასახულ გეგმების განსახორციელებლად.

მანამდე კი სიყვარულით სავსე და უფრო ვრცელ წერილს გაუგზავნის. მალე მისი „სასჯელის“ მოხდის დრო იწურება და ამდენი ხნის განშორების შემდეგ სურს სთხოვოს იმის ნებართვა, რომ ესტუმროს მათ თბილისში, რამოდენიმე საათით მაინც და ცხოვრების გაგრძელების და აკადემიის დამთავრებისათვის საჭირო სულიერი საზრდო მიიღოს.

დაიღალა იგი – მირანდას ხატადქცეულ სურათთან საუბრით. ყველა თავის ფიქრის და დარდის გაზიარებით და მეგობარი ქალების უაზრო ურთიერთობებით.

მას სურს, რომ კიდევ ერთხელ იხილოს მირანდას საოცნებო სახე, იხილოს მისი ღიმილი, რომელიც მას ასე ძალიან უხდება და გაიგოს მისი ხმა!

უთხრას მას, რომ რაცდრო გადის იგი მას უფრო ძალიან უყვარდება, ენატრება და სურს გაიგოს მისგან – ყველაფერ ამას ბოლო როდის მოეღება?!!!

მართალია, მირანდას მისთვის არავითარი იმედი და პირობა არ მიუცია, მაგრამ ომარიმ ისიც იცის, რომ მირანდასათვის იგი, თუ დიდი სიყვარული არა, მის გულში რაღაც პატარა ადგილი მაინც უჭირავს და ეს წმინდა და ძალიან თბილი გრძნობაა, რომელიც შეიძლება გვიან, მაგრამ ძალიან ნაყოფიერად გაღვივდეს და ამ ნაპერწკალმა, მისი გული მთელი სიცოცხლის მანძილზე გაათბოს!!!

ეხლა კი კმარა დეპეშასავით მოკლე მოსალოცი ბარათების გაგზავნა, უნდა მივწერო ვრცელი წერილი, წერილი კი არა – აღსარება – და მისი პასუხი, თუკი იგი ამის ღირსს გამხდის, ჩემი ცხოვრების გაგრძელების ამოსავალი წერტილი, ან ჩემი საბოლოო განაჩენი იქნება!

ნუთუ ეს სისასტიკე არ არის, რომ ჩემს ასაკში – ახალგაზრდა ყმაწვილს სიყვარულის უფლება წაართვან და იგი წყალში გადაგ-

დებულ ნაფოტივით მის დინებას მიყვეს?

მართალია, ქვეყნად მრავალი ადამიანი იტანჯება ცალმხრივი სიყვარულით და თუ მეც ეს ბედი მიწერია, თანახმა ვარ, მაგრამ ის მაინც ვიცოდე, რომ ის ბედნიერი იქნება!

არც მე დავრჩები უცოლშვილოდ. შეიძლება მეც გამიმართლოს და კარგი მეუღლე შემხვდეს, მეყოლოს შვილები, კარგი და სანაქებო ოჯახი მქონდეს, მაგრამ არა მგონია, რომ მირანდას გარეშე მე ბედნიერი ვიყო! შეიძლება თავი მოვიტყუილო, მაგრამ გულს რა ვუყო?!!

მას ხომ ვერავინ და ვერაფერი ვერ მოატყუილებს!

***

შიო და მირანდა მარტო გარეგნულად არ არიან ერთმანეთის შესაფერისები – მათი ინტერესები და ურთიერთგაგება ერთმანეთს ემთხვევა?

შიომ მას მანქანის ტარება ასწავლა და მართალია მირანდამ პირველივე მცდელობაზე მართვის მოწმობა ვერ აიღო, მაგრამ მეორედ გაუმართლა და იგი თავს პროფესიონალ მძღოლად სთვლის!

ზოგიერთ წესების ცოდნაში შიოს და ვაჟასაც კი სჯობნის.

მათ შემხედვარე ეკას და ვაჟას ერთი სული აქვთ როდის დაქორწინდებიან?

მირანდა ატყობს, რომ შიოს არ მოსწონს, როცა ის და ეკა მის გარეშე საუბრობენ.

მირანდაც ცდილობს, რომ არ მისცეს მას ეჭვიანობის რაიმე საბაბი.

ცირასთან მორიგი სტუმრობის დროს მან უთხრა, რომ შიო ომარიზე ეჭვიანობს, და გთხოვ ფოსტალიონი გააფრთხილო, რომ თუ საახალწლოდ მისგან მოსალოცი ბარათი მოვა, საფოსტო ყუთში არ ჩაუშვას და პირადად შენ მოცეს! მერე კი მე თვითონ მივწერ, რომ გავთხოვდი და ყოველგვარი მიწერ–მოწერა შეწყვიტოს.

ცირა ამ განცხადებამ შეაშფოთა, მაგრამ მირანდას შეპირდა, რომ როგორც მან უთხრა ისე მოიქცევა. რა საჭიროა მისი ზედმეტად გაღიზიანებაო. მათი ქორწინების პირველი ახალი წელი, შიომ და მირანდამ თავიანთ სახლში გაატარეს.

მოიწვიეს მხოლოდ ძალიან ახლო ნათესავები – სულ 20 სული.

შიოს თხოვნაზე, რომ ზოგი მისი მეგობარიც მოეწვიათ, მირან-

დამიგი ძალიან მშვიდად და ალერსიანად დაითანხმა იმაზე, რომ ეს ოჯახური დღესასწაულია და შემდეგ – ზამთრის სესიების დამთავრებისთანავე – ვინც შენ გსურს ისინი დაპატიჟე – თანატოლებთან უფრო კარგ და მხიარულ დროს გავატარებთო.

შიო ატყობდა, რომ რაც დრო გადიოდა იგი, მით უფრო მშვიდდებოდა, მირანდას მიერ გამოთქმულ აზრს უყოყმანოდ ეთანხმებოდა, არც ომარის, არც ბესიკის და არც მარსიას არსებობა მას აღარ აღელვებდა. მისი მშობლები ბედნიერები და დამშვიდებულები იყვნენ, ოცნება აუსრულდათ მათი შვილი დაოჯახდა!

თვითონაც თავს ჩინებულად გრძნობს – თვითონ არის თავისი ოჯახის უფროსი!

მირანდა მას ყველაფერში ეთანხმება, არასოდეს ეკამათება და სიტყვის და მოქმედების უპირატესობას მას ანიჭებს, გრძნობს რომ „თავისუფლად ამოისუნთქა“!

სამომავლოდ კი მხოლოდ ერთი საფიქრალიღა დარჩა – დიპლომის აღება და კარგ კლინიკაში სამსახურის დაწყება!

მერე კი შეუძლია მშვიდად იყოს და ბედნიერად იცხოვროს!!!

იყოლიონ შვილები და მათი მხიარული, ჯანმრთელი და ბედნიერი ჟრიამულით დატკბნენ.

***

ხონში ჩასულმა ომარიმ გაიხარა დისა და დედის ნახვით, ისინიც მის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

ომარიმ მათ საჩუქრები, ფიქრიასი და შოთას მოკითხვები ჩამოუტანა,

იგი მოუთმენლად ელოდა მირანდას შესახებ რამის გაგებას.

როცა იქაური ნაცნობ–მეგობრები მოიკითხა, მისმა დამ უთხრა, რომ მირანდა გათხოვდა, რომ ესმა ძალიან აქებს სიძეს და მის მშობლებს. თვითონაც ძალიან გახარებული და ბედნიერია, რომ მირანდას ესეთი ბედი ეწვია. ქორწილი სექტემბერში ქონდათ, ესმამ სურათები ყველას გვაჩვენა. ორივენი ერთმანეთის შესაფერისები არიან, ერთმანეთი ძალიან უყვართ, თანაკურსელები არიან, ინსტიტუტის დამთავრებამდე ვეღარ მოითმინეს და დაქორწინდნენო.

ამის გამგონე ომარის, თითქოს მეხი დაეცა! იგი ხმას ვერ იღებდა, აღარ ესმოდა თავისი დის ლაპარაკი, არც ესმას მიერ მონათხრობი და არც მათზე მიმატებული თავისი მოსაზრებები.

იგისახლშიშევიდა,განმარტოვდა.ამამბისგამგონე,გაოგნებული იყო.

ეს როგორ? მე რატომ არაფერი ვიცოდი ამის შესახებ? რატომ არ მომწერა? დედამ რამდენჯერ დამირეკა ბათუმში და ამის შესახებ არაფერი უთქვამს. გასაგებია – იცოდა, რომ ეს ამბავი არ გამახარებდა. მან კი, არ ჩათვალა საჭიროდ და არ შემატყობინა! იცოდა, რომ ეს ტყვიის მოხვედრაზე მეტად იმოქმედებდა ჩემზე.

რა გაეწყობა! როგორი მწარეც არ უნდა იყოს ეს ამბავი ჩემთვის, მე მას დიდ ბედნიერებას ვუსურვებ.

მე, მას არასოდეს ვუყვარდი, ალბათ ვეცოდებოდი, და მეტი არაფერი,ამაზეც მადლობელი ვარ!

მირანდა ძალიან მგრძნობიარეა, იმიტომაც არ მომწერა. იფიქრა – მაინც გაიგნებს და მირჩევნია სხვისგან გაიგოს, მე მაგ ტკივილს მას პირადად ვერ მივაყენებო!

იგი ყოველთვის დიდსულოვანი იყო და ასეთივედაც დარჩა, რა დასანანია, რომ ჩვენი გზები გაიყარა, რა ბედნიერია მისი მეუღლე, მე „თეთრი შურით“ მშურს მისი მათ კი, ბედნიერებას ვუსურვებ!

მიუხედავად ყველაფრისა, იგი ჩემთვის ისეთივე კეთილ ფერიად რჩება როგორიც ყოველთვის იყო, მის ადგილს ჩემს გულში ვერავინ დაიკავებს!

***

შიომ და მირანდამ ზამთრის სესიებიც ნორმალურად ჩააბარეს, ყველაფერი რიგზე იყო.

იანვრის ბოლოს გიორგის გულის შეტევა გაუმეორდა, ყველანი ძალიან შეშინდნენ. მაგრამ მალე ყველაფერმა გაუარა.

ერთ დღეს, სადილის შემდეგ ყველანი იზას მიერ მომზადებულ ნამცხვარს შეექცეოდნენ. შიო გიორგის თავიანთ ნაცნობის შესახებ რაღაც ამბავს უყვებოდა, მირანდა ჯერ ჩუმად იჯდა, მერე სააბაზანოში გავიდა და იქვე გული წაუვიდა, იზას ყვირილზე ორივენი წამოცვივდნენ და შიო მირანდას წამოსაყენებლად დაიხარა.

მირანდამ ფართოდ გაახილა თვალები და იკითხა რა მოხდაო? შიომ იგი ხელში აყვანილი ოთახში შეიყვანა და დივანზე დასვა.

–რა იყო ძვირფასო, როგორა ხარ?! რა იყო – წაიქეცი? რამე გეტკინა?

–არაფერია, ნუ ღელავთ, ძალიან კარგად ვარ.

მირანდამ შუბლზე ხელი მოისვა, მასოდნავ თავბრუ ეხვეოდა.

გიორგის გარდა, ყველანი მიხვდნენ, რაც ხდებოდა მას კი, წვეთები დაალევინეს!

იზა მირანდას მოეფერა, აკოცა და უთხრა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო.

შიომ იგი გულში ჩაიკრა, აკოცა და მოეფერა, ნუ გეშინია, მე ხომ შენთან ვარ, ჩემი იმედი ყოველთვის გქონდესო.

მირანდა მორცხვად იღიმებოდა. იზამ გიორგის უთხრა,

–ამიერიდან წვეთების სმას თავი დაანებე და შვილიშვილის შესახვედრად მოემზადე, იგი ფეხბურთზე შენ უნდა ატაროო.

გიორგი სიხარულისგან ტიროდა. მირანდა მას მოეხვია და უთხრა.

–დამშვიდდით, არაფერზე ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება – მას ჯანმრთელი და ღონიერი ბაბუა უნდაო.

გიორგიმ მირანდას ხელზე ეამბორა და ამით გამოხატა თავისი ბედნიერება.

იზამ ცირას დაურეკადა ახალი ამბავი ახარა.

მირანდა თავს მშვენივრად გრძნობდა.

კვირას ის და შიო ცირას ესტუმრნენ. ცირა მხიარული და შეშფოთებული იყო, მათ ბედნიერება უსურვა და უთხრა, რომ მე თუ ამ ამბავს გადავიტან, მერე ალბათ ას წელს ვიცოცხლებო.

მირანდამ იგი ანუგეშა.

–ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, ქალებს, რომ ამისი ეშინოდეთ შვილს აღარავინ გააჩენდაო.,

ცირა მას თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, რაღაც უნდა ეთქვა და იმის თქმას გაჩუმება ამჯობინა.

ცირას შიო ძალიან მოსწონდა და თავს მშვიდად გრძნობდა, იცოდა, რომ მირანდა საიმედო ხელში იყო.

ისადილეს, ისაუბრეს, მერე ტელევიზორს უყურებდნენ, ცირა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მირანდა მასთან შევიდა,. ცირამ უთხრა, რომ წერილი მოვიდა და მაგ კარადაში დევსო.

მირანდა გამოვიდა სამზარეულოდან და შიოს გვერდით დაჯდა. ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ და მერე კი წასასვლელად მოემზადნენ.

როცა გადიოდნენ მირანდამ წერილი შეუმჩნევლად აიღო და ჩანთაში ჩაიდო,

მიუხედავად იმისა, რომ ცირა მას ყოველთვის უკრძალავდა მანქანაში წინ დაჯდომას, იგი მაინც იქ ჯდებოდა, „თუ რამეა მოსახდენი, მაინც მოხდება – გინდ წინ იჯექი და გინდ უკანო“.

შიომ მანქანა გარაჟში შეიყვანა.ორივენი სახლში ავიდნენ. ცოტა ხანს კიდევ უყურეს ტელევიზორს, მერე მირანდამ სახვალიო ტანსაცმელი გადმოაწყო და შიოს უთხრა:

–დროზე დავიძინოთ, დილით ნორმალურად საუზმობა უნდა მოვასწროთ.

შიომ მას თანხმობის ნიშნად გაუღიმა:

მირანდამ სააბაზანოს მიაშურა.კონვერტი გახსნა და წერილი წაიკითხა:

გამარჯობა მირანდა – როგორა ხარ?

მე, შობა–ახალი წელი ხონში გავატარე და ჩემებმა მითხრეს, რომ გათხოვილხარ,. ისიც მითხრეს, რომ ძალიან კარგი მეუღლე გყავს და ერთმანეთი ძალიან გიყვართ,. რომ გითხრა, ეს ამბავი ძალიან გამიხარდა–მეთქი, იცი, რომ ეს ესე არ არის!

მე შენთვის ყოველთვის მხოლოდ სიკეთე მინდოდა და რადგან შენ ბედნიერი ხარ, ამით მეც მოხარული ვარ.

გისურვთებთ ბედნიერებას, შენ და შენს მეუღლეს, ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ! გამრავლოთ და გაბედნიეროთ. შენ ყოველივე სიკეთის ღირსი ხარ.

კიდევ ერთხელ გილოცავ გაბედნიერებას, შენს მეუღლესაც გადაეცი ჩემი მოლოცვა და კეთილი სურვილები.

მე როცა დავქორწინდები, ამის შესახებ პირადად ან მოგწერ ან დაგირეკავ. შოთაც და ფიქრიაც გილოცავენ გაბედნიერებას. მოკითხვა ცირას, მასაც მოულოცე ჩემს მაგივრად.

კეთილი სურვილებით – ომარი

ბათუმი, 5 თებერვალი.

მირანდამ წერილი დაკეცა და ისევ კონვერტში ჩადო,. გაუხარდა, რომ ომარიმ ეს ამბავი ესე იოლად გადაიტანა. კარგია, აღარ მოიწერება და მოვისვენებ არ მინდა ზედმეტი უსიამოვნებები, უკვე დიდია, თავის თავს მიხედავს, არ დაიკარგება.

ნეტავი ბედნიერი იყოს! ძალიან გამიხარდება, მირანდამ წერილი ჩანთაში ჩადო.

დილით ისაუზმეს და ინსტიტუტში წავიდნენ. გზაში შიომ მირანდას ჰკითხა.

–შენმა მეზღვაურმა გაიგო, რომ გათხოვდი?

–ხომ იცი, რომ გაუგებარი არაფერია და ისიც ხონში!

–მერე რა რეაქცია ჰქონდა?

როცა მივალთ და ჯგუფში მშვიდად დაჯდები, მაშინ გაიგებ, რა რეაქციაც ჰქონდა!

–რა იყო, თავი ხომ არ მოიკლა?!

–არა, ის გაწონასწორებული პიროვნებაა და ემოციებს ადვილად უმკლავდება.

–ძალიან კარგი!

როცა ჯგუფში შევიდნენ და დასხდნენ, მირანდამ მას წერილი გაუწოდა.

შიოს წინათგრძნობა გამართლდა, იგი გრძნობდა რომ ეს უნდა მომხდარიყო, იცოდა, რომ ფოსტალიონმა გუშინ ცირას წერილი გადასცა. მან მირანდას წერილი გამოართვა და წაიკითხა. გაეცინა. წერილი ისევ მას დაუბრუნა და კითხა:

–ამ წერილსაც არქივში შეინახავ?

–არა, მაგას დავხევ და ქარს გავატან. მე არაფერს არ მოვიმოქმედებ ისეთს, რაც შენ ოდნავ მაინც გაგაღიზიანებს ან არ მოგეწონება!

ეხლა უკვე ეგ პატარა ბიჭი აღარ არის, გზას თვითონ გაიკვლევს და სისულელეებს აღარ ჩაიდენს. მაგას ჩემი სულიერი მხარდაჭერა აღარ სჭირდება.

–მირანდა, რა ბედნიერებაა, როცა ადამიანს იმის ნიჭი და სურვილი აქვს, რომ ყველას მიმართ დიდსულოვანი იყოს!

ეს ხომ ღვთისაგან ნაბოძები მადლია!! ლექცია დაიწყო და მათმაც მთელი ყურადღება მას მიაპყრეს.

შიომ და მირანდამ მეოთხე კურსიც დახურეს, მირანდა თავს კარგად გრძნობდა ექიმიც მისი ჯანმრთელობით და ორსულობის მიმდინარეობით კმაყოფილი იყო. მან მირანდას, როგორც მომავალ დედას რჩევა–დარიგებები მისცა და ლამაზად დასურათებული წიგნიც აჩუქა. თან აუწყა, რომ მშობიარობას სექტემბრის პირველ ნახევარში უნდა ელოდეთო.

რაც შიოს და მირანდას შეეხებოდა ცირა და იზა ერთობლივად განიხილავდნენ მათთვის გადასაწყვეტ საკითხს.

დღეს მათი საზრუნავი იყო, თუ როგორ დააღწიონ თავი თბილისურ სიცხეს?

გიორგის ექიმის რჩევას თვითონაც შეუერთდნენ და გადაწყვიტეს, რომ ამ ზაფხულსაც ბორჯომში გაატარებენ, გადაწყვეტი-

ლებით ყველანი კმაყოფილნი იყვნენ.

მირანდამ ცირას ურჩია, რომ იგი ხონში წასულიყო და ესმასთან ნორმალურად დაესვენა. რომ იგი ძალიან გადაიღალა და მასაც უნდა ძალების მოკრება.

ცირამ მას საყვედურით შეხედა და უთხრა, – შენ მაგ მდგომარეობაში დაგტოვო და მე ხონში წავიდე?! ეგ რამ გაფიქრებინა? მე ჩემმა უფროსმა ბორჯომის სანატორიუმის საგზური უკვე გადმომცა, მინდოდა თქვენთვის სიურპრიზი მომეწყო.

მოგვიწყვე კიდეც! მართალი ხარ, ერთად უფრო მშვიდად ვიქნებით – მიუგო მირანდამ.

გიორგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელი იყო.

გადაწყვეტილება მიღებულია! მომავალ კვირას ბორჯომში იქნებიან

ცირამ ესმას დაურეკა და ვითარება გააცნო. მართალია მას ძალიან დაწყდა გული, რომ ამ ზაფხულს მასთან არ ჩამოვლენ, მაგრამ ცირა, რომ მირანდას გვერდით იქნება ეს მას ანუგეშებს.

მან მხოლოდ ის სთხოვა მათ, რომ ხშირად დაურეკონ მას და გააგებინონ თავიანთი ამბავი.

ბორჯომში ჩასულები – მშვენიერ სანატორიუმის გვერდი– გვერდ ოთახებში დაბინავდნენ და ყველანი ერთად თავს მშვენივრად გრძნობდნენ.

შიო მირანდას განსაკუთრებულად თავს ევლებოდა. ისინი თავს „ედემის ბაღში“ გრძნობდნენ – თუმცა არც ბორჯომი ჩამოუვარდება არაფრით – ედემის ბაღს, თუკი იგი დღესაც არსებობს!

საღამოობით მთელი ოჯახი სანატორიუმის ულამაზეს პარკში ისვენებდნენ. ხან იქვე კლუბში კინოს უყურებდნენ ხოლმე.

შიო ხშირად სპორტუოლ მოედანზე – დამსვენებლებთან ერთად ფრენბურთს თამაშობდა.

მირანდა ამ დროს გიორგის, იზას და ცირასთან საუბრით ერთობოდა, ხანდახან ქალაქის პარკსაც ეწვეოდნენ ხოლმე. სადაც ყველაფერი იყო იმისათვის, რომ დამსვენებლებს მოწყენილობა არ ეგრძნოთ.

ერთ კვირა დღეს – სადილის შემდეგ, შიო და მირანდა სანატორიუმის პარკში სეირნობდნენ, ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ და რაღაცაზე ტკბილად საუბრობდნენ.

მირანდამ მისკენ მომავალი ომარი დაინახა! თვალებს არ უჯერებდა, ფიქრობდა ალბათ სხვაში მეშლებაო, მას აქ რა უნდაო?!

ომარიმ მათ დანახვაზე მიმართულება შეიცვალა, სხვა ბილიკს გაყვა ისე, რომ მათთვის არც კი შეუხედავს.

მირანდამ არაფერი შეიმჩნია, მიხვდა, რომ მან შეუმჩნევლად დარჩენა გადაწყვიტა და გულზე მოეშვა.

იცოდა რომ ომარი ისეთ რამეს არ ჩაიდენდა რაც მას არ ესიამოვნებოდა.

მირანდას ეჭვიც კი შეეპარა – ხომ შეიძლება, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს გვანდნენ? მით უმეტეს, რომ იგი მათთან ახლოს არც კი მისულა.

მირანდამ და შიომ გზა განაგრძეს. მირანდამ მას ცოტა ხნით სკამზე ჩამოჯდომა სთხოვა – დავიღალეო.

მირანდას უნდოდა, რომ დარწმუნებულიყო – მართლა ომარი დაინახა თუ შეცდა.

ომარი სხვა დამსვენებლის გვერდით, სკამზე იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ადგა და მათ საპირისპირო მხარეს წავიდა, ისე რომ მათ მხარეს არც კი მიუხედავს.

როცა ვარდის ბუჩქთან გაიარა, ერთი წითელი ვარდი მოწყვიტა და თავისუფალ სკამზე დადო.

თვითონ კი გზა განაგრძო,

მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა. ესიამოვნა, რომ იგი ბათუმიდან ბორჯომში ჩამოვიდა იმისათვის, რომ მხოლოდ თვალი შეავლოს მას და დარწმუნდეს, რომ იგი ღირსეულს წაყვა ცოლად!

რომ მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ და ამის აღსანიშნავად, თავის მიერ მოწყვეტილი – წითელი ვარდი დაუტოვა!

ყველაფერი ნათელია, ლამაზად მოიქცა! როცა გზა განაგრძეს მირანდა იმ სკამზე ჩამოჯდა, სადაც ვარდი იდო.

–შიო ნახე რა ლამაზი ვარდია! ალბათ შეყვარებულებს დარჩათ! რა სურნელი აქვს!..

მოდი ცოტა ხნით ჩამოჯექი და მალე წავალთ, ალბათ უკვე გველოდებიან, დღეს ჩვენს კლუბში კარგ ფილმს უჩვენებენ.

შიო მის გვერდით ჩამოჯდა და უთხრა, – მირანდა, გადააგდე ეგ ვარდი, რა ვიცი ვინ ყნოსავდა, მე ეხლავე ახალს მოგიწყვეტ.

შიო ვარდის მოსაწყვეტად წავიდა, მირანდამ ვარდი ჩანთაში ჩაიდო, წამოდგა და შიოს გაჰყვა.

–არა არ მოწყვიტო, არ მინდა, ისედაც ცოტა ხანს ცოცხლობენ

– დარჩეს სანამ მშვენიერია!

–ჰო საყვარელო, შენ ისეთი კეთილი ხარ, რომ ვარდსაც ვერ იმეტებ მოსაწყვეტად – დარჩეს რადგან შენ ესე გსურს!

***

25 აგვისტოს ყველანი დასვენებულები, სიგრილით და ბუნების წიაღში მისი მშვენიერებით გალაღებულნი თბილისში დაბრუნდნენ – სადაც მათ აგვისტოს პაპანაქება სიცხე ელოდათ. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ არსებობს კონდენციონერები და მაცივრები!

აგვისტოს პაპანაქება არავის ახსოვდა, მათ ახალი საფიქრალი ჰქონდათ!

როგორც ექიმმა მირანდას გასინჯვისას აუწყა – 10–დან 20 სექტემბრამდე უნდა ელოდნენ – ბავშვის დაბადებას!

შიო და მირანდა იზასთან რჩებოდნენ, ყველანი ერთად თავს უფრო იმედიანად გრძნობდნენ.

მირანდამ დრო შეარჩია და ომარის წერილი მისწერა.

გამარჯობა ომარი

გამიხარდა, რომ დაგინახე, მაგრამ გთხოვ, რომ ესეთი სიურპრიზები აღარ გაიმეორო! ნუ იქნები ეგოისტი!

ვიცი რომ მოგენატრე, ვიცი, რომ შენ ჩემთვის მხოლოდ სიკეთე გინდა, მაგრამ იმისათვის, რომ მე მომინახულო – ამით შეიძლება ჩემს მდგომარეობას დიდი ზიანი მიაყენო. შენ, რომ ამის გაფიქრებაც კი არ გინდა ისიც კარგად ვიცი, ვარდი ძალიან ლამაზი და სურნელოვანია – მესიამოვნა! მადლობელი ვარ!

ამხელა გზა გამოიარე იმისათვის, რომ ეგ ლამაზი ვარდი ჩემთვის მოგეძღვნა! სიამოვნებით მივიღე იგი და წიგნში ჩავდე, როცა მოვხუცდები, მაშინ ხშირად ამოვიღებ მას და დავყნოსავ. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი ისეთივე, სურნელოვანი იქნება, როგორც იმ დღეს იყო და ისეთივე ლამაზი როგორიც დამიტოვე!

მოგონებები ჩვენთან დარჩება – ისინი ხომ ჩვენი ცხოვრების თანამგზავრნი არიან.

შენ კი, შენი ცხოვრება უკვე დროა, რომ მიუძღვნა შენთვის საყვარელ და ღირსეულ ადამიანს, რომელსაც ეყვარები, შენც გეყვარება და ერთმანეთს გაუგებთ, დანარჩენს კი, მერე ერთობლივად მოუვლით. გისურვებ, რომ შენც ჩემსავით ბედნიერი იყო, შიო, ძალიან საყვარელი, კეთილი, მოსიყვარულე და კეთილშობი-

ლი პიროვნებაა. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მინდა რომ შენც ესეთი ბედნიერი იყო.

მოგონებები და ბავშვური გატაცებები შეგიძლია ერთ რომელიმე წიგნში ლამაზ ვარდივით შეინახო, ან შენივე გულის ერთ თბილ კუნჭულში გადამალო, იგი სიამოვნების და სიამაყის მეტს არაფერს მოგიტანს, მაგრამ ცხოვრებაში – მოგონებები, მოგონებებად რჩება – რეალობა კი მომავალია და ღმერთმა ინებოს, რომ მომავლის მოგონებებმაც ისე გაათბოს შენი გული, როგორც ამას ბავშვობის პერიოდის მოგონებები ახერხებენ!

მე, ხშირად მოგწერ წერილებს და რაც ჩემს ცხოვრებაში სიახლე იქნება, ყველაფერს ჩემგან – პირველ წყაროდან – გაიგებ.

შენგან კი,ველოდები ყველა ამბავს, რაც შენ შეგეხება და რის შეტყობინებასაც ისურვებ, მხოლოდ – წუწუნი არ გამაგონო!

შენი ცხოვრების ახალი ფურცელი გადაშალე და ეცადე რომ როგორიც ხარ ისეთივე კეთილშობილ რაინდად დარჩე!

ყოველივე საუკეთესოს გისურვებ!

მირანდა

5.IX.

შიო ინსტიტუტში თითქმის არ დადიოდა, სულ მირანდას გვერდით იყო, შიშობდა, რომ მას რაიმე არ გართულებოდა.

გიორგიმ წინასწარ სთხოვა თავის ბავშვობის მეგობარ – პროფესორს, რომ მშობიარობის წინაპერიოდშიც და ბავშვის გაჩენის მომენტშიც მირანდასთვის ყურადღება მიექცია.

მან რა თქმა უნდა გიორგი დაამშვიდა და უთხრა, რომ სანამ შენს შვილიშვილს პირადად შენ არ ჩაგაბარებ, მანამ არც დედას და არც ბავშვს გვერდიდან არ მოვშორდებიო.

მართალია ყველანი ერთმანეთს ამხნევებდნენ, მაგრამ ცალკ–ცალკე ყველანი ღელავდნენ.

14 სექტემბერს, სამშობიაროში მიყვანისთანავე ყველას ჩარევისა და ყოველგვარი გართულებების გარეშე, მირანდას მშვენიერი გოგონა შეეძინა.

მირანდამ მას თავისი დედის სახელი თამარი დაარქვა.

ყველანი გახარებულები იყვნენ და ერთმანეთს ამ ბედნიერებას ულოცავდნენ.

დედა–შვილი იზასთან სახლში მიიყვანეს ყველამ შვებით ამოისუნთქა.

გიორგიმ კი ვერ შეძლო მოზღვავებული სიხარულის დაძლევა

და გულმა შემოუტია.

ექიმმა ყველა ანუგეშა – ყველაფერი რიგზეაო და წამლების მთელისია ჩამოუწერა.

მირანდა გიორგის ამშვიდებდა, ნუ ღელავთ, მშვენივრად გამოიყურებითო და თითქოს ბოდიშის მოხდით უთხრა, მეორე შვილი ბიჭი გვეყოლება და გიორგის დავარქმევთო.

გიორგი სიხარულისგან ცას ეწია და თვითონაც ხუმრობით უპასუხა,

–მეორეც, რომ გოგო გაჩნდეს, მაშინ?

–მაშინ სხვა გზა არ მექნება და გიორგინას დავარქმევო – უპასუხა მირანდამ.

ყველანი იცინოდნენ, გიორგიმ მირანდას აკოცა და უთხრა.

–რატომ გგონიათ, რომ ყველა მამაკაცს უეჭველად უნდა რომ შვილიც და შვილიშვილიც ვაჟი ეყოლოს?

მე, პირადად შიოს დაბადების შემდეგ ვოცნებობდი, რომ იზას გოგონა გაეჩინა, მაგრამ როგორც ხედავთ არ გაგვიმართლა.

ეხლა კი, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ, მადლობა ღმერთს, რომ მან ასეთი ანგელოზი გვაჩუქა და შენც კარგად ხარ!

მთავარია, რომ ჩვენი გოგონა ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს!

მიუხედავად იმისა, რომ დედაც და ბავშვიც თავს კარგად გრძნობდნენ – ცირა ყოველ საღამოს მათთან იყო და საოჯახო საქმეებში იზას დახმარებას ცდილობდა.

მაგრამ იზასენერგია და ხალისი ისე გაუორმაგდა, რომ მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებდა იგი ხომ ჯერ მხოლოდ 45 წლისაა.

მირანდამ გადაწყვიტა, რომ ერთი წელი აკადემიური შვებულება აიღოს და როცა გოგონა წამოიზრდება სწავლა მერე გააგრძელოს, მაგრამ იზამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ბავშვს მე თვითონ მივხედავ. მირანდამ კი სწავლა უნდა გააგრძელოსო. ამ წინადადებას ცირაც სავსებით დაეთანხმა.

შიოს ამ ერთი თვის მანძილზე წიგნებზე და კონსპექტებზე თითიც არ დაუკარებია.

როცა ეკამ მირანდა და ბავშვი მოინახულა, მირანდამ მას სთხოვა, რომ დღეგამოშვებით კონსპექტები შიოსათვის გამოეტანებინა.

მირანდა თვითონ იწერდა მათ და შიოსთან ერთად მეცადინეობდნენ, ისინი უკვე მეხუთე კურსზე იყვნენ და უმეტეს დროს კლინიკებში – პრაქტიკულ მეცადინეობებზე ატარებდნენ.

მირანდა გრძნობდა, რომ თუ იგი ინსტიტუტში არ ივლიდა, შიოც მეცადინეობით და კლინიკებში სირბილით თავს არ მოიკლავდა და შეიძლება ლექციების მაგივრად – გზააბნეულ მგზავრივით სხვა მისამართზე ამოეყო თავი!

როგორც საოჯახო საბჭომ დაადგინა, პირველ ოქტომბრიდან ორივენი ისევ სტუდენტურ ფერხულში ჩაებნენ!

მათი ყოველი წუთი გათვლილი იყო, მირანდა სთვლიდა, რომ ბავშვი დედის რძის ნაკლებულობას არ განიცდიდა.

ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. დრო – დღეებს, შემოდგომის ქარისგან წაღებულ ფოთლებივით მიერეკებოდა. დღეები კი

თვეებს მისდევდნენ, თვეები კი წლებს, რომლებიც ზოგს ემატებოდა, ზოგს კი აკლდებოდა, და მიუხედავად ყველაფრისა – დედამიწა მაინც ბრუნავდა!

***

მირანდამ გადაწყვიტა, რომ თავის სასიხარულო ახალი ამბავი ომარისაც შეატყობინოს, მან თავისუფალი დრო გამოძებნა და მას წერილი მისწერა:

გამარჯობა ომარი

მივიღე შენი ღია ბარათი, მიხარია, რომ კარგად ხარ. მე როგორც დაგპირდი – თუ რამე ახალი იქნება ჩემს ოჯახში გაგაგებინებ–მეთქი – ასეც ვიქცევი.

ჩვენთან ბედნიერი სიახლეა – გოგონა შეგვეძინა! ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, ყველანი ბედნიერები ვართ. გოგონას დედაჩემის სახელი თამარი დავარქვით, თათას ვეძახით, მადლობა ღმერთს – მე აკადემიური შვებულების აღება არ დამჭირდა, ბავშვს შიოს დედა და ცირა ზრდიან. ჩვენ კი, ისევ სტუდენტურ ცხოვრებას ვეწევით. ესმასგან ვიცი, რომ ხონში ყველანი კარგად არიან.

შენც – მალე დაცოლშვილებას გისურვებ, – იყო მშობელი – ეს უდიდესი და უბედნიერესი გრძნობაა!!

გემშვიდობები კეთილი სურვილებით

მირანდა

5.X

ამ წერილის გაგზავნიდან უკვე ერთი წელი გავიდა, შიომ და მირანდამ ინსტიტუტი დაამთავრეს, ისინი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობენ. შიო ქირურგია, მირანდა კი გინეკოლოგი.

ცირა პენსიაზე გავიდა და იზას ბავშვის გაზრდაში ეხმარება. გიორგი თავს უკეთესად გრძნობს.

ესმა მათი მომმარაგებელია. რასაც კი ხონში ქათმებს და წიწილებს ზრდის, ბოლოს ისინი ამათ მაგიდაზე იყრიან თავს. იქვეა ესმას ყველა ნახელავის, პროდუქტის, ხილის და ბოსტნეულის ადგილსამყოფელიც.

თათა უკვე ერთი წლისაა, იგი ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ბავშვია. უკვე დადის და ლაპარაკსაც ცდილობს, „დედას“ და „მამას“ დიდი ხანია ამბობს – რითიც ორივენი ჭკუიდან გადაყავს!

გიორგისთვის იგი – როგორც თვითონ აღნიშნავს – „თათა, ჩემი სიცოცხლის ელექსირია“–ო, – თათა მას ძველ მეგობარივით „ბაბუს“ ეძახის, იზასა და ცირასათვის მხოლოდ „ი“ ემეტება, რაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ყველა მისი სურვილი შესრულებული იყოს!

***

მირანდას ოჯახში ყველაფერი ნორმალურად იყო. ქვეყანაში კი პოლიტიკური ვითარება იძაბებოდა! გახშირდა მიტინგები, წარმოიქმნა სხვადასხვა დაჯგუფებები და ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეები.

საქართველოს ცაზე ქარიშხლის მომასწავებელი შავი ღრუბლები იკრიბებოდა.

აპრილის მშვენიერი საღამო იყო. სადილის შემდეგ მირანდა საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. იზა და გიორგი თათას ეთამაშებოდნენ.

ტელეფონმა დარეკა, იზამ უპასუხა, შიო რეკავდა,

–დედა, მე ცოტათი დამაგვიანდება, არ ინერვიულოთ. ბიჭებთან ერთად ვარ, გადაუდებელი საქმეა, კიდევ დაგირეკავთ.

–მირანდა, შიომ დარეკა, დამაგვიანდებაო.

–კეთილი, მაგრამ შიო ამ ბოლო დროს გასაიდუმლოებული პიროვნება გახდა! ვგრძნობ, რომ რაღაც ხდება, მაგრამ მეარაფერს მიმხელს.

ვნახოთ რით დამთავრდება – მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ – ეს „საიდუმლო სერობა“?!

მირანდამ ტელევიზორი ჩართო, ისევ მოშიმშილე მომიტინგეებზე საუბრობდნენ.

აშკარად ეტყობოდა, რომ მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა.

ღამის ორი საათი იყო, შიო კი, არსად ჩანდა, არც სახლში რეკავდა, ოჯახში ყველა ღელავდნენ.

იზა და მირანდა ეჭვობდნენ, რომ შიოც სხვა ახალგაზრდებთან ერთად მიტინგზე იყო და მათამას უმალავდა. თათას და გიორგის უკვე კარგა ხანია ეძინათ.

მირანდა მომიტინგეების რიგებში შიოს ეძებდა,მაგრამ ამაოდ!

იზა და მირანდა შეშფოთებულები ერთმანეთს შესცქეროდნენ.

–მირანდა, ხედავ რა ხდება? რა ზღვა ხალხია თავმოყრილი მთავრობის სასახლის წინ? ვშიშობ, რომ ეს მოშიმშილეთა მიტინგი ცუდად არ დამთავრდეს!

–ნუ ნერვიულობთ, ისინი ხომ პროტესტის ნიშნად შიმშილობენ, საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვენ.

ჩვენ ხომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და მთელ მსოფლიოში, ხალხი დემონსტრაციებს აწყობენ, რათა მთავრობას თავიანთი მოთხოვნა და გულისტკივილის ხმა მიაწვდინონ!

–მართალია, მაგრამ რატომღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს. მეშინია! უკვე გვიანია და შიო არ ჩანს,

–ნუ ნერვიულობთ. ეხლავე წავალ და მოვიყვან მაგ „მეამბოხეს“! მირანდა წასასვლელად მოემზადა.

–რას ამბობ მირანდა? ერთი უყურე რა დაძაბული, ქარიშხლის მომასწავებელი მძიმე მდგომარეობაა!! მეშინია, წასვლა არ გაბედო., შიო თვითონ მოვა.

ან შეიძლება ბიჭებთან ერთად სვამენ და სულაც არ არის მომიტინგეებთან!

–რას ამბობთ?! ქალაქში ეს ამბავია და შიო სადღაც მყუდრო ადგილას ზის და მშვიდად სვამს საქართველოს სადღეგრძელოს?!

–არ ვიცი რა ვიღონო, ეს ბიჭი სულ გაგიჟდა, რა დროს მაგისი მიტინგებია?

–რატომ?! სწორედ ეხლაა მაგისი დრო და საჭიროება! ბევრიც, რომ ვეჩიჩინები – ქვეყანა არეულია და სახლში იჯექი–მეთქი, მართლა სახლში ხომ არ დაჯდება?!! შიო კი არა, ლამის მეცწავიდე და მის გვერდით დავდგე!

ვაკვირდები, მაგრამ მომიტინგეთა შორის ვერ ვხედავ, თუმცა იქ ისეთი ხალხმრავლობაა, რომ ვის და რას დაინახავს კაცი? სიმშვიდეა, სხედან და მღერიან!

იზა მირანდას გაკვირვებული შესცქეროდა, ასეთ სიტუაციაში, მისგან ესეთ აქტიურობას არ მოელოდა.

გიორგის გაეღვიძა და იზას უხმო. მირანდამ ტელევიზორი სასწრაფოდ გამორთო.

მან, ამ დროს მათი უძილობის მიზეზი იკითხა, იზამ უთხრა, რომ შიომ კი დარეკა, რომ მეგობრებთან არის და ცოტათი შეაგვიანდება, მაგრამ ჩვენ რატომღაც ძილი გაგვიფრთხა და მის მოსვლას ველოდებითო.

–მართალია, მეც აღარ მეძინება, მოუსვენრადაც ვარ.

იზამ გიორგის დასამშვიდებელი წვეთები დაალევინადა უთხრა, რომ მეც მეძინება, ალბათ შიომ ბიჭებთან დალია და იქ დარჩენა ამჯობინა, ამ არეულობაში ქუჩაში გამოსვლასო. იზამ გიორგი საძინებელში შეიყვანა, მირანდას კი თვალით ანიშნა და უთხრა, რომ მასაც დაეძინა, შიო პატარა აღარ არის, გამოიძინებს და მოვაო?

მირანდა იმ წუთში ტელევიზორთან მიიჭრა, ხმასარ აუწია ისე უყურებდა თუ რა ხდებოდა მთავრობის სასახლის წინ, იქ კი, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო!!

მირანდა კინაღამ გაგიჟდა, ტელევიზორს ოდნავ ხმა აუწია, ყველანი წიოდნენ და კიოდნენ – რუსთაველის პროსპექტზე ტანკები ნელი სვლით მიდიოდნენ, ზღვა ხალხი ერთმანეთში ირეოდა, ყველა გასაქცევი გზა გადაკეტილი იყო, ჩახერგილი ავტობუსებით და მანქანებით, ერთმანეთს აწყდებოდნენ პოლიციელები და მომიტინგეები, იყო სასწრაფო დახმარების მანქანები, ექიმები საკაცეები და ხელკეტების ტრიალი. ალყაში მოქცეულნი უმეტესად ქალები და ახალგაზრდები იყვნენ – ეს შემზარავი ფაქტი „ჯოჯოხეთიდან გაქცევის“ საშინელი სანახაობა იყო!! ადამიანები ერთმანეთს ფეხით თელავდნენ რათა ამ ჯოჯოხეთიდან თავი დაეღწიათ! ამ ამბის შემყურე მირანდა გაოგნებული იყო, მათი შემზარავი ხმის გაგონებაზე კინაღამ გული გაუჩერდა.

ღმერთო, ეს რა ხდება?!! ნუთუ ასე მოიძულეს და ესე ბარბაროსულად ჟლეტენ მშვიდობიან, მსხდომიარე და მოშიმშილე მომიტინგეებს?!!!

მირანდამ ტელევიზორი გამორთო და თვითონ ანგარიშმიუცემლად სახლიდან გაიქცა.

როცა წამალმა იმოქმედა გიორგის ჩაეძინა და იზა საძინებლიდან გამოვიდა, მირანდა იქ აღარ იყო.

გულგახეთქილმა იზამ ტელევიზორი ჩართო, დიქტორი აცხადებდა, რომ: დღეს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში გამთენიისას

ტრაგედია დატრიალდა. არის უამრავი მსხვერპლი – არიან აგრეთვე დაშავებულები და გაზით მოწამლულები, რომლებიც საავადმყოფოებში გადაჰყავთ.

იზა კინაღამ შოკში ჩავარდა, მას ქუჩაში გაქცევა უნდოდა. იგი ბავშვის ტირილმა შეაჩერა.

–ღმერთო, ეს რა მოხდა?! რა უბედური 9 აპრილი გაგვითენდა! რატომ, რა დააშავეს? რატომ გაუსწორდნენ მათ ასე სასტიკად?

ვაიმე შვილებო! მსხვერპლად შეწირულნო ანგელოზებო,თქვენ ხომ მხოლოდ მშვიდობა და თავისუფლება გინდოდათ?! სამაგიეროდ, კი სიკვდილი და სისასტიკე მიიღეთ!

ნუთუ სხვა გზა არ იყო?! ეხლაც ხომ შაჰ–აბასი და ჰიტლერი არ დაგვესხა თავს?!

ღმერთო შენ გვიშველე და დაგვიფარე!! რატომ დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი?!!!

ღმერთო შენ მოჰკითხე ამ „ბართლომეს ღამის“ მომწყობთ, თავიანთი საზარელი ცოდვანი!!!

იზა დაჩოქილი და ხელაპყრობილი მწარედ ქვითინებდა თათამ ტირილი შეწყვიტა და ფართოდ გახელილი თვალებით მას მისჩერებოდა.

იმ ავადსახსენებელ ღამეს მთელ საქართველოს ეღვიძა, ყველას გული ერთნაირად თრთოდა, ყველანი ერთნაირად მწარედ ტიროდნენ, იქ ხომ მთელი საქართველოს – უდანაშაულო შვილების სისხლი დაიღვარა. ისინი ხომ მხოლოდ სიკეთისათვის მღეროდნენ – მათი სიმღერა სიკვდილით დაადუმეს!!

მათ ხელში ანთებული სანთლები ეპყრათ, მათი ლოცვა და მუდარა – შავმა სიკვდილმა – სანთელივით ჩააქრო.

ღმერთმა მოკითხოთ მათ განკითხვის ჟამს ეს ცოდვა, რომელიც მათ ადევთ ამ ტრაგედიის ჩადენისათვის! ამ „კრავთა სასაკლაოს“ მოწყობისათვის.

***

შუადღეს მირანდამ სახლში დარეკა და იზას აუწყა, რომ – არ ინერვიულოთ, შიო და მე საავადმყოფოში ვართ, შიო ოდნავ შოკშია და მალე მოვალთ სახლშიო.

იზას გული მისდიოდა,. შეეშინდა არ მოვკვდე და ბავშვი არ შევაშინოო. აკანკალებული ხელებით წამალი დალია და თავს სიმშვიდისაკენ მოუხმო.

9 აპრილს მოწამლულთა პალატაში შიოც იწვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავს უკვე შედარებით უკეთ გრძნობდა, მას მკურნალობის გაგრძელება მაინც სჭირდებოდა.

მირანდა მას გვერდიდან არ შორდებოდა და ექიმს სთხოვა, რომ შიო სახლში გაეწერათ.

იგი იქ უფრო მშვიდად იქნება და მეც თქვენს დანიშნულებას უეჭველად შევასრულებო.

ასეც მოიქცნენ. შიო სახლში რა თქმა უნდა თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ მომწამვლელი გაზის მოქმედება თავს მაინც ახსენებდა.

ზოგჯერ იგი ისეთ დეპრესიაში იმყოფებოდა, რომ თათას ტკბილ საუბარს და მისი ფუმფულა თითების ლოყაზე მოთათუნებასაც კი ურეაქციოდ ტოვებდა.

მირანდა სასოწარკვეთილი იყო, მაგრამ გიორგის და იზას მაინც ანუგეშებდა – მას დრო სჭირდება და მალე ყველაფერი რიგზე იქნებაო. თვითონ კი გული ეტანჯებოდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გამოეყვანა შიო ამ მდგომარეობიდან.

ოჯახურ მშვიდ ატმოსფეროში ცხოვრებამ, სწორმა მკურნალობამ, მშობლების მხარდაჭერამ და მირანდას ოპტიმისტურმა საუბრებმა – შიოს ჯანმრთელობის მდგომარეობა სასურველ შედეგამდე მიიყვანა.

შიო სამუშაოს დაუბრუნდა, მაგრამ მკურნალობის კურსს მაინც აგრძელებდა.

მათ ოჯახში ისევ სიმშვიდემ და სიხარულმა დაისადგურა.

***

მრავალი ჭირის მომსწრე საქართველომ კიდევ ერთხელ დაიტირა თავისი უდანაშაულო, მსხვერპლად შეწირული შვილები და როგორც ამბობენ – ცხოვრება გრძელდებაო – ასეც იყო.

ისევ მიტინგები, ისევ გამოსვლები, აზრთა დაპირისპირებები, პარტიები და ურთიერთმოწინააღმდეგე დაჯგუფებები.

მთელი უბედურება კი იმაში იყო, რომ მოხდა ერის გახლეჩა, საქართველო ერთიანი აღარ იყო და საღად მოაზროვნე საზოგადოებას ეს ძალიან აშფოთებდა.

1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა კავშირი დაიშალა და მისი ყოფილი რესპუბლიკები დამოუკიდებელნი გახდნენ.

ამავე წლის 22 დეკემბერს კი დაიწყო სამოქალაქო ომი!

ომი თბილისში, ქალაქის ცენტრში!!!

ომი, რომელმაც 15 დღე გასტანა და რომელმაც ქვეყანას ადამიანთა სიცოცხლე წაართვა, ქალაქის ნგრევა გამოიწვია და ისედაც განადგურებულ ქვეყანას დიდი მატერიალური ზარალიც მიაყენა!

ქალაქი დესტაბილიზაციამ მოიცვა, იგი სამხედრო ფორმაში გამოწყობილ, ავტომატიან იარაღით აღჭურვილ ჯარისკაცებით გაივსო!

ხალხის ქუჩებში სიარული და სახლში ყოფნაც კი საშიში გახდა.

ისინი ისროდნენ ავტომატებიდან, როცა კი სურდათ და სადაც სურდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მათი მოსაწონი არაფერი ხდებოდა – ხალხი ყველაფერს შეეგუა.

ნათქვამია, რომ „კაცი ჭირისათვის არის შექმნილიო“ და ალბათ მართალიც არის!

იმასაც ამბობენ, რომ „ადამიანს მუდამ ლხინიც მოსწყინდებაო“ და საინტერესოა ეს დრო როდისღა დადგება?

ხალხი გამაგრდა „ჭირსა შიგან“ და იმედის მოლოდინით განაგრძო გზა.

გზა, რომელიც ია–ვარდებით არ იყო მოფენილი და ეკალ–ბარდებში მოარულს თავში რა აზრები უტრიალებდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყანა აზრთა სხვადასხვაობამ წალეკა!

ამბობენ, რომ „ჭეშმარიტება კამათისას იბადებაო“.

ყველანი კი იმ აზრისა იყვნენ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რაც მას მოუვიდა აზრად – დანარჩენების აზრი კი სრული აბსურდია“!

ყველანი მხოლოდ ლაპარაკით არიან დაკავებულნი და ლაპარაკითვე „აშენებენ“ ქვეყანას, იმ დროს, როცა ქვეყანა რეალურად დანგრეულია და იგი ულაპარაკოდაც უფსკრულისკენ მიექანება!

ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე?!!!

***

მირანდას პოლიტიკა არასოდეს იზიდავდა, რასაც ვერ ვიტყვით შიოზე.

იგი ინსტიტუტის პირველ კურსიდანვე მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობის გაერთიანებაში.

მირანდამ ამის შესახებ იცოდა, მაგრამ მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

იგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ სამშობლოს ბედი ჩვენთვის უპირველესი საქმეაო. თანაც თავის საყვარელი პოეტის ბარათაშვილის სიტყვებს მოიშველიებდა ხოლმე, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს“!

რომ არა გიორგის ავადმყოფობა, მირანდა გეგმავდა – ქორწინების შემდეგ – შიოსთან ერთად, როცა ორივენი დიპლომს აიღებენ და დახელოვნდებიან სამედიცინო პრაქტიკით – გაემგზავრონ იმ ქვეყნებში, სადაც ექიმების დეფიციტია და ხალხს მათი დახმარება სჭირდება.

მაგრამ მათ დრო აჩქარებდა.

მირანდას არ შეეძლო, რომ როგორც თავისი მამა წავიდა ამ ქვეყნიდან შვილის ალერსს დანატრებული, იგივე დამართოდა გიორგისაც, რომ, იგი ვერ დამტკბარიყო შვილიშვილის ალერსით!

ახლა კი, როგორც სხვა მრავალი ახალგაზრდის მიერ დასახულ კეთილშობილ გეგმებს არ ეწერა ასრულება, მათაც იგივე დაემართათ.

ამას ისიც დაემატა, რომ შიო და მირანდა ბავშვის გარეშე ერთ წუთსაც ვერ ძლებდნენ.

ქვეყანა ქაოსმა და დესტაბილიზაციამ მოიცვა, სხვის დასახმარებლად გამგზავრება კი არა, საქართველოს თვითონ სჭირდება შველა!!!

***

1992 წლის 14 აგვისტოს, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ აფხაზეთში ომი დაიწყო!

ამ ამბავმა ქვეყანა შესძრა და შეაძრწუნა. დაიძრნენ სამშობლოს ტერიტორიალური მთლიანობის დასაცავალ უამრავი ახალგაზრდები და მათი წინამძღოლები. ომში მიდიოდნენ სამშობლოს სიყვარულით გულაგზნებული ნამდვილი მამულიშვილები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ მისთვის, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

მიდიოდნენ მოხალისეები, მიდიოდნენ „თავგადასავალთა მოყვარულები“, მოდიოდნენ შეიარაღებული „მაგარი ბიჭებიც“.

ქვეყანაში სრული ქაოსი სუფევდა, ყველაფერი აირია!

ვიღაცამ სამსახურში არაოფიციალურად გამოაცხადა, აფხაზეთში საომრად მოხალისე ექიმების წასვლის შესახებ, როომელსაც ახალგაზრდა მამაკაცი ექიმებიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ.

როცა შიომ ეს ამბავი მირანდას საიდუმლოდ გაუმხილა, იგი კინაღამ შოკში ჩავარდა.

–რას ამბობ შიო?! გაგიჟდი? შენ ხომ დედისერთა ხარ და თანაც ახლადდაცოლშვილებული. მამა მძიმე ავადმყოფი გყავს და დედაშენმა ეგ ამბავი რომ გაიგოს, ალბათ გული გაუსკდება, რომ არაფერი ვთქვათ ჩემზე და ბავშვზე.

არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ შენ ომში წაგიყვანონ! ხვალევე წავალ სამხედრო კომისართან და ყველაფერს მოვახსენებ!

–დამშვიდდი მირანდა ნუ ღელავ, მე მხოლოდ საქმის ვითარება გაგაცანი, რაც შეეხება სამხედრო კომისარს იგი თვითონ არ გვიწევს, გამოცხადებულია მოხალისეთა წასვლა მხოლოდ მოხალისეთა – გაიგე?!

–მერე და შენ მაგის მეტი სახალისო ვერაფერი ნახე, რომ სამშობლოს გამოადგე?

ამბობენ, რომ ეგ მოხალისეები გუშინ ციხიდან გამოშვებული კრიმინალები და ჩვენი რესპუბლიკის ნარკომანები არიანო!

–რატომ აყენებ შეურაცხყოფას პატრიოტ ახალგაზრდებს?

–მე პატრიოტი ახალგაზრდები არა მყავს მხედველობაში მე მათ მხოლოდ მივესალმები. ისინი ნამდვილი მამულიშვილები არიან და მათმა ერთი ტყვიაც რომ არ გაისროლონ, მე მათ უკვე გმირებად ვთვლი.

მაგრამ ის მაინც მითხარი ვის ვეომებით?! სად არის მტერი? ვინ ბრძანა ომის დაწყება?!

ტელევიზორით ამის შესახებ არაფერი თქმულა, და თუ ომი დაიწყო – ჩვენ ვის იმედზე გვტოვებენ?!

ხომ ხედავ მამაშენს გული ხელით უჭირავს, ჩვენ ქალებმა თათას როგორ მივხედოთ? მიდიხარ და ჩვენ ყველას უპატრონოდ გვტოვებ?!!

ხომ ხედავთ ქალაქში რა ამბავია, ქუჩები ავტომატიანებით არის

სავსე, წარამარა ისვრიან, შენ კი შენს ოჯახს დაუცველს ტოვებ და ვიღაცის დასტვენილზე მირბიხარ?!!

–კარგი მირანდა, დამშვიდდი, არსად არ წავალ, შენ მართალი ხარ, მაგრამ – სამშობლო ვიღაცა არ არის!

–ჰო საყვარელო, მაგრამ ჩვენი პატრონი ვინ იქნება?

–ხომ გითხარი, რომ ვრჩები! და ამაზე აღარ ვილაპარაკოთ!

როცა სახლში მივიდნენ მირანდას აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო, იზას და ცირას შეკითხვაზე – თუ რა მოხდა? – მან უთხრა, რომ მგონი გრიპი მეწყება, დოლბანდის ნიღაბი მომეცითო.

იზამ და ცირამ მას ბავშვთან მიკარება აუკრძალეს, და ნიღაბიც თვალის დახამხამებაში პირზე ააკრეს.

სადილის შემდეგ შიომ ყველანი გააფრთხილა, რომ საღამოს შეიძლება სახლში მოსვლა ცოტა დააგვიანდეს და არ ინერვიულონ – ქალაქში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სათათბირო გვაქვსო.

მირანდამ მას მშვიდად მაგრამ ეჭვისთვალით შეხედა. შიომ იგი დაამშვიდა და წავიდა.

მირანდას იზასათვის არაფერი უთქვამს, ცირას კი ყველაფერი უამბო, რითაც იგი სერიოზხულად შეაშფოთა.

საღამოს გვიან შიომ სახლში დარეკა და იზას უთხრა, რომ ბიჭებთან ცოტა დავლიე და ჩვენს სახლში დავრჩები არ ინერვიულოთო.

იგი მირანდას არ დაელაპარაკა როითიც მისი გაკვირვება გამოიწვია. მან იზას ჰკითხა – შიო ნასვამი იყოო? იზამ უპასუხა, რომ მგონი ზომაზე მეტადო.

ქალაქში, რომ არეულობა არ ყოფილიყო, მირანდა მასთან უეჭველად წავიდოდა – შეიძლება საწოლში არც კი ჩაწვეს და გაცივდებაო, მაგრამ ქუჩაში გასვლა ვერ გაბედა. შიოს დაურეკა და არავინ უპასუხა, იფიქრა ალბათ უკვე სძინავსო.

მირანდას მთელი ღამე არ სძინებია, დილით როცა დაურეკა – შიომ უპასუხა,

მან მირანდას უთხრა, რომ მოგვიანებით სამსახურში მივა, რომ იგი მის მისვლას დაელოდოს.

წუხელ ზედმეტად ნასვამი ვიყავი და ჯერაც გონზე ვერ მოვსულვარო.

მიუხედავად იმისა, რომ მირანდას ბევრი ავადმყოფები ჰყავდა

სახლში დარეკვას მაინც ახერხებდა.

დღის ბოლოს როგორც იქნა შიო მოვიდა, იგი მირანდას არ მოეწონა.

–თუ გიყვარვარ, გთხოვ, რომ მაგდენი არასოდეს დალიო, ერთი სარკეში ჩაიხედე რას ჰგავხარ?

შიო იცინოდა და მირანდას ლოყაზე ნაზად და სიყვარულით კოცნიდა.

–კარგი, კარგი! სახლის კარების ჩაკეტვა ხომ არ დაგავიწყდა?

–არა საყვარელო, შენ მე მთლად გამოშტერებული ხომ არ გგონივარ?

–არა მაგრამ – ხომ იცი, ნასვამი ადამიანისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

–გასაგებია, წავიდეთ, სახლში გველოდებიან.

სახლში მისულებმა, მშობლები მოიკითხეს, ჩვეულებრივად ერთად ისადილეს, თათას ფერებით გული იჯერეს და რატომღაც – დღეს თათას დაძინება შიომ თვითონ გადაწყვიტა, რითაც იზა ძალიან გააკვირვა.

მირანდა ხედავდა, რომ შიო ამ ბოლო დროს ბავშვისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ მას ბავშვი სიგიჟემდე უყვარს და ყოველთვის მის გვერდით ყოფნა სურს. იგი იდეალური მამაა!!

მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა და როცა დასაძინებლად შევიდნენ მან შიოს ჰკითხა:

–შენ დღეს განსაკუთრებულად მზრუნველი მამა ხარ, მართალი მითხარი – მოხალისედ ხომ არ ჩაეწერე?!

–არა ძვირფასო, ინტუიცია გღალატობს, მე ყოველთვის მზრუნველი მამა და მეუღლე ვიყავი და ასეთივედაც დავრჩები!

–ღმერთმა ინებოს, მაგრამ – ღმერთმა დაგიფაროს თუ მომატყუილებ! შიოს თითქოს სახე შეეცვალა.

–მირანდა, ხომ იცი, რომ ძალიან მიყვარხარ და ძალიან გაფასებ, მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს!

–მაგით რისი თქმა გინდა?

–იმისი, რომ მე შენი თოჯინა არა ვარ და ზოგიერთი რამის პირადად გადაწყვეტის უფლება მეცა მაქვს! და შენ ეს უნდა იცოდე!

–გეთანხმები, მაგრამ როცა ესგადაწყვეტილება ოჯახს ეხება, ვალდებული ხარ მეც საქმის კურსში ჩამაყენო! სხვა საკითხია დაგეთანხმები თუ არა მის სამართლიანობაში. და თუ შენ ჩემს

ჩუმად რაიმეს მოიმოქმედებ, რაც ჩვენს ოჯახს ზიანს მიაყენებს, მე ვთვლი, რომ ეს შენს მხრიდან ღალატი იქნება!

–ე.ი. შენ მოითხოვე, რომ მე უშენოდ ნაბიჯიც კი არ უნდა გადავდგა? ყველაფერი შენ უნდა შეგითანხმო?

–დიახ, ასეა! შენ რადგან დაოჯახება ისურვე, ამიერიდან მხოლოდ მისთვის სასიკეთო ნაბიჯები უნდა გადადგა. როცა თავისუფალი მამაკაცი იყავი, მე შენთვის ეს მოთხოვნა არ წამომიყენებია და არც ნაბიჯებს გითვლიდი, ახლა კი – შენ შვილი გყავს გასაზრდელი და დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას ალბათ შენც არ მოისურვებ. არ მეთანხმები?

–როგორ არა! სრულიად გეთანხმები მაგრამ...

–მაგრამ რა? თუ ჩემი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიგაჩნია, შეგიძლია შენს მშობლებს ჰკითხო.

–კარგი საყვარელო ნუ ვიჩხუბებთ, ხომ იცი როგორ მიყვარხარ და შენთან კამათს არ ვაპირებ! ყველაფერი გავიგე და ისიც ვიცი როგორ მოვიქცე.ეხლა კი მოდი მოგეფერო, შენ რომ გამებუტო თავს მოვიკლავ! ვგიჟდები შენთვის. უშენოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ!

–კარგი, კარგი გაპატიე, მხოლოდ გახსოვდეს რომ თავი იმიტომ კი არ გაბია რომ მოიკლა, არამედ იმისათვის, რომ ნორმალურად იაზროვნო! გაიგე!

შიო იცინოდა, თან მირანდას ეფერებოდა იგი ხელში აყვანილი საწოლისკენ მიყავდა.

***

სამსახურიდან მირანდამ სახლში რამოდენიმეჯერ დარეკა. შინ სახლში არ მისულა, მისი მანქანა კი, გარაჟში იდგა.

მირანდას არ უნდოდა, რომ მისი ეჭვები გამართლებულიყო და ცირასთან ერთად თავიანთ ბინაში წავიდა.

შიო იქ არ იყო. ვისთანაც კი შეიძლებოდა ყველგან დარეკა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო.

ბოლოს ეკას დაურეკა და მდგომარეობა აუხსნა. სთხოვა, რომ მას ვაჟასთვის დაერეკა, შეიძლება მან რაიმე გაიგოს შიოს შესახებ. საღამოს მას ეკამ აუწყა, რომ ვაჟამ დანამდვილებით არ იცის, მაგრამ მგონი შიოც ბიჭებთან ერთად ავტობუსით სოხუმში წავიდაო.

მირანდა გაოგნებული იყო, აღარ იცოდა, რა ეღონა, მას გიორ-

გი ეცოდებოდა, რა უთხრას, როგორ ანუგეშოს? ალბათ სიმართლეს, რომ გაიგებს ვერ გადაიტანს.

შიო არც რეკავს და ბარათიც არ დაუტოვებია.

ნათსავები სამხედრო კომისარიატში წავიდნენ და იქედან გაოცებულები დაბრუნდნენ.

იქ მათ უთხრეს, რომ ჩვენ ჯარში არავინ გაგვიწვევია და არც მათი ადგილსამყოფელი ვიცითო.

–აბა, იარაღი ვინ მისცა მათ?

–არც ეგ ვიცით!

–სად გაგონილა ომის ჩუმად დაწყება? ჩვენ ფაშისტები ხომ არა ვართ?

–ჩვენ ომი არ დაგვიწყია, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიალურ მთლიანობას ვიცავთ!

–მაშ ვინ დაიწყო ომი?

–არ ვიცით, არაფერი არ ვიცით!!!

–აბა ვინ იცის?

–ვინც დაიწყო იმან!!

აფხაზეთის ომი ცალკე საუბრის თემაა, რომელზეც უფრო ვრცლად და კომპეტენტურად ნიჭიერი მწერალი მოგითხრობთ.

მაგრამ ვაი, რომ ისტორიასაც ადამიანები სწერენ და ისინი იქაც ბევრს სცოდავენ!

ისტორიამაც უკვე დიდი ხანია თავისადმი ნდობა დაკარგა.

ჩვენ კი მივყვეთ იმ პერიოდის ერთ–ერთ ოჯახის ცხოვრების დინებას, რომლებიც საქართველოს შვილები არიან და მათმა, როგორც იტყვიან – „საკუთარ ტყავზე – გამოსცადეს თავისუფლების და დემოკრატიის ავ–კარგი!

***

შიო ომში წავიდა და ოჯახს აღარაფერს ატყობინებს. გიორგი ნერვიულობს, ცდილობს თავს მოერიოს, მაგრამ სასწრაფო დახმარების გარეშე საქმე არ მთავრდება.

იზა თითქოს ყოჩაღად არის, მაგრამ ჩუმ–ჩუმად იმდენს ტირის, რომ თვალები მუდმივად დაწითლებული და დასივებული აქვს.

ცირა არ იმჩნევს, მაგრამ მასაც სახის ფერზე ეტყობა, რომ მისი საქმე კარგად არ უნდა იყოს.

რაც შეეხება მირანდას იგი უფრო განრისხებულია, ვიდრე უმწეო,

მართალია ისიც ხშირად ტირის და ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა და ხვეწნა–მუდარისა, მან ეს ნაბიჯი მაინც გადადგა, და ამით დაუმტკიცა მათ, რომ იგი ნამდვილი მამულიშვილია და მას ვერავინ და ვერაფერი აღუდგება წინ, ამ უწმინდესი ვალის მოსახდელად!

ოჯახი შეძრწუნებული და გაურკვეველ მდგომარეობაშია. ცდილობენ გაარკვიონ ვისგან შეიძლება შიოს ამბის გაგება, მაგრამ ამაოდ.

ისინი მხოლოდ ტელეეკრანიდან იგებენ თუ რა ხდება სოხუმში.

სოხუმში ომია! – ომი კი სისხლისღვრა, ნგრევა, სიკვდილი, ცრემლი და გლოვაა!!!

მირანდა სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა – შიოსგან არანაირი ამბავი არ არის,გიორგის, იზას და ცირას, ვერცერთს ფიზიკურად ჯანმრთელად ვერ მიიჩნევს. არ იცის ერთი წუთის შემდეგ მათ რა მოუვა, ბავშვის მათთან დატოვებაც კი ეშინია.

ესმამ დარეკა, რომ ლტოლვილებმა ხონშიც შეაღწიეს. გახშირდა ძარცვა, ქურდობა, ადამიანთა გატაცებები და ყველაფერი ის საშინელებები რაც ომს თან ახლავს.

ქვეყანაში მდგომარეობა დღითიდღე იძაბება. ხალხი დაბნეული და სასოწარკვეთილია. ერთმანეთს ეკითხებიან თუ რა ხდება?

როდის აქეთ გავხდით ჩვენ და აფხაზები ერთმანეთის მტრები?

სოხუმი – ჩვენი საყვარელი, ულამაზესი და მშობლიური ქალაქი – რატომ აქციეს ფრონტის ხაზად?

რატომ კლავენ ერთმანეთს ჩვენი ძმები და კეთილი მეზობლები? რატომ გამორბიან თავქუდმოგლეჯილები აფხაზეთის მკვიდრნი, ერთმანეთის მოსიყვარულე და შრომელი ადამიანები – თავიანთ საკუთარ სახლებიდან?

რატომ აყაჩაღებენ გზად მომავალ ოჯახებს, რომლებიც ჩვენთან მორბიან იმაში ღრმად დარწმუნებულნი, რომ – ჩვენი სახლის კარი მუდამ ღიაა მათთვის.,

ეს ბანდიტებიც ხომ ჩვენი ძმები, მეგობრები და ნათესავები არიან!

რატომ ისვრიან ავტომატიდან ნიღბიანი, შეიარაღებული და ჩვენივე სამხედრო ფორმაში ჩაცმული ჯარისკაცები?

იქნებ იმიტომ, რომ მათში თავიანთი ძმა ან მეგობარი არ იცნონ?!

არავინ იცის, ვინ და რატომ გასცა ომის დაწყების ბრძანება!

ერთმანეთს აბრალებენ და ადანაშაულებენ ისინი, ვისი ნამოქმედარიც ეს არის!

ენით აუწერელ ინფორმაციას გვაწვდის ტელევიზია, ჟურნალ–გაზეთები და სოხუმის ომის თვითმხილველები, ლტოლვილები და სენსაციების მოყვარულები.

ხომ არ შეიძლება, რომ ყველა ჟურნალ–გაზეთები და ტელევიზიის ყველა არხი ტყუოდეს?!!

***

გიორგის ტელევიზორის ყურება და გაზეთების კითხვა აუკრძალეს. აღარ შეეძლოთ მისი სევდიანი თვალების ყურება და მისი სიჩუმის ატანა!

არც შიოს სამსახურმა და არც ოფიციალურმა სამსახურებმა იცოდნენ ზუსტად ომში წასულთა ამბავი.

დრო გადიოდა. ქალაქი ლტოლვილებით ივსებოდა, სასაფლაოები კი ომში დაღუპულთა ცხედრებით, მათი მშობლები, ცოლშვილი და ახლობლები ძაძებით იმოსებოდნენ.

ქალაქი „შავოსნებმა“ და საერთო გლოვამ მოიცვა – მათთვის ქვეყანა ნამდვილად დაიქცა!

ხალხი პანიკამ მოიცვა – მათ აღარც პრესისა სჯერათ, აღარც ტელე–გადაცემების და აღარც ჭორების.

როგორ შეიძლება, რომ ქვეყანაში ომი იყოს, ახალგაზრდების სისხლი იღვრებოდეს და იმდროინდელ პრესაში ასეთ ანეკდოტებს ვკითხულობდეთ?!

დიახ ანეკდოტებს! – ერთი მეგობარი მეორეს სთავაზობს:

–მოდი, ბიჭო სოხუმში წავიდეთ.

–სოხუმში რა გვინდა? იქ ხომ ომია!

–როგორ თუ რა გვინდა? – როიალი წამოვიღოთ!!

დიახ! ზოგნი ამიტომაც მიდიოდნენ „ომში“ და უხვი ნადავლითაც ბრუნდებოდნენ!

შიო გელაძე და მისი მეგობარი ექიმებიც წავიდნენ ომში.

წავიდნენ მოხალისედ, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსენი და ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი!

ზოგნი კი პირიქით – დაჭრილ მეომართა გაუსაძლის ტკივილის გასაყუჩებელ ნარკოტიკების ხელში ჩასაგდებად და მისი „ციებ–ცხელების“ საკუთარ ძარღვებში შესაშვებად!

ზოგნი კი, ხელოვნურად უფრო ამღვრევდნენ წყალს, რათა

უფრო მეტი „თევზი“ დაეჭირათ მასში.

დაიჭირეს კიდეც, მაგრამ მათში იმდენი გესლიანი რეპტილია ერია, რომ საქართველოს ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით ძალიან შეილახა.

მართალია ყველა ომში არიან: გმირები, „მარადიორები“, უნიჭო სტრატეგები და უნიჭიერესი – დესტაბილიზაციის დირიჟორები, მაგრამ ვინც ამ ომში სუფთა გულით და ნამდვილად სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად წავიდა – ნამდვილად აღარც დაბრუნებულან!

მათი ხალასი გულები – „ძმის“ ან მტრის ტყვიით იქნა განგმირული.

მათ ესროდნენ როგორც გულში ასევე ზურგში, რათა მათთვის იარაღი წაერთმიათ და ებრძოლათ სხვისი ქონების დასატაცებლად!

სამშობლოსათვის ბრძოლა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მხოლოდ ლოზუნგად დარჩა! ომი „შენელდა“.

ვინც ჩამოვიდა – ჩამოვიდა, ვინც არა და ვარაუდობენ, რომ ისინი ტყვედ არიან აყვანილნი.

მთავრობის კომისიასთან ერთად დაღუპულთა ცხედართა ამოსაცნობად მათი ახლობლებიც წავიდნენ.

ღმერთო შენ დაგვიფარე ყველა უბედურებისაგან!

წყეულიმც იყვნენ ისინი, ვინც ჩვენი ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა!!!

***

შუაღამისას მირანდა ზარის ხმამ გამოაღვიძა, იგი სასწრაფოდ კარებთან მიიჭრა, მღელვარებისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

კითხვაზე – თუ ვინ არის – შიომ უპასუხა, მირანდამ კარები ხელების კანკალით გააღო და ცდილობდა ამოეცნო მის წინაშე მდგომი მამაკაცი, მართლა შიო იყო თუ არა.

–რას მიყურებ, ვერ მიცანი?

–ჰო გიცანი, შემოდი. მირანდამ კარები გამოაღო და შიო სახლში შემოვიდა.

დაუჯერებელი რამ მოხდა. მირანდა ათასგვარ ვარიანტებს იგონებდა შიოს ჩამოსვლასთან დაკავშირებით და მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას.

და აი, შიო ჩამოვიდა და ის მისთვის ვიღაც უცხო და უხეში,

თმაგაწეწილი, პირგაუპარსავი, საშინლად გაუცხოებული და შეცვლილი, თითქოს ხმაც შეეცვალა.

მისი ლამაზი, შავი თბილი და ეშხიანი თვალები, შუქჩამქრალი, არაფრისმთქმელი, ცივი და მხოლოდ სიძულვილის გამომხატველია.

მირანდა გონს მოეგო.

–შემოდი, რას დგახარ. სტუმარი ხომ არა ხარ?

–ჰო, მოვედი.

–მოდი, მოდი, როგორი დაღლილი ხარ, ძლივს გიცანი, დაიბანე და დაისვენე.

შიოს ხმა არ ამოუღია, ისე დაიწყო ტანთ გახდა მირანდა მიხვდა რაც ხდებოდა – იგი მორალურად განადგურებულია!

–შიო, მოდი სააბაზანოში შევიდეთ, ვიცი დაღლილი ხარ, მაგრამ დაბანაში მოგეხმარები.

–ჰო, უნდა დავიბანო.

მირანდამ იგი სააბაზანოში შეიყვანა და სურნელოვანი შამპუნით გაჯერებულ სავსე თბილ აბაზანაში ჩასვა.

–მირანდა, ხელი მტკივა, მარცხენა ხელი.

–არა უშავს, მე გაბანავებ, მირანდამ მის ხელზე ნატყვიარი დაინახა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია – მერე ყველაფერს გავიგებ, საჩქარო არაფერია, ფაქტია, რომ დაჭრილი იყო.

შიო უკიდურესად დაძაბული და მავნე ენერგიით იყო დამუხტული, მირანდა ფრთხილობდა, რომ იგი რაიმეთი არ გაღიზიანებულიყო, შეიძლება რომ მის მიერ ნათქვამმა ერთმა სიტყვამაც კი მდგომარეობა გაართულოს.

–შიო შენ აბაზანა მიიღე, მე კი სუფთა ტანსაცმელს მოგიტან. მირანდა ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ შიო უვნებელი დაბრუნდა და რომ მისმამშობლებმა იგი იმ მდგომარეობაში არ ნახეს – როგორც მან.

მათ ძილის წამალი ჰქონდათ დალეული ცირას კი თავის სახლში ეძინა.

მირანდამ შიოს პირსახოცი და პიჟამო მოუტანა, იგი პატარა ბავშვივით აბანავა, მიუალერსა და უთხრა – მადლობა ღმერთს, რომ ჩამოხვედი. ეხლა ძალიან გვიანია, დავიძინოთ, დილით, როცა გავიღვიძებთ პირს გაგპარსავ, ლამაზად ჩაიცმევ და შენს მშობლებს მიესალმებიო.

ისინი ხომ შენს ჩამოსვლაზე ოცნებობდნენ. მირანდას ბავშვი

არ უხსენებია, არ იცოდა მას რა რეაქცია ექნებოდა მის ხსენებაზე, მას არ უნდოდა, რომ შიო ამ „მოჯადოებულ წრიდან“ გამოეყვანა.

მან იგი საწოლთან მიიყვანა, ჩააწვინა, ლოყაზე მსუბუქად აკოცა და ღამე ნებისა უსურვა. იგი საოცრად მორჩილი იყო. შიო სრულ დეპრესიაში იმყოფებოდა.

მირანდა სასწრაფოდ გამოვიდა, იზას და ბავშვს დახედა, ყველას მშვიდად ეძინა.

შიოსთან დაბრუნდა, მისი მდგომარეობა აშინებდა. შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ იგი უეცრად „უმართავიც“ კი გამხდარიყო – მაშინ?!!

შიოს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ მირანდა გრძნობდა, რომ მას არ ეძინა. ცოტაც მოითმინა და მერე ჩუმად ჰკითხა

–გღვიძავს?

–ჰო?

–რა გინდა, რატომ ვერ იძინებ? ხომ არ გშია, ან სიგარეტი ხომ არ გინდა?

–არა!

–მაშინ, დასამშვიდებელს მოგცემ და დაიძინე. ხვალ კარგად იქნები, რას იტყვი?

–ჰო, მომეცი შიო საწოლში წამოჯდა.

მირანდამ მას წამლის აბი და წყალი მიაწოდა, შიომ წამლის კოლოფი აიღო და ხელის გულზე რამოდენიმე აბი დაიყარა. მირანდამ მას წყალი მიაწოდა და მხოლოდ ორი აბი დაუტოვა.

–ეხლა დასაძინებლად გეყოფა, მერე კი ვნახოთ, ალბათ უამისოლდაც დაიძინებ.

შიოს ხმა არ ამოუღია, წამალი დალია და კედლისკენ გადაბრუნდა.

მირანდა სასოწარკვეთილი იყო. იგი მთელი ღამე მის გვერდით იჯდა. შიოს მშვიდად ეძინა.

დილით, როცა გაიღვიძა მის გვერდით სკამზე მჯდომი მირანდა დაინახა, მას ამაზე არავითარი რეაქცია არ ჰქონია, არც არაფერი უკითხავსმისთვის. მირანდამ მას გაუღიმა და ალერსიანად უთხრა:

–შიო საყვარელო ადექი პირი გაიპარსე, ლამაზად ჩაიცვი და მშობლებს გადაეხვიე. ისინი ხომ მოუთმენლად ელიან შენს ნახვას!

–ჰო, ვდგები.

–გინდა პირს მე გაგპარსავ?

–ჰო მინდა,

–მაშინ აქ გადმოჯექი, მირანდამ მას სკამზე მიუთითა.

შიო იჯდა და სანამ მირანდა მასპირს პარსავდა და თმებს უსწორებდა, თითქოს იგი რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ იქ მხოლოდ თვითონ და მისთვის ყოველივე აზრს მოკლებული ცარიელი სივრცე იყო.

მირანდამ მას ლამაზად ჩააცვა, თმები შეუსწორა და თვითონ უხაროდა, რომ ეს პიროვნება შიოს ოდნავ მაინც ჰგავდა.

მირანდა სასწრაფოდ შევიდა გიორგის ოთახში და მას ძალიან ლაკონიურად აუხსნა, რაც შიოს ემართება ეს გადატანილი სტრესის შედეგია და მის ამ მდგომარეობიდან გამოსვლას დრო სჭირდება.

მადლობა ღმერთს რომ იგი ცოცხალი დაგვიბრუნდა, ეხლა შემოვიყვან თქვენთან და გთხოვთ არავითარი შეკითხვები არ დაუსვათ, ჩვენ ხომ არ ვიცით რის მოგონებამდე მიიყვანს მას ესა თუ ის შეკითხვა და შეიძლება, რომ მის ფსიქიკას უფრო დიდი ზიანი მივაყენოთო.

გიორგი მას ყველაფერზე ეთანხმებოდა და მორჩილი ბავშვივით თავს უქნევდა.

ასევე „დაამუშავა“ მირანდამ იზაც. ცოტა ხნის შემდეგ – სასტუმრო ოთახში ხელჩაკიდებული შიო რობოტივით შემოიყვანა და იზასდა გიორგის მიჰგვარა.

–აი, თქვენ სიურპრიზი! შიო წუხელ გვიმან ჩამოვიდა და თქვენ არ გაგაღვიძეთო.

იზა და გიორგი შიოსკენ დაიძვრნენ. იგი მათ უყურებდა და სახეზე ერთი კუნთიც კი არ შეტოკებია, ისე ჰკითხა მათ.

–როგორა ხართ?

იზა დაბნეული მივიდა მასთან, მოეხვია, გადაკოცნა და ვინაიდან მას მირანდასაგან მკაცრი დარიგება ჰქონდა მიღებული მან ლედისავით მკაცრად უთხრა შვილს – მადლობა ღმერთს, რომ ეხლა სახლში ხარ!

გიორგიმაც მას მიბაძა. შიოს მოეხვია, აკოცა და სავარძელში ჩაჯდომა სთხოვა.

ყველანი დასხდნენ, ხმას არავინ იღებდა, მირანდას კი მხოლოდ ის უკვირდა, რომ იზა და გიორგი ესე მოკლე დროში, შიოსავით

რობოტებად როგორ იქცნენ?!

შიოს თათა არც კი უკითხავს, მირანდამ იგი ლამაზად ჩაცმული შემოიყვანა და მამის წინ დააყენა.

თათა შიოსთან მივიდა, ხელი გაუწოდა და უთხრა,

–გამარჯობა მამიკო, როგორა ხარ?

–გაგიმარჯოს თათა, შენ როგორა ხარ. არ გენატრებოდი? შიომ თათას გაულიმა.

–როგორ არა, დედიკომ მითხრა, რომ მალე ჩამოვაო.

–აი, ხომ ჩამოვედი, ეხლა ერთად ვითამაშებთ.

მირანდამ მის მშობლებს შეხედა. ისინიც იმავეს ფიქრობდნენ – ნუთუ თათას დანახვამ შიო გამოაღვიძა?!

***

მირანდა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ შიო სახლიდან არ გასულიყო. თვითონ სასწრაფოდ ექიმ ფსიქიატრს დაელაპარაკა, მისი რჩევა–დარიგებანი მოისმინა და მას ზუსტად ასრულებდა.

ყველა ნათესავს და მეგობარს აუხსნა მისი მდგომარეობა და ისინი მხოლოდ ტელეფონის საშუალებით იგებდნენ მათ ამბავს,.

ერთადერთი რაც შიოს აზროვნებაში ნორმალურ რეაქციას ექვემდებარებოდა ეს თათა იყო – და მირანდაც მას მაშველ თოკივით მოეჭიდა. შიოს აზროვნებაში მხოლოდ ერთი ნათელი წერტილი იყო და იგი თათას ეკუთვნოდა.

თათა კი, რა თქმა უნდა, მირანდას მიერ იმართებოდა,. შიო, მშობლების და მირანდას არსებობას არც კი ამჩნევდა. ისინი სასოწარკვეთილები იყვნენ.

მირანდას ფსიქიატრმა იმედი მისცა: მან უზარმაზარი ტრავმა გადაიტანა და მისგან თავის დასაღწევად კი, მიზანმიმართული მკურნალობა, დიდი მოთმინება და ტაქტია საჭირო, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოთო.

შიოს ირგვლივ არსებულ სიცარიელეს მხოლოდ თათა ავსებდა,. მირანდაც ამ შანსს ხელიდან არ უშვებდა და დღითიდღე გრძნობდა, რომ სასურველი შედეგი თუ მთლიანად არა, ნაწილობრივთ მაინც იქნება მიღწეული.

მირანდა შიოს მდგომარეობას ისე სწავლობდა, როგორც საცდელ პაციენტს. ყველაფერს დღიურში იწერდა და შემდეგ აანალიზებდა ვითარებას.

ერთ საღამოს როცა დასაძინებლად დაწვნენ, მირანდამ გადაწ-

ყვიტა, რომ კიდევ ერთი ამოცანა ამოეხსნა.

მან შიოს სრულიად მისთვის ინტერესმოკლებულ თემაზე დაუწყო ლაპარაკი. შიო მას მხოლოდ უსმენდა, ყოველ შემთხვევაში მირანდამ ესე ჩათვალა.

შემდეგ უეცრად თემაშეცვალა, – შიო მე კიდევ ისე გიყვარვარ როგორც წინათ?

შიომ მას ისე შეხედა, თითქოს ცხოვრებაში პირველად ხედავდა და დაბნეულად უთხრა,

–წინათ როდის?

–აი მაშინ, როცა ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით

–ჰო ისევ ძალიან – შიოს გაეღიმა.

–მაშინ მე მოგეფერები და შენც მომეფერე – კარგი?

–ჰო, კარგი – შიომ მას შეხედა და ისევ გაიღიმა.

მირანდა სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. ეს ღიმილი მისი გამოჯანმრთელების იმედის ნაპერწკალი იყო.

მირანდა ცდილობდა ძალიან დელიკატურად მოქცეულიყო, აჩქარებას აქ შეიძლება უკუეფექტი გამოეწვია.

იგი მას თავზე ხელს ნაზად უსობდა, ეფერებოდა, უნდოდა მათი თანაცხოვრების რომელიმე ეპიზოდი გაეხსენებინა მისთვის, მაგრამ გადაიფიქრა, არ იცოდა ამას რა რეაქცია მოყვებოდა.

ამისათვის მისი გონების დაძაბვას – არჩია, რომ მასში სასიამოვნო ინსტინქტის გამოფხიზლების ცდისათვის მიემართა.

მირანდა შიოს თან ეფერებოდა და თან ნაზად, აუჩქარებლად კოცნიდა – ჯერ ყურის ძირში, მერე კისერზე, მერე ნიკაპზე, მერე კი ლოყაზე – არავითარი რეაქცია!!

მირანდამ დაასკვნა, რომ ეს ყველაფერი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მისი ფერება არ შეუწყვეტია.

შიომ თავი მირანდასაკენ მიაბრუნა და მის ბაგეს პეპლის ფრთასავით სათუთად ეამბორა.

მირანდას გაეცინა – ნუთუ თამაშობს?!

მირანდა გახარებული იყო – „ღმერთო, ნუთუ შიო ისევ სრულყოფილი გახდება? იმედი უნდა ვიქონიოთ დღეისათვის ესეც კმარა!“

მირანდას შიოს დაბრუნებასთან დაკავშირებით აღებული შვებულება უმთავრდებოდა, აღარ იცოდა, რა ექნა?

ცირა,იზა და გიორგი ერთად განიცდიდნენ შიოს ამბავს. მირანდა მათ ანუგეშებდა, მას დრო სჭირდება, მერე კიყველაფერი

კარგად იქნებაო. ექიმის ყველა დანიშნულებას მირანდა ზუსტად ასრულებდა, შედეგი კი – მწირი იყო.

ერთ დღეს შიომ მირანდას სიგარეტი სთხოვა, მირანდამ რა თქმა უნდა მისი თხოვნა იმწუთშივე დააკმაყოფილა.

შიო აივანზე გავიდა და სიგარეტს იქ მოუკიდა., შემდეგ თათამ გაიღვიძა და მთელი დღე ერთად თამაშობდნენ თათა, შიოს თანატოლივით გაესაუბრებოდა.

მირანდას მან საყვედურით მიმართა,

–დედიკო ხომ ხედავ, რომ მამას ხელი სტკივა, რატომ არ შეუხვევ? მირანდამ მას ბინტი გაუწოდა.

–შენ შეუხვიე საყვარელო მამიკოს გაუხარდება, თათამ მამას ხელის შეხვევა დაუწყო და თან შეეკითხა,

–ძაღლმა გიკბინა?

–არა, შვილო მამაძაღლმა მესროლა! შიოს ფერმა გადაკრა, გაფითრდა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, მაჯაზე დაიხედა, ბინტი მოისროლა და აივანზე გავიდა, სიგარეტს მოუკიდა, როცა ის მოსწია, მის ნამწვავზე მორეც მოუკიდა და შფოთვა დაიწყო.

მირანდა მიხვდა, რომ ყველა ამ უბედურების გამომწვევი მიზეზი ნატყვიარ ჭრილობაში იმალება მაგრამ საინტერნესოა რა მოხდა.

ვერა ვერ შეეკითხება – შეიძლება ეს შეკითხვა მისი ფსიქიური ტრავმის ახალი მიზეზი გახდეს!

მირანდამ შიოს ხილის წვენი შესთავაზა და თვითონაც გვერდით დაუჯდა, ცირას კი ბავშვის გაყვანა სთხოვა.

შიომ მირანდას მთელი სერიოზულობით და სრულად საღი აზროვნებით უთხრა,

–მირანდა, მე ქირურგი ვეღარასოდეს ვიქნები!

ამტყვიამ ჩემი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაატრიალა!

მირანდა გაოცებისაგან ხმას ვერ იღებდა – იფიქრა: რა ხდება? ნუთუ შიო სავსებით ჯანმრთელია და უბრალოდ ჩვენთან საუბრისაგან თავის დასაღწევად იქცევა ასე?

არა,არა მგონია, მაგრამ რაღაც მონაკვეთებში გამონათება სჩანს. მირანდა მშვიდად შეეცადა მის გადარწმუნებას,

–რატომ საყვარელო, რატომ განიცდი ასე? შენ ხომ თვითონ ქირურგი ხარ და იცი ნეიროქირურგიის დღევანდელი მიღწევების შესახებ. ეს ყველაფერი დროებითია, ეტყობა ტყვიამ რომელიღაც მყესი დაგიზიანა, ცოტა დაისვენე, განთავისუფლდი იმ

შოკისგან რაც ომს მოაქვსდა როცა თავს კარგად იგრძნობ, მერე კარგ ნეიროქირურგს ვეჩვენოთ. თუ აქ არაფერი სასიკეთო არ იქნება მაშინ საზღვარგარეთ წავალთ და ეგ პრობლემაც მოგვარებული იქნება.

ბოლოს და ბოლოს ხელია, მთავარია, რომ შენ ცოცხალი დაბრუნდი, ეხლა ხალხს სხვის ორგანოებს უნერგავენ, ვინ–ვინ და შენ ხომ ამის შესახებ ყველაფერი იცი? ეგ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგაზე არც იფიქრო – კარგი?

–შენ ეგრე გგონია?

–შენ რა სხვანაირად ფიქრობ?

–არა მეც მაგისი იმედი მაქვს. შიოს თითქოს თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა გაუელვა.

–შიო საყვარელო – ყველა სიძნელე უკან დარჩა, რაც იყო იყო, ეხლა შენ იმაზე უნდა იფიქრო, რომ თავი ხელში აიყვანო და ჩვენ ყველანი ერთად ნებისმიერ პრობლემას დავძლევთ! არ მეთანხმები?

–როგორ არა, მაგრამ სამსახური?

–მოითმინე, შენ ჯერ მაგისთვის მზად არა ხარ,. კიდევ ათი დღე განაგრძე წამლების მიღება და შენი ადგილი შენ გელოდება, იმას ვერავინ დაიკავებს!

–მართლა?! – შიო ძველებურად ლაღად იღიმებოდა.

–დიახ, მართლა! შიომ მირანდას ხელზე აკოცა.

მირანდა მას შესცქეროდა და თან ფიქრობდა – ნეტავ რა ხდება? ეხლა მე არ გავგიჟდე!!

მირანდას შიოსი ასეთი „ალაგ–ალაგ“ გამოჯანმრთელება ახარებდა და აკვირვებდა, ის კი არ იცოდა, რომ „ალაგ–ალაგ“ რა სიურპრიზები ელოდა.,

ექიმ ფსიქიატრის კონსულტაციის თანახმად, მირანდა შიოსგან – გაუთვალისწინებელ მოულოდნელობებს უნდა ელოდეს! მას მისი უყურადღებოდ დატოვება და მისი სრული ნდობა არ ურჩია. მირანდას ამ ამბავმა მოსვენება დაუკარგა, მაგრამ ყურადღება დაძაბა და ამის შესახებ ცირას და შიოს მშობლებს დაელაპარაკა. ტელევიზორი გაფუჭებულად გამოაცხადეს. მირანდას საძინებელ ოთახში – შიოსთან ერთად ერთ საწოლში ეძინა, იგი ძალიან ფრთხილობდა.

ღამე კარებს გასაღებით კეტავდა და მას ჯიბეში ინახავდა.

შიოს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია,

–მირანდა რას აკეთებ?.

–არაფერს, კარებს ვკეტავ, რომ ღამე არავინ შემოვიდეს,.

–ვინ უნდა შემოვიდეს?

–ვინ და ცირა ან დედაშენი. შიო მირანდას მოეხვია, აკოცა და უთხრა.

–ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება.

–ჰო საყვარელო, მაგისი იმედი მაქვს!

–მირანდა, შენ იცი, რომ დღეს შენი ქმარი დაბრუნდა?! – მირანდას შიშისგან ლამის გული წაუვიდა.

ღმერთო ნუთუ გაგიჟდა?!

–მოდი ჩემთან, ჩემო საყვარელო, მოდი მოგეფერო, და დავტკბე შენი სიახლოვით, ხომ გითხარი, რომ შენი ქმარი დაბრუნდა!! შიო მას თვალებში შესცქეროდა და მისი მზერა მირანდას აშინებდა.

მირანდა ძრწოლამ აიტანა, ლამის კივილი მორთო, შიომ იგი მშვიდად გვერდით მიიწვინა და ნაზად მოეფერა.

მირანდას შიშმა გაუარა და მან „შიოსეული“ ნამდვილი სითბო იგრძნო – გაეცინა, „ალაგ–ალაგ“ მისგან თურმე სიკეთესაც უნდა ელოდეო.

***

შიომ მკურნალობის კურსი დაამთავრა: იგი ისევ საყვარელი შვილი, მზრუნველი მეუღლე და არაჩვეულებრივი მამა იყო.

ოჯახმა შვებით ამოისუნთქა!

სამსახურში ორივენი ერთად დადიოდნენ, საჭესთან შიო ჯდებოდა, მართალია მას მაჯა ისევ ტკიოდა, მაგრამ მანქანის მართვაში ხელს არ უშლიდა.

გათამამებულმა მირანდამ ერთხელ მას ჰკითხა,

–შიო, ეგ ნატყვიარი გიტარის დაკვრაში ხომ არ შეგიშლის ხელს?

–არა, მგონია მაგრამ ეგ რატომ მკითხე?

–ისე უბრალოდ, შენ გიტარის გარეშე ვერ წარმომიდგენიხარ!

–თუ იმიტომ, რომ ქირურგად რომ ვერ ვიმუშაო, მიწისქვეშა გადასასვლელში – გიტარის დაკვრით მაინც ვიშოვნო ფული?!

მირანდამ მას გაკვირვებულმა შეხედა და მიხვდა, რომ ექიმმა მას სიმართლე უთხრა – მისგან სიურპრიზებს ელოდეთო!

–შევცდი, არ უნდა მეკითხა, მაგრამ სულ ჩუმად ხომ არ ვიქნები, ხომ არ ვიცი მას რისი მოსმენა ეწყინება და რისი გაუხარდე-

ბა? ღმერთო მიშველე!!!

–შიო, ეგ რამ გაფიქრებინა? მინდა, რომ რაც შეიძლება მალე დაუბრუნდე შენს ჩვეულ რითმს, რომ ჩვენი ოჯახი ძველებურად ისევ გამხიარულდეს და ისევ ბედნიერებამ დაიდოს იქ ბინა.

–მეც მაგასვე ვისურვებდი! – შიომ უხერხულობა იგრძნო.

სამსახურში მოსულებს მთავარი ექიმი შვებულებიდან დაბრუნებული დახვდათ – მან თანამშრომლებს თავი მოუყარა და შიოს მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ.

მან შიოს უთხრა, რომ – არაფერზე იფიქრო, ჩვენ შენს გვერდით ვართ და შენს თავს არავის დავაჩაგვრინებთო.

როცა შიომ მათ მადლობა მოუხადა და ის და მირანდა თავთავიან ადგილს დაუბრუნდნენ – კაბინეტში დარჩენილ თანამშრომლებს მთავარმა ექიმმა, შიოსთან დაკავშირებით – ყველას მასთან ჩვეულებრივ თანამშრომლობაზე მოუწოდა – არავითარი სიბრალული – ეს მასზე ცუდად იმოქმედებსო.

შეკრებაზე დამსწრე ყველა ქალი – ექიმები და ექთნები თითქმის ტიროდნენ – შიოს ასეთ მდგომარეობაში მყოფს თვალს ვერ უსწორებდნენ – ყველანი იმას ამბობდა, რომ როგორ წავიდა და როგორი დაბრუნდა?!! როცა მაგას ვხედავთ გული გვეტანჯება – ხომ შეიძლებოდა, რომ არ წასულიყო, მითუმეტეს – ეხლანდელ დროში, ესეთი სამსახურიც მიატოვა და ხეიბარიც დაბრუნდაო.

სახლში ორივენი ერთად დაბრუნდნენ., მირანდა ჩუმად იყო, ეშინოდა – ვაი თუ კიდევ რამე არ მოეწონოსო.

შიომ მას ლმობიერი მზერა მიაპყრო და სთხოვა, მირანდა, ამოიღე ხმა – შენ შეგნებული გოგო ხარ თანაც ექიმი. ეს ჩემი მდგომარეობა არ უნდა გაღელვებდეს, ასე მტკივნეულად ნუ განიცდი ჩემს შენიშვნებს, როგორც შენ ამბობ – მე ცოტა დრო კიდევ მჭირდება და მერე ყველაფერი რიგზე იქნება – ხომ ასეა?!

–მართალი ხარ, ვეცდები.

–სახლში მისულებმა – ყველამ ერთად ისადილეს. შიო და გიორგი მშვიდად საუბრობდნენ. იზას მართალია შიოს მდგომარეობა კვლავ აღელვებდა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. შიოს თავს ევლებოდა, მის საყვარელ კერძებს თვითონ უმზადებდა.

თათას ხომ შიო ჭკუიდან გადაჰყავდა, მისი ყველა სიტყვა და საქციელი – მისთვის მისაღები იყო.

ქვეყანაში ისევ არასტაბილური მდგომარეობა იყო, ქუჩებში

თავისუფლად და თვითნებურად გამაღიზიანებლად იქცეოდნენ, თითქოს ყველას პროვოცირებას ცდილობდნე., მიზეზით თუ უმიზეზოდ ისროდნენ.

ღამე როცა ყველას ეძინა ქუჩაში სროლის ხმა გაისმა. შიო გიჟივით წამოვარდა საწოლიდან და ბნელ ოთახში უაზროდ დარბოდა.

მირანდამ იმ წუთში შუქი აანთო და შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ!

შიო რაღაცას ეძებდა.

–რას ეძებ საყვარელო? შენ ხომ სახლში ხარ, ცუდი სიზმარი ნახე და გაგეღვიძა. მოდი დავიძინოთ. მოგეფერები და დაივიწყე რაც იყო – ყველაფერი დასრულდა, კარგი?! შიო საწოლზე ჩამოჯდა, ღელავდა, ცდილობდა დამშვიდებულიყო. მან მირანდას წარბშეკრულმა შეხედა.

–რაც იყო, იმის დავიწყება არ შეიძლება! ყველაფერი კი არ დასრულდა – ეს ქვეყნის დასასრულის დასაწყისია!

–მართლა?!

–ჰო მართლა! ხომ გაგიგონია „ომი დამთავრდა – მშვიდობის გეშინოდეთო“– სწორედ, რომ ყველაფერი ეხლა იწყება!!!

–კარგი, ნუ მაშინებ! შიომ მას გაუღიმა და უთხრა,

–სანამ მე შენს გვერდით ვარ – შენ ნურაფრის ნუ გეშინია.

–ვიცი ძვირფასო, მიხარია, რომ ისევ ის შიო ხარ!

–მაშ მოდი გაკოცო და დაგამშვიდო, შენ ხომ ყოჩაღი გოგო ხარ?!

ორივენი იცინოდნენ – ეს ერთმანეთის ნუგეშისცემაიყო!

***

დრო გადიოდა. ოჯახში ნელ–ნელა თითქმის ყველაფერი წესრიგდებოდა.

შიომ ტელეფონით დარეკა და ტელევიზორის ხელოსანისახლში მოიწვია. მან იგი შეამოწმა და უთხრა, რომ ტელევიზორი სრულ წესრიგშიაო.

საღამოს ძალაუნებურად მთელი ოჯახი ტელევიზორთან ისხდნენ. მირანდა შეეცადა, რომ რაიმე გასართობ გადაცემაზე შეჩერებულიყო. შიომ კი სთხოვა მას, რომ – მისი საყვარელი პირველი არხი ჩაერთო. როცა ახალი ამბების დრო მოვიდა, მირანდამ მას ხელი მოხვია და უთხრა, არ მიყვარს ტელევიზორის ყურება, წამოდი მაგნიტოფონი ჩავრთოთ და ჩვენ საყვარელ მუსიკებს მო-

ვუსმინოთო. შიომ იგი დაამშვიდა.

–ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე, რაც მე იქ ვნახე, აქ იმაზე უარესს ვერაფერს აჩვენებენ, ჩემთან ერთად დარჩი და უყურე. რა გვემღერება? რეალობას თვალი გაუსწორეთ, სიმართლეს ნუ ემალებით და თავს ნუ იტყუილებთ!

მირანდას მის ნათქვამში ეჭვი არ ეპარებოდა და უხაროდა კიდეც, რომ შიო მოვლენებს რეალურად აფასებს.

–მართალია შიო – სწორედ მსჯელობ!

–დიახ! – ადამიანებმა უნდა ისწავლონ კარგის და ავის ერთმანეთისგან გარჩევა, ყველას საკუთარი აზრი უნდა ჰქონდეს შექმნილ ვითარებაზე და არც უნდა ეშინოდეს მისი აღიარების.

ტელევიზორს ყველამ მშვიდად უყურეს, შემდეგ ივახშმეს და ერთმანეთს ღამე ნებისა უსურვეს.

შიოსა და მირანდას შორის ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობა იყო აღდგენილი.

ღამე მშვიდად ეძინათ. მირანდა შიოს ბოდვამ და მისმა საწოლში ბორგვამ გამოაღვიძა. შიო უაზროდ იქნევდა ხელებს და არაადამიანური ხმით ყვიროდა:

–ხომ გითხრა, რომ – „არ მესროლო – ჟურნალისტი ვარო“, რატომ ესროლე შე ძაღლისშვილო?!!! რატომ? რატომ?!!! მირანდა საწოლიდან წამოვარდა, შუქი აანთო და შიოს დამშვიდებას შეეცადა.

–დამშვიდდი ნუ გეშინია, სიზმარია, სახლში ხარ, ჩემთან ხარ!

შიომ მას არანორმალურად დაჭყეტილი თვალებით შეხედა და ტუჩების კანკალით უთხრა.

–ნახე მირანდა?!!! მაინც ესროლა – ბიჭი ეუბნება არ მესროლო – ჟურნალისტი ვარო და წიგნაკს აჩვენებს, ის კი მაინც ესვრის!!!

მოკლა! – რატომ მოკლა?!! მერე და რა ბიჭი?!!! არა უნდა მოვძებნო და უნდა მოვკლა ეგ ძაღლის შვილი, მეც მესროლა და ხელიც თითქმის დამაკარგინა – უნდა მოვკლა! უნდა მოვკლა... შიომ თითქმის გონება დაკარგა. მირანდამ მას წყალი აპკურა და დაალევინა,

–დამშვიდდი საყვარელო, ეგ კოშმარი დაივიწყე!

შიომ მას დაღლილი მზერა მიაპყრო.

–ამას ვერც მე დავივიწყებ და ვერც მისი უბედური დედა, რომელმაც შვილი სიყვარულით და რუდუნებით გაზარდა, სასახელო ვაჟკაცად და ნამდვილ მამულიშვილად ჩამოაყალიბა, სწავლა–

განათლებას აზიარა, რომ სამშობლოს და ოჯახს ბედნიერება მოუტანოს – მან კი მოკლა!!! რისთვის მოკლა? იმიტომ მოკლა,რომ ჭკვიანი ღირსეული ახალგაზრდა და ნამდვილი პროფესიონალი ჟურნალისტი იყო, ხომ?!!!

არა, მე სიმშვიდე არ მეღირსება, სანამ იმ ძაღლისშვილს,იმ სამშობლოს ნამდვილ მოღალატეს არ მოვკვლავ! სანამ ის არაკაცი ცოცხალი იბოგინებს ამ ქვეყანაზე!!!

–ჰო, კარგი დამშვიდდი, ყველა ომშიც ერთმანეთს კლავენ!

–მართალია, მაგრამ ომსაც თავისი კანონები აქვს, ისინი ერთმანეთის მტრები არიან!

აქ კი – სად არის მტერი? სად არის დამნაშავე? მოკალი მტერი, რომელიც სამშობლოს გართმევს, სიმართლეს რატომ კლავ?!! მზეს რატომ აბნელებ?!!

იმიტომ, რომ ნაძირალა თვითონა ხარ! არ გინდა, რომ ეს რაც აქ ხდება დაიწეროს, ნახონ და სიმართლე გაიგონ ვინ ვინ არის – არა?!!

არა უშავს – „კიდევაც დაიზრდებიან“ და კიდევაც არ გაახარებენ ჩვენი სამშობლოს შინაურ თუ შემოსეულ მტერს – ჩვენი ბიჭები!!!

მირანდა შიოს ამშვიდებდა, წამალი დაალევინა, იგი ძალაგამოცლილი ბალიშზე უღონოდ მიესვენა. ცოტა ხნის შემდეგ კი, თითქოს ქარიშხლის შემდეგ ცა მოიწმინდაო მას ისე მშვიდად ეძინა.

მეორე დღეს თითქოს არაფერი მომხდარიყოს, შიო ჩვეულებრივად ადრე ადგა, მოწესრიგდა, მან და მირანდამ ისაუზმეს და სამსახურში წავიდნენ.

ამ დილით მირანდამ შიო რაღაც მიზანმიმართული და გააქტიურებული ეჩვენა.უხაროდა, რომ მან დეპრესიას თავი დააღწია, მაგრამ ის კი აფიქრებდა, რომ მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა. მას აშკარად ეტყობოდა, რომ აფხაზეთში მომხდარმა ამბებმა მისი შეხედულებები ბევრ რამის მიმართ შეცვალა – მკვეთრად უარყოფითად.

ერთია, როცა რაიმეს გეუბნებიან, მაგრამ მეორეა როცა თვითონ რწმუნდები ნათქვამის არასამართლიანობაში!

ცხოვრებისეულ მოვლენებთან ჭიდილი და განვლილი წლების მოვლენების რეალური შეფასება, გაძლევს იმის საშუალებას, რომ გააკეთო მომხდარის შესახებ, შესაფერისი დასკვნა.

შიოს დასკვნა კი ასეთი იყო! ქვეყანა კატასტროფის წინაშეა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ ვუშველოთ მას!!!

მირანდამ დღის განმავლობაში მას რამოდენიმეჯერ დაურეკა, მაგრამ შიო ადგილზე არ იყო.

***

შიო სამსახურში თითქმის არ ჩერდებოდა, მას ხელი აწუხებდა, კოლეგების ერიდებოდა, ვერ მუშაობდა, ხელს ვერ იხმარდა.

აწუხებდა ისიც, რომ ამდენი ტყუილ–უბრალოდ ისწავლა, დახელოვნდა და სამშობლოს პირველივე ძახილზე თავდავიწყებით წავიდა მის დასაცავად, შიო არ ლაპარაკობდა აფხაზეთის ომის შესახებ, მის შეხედულებებში ბევრმა აზრმა კატასტროფა განიცადა., იგი სულ სხვანაირ მომავალზე ოცნებობდა.

ეხლა კი რა ხდება?! „წავიდა, ნახა, დამარცხდა“! დაბრუნდა ხეიბარი, ფსიქიკა შერყეული და თავს ისე გრძნობს როგორც ნახმარი და მოსროლილი ნივთი.

მას ამ ქვეყნიდან შორს, სადღაც გაქცევა უნდოდა, იქ სადაც ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, არ იტყუებიან, ადამიანთა სიცოცხლით არ მანიპულირებენ და ამით თავიანთ შავბნელ საქმეებს არ იკეთებენ. იქ სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია წინაპრების ნათელი სულებისადმი პატივისცემა, მათ მიერ გადმოცემული ადათ–წესების გაგრძელება, უფროს–უმცროსობის აღიარება და სიკეთის ბოროტებისაგან გარჩევა.

იქ, სადაც ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ფასობს, იქ სადაც ქალი თავისი სათნოებით და კდემამოსილებით ხიბლავს გარეშე მყოფთ, იქ სადაც დედები შვილებს „იავნანას“ უმღერიან და მამები კი ლეგენდად ქცეულ წინაპართა საგმირო საქმეებით უღვივებენ თავიანთ ვაჟიშვილებს სამშობლოს სიყვარულს.

აქ კი რა ხდება?! – ეს ყველაფერი დავიწყებულია, ირგვლივ ღალატი და განუკითხაობაა.

ძმა ძმას არ ინდობს, მამა შვილს და შვილი მამას! ქვეყანა ისე წახდა, რომ ცხრა წლის გოგონა ღამით ქუჩაში დგას და ლუკმა პურს საკუთარი სხეულით ვაჭრობით შოულობს!

როგორ არ გახდნენ – მეძავნი, ქურდნი, მკვლელი–ბანდიტი, ყაჩაღი, ტერორისტი, ბავშვების და მდიდრების გამტაცებლები – როცა აკადემიკოსიდან დაწყებული, მეეზოვით დამთავრებული ყველანი განწირულნი არიან?!

როცა ქვეყნის უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს დაბლა ცხოვრობს, როცა ქვეყანაში უმუშევრობის არნახული მაჩვენებელია ვინც მუშაობს მათი ხელფასიც სიმბოლურია და ისიც ხან რიგდება, ხან არა.

ვისაც კი აქედან გაქცევის საშუალება ჰქონდა ყველანი გაიქცნენ. ვინც აქ დარჩა – ჩათვალეთ, რომ ჯოჯოხეთში ცოცხლად მოხვდა!

მოხუცები და უმწეონი, ლუკმა–პურის ნატრულნი ზოგნი სახლის ფანჯრებიდან ცვივიან, ზოგნიც მატარებლებს ბორბლებში უვარდებიან.

ვისაც კი ოჯახში რაიმე მოეპოვებათ – ძველი, მამა–პაპისეული, მშობლების დანატოვარი – მათ კი, პირიქით სახლში უვარდებიან, აყაჩაღებენ, კლავენ, ცხელი უთოთი აუთოვებენ, რომ წაართვან რაც აბადიათ!

საქართველოზე სულ სხვა აზრისანი არიან ისინი, ვინც აქ არ ცხოვრობენ და სტუმრად ჩამოდიან – მთავრობის მოწვევით ან ტურისტად.

ისინი დაცვის თანხლებით – მანქანიდან გადმოუსვლელად ათვალიერებენ ჩვენს ქალაქს.

საქართველო ბუნების მიერ უხვად არის დაჯილდოვებული თავის ადგილმდებარეობით და ბუნებრივი სილამაზით.

სტუმრები ხედავენ მშვენიერ, თანამედროვე ევროპულ ტიპის ქალაქს – თავისი საკუთარი განუმეორებელი კოლორიტით. მშვენიერ ძველ და ახალი შენობებით. თვალში საცემია ქუჩებში უცხოური ძვირფასი ავტომანქანების სიუხვე, ქალაქის საუკეთესო ადგილებში შენდება საკუთარი სასახლეები!

ღამით ჩვენი ქალაქი ლას–ვეგასს „არ ჩამოუვარდება“ თავისი კაზინოებით, სასტუმროებით და რესტორნებით!

ვის დააჯერებთ, რომ ამ ქალაქში მაცხოვრებელი ხალხის უმეტესობის საარსებო მინიმუმი, სომალის ხალხის ცხოვრების დონეს უტოლდება?

ეს კი ყველას ეხება – ვინც მთავრობის სამსახურში არ არის.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ კი, ისინი მიჰყავთ– „რეზიდენციებში“ და სასახლეებში. მათ ისეთ ნადიმს უმართავენ და ისე მასპინძლობენ, რომ საქართველოდან წასულნი სულ მის ქება–დიდებაში არიან!

მაშინ როცა ჩვენი ქალაქის ბევრი, თავის დროზე ღირსეული

მოქალაქე, დღეს ნაგავსაყრელებზე ცდილობენ რაიმეს პოვნას, რომ შიმშილით სული არ ამოხდეთ!!!

ჩვენი საქვეყნოდ „ნაქები მანდილოსნები“ კი, საზღვარგარეთ გაქცეულნი ქუჩებში მეძავეებად დგანან და თავისი სხეულის საფასური თანხა ხელზე აწერიათ!!!

ამ გზით ნაშოვნ ფულს კი – თავიანთ ოჯახებს უგზავნიან აქეთ, თავის გადასარჩენად!

აი ესგახლავთ მწარე სიმართლე, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში – ლამაზ საქართველოში არსებობს!

მისი პატრონი და განმკითხავი არსად ჩანს, პირიქით – გაჩნდა ახალი მოწოდება – „საქართველო იყიდება“ და ალბათ, ამ აუქციონის ნომერ პირველი და საუკეთესო ნამცხვრის ნაჭერი სოხუმი იყო?!!

შიოს დაბრუნებიდან ორი თვე გავიდა,. ექიმი მირანდას აიმედებდა – მართალია მთლიანად არა, მაგრამ შიოს მდგომარეობა მკურნალობას დაემორჩილა, დროის და მყუდრო ატმოსფეროს ფაქტორმა იმუშავა და ამიერიდან რაც დრო გავა, მისი მდგომარეობაც გაუმჯობესდებაო.

მირანდაც მის აზრს იზიარებდა, მაგრამ იგი ექიმთან განსხვავებით – ყოველთვის შიოს გვერდით იყო და მისი ყურადღების „ამ ქვეყნიდან – სხვა სამყაროში“ წუთიერ გადაადგილების ფაქტს, მაინც ყურადსაღებად სთვლიდა.

მირანდამ შიოს მშობლებს ელაპარაკა, მისი დეპრესიის მთავარ თუ არა ფრიად სერიოზულ მიზეზის – ხელის ტრავმის გამო.

მათმა მირანდას ამის თაობაზე თავისი აზრის გაზიარება სთხოვეს. მან კი ურჩია, რომ შიო ქალაქის საუკეთესო ნეიროქირურგს აჩვენონ და მის მიერ გამოთქმული აზრის მიხედვით იმოქმედონ.

იზაც და გიორგიც მას სავსებით დაეთანხმნენ, იზამ ისიც კი იკითხა, რომ თუ საჭირო იქნება მისი სხვაგან გნამგზავრება, ამისათვის საჭირო თანხას საიდან მოვახერხებთო?

–თქვენ ამაზე ნუ ღელავთ, თუ სადმე მარტო ფულზე იქნება ეგ პრობლემა ჩათვალეთ, რომ გადაჭრილია.

ბიძაჩემმა ჩემს ანგარიშზე ჩვენი ქორწინების საჩუქრად სალაროში ჩემს სახელზე სერიოზული თანხა შეიტანა და რა დროსაც და რამდენიც კი დამჭირდება, მაშინვე გამოვიტანო.

–მირანდა შენ წაიყვან შიოს ექიმთან? ჰკითხა მას იზამ.

–დიახ თბილისში კი, მაგრამ თუ რესპუბლიკიდან გასვლა დას-

ჭირდება, მაშინარ ვიცი ეს მისია ვის დავავალოთ.

–რას იტყვი ჩემმა ძმამ ზაზამ რომ წაიყვანოს? იგი ძალიან ჭკვიანია, მოხერხებულია და მან ამ ცხოვრებას ალღო აუღო.

–კეთილი, თუ მას ეცლება და ამის სურვილი ექნება, ასეთ წინასწარ გაუთვალისწინებელ საქმეში, რომ ჩაებას?

–რას ამბობ მირანდა? ზაზას შიო შვილივით უყვარს! მაგის გულისთვის უკან არაფერზე დაიხევს.

–კეთილი, მაშინ თუ მისი დახმარება ავუცილებელი იქნება მას თქვენ დაელაპარაკეთ. ღმერთმა ინებოს, რომ შიოს ეს დიდი პრობლემა ადვილად გადაწყდეს.

როგორც იქნა ზაზამ შიო ნეიროქირურგთან წაიყვანა, მაგრამ იგი ქალაქში არ იმყოფებოდა – საზღვარგარეთ წასულა სიმპოზიუმზე, ამით შიოს გუნება–განწყობა გაუარესდა.

ზაზამ დროის მოგების მიზნით მას მოსკოვში წასვლა შესთავაზა.

შიოს ეს აზრი მოეწონა და სიამოვნებით დასთანხმდა.

ეხლა კი, საქმე მხოლოდ ფულზე იყო დამოკიდებული. რომელიც თურმე ყოველდგვარი თანხმობის გარეშე მთავრობას მიუთვისებია! მისი პატრონი კი ბანკიდან ხელმოცარული გამოუშვეს.

მირანდა კინაღამ ჭკუიდან შეიშალა – იმ წუთში მივიდა ბანკის მმართველთან, რომელმაც უთხრა, რომ ეს დროებითი ამბავია, ალბათ უახლოეს მომავალში გამოსწორდებაო.

მირანდა სასოწარკვეთილი იყო უახლოეს დაპირებებს ვერ დაელოდებოდა იმიტომ, რომ რაც დრო გადიოდა შიოს ხელის მოძრაობა უფრო და უფრო უჭირდა.

მირანდამ შიოს დაუსწრებლად ზაზა მოიწვია, იზო, გიორგი, ზაზა და თვითონ შეუდგნენ ამ თავზარდამცემი ამბის გარჩევას და გამოსავლის ძებნას.

ზაზამ მათ აუხსნა, რომ ეს მხოლოდ მათი პრობლემა არ არის, ვინც კი ბანკში ფული შეიტანა მე მგონია, რომ მათ დიდხანს დასჭირდებათ ლოდინი მის დასაბრუნებლად, რისი იმედიც მე არა მაქვსო.

მირანდა შიშობდა – შიო ალბათ ისეთ დეპრესიაში აღმოჩნდება, რომ იქიდან თავს ვერასოდეს დააღწევს, ალბათ ხელი გაუხმება და თავსაც მოიკლავსო.

მირანდა ზაზას ცალკე ელაპარაკა. ზაზა ჩვენ კატასტროფის წინაშე ვართ და სანამ ეს არ მომხდარა გთხოვ შენ თვითონ და-

ელაპარაკო იზას და გიორგის.

–მირანდა შენ რას მთავაზობ?

–იმას, რომ დღეს შიოს კეთილდღეობის საკითხი წყდება, რაცჩვენთვის ყველასთვის უპირველესი საზრუნავია.

დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით არა მგონია, რომ ხუთსულიანი ოჯახისათვის ორი ბინა აუცილებელი იყოს! ესი კი მათი გადასაწყვეტია.

თუ სურთ საბურთალოს ბინა გაყიდონ იგი საკუთარი სახლია და უფრო ძვირად გაიყიდება, თუ არადა მაშინ ჩვენი ბინა! როგორც ვფიქრობ ცირასთან ახლოს ყოფნა სჯობს, იგი ავად არის და ბავშვის მოსავლელად ყოველდღე მათთან ვერ ივლის.

შენ ჭკვიანი და ცხოვრებაში გამოცდილი ხარ, ამიტომაც რომელი სახლის გაყიდვასაც მიიჩნევთ მიზანშეწონილად, ეს მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტი და შენი გასაკეთებელია.

ე.ი. სახლს ყიდით, ფულს იმდენს იღებთ რაც შიოს მოსკოვში სამკურნალოდ და სხვა ხარჯებისათვის დაგჭირდებათ – დანარჩენს კი აძლევ იზას და გიორგის! რაშიც უნდათ იმაში მოიხმარონ.

ჩვენ კი – ერთ ოჯახად, ერთ ბინაში ძალიან კარგადაც დავეტევით. მთავარია შიოს ეშველოს! სწორეა მირანდა. სხვა გამოსავალს ვერც მე ვერ ვხედავ. მაგათ დღესვე დაველაპარაკები და ხვალიდან საქმეს შევუდგები.

–ზაზა ეხლა ეს მითხარი – მაგ მოლაპარაკებაში შიოს ჩართვა– აუცილებელია თუ არა?

რომ არ ჩავრთოთ ვაი თუ ეწყინოს – მე კაცად არ ჩამთვალეთ და უჩემოდ მიიღეთ გადაწყვეტილებაო!

არადა შეიძლება მძაფრი რეაქცია ჰქონდეს იმაზე, რომ დედა და მამა მთელი თავიანთი ცხოვრება იმ სახლში ცხოვრობდნენ და მის გაყიდვას როგორ შეელევიანო?

მითხარი როგორ მოვიქცეთ?

–მირანდა, სიმართლე გითხრა მეც არ ვიცი როგორ მოვიქცეთ. ისეც არ ვიცი შიო ამ ამბავს როგორ შეხვდება.

–მაშინ შენ ჯერ იზას და გიორგის დაელაპარაკე და მერე კი ვითომ პირველად სწყვეტთ ამ საკითხს – სამივეს ერთად! ზაზამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

–ზაზა მაგ საქმეს დღესვე მიხედე, დრო აღარ ითმენს!

მე დღეს ღამე ვმორიგეობ და მიხარია, რომ უჩემოდ გადაწყვეტთ მაგ საკითხს. ჩემი აზრი კი თქვენ უკვე იცით.

***

ზაზა დას და სიძეს მთელი სერიოზულობით დაელაპარაკა აღნიშნულ საკითხზე.

მართალია ამის გამგონე გიორგის დამამშვიდებელი წვეთების დალევა მოუხდა, მაგრამ იზაც და გიორგიც მის წინადადებას უყოყმანოდ დაეთანხმნენ – მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ მირანდას და შიოს ბინას არავითარ შემთხვევაში ხელს არ ახლებენ, ეგ ბინა ჩვენი მათთვის საქორწილო საჩუქარია და ღმერთმა მაგათ მშვიდობაში მოახმაროთო.

ზაზამ მათ გაუმხილა, რომ ამ საუბრის შესახებ შიომ არაფერი იცუის, საღამოს კი ერთად მოვილაპარაკებთო.

ზაზას დამ და სიძემ სრული ნდობა და თანხმობა განუცხადეს მას, როგორც დღევანდელ ასევეა ყველა ახლად წამოჭრილ საკითხებზეც კი.

ზაზა სერიოზულად დააფიქრა იმ ამბავმა, არ იცოდა რომელი კუთხით მიდგომოდა შიოს.

როცა შიო სამსახურიდან დაბრუნდა და ყველამ ერთად ისადილეს, ზაზამმას ღიმილით უთხრა:

–შიო მე უახლოეს დღეებში საქმესთან დაკავშირებით მოსკოვში მივდივარ, არ მინდა შენც წამოხვიდე? არ გეენატრება რუს გოგოებთან ქეიფი?!

თანაც რაღა პროფესორის ჩამოსვლას ელოდები – მირანდას ვუთხრათ, რომ მოსკოვში წასვლა გვირჩიეს და ხო გახსოვს ჩვენი მოსკოვური „შარაფი“?!

შიო, ძველებურად ლამაზად და ხალისიანად იღიმებოდა–

–ზაზა მე შეიძლება „მთლად კარგად“ ვერა ვარ, მაგრამ ჯერ ისე არ გამოვშტერებულვარ, რომ მაგ წინადადებაზე უარი ვთქვა!

–ეგრეც ვიცოდი – შიო, მუდამ შიოა! მოიტა ხელი და ბედნიერ მკურნალობას გისურვებ! ორივენი იცინოდნენ. იზა და გიორგი მათ თვალებგაბრწყინებული შესცქეროდნენ.

ზაზას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ასეთ ფინალს ნამდვილად არ მოელოდა. შიოს თითქოს რაღაც გაახსენდაო –

–ზაზა მერე ფული საიდან?! ხომ ნახე მირანდას როგორი უარი გამოუცხვეს?

–არა უშავს ფულს როგორმე ვიშოვნით. იქიდან, რომ ჩამოვალთ – მირანდა ამბობს, რომ შიო საკუთარ კლინიკას გახსნის და მთავარი ქირურგიც თვითონ იქნებაო!

–მართლა? ეგ როდის გითხრა?

–როდის და გასულ კვირას, შიოს, თვალები უბრწყინავდა.

–დღეს მირანდა მორიგეა, ერთი სული მაქვს ამ ამბავს როდი ვეტყვი.

–კეთილი, თქვენ ოჯახურად მოითათბირეთ მე კი, იზოს და გიორგის დავემშვიდობები. შიო, მეორედ რომ არ მოვიდე – ერთი აზრი დამებადა – მოდი ჩემს დას და სიძეს დაველაპარაკოთ რას იტყვიან ჩვენი გეგმების შესახებ?

–რა უნდა თქვან? არსებობს რაიმე რომ ჩემს სასიკეთოდ წყდებოდეს და მათმა წარბიც კი შეიხარონ.

–მართალია, მაგრამ ხომ იცი – უფროსებს წყინთ როცა მათ დაუკითხავად რაიმეს ვაკეთებთ.

–მაგას რატომ ამბობ?

–იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავ და „ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი უკეთესიაო“ ხომ გაგიგონია?!

–მასე, რომ იყოს ღმერთი ადამიანს ორთავიანს გააჩენდა! – რას იტყვი?!

–არა ძმაო! თავების რაოდენობას რა მნიშვნელობა აქვს? ზოგიერთ ადამიანს იმდენი ჭკუა აქვს, ერთად აღებულ ათ თავშიც კი შეიძლება არ იყოს! არ მეთანხმები?!

–მე შენ ყველაფერში გეთანხმები – მოსკოვში „შარაფიდან“ დაწყებული, საკუთარ კლინიკამდე დამთავრებულს!

მაშ მოდი საოჯახო საბჭო მოვაწყოთ, დრო ცოტა მაქვს.

–კარგი შენ შედი – მეც შემოგიერთდებით.

–არა, შიო – შენს ოჯახში ახლა შენა ხარ ოჯახის ბურჯი და მისი ჭაპანის რეალურად გამწევი!

შენ მშობლებს ამიერიდან – მხოლოდ შენი მოფერება და შენი ბედნიერებით ტკბობაღა უნდათ.

–კარგი შევიდეთ!

იზა და გიორგი თათას ეთამაშებოდნენ. შიო და ზაზა შევიდნენ და დივანზე ჩამოჯდნენ. იზამ მათ ნამცხვარი და თავიანთი საყვარელი კოკა–კოლა მიართვა.

ზაზამ მათ მოკლედ და გასაგებად აუხსნა ყველაფერი და მათგან პასუხს ელოდა. იზა ჩუმად იყო, იგი მხოლოდ შიოს უღიმოდა.

გიორგიმ ზაზას უთხრა – ჩვენ მადლობელი ვართ რომ საქმის ვითარება გაგვაცანით. შიო ხომ აქ არის, ამიერიდან მაგას ეკით-

ხება ჩვენი ოჯახის ამბები. ეხლა ეგ არის ჩვენი მამაც და მარჩენალიც. ჩვენ მხოლოდ მაგის ბედნიერება გვინდა.

შიო ეჭვის თვალით უყურებდა ხან იზას, ხან გიორგის, ეს როგორ? მისი მამა–პაპური სახლის გაყიდვაზეა ლაპარაკი და არცერთმა წარბიც კი არ შეიხარა?

თუმცა რა გასაკვირია, მაგათ იმდენი რამ დაატყდათ თავს, რომ გადაწყვეტილებების მიღების თავიც აღარა აქვთ. ეგენი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ, ეხლა კი სულ სხვა პლანეტაზე აღმოჩნდნენ.

შიო ისეთი დაბნეული და ჩაფიქრებული იყო, რომ სამივეს გულები დაუსკდათ – რაიმე უბედურება არ მოახდინოსო. ზაზა შეეცადა ვითარების განმუხტვას,

–შიო მე მივდივარ საოჯახო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში რჩება?! შიომ მას შეხედა, ხელი ჩამოართვა

–რა თქმა უნდაო უთხრა და კარებამდე მიაცილა.

***

შიო მირანდას განყოფილებაში მაშინ შევიდა, როცა ის ღამის მორიგეობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა. შიომ იგი მოიკითხა, მოეალერსა და უთხრა, რომ ცირა უკვე ჩვენთან არის, შენ ისაუზმე და დაიძინე – საღამოს შენთვის სიურპრიზი მაქვსო.

–მითხარი, სანამ არ გავიგებ, ვერ მოვისვენებ.

–თუ გითხარი რაღა სიურპრიზი იქნება?

–კარგი, მივდივარ. შენ მთელი დღე სამსახურში იქნები?

–აბა სად წავალ?

–კარგი, ნახვამდის, ისინი განყოფილებიდან ერთად გამოვიდნენ.

მირანდას გუშინ საღამოთივე დაურეკა ზაზამ და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

მირანდა კმაყოფილი იყო და ზაზას შეუტია – შიო, შენი გაფუჭებულია, შენ ასწავლე მაგას ქალებში წანწალიო. მერე კი სერიოზულად გააფრთხილა, რომ ამ „შეთქმულების“ ამბავს შიოს არასდროს გაუმხელს და არც არავის მოუყვება ამის შესახებ – რა იცი ვინმეს გულუბრყვილოდ არ წამოსცდეს, რა იცი – რა დროს და რა რეაქცია ექნება მას ამაზეო.

მირანდა მშვიდად იყო – იცოდა, რომ ზაზას იმედი ყოველთვის და ყველაფერში უნდა ჰქონოდა.სახლში მისულმა თათას ესაუბ-

რა, ეთამაშა და ცირას უთხრა, რომ დავისვენებ და მერე ახალ ამბავს მოგიყვებიო. ცირას კარგი ამბის გაგების იმედი აღარ ჰქონდა და მირანდას ჰკითხა.

–კიდევ მოხდა რამე. მირანდა მასთან მივიდა, აკოცა, მოეფერა და უთხრა

–არა ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეა.

–ღმერთმა ინებყოს – არც სახლში და არც გარეთ კარგი ამბები აღარ მეგულვება. გიორგის თვალებს ხედავ? თითქოს თვალებში იმედის ნაპერწკალიც კი გაუქრა.

–ჰო, ეგ ძალიან მგრძნობიარე, გულჩვილი და გულჩათხრობილია.

ამ საუბრის შემდეგ ათი დღე არც კი იყო გასული, რომ ზაზამ გიორგი და თავისი მეზობელი ნორტარიუსთან წაიყვანა. ყვთელა საბუთები გააფორმეს. მეზობელმა და ზაზამ გიორგის, შიოს და იზას თანდასწრებით ფული დათვალეს და იზას გადასცეს.

შიო მშობლებთან მივიდა, ორივესერთად გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა,

–როგორ გიყვარვართ, რომ ყოველგვარი სინანულის გარეშე ეს ამბავი ასე მოკლე დროში მოახერხეთ და მე მომიძღვენით.

–შენ რა ამაში ეჭვი გეპარებოდა? – უთხრა მას იზამ.

–არა, მაგრამ ეგ სახლი ხომ თქვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლების და უამრავ მოგონებების საუნჯე იყო!

–ჩვენ თუ რაიმე საუკეთესო გაგვაჩნია – ეგ შენ და შენი ოჯაჯხია თქვენთვის ჩვენ სულსაც არ დავიშურებდი სახლი რა სახსენებელია? ერთად რომ ვიცხოვრებთ ის უფრო გაგვახარებს, განა რამდენი წელი უნდა ვიცოცხლოთ, რომ ერთადერთ შვილს და მის ოჯახს დანატრებული ვიყოთ?

–მართალი ხართ! გთხოვთ შეძლებისდაგვარად აიყვანოთ თავი ხელში, ზედმეტად ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაბარდა. მე ჩემს მხროიდან ვეცდები, რომ მხოლოდ სასარგებლო ემოციებით გაგათამამოთ. თქვენს ასაკში სტრესულ მდგომარეობაში ყოფნა სახიფათოა.

მე რომ ძალიან მიყვარხართ და ძალიან გაფასებთ, ამის მოყოლას არ დავიწყებ – იმასკი ვეცდები, რომ რაც ცუდი მოხდა ის დაგავიწყოთ და თქვენ ამიერიდან მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებით დატკბეთ.

შიომ იზა და გიორგი გადაკოცნა – რითიც ორივეს სიხარულის

და იმედის ცრემლი მოჰგვარა.

მიუხედავად იმისა, რომ მირანდას ოჯახში სერიოზული პრობ-ლემები ჰქონდა, იგი ყოველოთვის ცდილობდა გამოეძებნა დრო, რათა თავისი პროფესიული დონე აემაღლებინა.

კითხულობდა მედიცინის სფეროში აღმოჩენილი სიახლეების შესახებ, კითხულობდა მედიცინის გარიჟრაჟზე არსებულ დე-გენდების, სასწაულების, იმდროინდელი სასწაულმოქმედი მედი-კოსების მიერ მიღწეულ წარმატებების ამსახველდ ნარკვევებს,. არც ხალხში შემონახულ ზღაპრების და თქმულებების მიმართ იყო გულგრილი.

მირანდა ხშირად უყრიდა თავს მომავალ ახალგაზრდა დედებს და ესაუბრებოდა მათ თავიანთვის საინტერესო თემებზე. პასუ-ხობდა მათ შეკითხვებზე და ცდილობდა, რომ მათში დედის სახე, მისი მისია და ერის სიმრავლის სურვილი გაეღვივებინა: ყველა ძალა ეხმარა იმისათვის, რომ მათ აბორტის გაკეთებაზე უარი ეთქვათ. ერთხელ მათ ესმას მიერ ნაამბობი ზღაპარიც კი მოუყ-ვა!

თურმე – ერთი მეთევზე, რომელსაც რვა შვილი ჰყავდა, მივიდა ზღვის ნაპირას და მის მიერ ნასროლ ბადეს როგორც ყოველთვის ეხლაც რვა თევზი ამოყვა. მეთევზემ მუხლი მოიყარა და ღმერთს შეევედრა: „უფალო, ვიცი, რომ დიდ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ გთხოვ ჩემი თხოვნა შეისმინო – შვილები დაიზარდნენ და თითო თევზი აღარ ყოფნით – გემუდარები, რომ ერთ–ერთი შვილი წაიყ-ვანო შენს სასუფეველში, რომ მისი თევზი სხვებს გადაუნაწილო და ისინი დავანაყროო“.

შინ დაბრუნებულ მეთევზეს, ყველაზე საყვარელი უმცროსი შვილი გარდაცვლილი დახვდა.

იტირეს, იგლოვეს ბავშვი და ზღვისპირას მისულ მეთევზემ ბადე სიხარულით მოსწია და თევზები გადათვალა – იქ შვილი თევზი იყო.,

გაოგნებულმა მეთევზემ ღმერთს საყვედურით შესძახა: – ეს რა არის უფალო?!

მას მაღლიდან უფლის ხმა მოესმა – „ეს–ის არის, რომ მე ვი-საც ამ ქვეყნად ვაჩენ, მას თავის კუთვნილ სარჩოსაც ვაძლევო“!! ახალგაზრდა მომავალ დედებს გული აუჩუყდათ და ალბათ თა-ვიანთი დასკვნებიც გააკეთეს ამის თაობაზე. მიუხედავად მათი დაჟინებისა რომ რომლებიც გვყავს ისინიც მშივრები არიანო!

მართალია ამჟამად ჩვენს ქვეყანას მძიმე პერიოდი უდგას, მაგრამ ქართველმა დედებმა უნდა ეცადონ, რომ გაამრავლონ თავისი ერი

ერი რომელიც გენეტიკურად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, სამართლიანი, სტუმარმოყვარე და ღვთისმოსავია!

ქართველი დედა მრავალი ჭირის მომსწრეა, მაგრამ მას კერია არ გაუცივებია!

დღეს საქართველოს ხუთმილიონიანი მოსახლეობის რიცხვი დღითიდღე მცირდება და მისი კიდევ უფრო შემცირება ერის კატასტროფას ნიშნავს.

ქართველების სიამაყე ხომ თავისი ოჯახია და თავისი ქვეყანაა!

ჩვენი ქვეყანაც ხომ ჩვენი დიდი ოჯახია! ყოველ იჩვენთაგანის ვალია, რომ ვამრავლოთ და რითაც შეგვიძლია ვახაროთ იგი!!!

მაშინ ქართველ ერს გადაშენება ნამდვილად არ დაემუქრება!!!

***

შემდეგი მორიგეობის დროს, მირანდამ თავისუფალი დრო გამოძებნა და დაპირებისამებრ ომარის წერილი მისწერა.

გამარჯობა ომარი,

მივიღე შენი ღია ბარათი, მიხარია,რომ კარგად ხარ, რაც შეგვეხება ჩვენ ჯერჯერობით ცოცხლები ვართ.

შენ უკვე იცი, რომ როცა სქელ კონვერტს ღებულობ – ე.ი. მე გიზიარებ ჩემს გულისტკივილს და – დამიგროვდა ბევრი კითხვები, რომლებზეც ახსნა არა მაქვს.

ამჟამად, როგორც მთელ ქვეყანაში ჩვენს ოჯახწიც ცვლილებებია: შიო ომში მოხალისედ წავიდა და იქედან მარცხენა მაჯაში დაჭრილი და ქვეყანაზე რწმენაშერყეული დაბრუნდა. ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ ცოცხალია და დაბრუნდა. მაგრამ წარმოიდგინე ახალგაზრდა ქირურგი, რომელიც თავის პროფესიაზე და მომავალზე დიდ იმედებს ამყარებს, ომიდან ხელში დაჭრილი ბრუნდება! (ნატყვიარი ჭრილობით).

ეგ კიდევ არაფერია – დღეს ნეიროქირურგიაში სასწაულებს ახდენენ და იმედია შიოსაც გაუმართლებს.

მაგრამ რა ვუყოთ რწმენას?!! მე ხშირად მებადება კითხვა – რატომ დაიწყო აფხაზეთის ომი?! ეს, ხელვნურად შექმნილი ტრაგედიაა, ჯერ კიდევ სულმოუთქმელ საქართველოსათვის.

საინტერესოა ვის არ აწყობდა მშვიდობა? და ვის აწყობდა ომი?

არ ვიცი ომარი ჩემი დარდი ვიდარდო თუ გარეშე მყოფთა? სადაც გავიხედავ ყველგან გლოვა და ტკივილია. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით და ძაძებშემოსილი ქალებით. სამშობლოს დასაცავად წასული ნამდვილი მამულიშვილები კი, ზოგნი მტრის, ზოგნი კი „ძმის“ ტყვიით გულგანგმირულნი ცივმა მიწამ ჩაიხუტა. მათი ძაძებმოსილი დედები, ცოლები, ობლად დარჩენილი შვილები, დღეს მთავრობას მოწყალებას სთხოვენ, რომელიც მათთვის არავის ემეტება!

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ომგადახდილები ვინც კი დაბრუნდა ისინიც ქვეყნისათვის მძიმე ტვირთად იქცნენ!

საკითხავია – თუ ამდენი გმირი და სტრატეგი გვყავდა რატომ დაიწყეს და მერე კი, რატომ წააგეს ომი?!!

როდის აქეთ გახდა ძმა ძმისა მკვლელი გმირი?! არა მგონია რომ გამართლება მოეხძებნოს იმასაც, რომ დღეს დამარცხებულებს და ომწაგებულებს რაინდობის და გმირობის ორდენებით აჯილდოვებენ. მათ ხოტბას ასხამენ და ყველანი ერთად ამ ამბავს ზეიმობენ.

მე მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: ჩვენს შესახებ, თათა მალე ხუთი წლის გახდება – ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და მოსიყვარულე გოგონაა. ცირა დაშიოს მშობლები მადლობა ღმერთს კარგად არიან. ხონის ამბები – შენ ჩემზე უკეთ იცი. მარსია გაიზარდა, ვერ იცნობ ისეთი კარგია, ძალიან ჭკვიანი და საყვარელია. იგი თათას დიდი მეგობარია.

შენს შესახებ კი – ვისურვებდი რომ: ღია ბარათები ბევრის მომცველ, სასიამოვნო ამბებით გადავსებულ წერილებით შეგეცვალოს, შენ კარგი პიროვნება ხარ და ყოველივე საუკეთესოს იმსახურებ. დროა დაოჯახდე და შენი ამბებიც ასევე ვრცლად მომწერო, როგორც მე გწერ.

დასანანია, რომ ჩვენ ესეთ მძიმე დროში მოგვიხდა ცხოვრება. რა გაეწყობა? როგორც ყველა ოჯახს, ასევე ქვეყანასაც აქვს კარგი და ცუდი პერიოდი.

ვიმედოვნებ, რომ ღმერთი ჩვენც გადმოგვხედავს და ჩვენს ქვეყანასაც ეშველება!

გემშვიდობები საუკეთესო სურვილებით, შენგან კი ახალ და სასიამოვნო ამბებს ველი.

მირანდა

***

სამსახურში მისულმა შიომ, საავადმყოფოს მთავარ ექიმს აუხსნა მდგომარეობა და მოსკოვის კლინიკაში გასამგზავრებლად რამოდენიმე დღე ითხოვა. მან შიოს თანადგომა აღუთქვა და უთხრა, რომ რამდენი დროც დაგჭირდება, იმდენით ისარგებლე, ოღონდ კი ყველაფერი კარგად დამთავრდესო.

მირანდა შიოს ამხნევებდა, ეფერებოდა და ჭკუას არიგებდა. ყველაფრის წარმატებით დამთავრებას უწინასწარმეტყველებდა და გზას ულოცავდა.

კვირა დღეს შიო და ზაზა მოსკოვს გაემგზავრნენ.

მირანდა ყოველ მესამე დღეს მორიგეობდა ღამის ცვლაში.

მალე მათ შიომ დაურეკა და უთხრა, რომ პროფესორმა იგი დააიმედა, რომ რამდენიმე დღეში ოპერაციას გაუკეთებენ. შიო თავს კარგად გრძნობდა – გუნება–განწყობაც საუკეთესო ჰქონდა,

ოჯახშიც ყველანი მომავლის იმედით განეწყვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მათ ზაზამ დაურეკა და აუწყა, რომ შიოს ოპერაცია გაუკეთეს. როგორც პროფესორი ამბობს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხელის ფუნქცია მთლიანადაღდგენილია., შიო ძალიან გახარებულია, ათი დღის შემდეგ მას საავადმყოფოდან გამოწერენ და შემდგომ მკურნალობას – მასაჟს და სხვას თბილისში გააგრძელებს.

ორი კვირის შემდეგ სახლში ვიქნებითო.

ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, ყველანი გაახარა და მოუთმენლად ელოდნენ მათ ჩამოსვლას.

მირანდა იმ ღამით მორიგე იყო, დილით კი თავის განყოფილებაში ავიდა სამუშაოდ. სახლში დარეკა და ყველა მოიკითხა.

იზამ უთხრა, რომ ბავშვი ცირამ ბაღში წაიყვანა. თვითონ კი საყიდლებზე მიდის გიორგი სახლშია და თუ შიო დარეკავს ის უპასუხებსო.

ეხლა უკვე ყველანი ერთ ოჯახად – თამარ მეფის გამზირზე ცხოვრობდნენ – ცირას მეზობლად, ამით ყველანი კმაყოფილები იყვნენ. ცირა ამ ბოლო სამ წელიწადში ძალიან შეიცვალა თითქოს უეცრად მოხუცდა კიდეც.

დღის ორი საათი იყო, როცა მეზობელმა დარეკა მირანდას სამსახურში და ექთანს სთხოვა, რომ მისთვის გადაეცათ – მამამთილი ძალიან ცუდად არის და სასწრაფოდ სახლში მოვიდესო.

მირანდამ სასწრაფოდ სახლში დარეკა, გიორგის ცუდად გახდომაზე უარესი გაიფიქრა – ზარს ისევ მეზობელმა უპასუხა.

–მირანდა, გიორგი ძალიან ცუდად არის, შეიძლება ცოცხალს ვერც კი მოუსწრო სასწრაფოდ წამოდი!

–ლოლა, შვილებს გაფიცებ, მართალი მიხარი, ბავშვი როგორ არის?

–ნუ ნერვიულობ, იგი ცირასთან არის, მან იგი თავისთან დააძინა. იზა მარტოა და შოკშია, ლაპარაკის დრო არ არის მალე წამოდი!

ეზოში შესული მირანდა დაიბნა, იქ პოლიციის მანქანა და პოლიციელები იყვნენ. მირანდას მუხლები მოეკვეთა, სასწრაფოდ მეზობელი მიეშველა და ზემოთ აიყვანა. იქაც პოლიციელი და მეზობლები იყვნენ. ლოლამ მას უთხრა, რომ გიორგის თავს დაესხნენ ნიღბიანი ბანდიტები. იზა ბაზარში იყო წასული. გიორგის ძალის გამოყენების ფული წაართვეს და იგი მძიმედ დაჭრეს, ძლივს მოასწრო პოლიციელისთვის ორი სიტყვის თქმა და გარდაიცვალა., ეხლა საავადმყოფოშია ექსპერტიზაზე წაყვანილი. დასკვნას დასწერენ ისევ აქ მოასვენებენ.

გამაგრდი მირანდა, ცირამ ჯერ არ იცის, დარეკა ბავშვი დაიღალა და ჩემთან დავაძინეო. იზა კი, გემსებით ძლივს მოაბრუნეს. საძინებელში ყავთ მეზობლებს შოკიდან ჯერაც არ გამოსულა.

მირანდა წამოჯდა, თავბრუ ეხვეოდა, ლაპარაკს ვერ ახერხებდა, მომტირალ მეზობლებს ათვალიერებდა, მერე თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს, ცირას დაურეკა, მან უთხრა, რომ თათამ გაიღვიძა, ვაჭმევ და იზასთან წავალთო.

მირანდა ოდნავ დამშვიდდა და უთხრა, რომ ადგილზე დარჩი, კარები ჩაკეტე და სახლში იჯექით, ჩემს მოსვლამდეო. ცირას შეკითხვაზე თუ რა მოხდა? მირანდამ უპასუხა, რომ მალე მოვალ და ყველაფერს აგიხსნი. არ ინერვიულო, ყვეოაფერი რიგზეაო.

მირანდა საძინებელში შევიდა იზას სანახავად, იქ მეზობლის ახალგაზრდა რძალი იყო და უთხრა, რომ ნემსი გაუკეთეს და ძინავსო.

მირანდა ისევ სასტუმრო ოთახში შევიდა, იქ ლოლა ფუსფუსებდა. ეტყობა იატაკი მოწმინდა, ალბათ გიორგის სისხლი იყო დაღვრილი. მირანდა იქვე დივანზე იჯდა და ლოლას ძალიან მშვიდად უთხრა

–ლოლა, მომიყევი რა მოხდა?

–იქნებოდა პირველი საათი, როცა ჩვენ რაღაცა მძიმესაგნის დაცემის ხმა გავიგეთ., დაველოდეთ რა ხდებოდა, რომ გაგვერკვია მაგრამ საეჭვოდ არაფერი გვეჩვენა – სიჩუმე იყო. მე კარებთან მივედი და „საჭვრეტ თვალში“ გავიხედე, სამი ნიღბიანი ჩუმად მაგრამ სწრაფად გარბოდნენ, მე შემეშინდა, კარები არ გამიღია, მაგრამ არც არავინ ჩანდა და არც ხმა ისმოდა. მეორე კარები ძალიან ჩუმად გავაღე და დავინახე, რომ თქვენი კარი ღია იყო,. ოთახში შევიხედე და გიორგის კვნესა მომესმა. ძალიან შემეშინდა, მივხვდი, რომ რაღაც მოხდა, გაქცეულებიც ხომ დავინახე – გიორგისთან მივირბინე, იგი იატაკზე იწვა და თავიდან სისხლი მოსდიოდა. ეტყობა თავზე ხელი მოისვა და ხელიც სისხლიანი ჰქონდა. იმწუთში ვკითხე – გიორგი რა მოხდა, ვინ იყვნენ მეთქი. მას მართალია ლაპარაკი ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც მითხრა: სამი ნიღბიანი იყვნენ მითხრეს ფული მოგვეცი თორემ, ბავშვიდან დაწეყებულს ყველას დაგხოცავთო, შენ კი ბოლოს მოგკლავთ რომ შენი თვალით ნახო ისინიო. შენ შვილსაც დღესვე მოკლავენ მოსკოვშიო. გიორგის ძალა ელეოდა. ხელზე ხელი მოვკიდე, ვანუგეშე, ძალა მოიკრიბა და მითხრა, რომ სასწრაფოდ დაურეკე მირანდას მათ არაფერი დაუშავონ – მე არაფერი აღარ მეშველებაო, სანამ მე შენ გირეკავდი, გიორგი უკვე გარდაიცვალა, მე სასწრაფოში მაინც დავრეკე და ეტყობა იმათმა პოლიციას აცნობეს. ორივენი ერთდროულად მოვიდნენ.

იზამ პოლიცია და სასწრაფო რომ დაინახა ეზოშივე გახდა ცუდად – ზევით ძლივს ამოიყვანეს. ნემსები გაუკეთეს და ტელეფონის ნომერი დატოვეს, როცა გაიღვიძებს თუ ისევ ცუდად იქნება დაგვირეკეთო.

გიორგის სურათები გადაუღეს, ჩვენ დაგვკითხეს, ოქმი შეადგინეს აქტზე ხელი მოგვაწერინეს და გიორგი ექსპერტიზაზე წაიყვანეს მათ ჩემი მეუღლე და კიდევ ერთი მეზობელი გაყვა.

მირანდა გაქვავებული იყო, იგი ლოლას მისჩერებოდადა უაზროდ შეეკითხა.

–ლოლა შეიძლება რომ გიორგი ცოცხალი იყოს?!

–მირანდა შენ რა ხუმრობ? ბოლო სიტყვა რომ ამოილუღლუღა ხელი უკვე უცივდებოდა.

მირანდამ მოულოდნელად არაადამიანური ხმა ამოიღო და ისეთი ისტერიკა დაემართა, რომ ლოლა სერიოზულად შეშინდა იგი მირანდას ძლივს აკავებდა. მირანდა წიოდა და კიოდა. მამა

შენ მაინც გეცოცხლა, მინდოდა მამა მეც მყოლოდა, მე ღმერთმა დამსაჯა მამა, რომ დაგიძახე – მე ვარ დაწყევლილი! მე რომ მამად არ მიმეღე ცოცხალი იქნებოდი!

საწყალი გიორგი – ბავშვივით უწყინარი, კეთილი და კეთილშობილი ვიღაც გარეწარის ხელით რატომ უნდა მომკვდარიყო? ფული უნდოდათ და ხომ მისცა – რატომღა მოკლეს? კაცი რომელიც ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს.

ლოლამ მირანდას წვეთები დაალევინა და უთხრა მოსახდენი მოხდა, შენ კი ეხლა ყოჩაღად უნდა მოიქცე მადლობა ღმერთს რომ ცირა და ბავშვი აქ არ იყვნენ, რა იცი რას მოიმოქმედებდნენ? ეხლა იზა გაიღვიძებს და შენ, რომ ამ დღეში გნახოს, ამას ვერ გადაიტანს. შენ თუ ესენი არ ანუგეშედა არ უპატრონე ვისი იმედი გაქვს? შიო და ზაზა აქ არ არიან, შენ უნდა გაუმკლავდე ამ თავდატეხილ უბედურებას დაწყნარდი და საქმეს შენებურად შეუდექი!

მირანდა ვერ მშვიდდებოდა, გიორგი ძალიან ებრალებოდა, იგი ცხარე ცრემლებს აფრქვევდა, ალბათსაკუთარი მამა, რომ ყოფილიყო ესევე გამწარდებოდა.

როცა საძინებელი ოთახიდან იზა მეზობლის რძალმა გამოიყვანა იგი ისე დაბნეული იყურებოდა აქეთ–იქით, რომ მირანდამ იფიქრა ალბათ ჭკუიდან შეიშალაო და მისკენ წავიდა, იზას მოეხვია და მოეფერა – აქ კი, ორივენი მოსაბრუნებელნი გახდნენ!

რა თქმა უნდა შეძრწუნებულები იყვნენ მომხდარით, გიორგი იმდენად დადებითი პიროვნება იყო, რომ მისი უბრალოდ და ადვილად გამოტირება შეუძლებელი იყო. მის მიმართ ორივენი არაჩვეულებრივად და ფაქიზად იყვნენ განწყობილნი.

როცა ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა პოლიციის თანხლებით შემოვიდა, მირანდამ თავი ვალდებულად ჩათვალა გარდაცვლილისათვის საკადრისი პატივი მიეგო თვითონ შეეგება მათ და ყველა სავალდებულო პროცედურა და დავალება თვითონვე მიიღო. მათ იქ ყოფნისას მოკრძალებული ცრემლის გარდა არავითარი ემოცია არ გამოუმჟღავნებია. გიორგი მისთვის მომზადებულ ადგილას სასტუმრო ოთახის ცენტრში დაასვენეს.

მირანდას კი უთხრეს, რომ როცა ყველა დოკუმენტაცია და დასკვნები მზად იქნება ყველაფერს შეატყობინებენ ოჯახს.

როცა ზაზამ მოსკოვიდან დარეკა და მირანდამ მას ეს ამბავი აცნობა – იგი გაოგნებული დარჩა ამ შემზარავი ამბის გამგო-

ნე. იგი სასტუმროდან რეკავდა და მირანდამ სთხოვა, რომ შიოს მომხდარის შესახებ არაფერი უთხრას შეიძლება მან მიატოვოს იქაურობა და თბილისში დაბრუნდეს, ან უფრო გაუარესდეს მისი მდგომარეობა ჩვენ აქ ყველაფერს ღირსეულად მივხედავთო.

გიორგი მისი შესაფერისი პატივით და ღირსეულად დაკრძალეს, იზამ და მირანდამ. ოჯახმა დიდი დანაკლისი განიცადა მისი დაკარგვით.

ქალებს კი მიუხედავად იმისა, რომ მათ სუსტი სქესის წარმომადგენლებად სთვლიან – ისინი ჭირში მამაკაცებზე უფრო გამძლენი არიან!

***

იზა და მირანდა ჯერ თავსდატეხილი უბედურებისაგან იყვნენ განადგურებულნი, მერე კი ამ მძიმე დროს უფულოდ დარჩენილ ოჯახიდან გიორგის ასეთი პატივით გასტუმრება – მარადიულ სასუფეველში. იმის მოლოდინი, რომ შიო ამას როგორ გადაიტანს და კიდევ ღმერთმა იცის რას უნდაელოდნენ.

ცირაც დაიღალა. მანაც ძალიან განიცადა ეს უბედურება და ფიზიკურადაც აღარ ყოფნის ღონე იმისათვის, რომ თათას მოუაროს. მირანდა დღისით მუშაობს და ღამემორიგეობს. ამას კიდევ მომავლის განცდაც ემატება – რა იქნება ხვალ?!

შიომ სახლში დარეკა და ყველას მოკითხვის შემდეგ, ცირას უთხრა, რომ ზეგ ჩამოვდივართო.

მირანდა დაძაბული იყო – რა უთხრას? რომ იკითხოს რატომ დამიმალეთ სიმართლეო? მირანდას ზაზას იმედი ჰქონდა იცოდა, რომ იგი შიოს სრულ გაუგებრობაში არ დასტოვებდა და ასეთ უბედურებას პირისპირ, მოუმზადებელს არ შეაჯახებდა.

ამას ისიც ემატებოდა, რომ თათა დარბოდა ოთახიდან ოთახში და ბაბუას უძახდა, ეგონა, რომ იგი მას დამალობანას ეთამაშებოდა, ამის შემყურე იზა და მირანდა თავს ვეღარ იკავებდნენ და იმდენს ტიროდნენ, რომ ბოლოს ერთმანეთს წვეთებს ალევნებდნენ.

შიოს ჩამოსვლის დროც მოვიდა, მირანდა სამსახურში იყო, მან იცოდა რომელი რეისით მოფრინავდნენ და სამსახურიდან პირდაპირ აეროპორტში წავიდა. მან პირველმა დაინახა შიო და ზაზა. შიო ნორმალურად გამოიყურებოდა, მირანდა მათ მიუახლოვდა, მიესალმა და ორივეს აკოცა. შიოს წარმატებულად ჩატარებული ოპერაცია და ხელის აღდგენა მიულოცა. შიო მას გაკვირვებული

უყურებდა. მირანდას შავები კი ეცვა მაგრამ შიო მათ შეხვედრას უფრო მუქ ფერებში მოიაზრებდა.

მან მირანდას საყვედურით უთხრა –

–მირანდა, არაფერი მომხდარა? თუ შენთვის ეგ არაფერს ნიშნავს?!

–ჰო ძვირფასო ჩვენს ოჯახს თავს დიდი უბედურება დაატყდა, მაგრამ ეს როგორც ამბობენ „ისეთი აქლემია, რომელიც ნებისმიერ კართან დაიჩოქებსო“.

მოხდა, რა თქმა უნდა, მოხდა და ძალიანაც განვიცადეთ, მაგრამ ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ეგ ამბავი ან შენ ან თათას დაგმართოდათ. რას იზამ? მშობლები უნდა წავიდნენ, შვილებმა კი ისინი უნდა გააცილონ! რაც ადამიანს შუბლზე აწერია, იმას ვერსად გაექცევა.

შიო ძალიან გთხოვ, რომ თავი ხელში აიყვანო, დედაშენი ძალიან ცუდად არის და შენ, რომ ფარხმალდაყრილი გიხილოს, ალბათ მასაც მალე დავკარგავთ! ეს კი არავის არ გვინდა!

მე ვიცი შენი მტკიცე ხასიათის ამბავი, და ვაჟკაცურად უნდა შეხვდე ამ ამბავს. ყველას შენი იმედი აქვს. ეხლა შენა ხარ ჩვენი პატრონი.

შიო მირანდას მონუსხულივით უსმენდა, ხმას არ იღებდა, მან მხოლოდ ზაზას გადახედა, მანაც მირანდას მიერ წაკითხულ ნოტაციას კვერი დაუკრა.

მირანდამ ისინი მანქანაში ჩასვა და სახლში წაიყვანა.

იქ, რა თქმაუნდა ყველანი ტიროდნენ, შიო ისე ტიროდა, რომ ყველას ეშინოდა ცუდად არ გამხდარიყო. იგი თავს იდანაშაულებდა – მე რომ აქ ვყოფილიყავი ამას ვერ გაბედავდნენო, იგი მათ მისამართით იმუქრებოდა, რითაც იზას და მირანდას ახალი მოსალოდნელი უბედურების საშიშროებაზე ფიქრის საბაბს აძლევდა.

ზაზამ იგი აივანზე გაიყვანა და იქ დასვა. ისინი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ. მირანდამ მას დასამშვიდებელი წამალი დაალევინა და სთხოვა, რომ ნამგზავრი და დაღლილი ხართ, ეგ დარდი კიდევ დიდხანს გაგყვებათ, მაგრამ ეხლა მოდით ივახშმეთ და დაისვენეთ, ხომ იცით, რომ ბევრი ცრემლი და ვაივიში მიცვალებულს თურმე ძალიან აწუხებსო.

მათმა ერთმანეთს გადახედეს და მირანდას მიწვევა მიღებული იქნა.

***

მართალია შიოს თავი ჩინებულად ეჭირა, მაგრამ ეტყობოდა,რომ შინაგანად ძალიან დაძაბული იყო.

მიუხედავად ყველაფრისა მას სამსახურში წასვლა უნდოდა, ეჩქარებოდა და ენატრებოდა თავისი როგორც მას უძახდნენ „კარგი ქირურგის“ ადგილი ისევ დაეკავებინა.

მაგრამ მირანდამ მას უთხრა, რომ აქ მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლება რომ სამსახურში ახალი განყოფილების უფროსი დანიშნესდა შენ არავის ახსოვხარო. შეგიძლია სანამ მამას ორმოცს გადავიხდით – სახლში იყო მთავარმა ექიმმა იცის რაც შეგვემთხვა და მითხრა, რომ შიოს ახლა დასვენება და თანადგომა სჭირდებაო.

მირანდა შიოს ამშვიდებდა, ეფერებოდა და სამომავლოდ დიდებულ გეგმებს უსახავდა.

მან იცოდა, რომ შიო მამის სიკვდილს და მის მიზეზს ესე ადვილად არ დათმობდა. იგი ორი დღის შემდეგ პოლიციაში წავიდა თავის მეგობრებთან ერთად და მათ მომხდარის შესახებ ახსნა–განმარტება სთხოვა.

მათმა მისი სამართლიანი მოთხოვნა მიიღეს და გულწრფელად მიუსამძიმრეს: უთხრეს, რომ საქმე აღძრულია და საქმის მსვლელობისას თუ რაიმე სიახლე იქნება საქმის კურსში ჩაგაყენებთო. თანაც დასძინეს, რომ ქალაქი სავსეა კრიმინალებით და ასეთი შემთხვევებიც ძალიან გახშირდაო. ერთი რამე კი ნათელია – მძარცველებმა ოჯახის ასავალ–დასავალი კარგად იცოდნენო!

მირანდამ საჭიროდ ჩათვალა ფსიქიატრის კონსულტაცია და შიოსთვის მოკლე სამკურნალო კურსის ჩატარება.

ამის საბაბს მისი აივანზე საათობით ჩუმად ჯდომით და სიგარეტის გაუთავებელი წევით ხსნიდა.

ორმოცის გადახდის თარიღი ახლოვდებოდა და ტირილი, სიგარეტის წევა და ვაი–ვიში საქმეს ვერ უშველიდა!

შიო მართალია სამსახურში არ დადიოდა, მაგრამ თავის მეგობრებთან სიარულს მოუხშირა. იგი ხელს ძველებურად ნორმალურად ხმარობდა და ამით ბედნიერი იყო.

შიომ და ზაზამ ყველა ახლო ნათესავების დახმარებით და მხარდაჭერით გიორგის ღირსეული ორმოცი გადაუხადეს. იქ იყვნენ შიოს ახალი მეგობრებიც სამივე თავისი კოლეგები, თავისივე საავადმყოფოს თანამშრომლები. ერთი პედიატრი, ორი ქირურგი,

სამივენი ძალიან სიმპათიურები და ინტელიგენტები.

როგორც შიომ ისინი დაახასიათა – კარგი ბიჭები არიან – მაგათ არაფერი ეშლებათო.

მირანდა მათი გაცნობით კმაყოფილი იყო, მართალია ოჯახი უპირველესი რამ არის, მაგრამ ახალგაზრდა კაცს მეგობრებიც ხომ უნდა ჰყავდეს?!

ინსტიტუტში მას ვაჟა ჰყავდა, ის და ეკა როცა სამძიმარზხე მოვიდნენ, ეკამ მირანდას უთხრა, რომ ჩვენც დაქორწინებას ვაპირებთო.

როცა შიო მეგობრებთან საღამოობით მიდიოდა მაშინ მანქანა მის განკარგულებაში იყო. იგი რამოდენიმეჯერ ნასვამიც მოვიდა სახლში – რითიც მირანდა ძალიან აღაშფოთა.

–შიო, ხომ იცი, რომ შენთვის ალდკოჰოლის მიღება არ შეიძლება!! ჯერ მკურნალობის კურსი არ დაგიმთავრებია!

–მე სამკურნალო არაფერი მაქვს! როცა ღვინოს ვსვამ, თავს ჩინებულად ვგრძნობ. შენ კი ჩემო კარგო, უნდა იცოდე, რომ – ბევრ ქვეყანაში სადაც ისეთი კარგი ღვინოებია – როგორც ჩვენი დალოცვილია – იქ ღვინით სამკურნალო სპეციალური სანატორიუმებია!

ღვინო სასწაულმოქმედი „პრეპარატია“ თუ რა თქმა უნდა, მას ზომიერად მიიღებ – რას იტყვი?!

–არ მეკამათები, მაგრამ გირჩევ!

–რჩევისათვის მადლობელი ვარ! მე შენ ძალიან მიყვარხარ და შენს ყველა რჩევას ყურად ვიღებ.

მოდი მოგეფერო და გაკოცო ჩემო ანგელოზო, ჩემო ექიმო და ექიმ–ფსიქიატრო!!!

ორივენი იცინოდნენ!

უკვე საკმაოდ აცივდა. შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა. შუქს ხშირად თიშავდნენ და მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. რაც კი ოჯახში თბილი ტანსაცმელი მოეპოვებოდათ სულ ზედ ეცვათ. თუკი რამის დაწვა შეიძლებოდა სულ სახლში ეზიდებოდნენ. არ დატოვეს გაუჩეხავი ტყეები, პარკები, სკვერები და მათში არსებული დასაჯდომი სკამებიც კი.

სამსახურებში შტატებს ამცირებდნენ. ქარხნები და ფაბრიკები დაიხურა და გაპარტახდა. კრიმინალურმა სიტუაციამ ფეხი მყარად მოიკიდა და დღითიდღე მძაფრდებოდა, უმუშევრობის მაჩვენებელმა პიკს მიაღწია.

მუსიკალურ სკოლაშიც შტატი შეამცირეს. ახალგაზრდა პედაგოგნების ნაწილი დატოვეს. ხანდაზმულებს „მშვენიერი თბილი საღამო“ მოუწყვეს და სახლებში „დასასვენებლად“ გაისტუმრეს!

სამსახურში მისულ შიოს ახალი უფროსობა დახვდა. მას აუხსნეს, რომ ეს კერძო კლინიკაა, იგი მომსახურე პერსონალით მთლიანადაა დაკომპლექტებული, თუ რაიმე სიახლე გამოჩნდება – კლინიკა გაფართოვდება და ქირურგის მოწვევის აუცილებლობა შეიქმნება, უეჭველად შეგატყობინებთო.

თქვენ პირადად ძალიან გვესიმპათიებით და კოლეგებიც კარგ ქირურგად მოგიხსენიებენო.

შიომ მათ მადლობა მოუხადა, დაემშვიდობა და კლინიკიდან გამოსულმა თავი „ნაცემი ძაღლივით“ იგრძნო!

სამხედრო კომისარიატში რომელი ნაომარიც მივიდა ყველას უთხრეს, რომ ვინც ჯარში გაგიწვიათ, იმათ მიაკითხეთო. მათ აუხსნეს, რომ არსებოს ყველა რაიონში უმუშევართა შტაბი – მიაკითხეთ მათ და იქ აღრიცხვაზე აგიყვანენო.

თავისუფალ საქართველოსათვის იბრძოდით. დღე და ღამე თათბირობდით, მიტინგებს აწყობდით, ლოზუნგებით და მოწოდებებით ქუჩებს და მოედნებს ავსებდით – თქვენი ოცნება ხომ ასრულდა!!! თავისუფლებიც და დემოკრატებიც გახდით!!!

ეხლა კი მოთმინება იქონიეთ., კიდევ ერთხელ გადახედეთ და გადაავლეთ თვალი – კაცობრიობის ისტორიას და დაინახავთ, რომ ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ათი და ოცი წელი არ ყოფნის! ამისათვის მართალია გვიჭირს, მაგრამ ჩვენ ყველამ როგორც იტყვიან – თითო აგური უნდა დავდოთ ამ დიდ და ძლიერ სახელმწიფოს შექმნისათვის და არ უნდა ვიყოთ სულსწრაფნი და ეგოისტები. გვიჭირს ჩვენ, გაუჭირდებათ ჩვენეს შვილებსაც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდება ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო, სადაც ისევ ჩვენი შთამომავალნი იცხოვრებენ!!!

მაგრამ ზოგიერთები ამ აზრს არ იზიარებენ! – არა! მე არ მინდა ხვალ, მე მინდა დღეს!!!

„დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო“.

ისიც საკითხავია – კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი?!!!

ზოგისთვის ალბათ კვერცხი – კი ბატონო – მიირთვით კვერცხი ან დაელოდეთ ქათამს!!!

რა გაეწყობა – ასეთია ცხოვრება!

***

უჭირდა ქვეყანას, უჭირდა მირანდას ახალგაზრდა ოჯახსაც. მართალია ესმას ხონიდან რაც კი ებადა ყველაფერი ჩამოჰქონდა მათთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. შიო უკვე რამოდენიმე თვეა არ მუშაობს იზა სახლშია, ცირა პენსიაზეა. მირანდას ხელფასი ძალიან მცირეა, იმასაც ხან არიგებენ, ხან არა.

შიო თითქოს გამოჯანმრთელდა, ხელიც აღარ აწუხებს, მაგრამ იმის შემდეგ რაც თავის მეგობრებთან სიარულს მოუხშირა და შეკრებებზე ერთად დადიან ისინიც ხომ მასავით უმუშევრები არიან და ეკონომიურადაც მასავით უჭირთ – ყველანი გაბოროტებულები არიან და ან სვამენ ან იმაზე მსჯელობენ თუ როგორ შეიძლება თავი დააღწიონ ამ გაუსაძლის მდგომარეობას!

მირანდა ძალიან იღლება. ღამე მორიგეობამ იგი სუმთლად დაქანცა. ამას ისიც დაემატა, რომ შიო თითქმის ყოველღამე ნასვამი მოდის და სახლში საჭმელს არა სჭამს – ერიდება.

მირანდა მას ამშვიდებს, ეფერება, ეუბნება, რომ ეხლა ყველას უჭირს და სათაკილო არაფერია, რასაც მოგვიმზადებენ გვინდა თუ არ გვინდა უნდა მივირთვათ და ღმერთს მადლობა ვუთხრათ, რომ ეს მაინც გვაქვს.

–რას ამბობ მირანდა? ოჯახში კაცს უნდა შემოჰქონდეს სარჩო და იგი უნდა უზრუნველყოფდეს ოჯახის და არა „ღარიბი ნათესავივით“ მიუჯდეს სუფრას და ქალდების და ბავშვების ლუკმა მიირთვას! შენ ვერ წარმოგიდგენია ეს როგორი დამამცირებელია! არა და საქმეს პირი არ უჩანს, თუ სადმე შეიძლება სამსახურის შოვნა, იმას დიდი ფული უნდა რომ მიგიღონ.

–არა უშავს საყვარელო, ეს დროებითია, მალე ყველაფერი მოგვარდება,. სამსახურსაც იშოვნი და რაც მთავარია ყველანი ერთად ვართ. შენს გვერდით ვართ და როგორმე თავს გავიტანთ.

ყველაფერს ისიც დაემატა, რომ შიომ სმას მოუხშირა და ხანდახან თავის მეგობრებთან ათევდა ღამეს.

მირანდა შეძრწუნებული იყო – რა უნდა სხვასთან ღამის გასათევად? რა ვიცი იქ რა ხდება?! ის მეგობარი მარტო ცხოვრობს, ღმერთმა იცის რითი არიან დაკავებულნი?

როცა კი სახლში რჩებოდა, ღამე მშვიდად ვერ იძინებდა სულ აივანზე გადიოდა და სიგარეტს ერთი მეორის მიყოლებით ეწეოდა, სულ ჩუმად იყო. მართალია თათა ისევ ძალიან უყვარდა, მაგრამ მას იმდენ ყურადღებას აღარ უთმობდა – როგორც წი-

ნათ.

ძილში ბორგავდა, ბოდავდა, ყვიროდა, სულ კოშმარები ესიზმრებოდა და უფრო ხშგირად ამ ფრაზას იმეორებდა „მოგვიხმარეს და მოგვისროლესო“.

დილით ფერმკრთალი დგებოდა და ხშირად არც კი საუზმობდა ისე მიდიოდა სახლიდან.

იზა და ცირა მეზობელ ქალს ატანდნენ გასაყიდად – თუკი რაიმე ისეთი დარჩა, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, შიო ხანდახან მთელი კვირა არ გამოჩნდებოდა ხოლმე, არც რეკავდა, მირანდა სასოწარკვეთილი იყო.

ერთხელ სამსახურში მასთან თავისი კოლეგა შევიდა მოკითხვის შემდეგ ჰკითხა

–მირანდა, შიო წუხელ გვიან მოვიდა?

მირანდამ მას გაკვირვებული შეხედა.

–შენ რა იცი?

–ის ვიცი, რომ გუშინ საღამოს ჩემს მეგობარ ქალთან ვიყავი, მის მეზობელს დაბადების დღე ჰქონდა, იგი შემოვიდა და ჩვენც მიგვიწვია. ჩვენ რომ შევედით შიოც იქ იყო. მან მე ვერ მიცნო ნასვამები იყვნენ.

შიო გიტარას უკრავდა და ორი გოგონა მასთან ერთად მღეროდნენ, სულ ცხრანი იყვნენ, 4 კაცი და 5 ქალი ყველანი ძალიან ახალგაზრდები, ეტყობოდათ იაფფასიანი კახპები იყვნენ ორნი ფუსფუსებდნენ, სამნი კი კაცებს ეკეკლუცებოდნენ.

ჩემი მეგობრის მეზობელი პედიატრია, უცოლოა, ბინაში მარტო ცხოვრობს და მასთან ხშირად იკრიბებიან ასეთი კატეგორიის ხალხი.

ჩვენ მალე გამოვედით. მე ძალიან გული მეტკინა

შიო მაგ გარემოცვაში რომ ვნახე, შენ ამის შესახებ რამე იცი?

–ვიღაცასთან რომ იკრიბებიან ეგ კი ვიცი, მაგრამ ეგრე დეტალურად არაფერი. შიო ძალიან გულჩათხრობილია და არაფერს ყვება. როცა ვეკითხები ღამე სხვის სახლში რატო რჩები მეთქი – გასაგებად არაფერს მეუბნება.

მესმის უჭირს, უმუშევარია, ერიდება, რომ ოჯახს ვერაფრით ეხმარება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ რაღაცს ეცადოს? მართალია მაგი სხვანაირად არის აღზრლილი, ვაჭრობა ან რაღაც სხვა წყარო რომ იშოვნოს ამის მოხერხება არა აქვს. ჯერჯერობით რაღაცეებს ვყიდით და დეიდაც გვეხმარება, მერე კი არ ვიცი რა

გვეშველება.

–მირანდა, მე თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ შენთვის ეს მეთქვა.

–მადლობელი ვარ მაიკო – სწორედ მოიქეცი. მაიკო გავიდა, მირანდამ კი სინანულით გაიფიქრა – გვიან კი არ, სულ არ მოსულა სახლში.

იზა სულ ტიროდა – ეშინოდა, რომ ამ „ოჯახიდან თავის დაღწევას“ ცუდი შედეგი არ მოყოლოდა, მირანდასი და ცირასი ერიდებოდა, შიოც ეცოდებოდა.

მირანდა მას ანუგეშებდა, მაგრამ თვითონ უარეს დღეში იყო.

შიო კვირაობით აღარ მოდიოდა სახლში. როცა მირანდა სამსახურში იყო – თავისი ტანსაცმელი გადაარჩია და თან წაიღო. ნასვამი იყო იმას კითხვებს არ უპასუხა – მას ნაზად აკოცა – ნუ ნერვიულობო უთხრა და წავიდა.

მირანდა იძულებული იყო ზაზასთვის მიემართა და ყველაფერი მისთვის აეხსნა. ასეც მოიქცა.

ზაზა მას დაპირდა, რომ შიოს უეჭველად ნახავს და დაელაპარაკება, რამოდენიმე დღის შემდეგ დაურეკა მირანდას და უთხრა, რომ შიოს დაელაპარაკა მაგრამ მავს მისი მოსმენაც არ უნდა – მხოლოდ ის უთხრა, რომ რამე ისეთი სამსახური მიშოვნე – ოჯახი რომ ვარჩინოო.

დღევანდელ დღეს კი მასეთი სამსახური სად არის? ოჯახი, რომ არჩინო მასეთ სამსახურს იმდენი ფული უნდა რომ სამ ოჯახს შეინახავ. ამას ახერხებენ, ისინი ვინც მხოლოდ მთავრობის სამსახურშია!

მე, შიოსაგან განსხვავებით ფულის შოვნა მეხერხებოდა, მაგრამ ეგ დრო წავიდა! მეც სახლიდან ვყიდი რაც კი გამაჩნია და ისე ვინახავ ოჯახს.

–ზაზა ჩვენ შენი თანადგომა და მზრუნველობა არ გვაკლია, პირიქით შეუძლებელსაც კი ახერხერ იმისათვის რომ ჩვენ პრობლემები შეგვიმსუბუქო, მაგრამ შიოსაც უნდა გაუგო, იგი სასოწარკვეთილია!

შენ ბუნებით ძლიერი, ალღოიანი და გაწონასწორებული პიროვნება ხარ – შიო კი, მხოლოდ ეხლა და ისიც სრულიად დაუცველი შეეჯახა ცხოვრების რეალობას და მის სიძნელეებს. თავს რამდენი რამ დაატყდა და კიდევ კარგად გაუძლო ჭკუიდან რომ არ შეიშალა.

ეტყობა, რომ ომში ბევრი სისასტიკე ნახა,. დაბრუნდა და აქ ბრძოლას არსებობისათვის შეხვდა პირისპირ!

არ ვიცი რა გვეშველება. ჩუმად არის და ამით უფრო იბოღმება. მეშინია, რომ მისმა ფსიქიკამ ამ დატვითრთვას ვერ გაუძლოს! არადა ირგვლივ წყვდიადია!

ზაზამ მირანდა დაამშვიდა, შენ მაინც იყავი ყოჩაღად, ვნახოთ იქნება რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოსო.

დღეები გადიოდა, საქმეს კი სასიკეთო პირი არ უჩანდა, ესმამ ცირას უთხრა, რომ ძროხა მოპარეს. უთხრეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. ქათმებიც კი არ დატოვეს,ყველაფერს იპარავენო. ხალხს შია, აბა რას იზავენ?!

ცირას ლამის გული გაუჩერდა, იგი ძალიან არის მირანდას მდგომარეობით შეშფოთებული, რაც დრო გადის მდგომარეობა უფრო უარესდება – თათას რა ეშველება?

უფროსები ერთმანეთს ანუგეშებდნენ მომავლის იმედით – ბავშვს კი დღეს სჭირდებოდა საზრდო.

ისინი ხან ერთად, ხან კი ერთმანეთისგან ჩუმად ტიროდნენ და ღმერთს შველას სთხოვდნენ.

შიომ მამის გარდაცვალების შემდეგ სულ მთლად „აიწყვიტა“. იგი იზას ეალერსებოდა, მირანდა და თათა ისევ ძალიან უყვარს, მაგრამ ის უკვე მოსიყვარულე და დამჯერი შვილი, ზღაპრული მეუღლე და მზრუნველი მამა აღარ არის!

ბოლოს რომ მოვიდა სახლში მირანდამ ვერ გაარკვია იგი ნასვამი იყო თუ ღრმა ძილიდან ახლა გამოერკვა და აზრებს ვერ ალაგებს., ბოდავს თუ ლაპარაკობს?! გონება დაბინდული აქვს თითქოს ხმაც შეეცვალა, თვალები თითქოს უძილობისგან დამძიმებია.

წვერი მოშვებული აქვს და თმასაც აღარ ივარცხნის.

იზასთან შედის როცა იგი მარტოა და მას ფულს სთხოვს, იზა მხოლოდ ტირის და მას ჭკუას არიგებს. იგი მას არ უსმენს – მიდის.

როცა კი მირანდას პირისპირ ხვდება – იგი მის ლაპარაკს არც კი უსმენს, არამც თუ მის მიერ ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობა გაიგოს.

რამოდენიმე დღის შემდეგ მაღაზიიდან დაბრუნებულ იზას, რაც კი სახლში უჯრები იყო, ყველა ამოქოთებული დახვდა. იზა მიხვდა რაც მოხდა, რომ შიოს გარდა ამას არავინ იზავდა. მას

ბინის გასაღები აქვს და ეჩქარებოდა სანამიზა დაბრუნდებოდა რაიმე ეპოვნა.

რაც კი ქონდათ გადამალული – მირანდას და იზას სამკაულები და რაც გაყიდვას გადაურჩა – ყველაფერი წაიღო. იზა გამწარებული ტიროდა, უფრო მეტად კი მირანდასი და ცირასი სცხვენოდა, როცა ამათმაც გაიგეს რაც მოხდა ყველანი ერთნაირად იმედგარცურებულნი იყვნენ, ჯერ ამ პირობებში დანაკარგი ხომ საშინელებაა და შიოს ასეთი გადაგვარება მათთვის ნამდვილი ღვთის რისხვა იყო.

მირანდამ თავისთვის დასკვნაც კი გამოიტანა: ეგ ბიჭი, ისეთ თავდაღმართზე ეშვება, რომ მეეჭვება უვნებლი გადარჩესო.

მირანდა გაოგნებული იყო. როდემდე გაუძლებს ამას ცირა? ისიცხომ გულით ავადმყოფია!

მირანდამ გადაწყვიტა რომ შიო მოეძებნა და მას მთელი სერიოზულობით დალაპარაკებოდა.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ სამსახურიდან დაბრუნებულ მირანდას შიო სადარბაზოსთან დახვდა.

მირანდას შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა, მან მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა უთხრა, თუ ხვალ ას დოლარს არ მომცემ, თათას წაგართმევ!“

მანქანის გასაღები ხელიდან გამოსტაცა, დაჯდა მანქანაში და წავიდა. მირანდას მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიჩოქა. მას მეზობლები მიეშველნენ და იგი სახლში აიყვანეს.

როცა კი გაიგეს რა ხდებოდა, მირანდას აუკრძალეს მისთვის ფულის მიცემა თუ ერთხელ მაინც მისცემ ფულს, შემდეგ მუდმივი შანტაჟით გამოგძალავსო. ან ფული საიდანა აქვს მისი მისაცემი?

მეზობლებმა ურჩიეს პოლიციაში განაცხადოს, ან ნათესავების საშუალებით მისი დაშინება სცადონ, მაგრამ ყველანი გრძნობდნენ, რომ ამას არც მირანდა იკადრებს და არც თვითონ შეიგნებს რამეს. ეს „კედელზე ცერცვის შეყრა“იქნება!

რეალობა კი ის არის, რომ ტრაგედია გარდუვალია! მირანდა სიგიჟის ზღვარზე იყო მისული, იზა და ცირა გააფრთხილა – ბავშვი გარეთ არ გაიყვანოთო. მეზობელს კი სთხოვა, რომ კარების საკეტი გამოეცვალა.

ერთ კვირა დღეს მოვიდა სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში სუფთად და ფაქიზად ჩაცმული, თმაგაკრეჭილი და პირგაპარ-

სული, ალბათ დედა შეეცოდა.

ყველას მიესალმა, აკოცა, მოიკითხა. თათა ხელში აიყვანა, აკოცა და ჰკითხა – მამიკო არ გენატრება? თათა მას მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

თათა სავარძელში ჩასვა – მას ხასიათი შეეცვალა, მერე მირანდას მიუბრუნდა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს ისე უთხრა,

–ხუთშაბათს ქუთაისში ვიყავით. მეგობარს დედა გარდაეცვალა, ძალიან კარგი დრო გავატარეთ! ხომ იცი ქუთაისელების ამბავი?!

–კი მაგრამ გასვენებაში იყავით თუ ქორწილში?

–ვისთვის ქორწილი იყო ვისთვის დაკრძალვა – ეგ კიდევ საკითხავია!

–შიო მომისმინე, შენ მე ველარ გცნობ, ძალიან შეიცვალე, სამწუხაროდ, უკიდურესად უარესობისაკენ! მე კი, შენზე დიდ იმედებს ვამყარებდი!

–შენც გაიზარდე საყვარელო და უნდა იცოდე,რომ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია! ადამიანებიც იცვლებიან!

მოდი გაკოცო, შენც მაკოცე და კარგად იყავით მომავალ შეხვედრამდე.

მირანდა ადგილიდან არ დაძრულა მას ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა.

შიო დედასთან მივიდა, მას ნაზად აკოცა და ცირას ოფიციალურად უთხრა,

–კარგად ბრძანდებოდეთ ქალბატონო, გთხოვთ ერთმანეთს მიხედოთ. მე არაფერი მომივა. ყველანი ძალიან მიყვარხართ! მერე მირანდას მიუბრუნდა

–მირანდა, მე შენ გაღმერთებდი, შენც თავი ღმერთად წარმოიდგინე და ჩემგან ძალიან ბევრს მოითხოვდი. მე არავის არ ვემონები! მიყვარხარ, მიყვარდი და სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები!

იგი ნელი ნაბიჯით სახლიდან გავიდა.

იზა ტიროდა. ცირა გაოგნებული იყო, ხმას არ იღებდა, მირანდამ უჩვეულო სიცარიელე იგრძნო, თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ როცა იგი მარტო რჩებოდა – მისი თვალები და გული ერთად ტიროდნენ! იმიტომ რომ ისინი საღად აზროვნებდნენ და გრძნობდნენ, რომ ეს ამბავი კარგად არ დამთავრდებოდა.

დრო გადიოდა – შიო კი არსად ჩანდა, ის–ის იყო მირანდა სამ-

სახურიდან წასასვლელად ემზადებოდა, როცა რეანიმაციის განყოფილებიდან დაურეკეს და იქ მისვლა სთხოვეს,

ექიმები შიოს გარს ეხვივნენ და მის მდგომარეობიდან გამოსაყვანად ყველა ღონეს ხმარობდნენ.

მას ნარკოტიკების დიდი დოზა ჰქონდა მიღებული და უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მირანდამ შიო ამ მდგომარეობაში რომ ნახა, თვითონ ისე ცუდად გახდა, რომ სხვა ექიმები მის გონზე მოყვანას ცდილობდნენ.

მირანდა მალე მოასულიერეს, მაგრამრაც შეეხება შიოს აქ საქმე ძალიან სერიოზულად იყო! ექიმებს მისი გადარჩენის იმედი თითქმის არ ჰქონდათ!

ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ იგი სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან და უგონო მდგომარეობაში მყოფს ისევ უგრძელებდნენ ინტენსიურ მკურნალობას.

მირანდას დასამშვიდებელი ნემსი გაუკეთეს და გვერდით პალატაში მოათავსეს. თავისი ექთანი გვერდიდან არ სცილდებოდა, როცა მირანდამ თვალები გაახილა და მიხვდა რაც ხდებოდა, უმალ წამოდგა და ექთანს შიოს ამბავი ჰკითხა.

მან უპასუხა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ელის. ისევ რეანიმაციის განყოფილებაშია და სძინავსო.

მირანდამ მას სთხოვა, რომ მასთან სახლში დაერეკა და იზასთვის ეთქვა, რომ მძიმე ავადმყოფი ჰყავს და ღამე სახლში ვერ მოვა – აქ დარჩება. გთხოვათ არ ინერვიულოთო. ცირას კი თვითონ დაურეკადა ყველაფერი უამბო.

შიოს ღრმად ეძინა. ექიმი და მირანდა მთელი ღამე მის გვერდით იყვნენ.

შიომ ბოდვა დაიწყო, ექიმმა უთხრა, რომ იგი მდგომარეობიდან გამოდისო.

12 საათისთვის შიომ თვალები გაახილა ირგვლივ უაზროდ იყურებოდა, მასპირის ღრუ და ცხვირის ნესტოები ჟანგბადის ნიღბით და მედიკამენტების ზონდებით ჰქონდა დაკავებული.

შიომ მირანდას ხელის მოძრაობით აღნიშნა, რომ მას ხედავს და იცის რატომაც იმყოფება აქ!

მირანდამაც ანიშნა, რომ იგი მშვიდად იყოს. ექიმმა მირანდას უთხრა, რომ ეხლა ისევ ნემსს გაუკეთებს და შიო საღამომდე იძინებს. შენ კი, წადი, ბავშვს მიხედე, ცოტა დაიძინე და საღამოს მოდიო.

მირანდა მას უსიტყვოდ დაემორჩილა მადლობა მოუხადა და სახლში წავიდა.

მისი ამ მდგომარეობაში დანახვა არც ცირას და არც იზას არ გაკვირვებიათ. სთხოვეს, რომ სასწრაფოდ ისაუზმე, შხაპი მიიღე და დაიძინეო.

მირანდამ მძინარე ბავშვს დახედა, თავის საძინებელ ოთახში შევიდა და საწოლამდე მისვლა ძლივს მოახერხა, ისევე მიწვა და ხუთ საათამდე ეძინა.

როცა გაეღვიძა ყველაფერი გაახსენდა. სააბაზანოს მიაშურა, მოწესრიგდა. ცირამ ყოველგვარი შეკითხვების გარეშე ასადილა.

იზას შეკითხვაზე, თუ თავს როგორ გრძნობს მირანდამ უპასუხა, რომ ძალიან მძიმე ავადმყოფი გვყავდა ძლივს გადავარჩინეთო? იზა მას უღიმოდა.

–მირანდა, ექიმები ყველანი რომ შენნაირები იყვნენ, საავადმყოფოებში არავინ არ მოკვდებოდა.

–რატომ იზა? წარმოიდგინე რომ ჩემზე ბევრად უკეთესებიც არიან და უფრო გამოცდილებიც, მაგრამ ინჟინერი, პედაგოგი, მსახიობი თუ სხვა ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, რომ საშუალო დონის სპეციალისტი იყოს, ეს დასაშვებია, ექიმი კი მხოლოდ საუკეთესო, მუდმივად ახლის მაძიებელი, ძალიან ჰუმანური და თავის საქმის საუკეთესო მცოდნე უნდა იყოს, ექიმს შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს!

საშუალო კვალიფიკაციის ექიმი, რომ საავადმყოფოში მუშაობდეს – ეს ჩემის აზრით დანაშაულია!

–მართალი ხარ მირანდა, სავსებით გეთანხმები.

საავადმყოფოში მისულ მირანდას, შიო ნორმალურ მდგომარეობაში დახვდა.

მირანდა ნაღვლიანად გამოიყურებოდა, იგი შიოს ეფრებოდა, საყვედურებით და ნოტაციის კითხვით თავს არ აბეზრებდა.

შიო დარცხვენილი იყო. იგი თათას იფიცებს, იფიცებს მის სიცოცხლეს, მის სიყვარულს, იზას სახელს და გარდაცვლილ მამის სულს! ეუბნება რომ ეს აღარასოდეს გამეორდება. რომ იგი ზომაზე მეტად ნასვამი იყო, თანაც დაბოღმილი და ვერ აკონტროლებდა რას აკეთებდა. თან იფიცებოდა თან მირანდას არწმუნებდა:

–მორჩა! საავადმყოფოდან გამოვალ თუ არა, ვეძებ სამსახურს და ახალ ცხოვრების ნორმალურ გზას ვადგები!

მირანდა მას ეფერება, კოცნის და ეუბნება, რომ მისი იმედი ყოველთვის ჰქონდა.

–შიო, შენ ღმერთმა ყოველივე სიკეთით დაგაჯილდოვა. ოდნავ თავს ძალა რომ დაატანო და ნებისყოფა გამოიჩინო, ჩვენ ისევ ბედნიერ ოჯახად ვიცხოვრებთ!

მომეცი მანქანის გასაღები, მითხარი სად დგას და წავალ მოვიყვან, დავიღალე ფეხით და მეტროთი სიარულით.

–მირანდა, დასანანია, მაგრამ მანქანა აღარ არის. მეგობარმა დაამტვრია და გზაზე მიატოვა.

მირანდა მიხვდა, რომ მანქანა გაყიდულია და ამ თემას აღარ შეხებია.

შიო საავადმყოფოდან გამოსწერეს. თავს კარგად გრძნობს, მას ხშირად ურეკავენ ხან მეგობრები, ხან გოგოები და გასაიდუმლოებული ლაპარაკობენ.

მირანდა თავს იკატუნებს, თითქოს ვერაფერს ხვდება. არ უნდა თავს გამოუტყდეს, რომ შიო ისევ ძველ გზას ადგია.

იგი სახლში ერთი კვირა დარჩა, თათას ისევ ძველებურად სიყვარულით ეფერებოდა, იზას სულ კოცნიდა და აიმედებდა, ცირას თვალს ვერ უსწორებდა, მირანდა ისევ ძველებურად უყვარს. მასზე ეჭვიანობს, თითქოს ხასიათიც გამოუსწორდა, ძილიც მშვიდი გახდა.

მირანდა ისევ თავს იიმედებს ღმერთო, ნუთუ ისევ ძველებურად, ნორმალურად ცხოვრება გვეღირსება?

ნუთუ ჩვენს სამომავლო გეგმებს ასრულება უწერია?

მირანდამ ჩვეულებისამებრ სამსახურიდან სახლში დარეკა, ამბავი იკითხა, იზამ უთხრა, რომ შიომ ლამაზად ჩაიცვა, კარგ ხასიათზე იყო, მითხრა, რომ ჩემზე არ ინერვიულოთ, მალე კარგ სამსახურს ვიშოვნი და სახლში სამუდამოდ დავბრუნდებიო! მირანდამ მას არაფერი უპასუხა, ყურმილი დასდო.

–ე.ი. წავიდა! მასეც ვიცოდი! მეცოდება, დაიღუპება!!! სახლში მისულ მირანდას იზამ გაღიმებულმა უთხრა.

–შიომ სთქვა, რომ მალე კარგ სამსახურს იშოვნის და დაბრუნდება. მირანდამაც ასევე ღიმილით მიუგო:

–ხომ გითხარით, რომ ყველაფერი კარგად იქნება მეთქი?! თქვენ კი ტყუილად ნერვიულობდით, ორივენი იღიმებოდნენ – მათ ერთმანეთის ძალიან კარგად ესმოდათ!

***

მირანდა სულ დაძაბული იყო – თითქოს რაღაც ცუდის მოლოდინში იყო. თავისუფალი მორიგეობა ჰქონდა, მძიმე ავადმყოფიც არ ჰყავდათ.

იფიქრა დრო მაქვს და ომარის წერილს მივწერო. თავი უხერხულად იგრძნო – ღმერთო მაპატიე! სულ ჩემი ბრალია, რომ ცხოვრება ასე უკუღმა წამივიდა.

მე რომ ის სულელური გასაიდუმლოებული წერილები არ მეწერა, არაფერიც არ იქნებოდა.

ღმერთმა მაგისთვის დამსაჯა! კმარა, რაც დავაშავე იმაზე პატიებას გთხოვ უფალო, გთხოვ მაპატიო და ამიერიდან ომარის სახელსაც კი აღარ ვახსენებ!

მე, შიოს თვალში ნდობა დავკარგე, ეჭვიანობის საფუძველი შევუქმენი და მანაც ამ სახით გამოხატა თავისი გაღიზიანება. რომ არა ეგ წერილები ყველაფერი რიგზე იქნებოდა. რა სულელი ვარ! რაში მჭირდება ეს სულელური თავგადასავლები?!

და აი, შედეგიც! რაც ხდება, სულ ჩემი ბრალია! ღმერთო, მაპატიე და შემიწყალე!

რამოდენიმე დღის შემდეგ შიომ სახლში დარეკა, მირანდამ უპასუხა. მან ყველანი მოიკითხა – ნორმალურად საუბრობდა.

მირანდამ მას მთელი სერიოზულობით უთხრა:

–შიო შენთან სერიოზული საქმე მაქვს – ორი სიტყვა უნდა გითხრა, უეჭველად მნახე და მერე თუ გსურს ჩემს სახელს საერთოდ ნუღარ ახსენებ!

–რა იყო? მოხდა რამე?

–სანამ არ მომხდარა მნახე თორემ მერე გვიან იქნება და ინანებ.!

–კარგი ხვალ საღამოსვე მოვალ სახლში, რამე სერიოზულია?

–ძალიან!!! მირანდამ ყურმილი დასდო და თავი გადააქნია.

მირანდას სამსახურში ყველანი დიდ პატივს სცემდნენ და ყველანი გულწრფელად უთანაგრძნობდნენ მას. ისინი ორივეს კარგად იცნობდნენე და შიოს მდგომარეობას ყველანი განიცდიდნენ და სინანულს გამოთქვამდნენ მის მიმართ: როგორი ღირსეული, ზრდილი, ჭკვიანი, გაწონასწორებული და ყველას პატივისმცემელი, კარგი სპეციალისტი და ხალასი მეგობარი – რად ჩამოაყალიბა იგი მის ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ?! როგორი წავიდა ომში და როგორი დაბრუნდა?! მისმა პიროვნებამ სრული ფსიქო-

ლოგიური კრახი განიცადა!!! რა დასანანია!

მიუხედავად ყველაფრისა კლინიკის უფროსმა მირანდას ღამის მორიგეობაზე უარი უთხრა და მხოლოდ ექიმად დატოვა. დღევანდელ ვითარებაში როცა შტატებს გამცირებთ, ორი ადგილის დაკავება კი არა ერთზეც ომია გამოცხადებულიო“.

ღამის საოპერაციო დად კი თავისი ნათესავი დანიშნა,

მირანდას რა თქმა უნდა ეს სიახლე არ გახარებია, მაგრამ ღამეების თევას მის საფასურთან შედარებით, რასაც უხდიდნენ, იმად ნამდვილად არ ღირდა,

მეორე დღეს შიო მასთან სამსახურში მივიდა და ვინაიდან არ სურდა, რომ იგი იქ ვინმეს ენახა – მირანდას ტელეფონით დაურეკადა სთხოვა, რომ ეზოს ბაღში ჩასულიყო.

შიო მას იქ ელოდებოდა, იგი ჩვეულებრივად მიესალმა მირანდას. მასაც მისი დანახვა ესიამოვნა – იგი სრულ წესრიგში იყო, მან მირანდას აკოცა, მოეფერა და უთხრა,

–მირანდა შენმა თხოვნამ ამაფორიაქა, მალე მითხარი რა ხდება? თათა როგორ არის?

–შიო, მოდი ჩამოვჯდეთ, ხომ იცი რომ დიდხანს ვერ დავრჩები – ყველაფერს მოკლედ გეტყვი. მხოლოდ რასაც ეხლა მე გეტყვი, ეს ძალიან სერიოზული ამბავია და გთხოვ, რომ ასევე სერიოზულად მოეკიდო ამ ამბავს და ლაპარაკი არ შემაწყვეტინო!

შიო – თათა ძალიან ავად არის, გემოგლობინი მკვეთად დაეცა – ძალიან დაბალი აქვს. ბავშვი თითქმის შიმშილობს! – ხომ გესმის ეს რას ნიშნავს?!

შეიძლება ბავშვი დავკარგოთ და შენ გთხოვ რომ სწორედ გამიგო – სულ ეძინება და გამუდმებით შენ განატრულობს!

შენ ომის ეპიზოდების მომსწრე ლამის ჭკუიდან შეიშალე. ომი მაინც ომია და იქ სიკვდილი სისხლი და გლოვაა! შენ მაგ ომმა გაგანადგურა და თუ შენ აყვები მაგ მოგონებებს და მის ემოციებს, თუ თავს ხელში არ აიყვან და მიზეზად ომში გადატანილ უბედურებას გაიხდი და გააგრძელებ ესეთ ცხოვრებას როგორსაც ეხლა .... – საინტერესოა რა მოგივა მაშინ, როცა შეიგნებ, რომ შენ გამოიჩინე პიროვნული სისუსტე – მოგეწონა მეგობრებთან გიტარით ხელში გოგოებთან დროსტარება და „კაიფი“ – ამ მიზეზით კი შიმშილით და ემოციური ტრავმებით სავსე შვილი, რომელსაც პირზე მხოლოდ „მამიკო“ აკერია და შენს საძინებლის კარს არ შორდება – აკაკუნებს და გიხმობს! ეს პატარა, შენი სისხლი და

ხორცი – სამი უმწეო ქალის ამარა – შენს მიერ მიტოვებული – უხმობს მამას, რომელმაც მას საჭმელი უნდა მოუტანოს და ძილის წინ კი როგორც თვითონ მიაჩვია ზღაპარი მოუყვეს!

მამიკო მის არსებობაზე არც კი ფიქრობს! და სანამ ის გიტარაზე უკრავს და სრულ „კაიფშია“ მისი პატარა ნელ–ნელა სიცოცხლეს ემშვიდობება!

–რას ამბობ მირანდა – გაგიჟდი?!! შიოს ცრემლები სდიოდა.

–არა, ეს შენ გაგიჟდი და მე კი, ჭკუისაკენ მოგიხმობ! სანამ გვიან არ არის დამეხმარე ბავშვის გადარჩენაში! შენ არავინ გაიძულებს მონობას, შენს შვილს ნუ გასწირავ პირადად მე კი, თუ არ გინდა ზედაც ნუ შემომხედავ! საქმე ბავშვის სიცოცხლეს ეხება!

შიო, მე ჩემი სათქმელი გითხარი, შენ უკვე ყველაფერი იცი და ამიერიდან, როგორც გსურს ისე მოიქეცი. მხოლოდ ერთს გეტყვი –თათას, რომ რაიმე დაემართოს მიწისქვეშ რომ იყო იქედან ამოგთხრი და მის კუბოს შენ აგაწევინებ!!

შიო პატარა ბავშვივით ტიროდა. მირანდა ადგა და სამსახურში ავიდა იგი გაკვირვებული იყო, ღმერთს პატიებას სთხოვდა – ღმერთო, ეგ სიტყვა რამ მათქმევინა? როგორ შემეძლო მე მაგნისი მსგავსი რამე, რომ თათაზე მეთქვა? ღმერთო მაპატიე ალბათ გავგიჟდი!

საღამოს მირანდას ზაზამ დაურეკა. მას შიოს შესახებ მისთვის არაფერი უთქვამს.

ზაზამ კი მას გაკვირვებულმა უთხრა

–მირანდა რა მოხდა? შიო იყო ჩემთან ოფისში და ძალიან შეცვლილი მეჩვენა, მთხოვა, რომ როგორმე სასწრაფოდ რაიმე სამუშაო ვუშოვნო. იგი სასოწარკვეთილი იყო, რაშია საქმე, რამე იცი?

–მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთადერთი „იარაღი“ რაც მე ხელთა მაქვს ეს თათაა! ვუთხარი, რომ ბავშვი ძალიან ცუდად არის და თუ უშველი მხოლოდ შენ მეთქი!! მეტი არაფერი არ მითქვამს.

–გასაგებია – შენ ზუსტად მიზანში მოხვდი! მაშინ მე ყველა ღონეს ვიხმარ, რომ რაღაც გამოვუნახო, ვნახოთ რა შედეგი ექნება შენს მცდელობას.

ღმერთმა ინებოს, რომ მოახერხოს ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

–ზაზა გთხოვ ყველაფერი გააკეთო და იქნებ როგორმე ცხოვრების ჩვეულ ფერხულში ჩააბა. შეიძლება ეს მისი შემობრუნების

შანსი იყოს!

მირანდას არც იზასათვის და არც ცირასათვის არაფერი უთქვამს მომხდარის შესახებ. მოერიდა, ესეთი ქმედებები მისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

შიო ისე ძლიერ იყო არსებულ მორევში ჩათრეული, რომ იქიდან მისი ამოსვლის იმედი მირანდას თითქმის არ ჰქონდა.

მეორე დღეს შიო სახლში თავის ჩანთებით დაბრუნდა. ჩვეულებრივად მიესალმა ყველას აკოცა მოეფერა და იზას უთხრა, რომ ზაზა სამსახურში მოწყობას დამპირდა და ყველაფერი კარგად იქნებაო. მან თათა მოიკითხა. მირანდამ უთხრა რომ ძალიან სუსტად არის და წინანდელივით ტოროლასავით ადრე ვერ დგებაო.

შიო მის ოთახში შევიდა – თათას მშვიდად ეძინა.

იგი მის საწოლთან ჩამოჯდა, თან ტიროდა და თან ყოველივე სიკეთეს პირდებოდა.

მირანდას მისთვის ხელი არ შეუშლია – დაე, ეს მისი აღსარება იყოსო.

შიომ როცა გული იჯერა მოთქმით და დაპირებებით, თვითონ გამოვიდა ოთახიდან და მირანდას ჰკითხა – ცირა სად არისო?

–ცირას გული ძალიან აწუხებს, მაგრამ 12 საათზე მაინც მოვა ბავშვის სუფთა ჰაერზე გასაყვანად.

ამიერიდან მისი გატაცების აღარ შეგვეშინდება, რადგან – მისი მამიკო მის გვერდით იქნება!

–მირანდა შენ გინეკოლოგი კრ არა ექიმი ფსიქიატრი უნდა გამოსულიყავი!

–ნაადრევ დასკვნებს ნუ აკეთებ!

–ნაადრევი კი არა სწორედ, რომ დროულია!

–ღმერთმა ინებოს და ეგრე იყოს!

კარზე დარეკეს – ცირა მოვიდა,შიოს დანახვაზე თითქოს მოჩვენება დაინახაო ისე შეცბა, შიომ არ შეიმჩნია მისი რეაქცია და მისთვის ჩვეული თავაზიანობით მოიკითხა.

ცირაც მას მიესალმა და არაფერი უკითხავს ისე შევიდა თათასთან. მას ისევ ეძინა.

–მირანდა, ბავშვს ამ დრომდე არასოდეს ეძინა ხოლმე, რა მოუვიდა?

–ხომ გითხარი, რომ სუსტად არის, სულ სძინავს!

შიო სერიოზულად ჩაფიქრდა და თათასთან შევიდა, ცირა მას

ტანსაცმელს უმზადებდა.

შიო ხმის ამოუღებლივ მივიდა ბავშვთან და შუბლზე ფრთხილად აკოცა, თათამ თვალები გაახილა და ისევ დახუჭა.

შიოს გული გაუსკდა – არავითარი რეაქცია მის დანახვაზე?! ალბათ ძალიან ცუდად არის!

თათამ თვალები ისე გაახილა და მიხვდა, რომ ეს სიზმარი არ იყო ხმამაღლა დაიყვირა – მამიკო მოხვედი?!

შიომ იგი ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა,

–ჰო მოვედი ჩემო პატარავ და ამიერიდან სულ შენთან ვიქნები! არასოდეს არსად აღარ წავალ – კარგი?

–რა კარგია! ცირა მალე ჩამაცვი, მე და მამა ერთად ვითამაშებთ.

–ეხლავე ჩემო კარგო, ნახერა ლამაზი კაბა მოგიმზადე?

შიო აივანზე სიგარეტს ეწეოდა, ცირამ კოხტად გამოწყობილი თათა მას მიჰგვარა.

–მოდი, მამიკო შენ, რომ დათუნია მომიტანე იმას ვეთამაშოთ,. მე ცირამ ახალი ლექსები მასწავლა და ახლავე ყველას ვეტყვი.

მირანდამ შიო და თათა საუზმეზე მიიწვია. თათამ შიოს ხელი ჩაჰკიდა და ორივენი მირანდას გაყვნენ. მირანდამ მათ ცხელი კერძი დაუსხა და თითო ნაჭერი ქათმის ხორციც კარტოფილთან ერთად წინ დაუდგა.

თათა შიოს უყურებდა. მირანდამ მას ანიშნა – აჭამე, ხომ ხედავ გელოდებაო.

შიომ თათას ორივე თავი კერძი მშვიდად აუჩქარებლად აჭამა, თათა სიამოვნებით აღებდა პირს,

–შიო, შენ სასწაული მოახდინე – თათამ საჭმლის ჭამა დაიწყო! ალბათ მალე კარგად გახდება.

შიომ აღარ იცოდა რა ეთქვა და როგორ ემოქმედა – თუმცა ამას უკვე არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ „თათამ ჭამა დაიწყო!“

მირანდამ შიოს თავისი თეფში მიუწია და უთხრა

–მიირთვი, – ეს სადილი შენც სასიკეთოდ წაგადგება. თათას ჯანმრთელი და ძლიერი მამა სჭირდება, რომ იგი ვერავინ დაჩაგროს და მალე გამოჯანმრთელდეს!

–მე ყველაფერს ვიღონებ იმისათვის რომ ბავშვი გამოჯანმრთელდეს და იგი ბედნიერი იყოს.

–შიო შენზეა დამოკიდებული, განა მარტო ბავშვის,არამედ მთე-

ლი ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა და აბა ვნახოთ როგორ გაართმევ თავს ამ საქმეს?

–შეუძლებელს შევძლებ – ოღონდ ყველაფერი ნორმალურად იყოს და ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ.

მირანდა მას უყურებდა და თავისთვის ფიქრობდა – „ნეტავ გაამართლებს თუ არა მისი მცდელობა?“ ჩვენს ტანჯვას ბოლო ხომ უნდა მოეღოს?!

ზაზამ შიოს დაურეკა და უთხრა,რომ არის მხოლოდ ერთი შანსი – ისიც ჩემს მეგობარს დიდი ხვეწნა–მუდარის შემდეგ ვაშოვნინე. ყოველდღიურად გადაგიხდის გასამრჯელოს – უნდა გააცილო რამოდენიმე დიდი სატვირთო მანქანა – საბურთალოს ტერიტორიაზე მშენებლობის უბანზე – რომლებიც დატვირთული იქნება აგურით, ყველა საჭირო საბუთების თანხლებით.

თუ თანახმა იქნები, ხვალევე შეგიძლია მიხვიდე, თუ არა და სხვა ჯერჯერობით არაფერიაო.

შიო დიდი სიხარულით დაეთანხმა მას და ეხლა არჩევანის დრო არ არისო და შეთანხმდნენ სად და როდის მისულიყო.

შიომ მირანდას ამის შესახებ სიხარულით ახარა. მირანდასაც ძალიან ესიამოვნა მისი ესოდენ შესაშური ენთუზიაზმი, მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან ეეჭვებოდა მდგომარეობის ესოდენ რადიკალურად შემობრუნება!

შიო და თათა თითქოს მუდამ ასეც იყო – ალერსიანად თამაშობდნენ და ძველ ტრადიციასაც არ ღალატობდნენ – ძილის წინ მას ზღაპრის მოყოლას სთხოვდა.

იზა, ცირა და მირანდა – ერთმანეთს მხოლოდ მიმიკით „ესაუბრებოდნენ“.

დილით ადრე შიო ზაზასთან შეხვედრაზე წავიდა. მან იგი თავის მეგობართან მიიყვანა და ყველაფერში დაწვრილებით გაერკვნენ.

ორივენი ძალიან კმაყოფილები, ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

საღამოს შიო ძალიან დაღლილი, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი დაბრუნდა სახლში, როცა შხაპი მიიღო, მოწესრიგდა და სუფთა ტანისამოსი ჩაიცვა მირანდას სთხოვა

–მირანდა დაჯექი რაღაცა უნდა გითხრა, მირანდას თავზარი დაეცა, ალბათ დაიღალა და ისევ წასვლას აპირებსო.

–რა იყო საყვარელო, დაიღალე?

–ეგ არაფერია, მივეჩვევი, – მხოლოდ ერთს გთხოვ, რომ ამი-

ერიდან ჩემი დაბადების დღე დღევანდელი რიცხვით აღნიშნოთ ხოლმე.

ძველი შიო მოკვდა – უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა იგი მოატყუილეს, მას უღალატეს,მოიხმარეს და მოისროლეს! იგი და მისნაირები – ვისაც ესე მოექცნენ, ამას არ იმსახურებდნენ! ეს ცოდვები მათ სინდისზე იყოს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მუხანათობა მათ არ შერჩებათ!

მან მირანდას ხელი მოხვია, სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც ცირა და იზა ისხდნენ, სამივეს მოეხვია, მშვიდად და თავდაჯერებულად უთხრა.

დამშვიდდით – აღარაფერზე ინერვიულოთ, მე, თქვენთან დავბრუნდი!!!

შიო დილით ადრე მიდიოდა სამსახურში და საღამოს ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა. ოჯახს უმალავდა, რომ – გარდა იმისა, რომ აგურის ქარხნიდან დატვირთულ საშენ მასალას ბრიგადირს თბილისში აბარებდა, თურმე აგურის ჩამოცლელ მუშადაც მუშაობდა, ზედმეტი ანაზღაურებისათვის. მთელ თანხას კი იზას აძლევდა.

იზა და ცირა თავის ფუნქციებს ინაწილებდნენ. მირანდა კი ისევ საავადმყოფოში მუშაობდა.

შიომ როცა მირანდას ჰკითა – თათას ბოლო ანალიზები როგორიაო? მირანდას დაფიქრება დასჭირდა. არც კი ახსოვდა, რომ თათას როგორი „დიაგნოზი დაუსვა“! მას გაეღიმა და შიოს უთხრა, – არა უშავს, უკეთესია, მაგრამ სასურველია, რომ უფრო კარგი იყოს. წამალს დროულად ვაძლევ, კარგი კვება აქვს, შენ გვერდით ჰყავხარ. ბავშვები მალე ინაზღაურებენ დანაკარგს. ვიმედოვნებ, რომ მალე გემოგლობინიც ნორმაზე ექნება.

იმასაც ხომ ხედავ, რომ დედაშენი რა ბედნიერია, ცირას იმის შემდეგ, რაც შენ დაბრუნდი გულის შეტევა, ერთხელაც არ მოსვლია. შიო მას უღიმოდა.

– შენ პირადად როგორა ხარ?

– ვინ–ვინ და შენ ამას არ უნდა მეკითხებოდე!

– მართალია! მიხარია, რომ ისევ ისეთი თბილი და საყვარელი გოგო ხარ – როგორც წინათ, როცა მეც „კარგი ბიჭი“ ვიყავი!

– შენ ყოველთვის კარგი და საყვარელი იყავი. ეგ, რაც შენ შეგემთხვა, მხოლოდ სტრესის და შექმნილი მდგომარეობის შედეგი იყო. დაივიწყე რაც იყო! როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ცხოვრე-

ბა – სიცოცხლე მაინც – უდიდესი ბედნიერებაა!!!

გთხოვ ამაზე აღარ ვილაპარაკოთ, წარსული დავივიწყოთ. მხოლოდ ის გვახსოვდეს, რაც კარგი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

– მირანდა დაიფიცე, რომ შენც დაივიწყებ ყველაფერს!

– გეფიცები! – შიომ მას თვალებში შეხედა და უთხრა:

– ყველასაც? – მირანდამ მისდაუნებურად წარმოსთქვა – ვის ყველას?

– ვის და – შენს მეზღვაურს!

მირანდას თითქოს გული გაუჩერდა, მეტყველების უნარი წაერთვა. მერე კი, მშვიდად უთხრა:

– შიო, შენ რა მაგას სერიოზულად მეკითხები?!

რადროს ეგენია? – შიოს შერცხვა თავის საქციელის და მირანდას მოეხვია.

– გეხუმრე სულელო შენი რეაქცია მაინტერესებდა.

– ძალიან გთხოვ, თუ გიყვარვარ, ეგრე არასოდეს იხუმრო, კარგი?

– გეფიცები და მაპატიე!

– ჰო, კარგი. გაპატიე და შევრიგდეთ.

შიო მას მოეხვია, აკოცა და უთხრა, რომ რაც შენ არ გესიამოვნება, იმას არასოდეს გავიმეორებო.

მირანდამ მას გაუღიმა – თავისთვის კი დაასკვნა: დამპირდა და შეიძლება, რომ მისი არსებობა არასოდეს გამახსენოს, მაგრამ – ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ – შიო მის არსებობას არასოდეს დაივიწყებს! და ამას ვიღა დაეძებს – მეშინია, რომ მისდაუნებლიედ „ის“ ჩვენი ცხოვრების უჩინარი თანამგზავრია და ჩვენს შორის რაიმე განხეთქილების საბაბი არ გახდეს!

შიო უკვე თავის სამსახურს შეეგუა. მართალია ძალიან იღლება, მაგრამ ოჯახს რჩენა უნდა.

მირანდას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია ისევ ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ იმ ჯოჯოხეთს თავი დააღწიეს!

თათა უკვე დიდი გოგოა – საბავშვო ბაღში დადის. იგი ჭკვიანი, კარგი ბუნების და თბილი ბავშვია. მამა ისევ ძალიან უყვარს – იგი მისი დიდი მეგობარია.

ესმა ავადმყოფობამ დაასუსტა, მაგრამ მაინც რაც ძალა და ღონე შესწევს – თავს არ იზოგავს, მირანდას ოჯახისთვის. მირანდა მუშაობს და კმაყოფილია იმით, რომ სამსახური მაინც

აქვს და ხელფასი, როგორც ყველასი მისიც სიმბოლურია.

შიოს ქირურგობაზე ოცნება არ განელებია, მაგრამ დღეს ვინც მუშაობს ისიც თითქმის უხელფასოდ და მას ამის უფლება არა აქვს. იმედი აქვს, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდება და საკუთარ კლინიკას თუ არა – ქირურგის ადგილს მაინც იშოვნის.

ქალაქშიც თითქოს სიმშვიდეა, ავტომატიანები არ ჩანან, მაგრამ მატერიალურმა სიდუხჭირემ – პიკს მიაღწია!

ოჯახებს უმეტესად ქალები არჩენენ. ისინი ბაზრობებზე ვაჭრობენ და ზოგნიც კი, რა გზას დაადგნენ ღმერთმა იცის.

ვისაც საშუალება აქვს საზღვარგარეთ გარბიან. ვისაც არა – ისინი კი მთავრობაზე გაბოროტებულნი ერთმანეთთან კამათით იოხებენ გულს.

ეხლა ყველანი პოლიტიზირებულნი გახდნენ და ამით ერთობიან. აქტიურად მონაწილეობენ მიტინგებზე გამოსვლაში და ერთიანდებიან თავიანთთვის სასურველ პარტიებში.

85.

ომარიმ ინსტიტუტის დამთავრების თანავე დაიწყო მუშაობა საზღვაო ფლოტის – საკონსტრუქტორო ბიუროში.

სამსახურში მას ყველა დიდ პატივს სცემს – როგორც სერიოზულ, ჭკვიან და ყოვლად დადებით პიროვნებას.

ფიქრიას ნაცნობ–მეგობრებისგან მოსვენება არ ჰქონდა, ყველანი ცდილობდნენ ომარისთან დანათესავებას.

ფიქრიას ისედაც აწუხებდა ეს საკითხი და გადაწყვიტა, რომ ომარის სერიოზულად დალაპარაკებოდა მის დაოჯახების შესახებ.

– აბა რას ამბობ მამიდა? ცოლი რომ ვითხოვო ნაქირავებ ბინაში ხომ ვერ შევიყვან?! ფიქრიამ მას მშვიდად უთხრა:

– რატომაც არა? მეორეც ის, რომ თუ შენ დაქორწინებას მოისურვებ, ჩვენს ბინაში ვერ დავეტევით, თუ რა? უცნობი ხომ არა ვართ ერთმანეთისადმი?

– შემოთავაზებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ ეგ ამბავი ჯერ ნაადრევია. სამსახურში ბინას მპირდებიან, როცა საკუთარი ჭერი მექნება – მაშინ აბა რას ვიზამ? ალბათ, ერთი ქალი მეც მერგება ამ ქვეყანაზე! რას იტყვი?

– იმას ვიტყვი, რომ ქალები გათამამებენ და სწორედ ეგ დაგა-

ბერებს შენ უცოლ–შვილოდ! ეგ ქალები შენ ოჯახის დიასახლისად და ბავშვების დედად არ გამოგადგებიან და შენ კი, შვილების აღზრდაშიც ხომ უნდა მიიღო მონაწილეობა? – ყველაფერს თავისი დრო აქვს!

– ნუ ღელავ მამიდა – უცოლშვილოდ არ დავბერდები.

– ჰოდა იჩქარე – ვისაც შენ ელოდებოდი იმან თავისი გზა ნახა!

ომარის ხმა აღარ ამოუღია.

როცა მირანდა ძალიან მოენატრებოდა და მაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა – ზღვის ნაპირას მიდიოდა, იქვე ჯდებოდა და ორივეს მაგივრად თვითონ ლაპარაკობდა. დახედავდა მირანდას სურათს, გაუღიმებდა და უმალვე ოცნების სამყაროში აღმოჩნდებოდა.

ხან ტიროდა, ხან იცინოდა და გვერდით მიმოიხედავდა, ვინმეს გიჟი არ ვეგონოო და გულდაწყვეტილი იტყოდა – მირანდა საყვარელო, შენ მე ძალიან მაკლიხარ. არა მგონია მე ვინმე შევიყვარო ან ვინმეს შევეგუო. მთელი ჩემი „ოქროს ხანა“ შენს გვერდით ვიყავი. მაშინ არ მქონდა ცხოვრებისეული გამოცდილება, რომ უფრო ახლო დამოკიდებულება გვქონოდა – მე კი მეგონა, რომ სულ ერთმანეთის გვერდით ვიქნებოდით. ცხოვრებამ ჩვენი სულიერი სამყარო გათიშა და, ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა!

მირანდა, არ დაიჯერო, რომ გითხრან – ნამდვილი მამაკაცები არ ტირიანო. მე ვტირი და ამისი არა მცხვენია! ძნელია როცა, მამაკაცი ტირის, მაგრამ – ეს სისუსტე არ არის! ეს გრძნობების მოზღვავებაა და როცა გული, გრძნობა და გონება ერთად იტანჯება – ტირილიც, მისი საპასუხო რეაქციაა!

მე ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ სიყვარული არ არის. ეს ჩემთვის განუკურნებელი სენია.

მე, უშენობით ვარ ავად და მისგან თავის დაღწევა არ შემიძლია!

წინათ, მართალია იშვიათად, მაგრამ წერილებს მაინც მწერდი – ეხლა კი, ნამდვილი „სული ობოლი“ ვარ! სიგიჟემდე მინდა შენი ნახვა – არ ვიცი რა ვიღონო? ჩემი არავის ესმის, მე, ამ დღეში ვარ და მამიდაჩემი კი დაოჯახებას მთავაზობს!

თუმცა, ფიქრია ჩემს სატანჯველს ვერასოდეს გაიგებს, მას ვინც უყვარდა, მაზე გათხოვდა და დღემდე ბედნიერია!

ღმერთმა ინებოს, რომ ყველას გაუმართლოს სიყვარულში, მე კი ბედმა, ეს ბედნიერება არ მარგუნა!

86.

სახლში დაბრუნებულმა ცირამ დასვენებაც კი ვერ მოასწრო, რომ კარზე ზარი დარეკეს.

მან კარი გამოაღო და გაკვირვებული დარჩა – მას ომარი ესტუმრა. ცირამ იგი სახლში შეიპატიჟა, დაჯდომა სთხოვა და არ დაუმალა, რომ – მისმა სტუმრობამ იგი ძალიან გააოცა.

მათმა ერთმანეთი მოიკითხეს. ომარიმ თავის შესახებ ყველაფერი უამბო და ისიც უთხრა, რომ შოთამ და ფიქრიამ არც კი იციან, მე რომ თბილისში წამოვედიო.

ცირამ მისი სტუმრობის მიზეზი კარგად იცოდა, მაგრამ უნდოდა, რომ ამის შესახებ თვითონ ომარის წამოეწყო საუბარი.

– ცირა მე ბოდიშს გიხდით, რომ გაუფრთხილებლად გესტუმრეთ. სიმართლე გითხრათ ვყოყმანობდი თქვენთან მოსვლაზე. ვშიშობდი რამე არასასურველი შედეგი არ მოყოლოდა ჩემს დაუპატიჟებელ სტუმრობას. ტელეფონით რამოდენიმეჯერ დავრეკე და არავინ მიპასუხა. მივხვდი, რომ სახლში მარტო იქნებით. დაველოდე თქვენს მოსვლას და აი, ასე საიდუმლო ვითარებაში მიხდება თქვენთან საუბარი.

– არა უშავს, შენ ხომ უცხო არა ხარ?!

– მართალია მაგრამ – თქვენთან საუბარი ძალიან მჭირდება, მინდა, რომ მირანდას შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

რამდენიხანია არ მინახავს, მაინტერესებს როგორ არის?

– კეთილი. მადლობელი ვარ, რომ გახსოვართ და ჩვენი ამბის გასაგებად შემოიარე. მე ვეცდები, რომ შენი ცნობისმოყვარეობა შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილო. ომარი –კ მაყოფილი იღიმებოდა.

ცირამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ომარის მირანდას შესახებ ყველაფერი ისე სცოდნოდა როგორც იყო და როგორც არის! ცირამ ომარის ყვველაფერი გულახდილად მოუყვა.

ბოლოს კი სთხოვა, რომ მგონი შიო შენზე ეჭვიანობს და გთხოვ ეს გაითვალისწინო, რათა მირანდა ზედმეტ უსიამოვნებების წინაშე არ აღმოჩნდესო.

ომარიმ მას დიდი მადლობა მოუხადა – ნდობისათვის და ესოდენ გულახდილი საუბრისათვის.

თავის მხრიდან კი, იგი ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ ისეთს არაფერს მოიმოქმედებს რაც მირანდას ოდნავ მაინც უსიამოვნო გრძნობას მოჰგვრის.

ბოლოს, ცირას მირანდას სამსახურის ტელეფონის ნომერი სთხოვა, მას მოწიწებით დაემშვიდობა და წავიდა.

ის–ის იყო მირანდამ ავადმყოფების მიღება დაამთავრა და სახლში წასასვლელად ემზადებოდა, რომ მას ტელეფონთან სთხოვეს.

მირანდას ეს ზარი არ ესიამოვნა. სახლში ყოველთვის თვითონ რეკავდა, შიო მას არ ურეკავს, იგი მთელი დღე სამსახურშია. ნეტავ რა მოხდა? მან შეშინებულმა ყურმილი აიღო და უპასუხა.

– გამარჯობა მირანდა მე ვარ ომარი.

მირანდას ეგონა, რომ იგი ბათუმიდან რეკავდა და გახარებულმა უპასუხა – იმდენი ჭკუა იხმარა, რომ მისი სახელი არ ახსენა.

– გაგიმარჯოს, გისმენ. როგორა ხარ? რა სიურპრიზია, რამე სიახლეა?

– დიახ, სიურპრიზი და სიახლე ერთად!

– მალე მითხარი! მირანდას ბავშვივით უხაროდა.

– ეზოში ჩამოდი და გეტყვი!

– კეთილი. მირანდა გაოცებული იყო. ექთანს მშვიდად უთხრა, რომ ეხლავე მოვა და ეზოში ჩავიდა.

მშვენიერი მაისის დღე იყო. საავადმყოფოს ეზოში მოსიარულე ავადმყოფები და მათი მნახველები მშვიდად ისხდნენ გრძელ სკამებზე და საბურობდნენ.

მირანდას ომარიმ ხელით ანიშნა – არ უნდოდა, რომ ვინმეს მათი შეხვედრა შეემჩნია.

მირანდა მშვიდად წავიდა მისკენ. ერთმანეთს მიესალმნენ და დასხდნენ. ერთმანეთი მოიკითხეს.

– ომარი, აქ რამ მოგიყვანა? სასწრაოფდ მომიყევი რა ხდება?!

– მე აქ შენმა გაუსაძლისმა სიყვარულმა მომიყვანა! ხდება ის, რაც ამდენი წლის მოლოდინის შემდეგ უნდა ხდებოდეს – ამას ოცნების ახდენა ჰქვია! მე შენ გხედავ და გელაპარაკები!

– თუ მასეა, შენზე ბედნიერი არავინ ყოფილა, ოცნების ასრულება ხომ ყოველდღე არ ხდება? რაღა გინდა?!

– ვისურვებდი, რომ როგორც ეხლა დგახარ ჩემს წინაშე, წაგიყვანო ბათუმში, იქ დიდ ლაინერზე ჩავსხდეთ და ჩვენ ორმა – ვიმოგზაუროთ მსოფლიოს გარშემო!

– კეთილი! ეხლა კი დაეშვი დედამიწაზე – თბილისში ხარ და მეც აქა ვარ!

მომიყევი რა ხდება შენს რეალურ სამყაროში?

– ჩემს რეალურ და ოცნების სამყაროს, მხოლოდ ერთი მბრძანებელი ჰყავს და ეს შენა ხარ!

– ომარი, შენ მე მაოცებ! მეგონა, რომ სკოლას დავამთავრებდით, გაიზრდებოდი, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდებოდი, ცხოვრებას თავისი ავ–კარგით გაითავისებდი და ბედნიერად იცხოვრებდი შენს შესაფერის ლამაზ ოჯახში. ეხლა კი რა ხდება? ცაში დაფრინავ და გემით მსოფლიოს შემოვლას აპირებ სხვის ცოლთან ერთად?!

თავი დაანებე მაგ ბავშვურ და შენთვის შეუფერებელ ფანტაზიორობას და სერიოზულად დამელაპარაკე.

– სერიოზულად და მოკლედ ის ხდება, რომ ჩემს ცხოვრებას უშენოდ აზრი არა აქვს! შენ კი მტუქსავ.

მე მხოლოდ ორი გზაღა დამრჩენია: ან ვგიჟდები და შენთან ახლოს აქვე საგიჟეთში აღმოვჩნდები, ან არა და ვიწყებ მუშაობას დიდ გემზე და სანამ ცოცხალი ვიქნები, გეფიცები, რომ ხმელეთზე დიდი ხნით არასოდეს დავრჩები!

შენი სურათით ხელში მივდივარ მსოფლიოს ირგვლივ – კრუიზში და უცოლშვილოდ ვბერდები!!!

მირანდა იცინოდა და ამით მოხარული იყო.

– გასაგებია, მაგრამ მე თუ მკითხავ – მე მეორე ვარიანტს გირჩევ, როცა დაბრუნდები მაშინ უფრო ჭკვიანურად მომიყვები ყველაფრის შესახებ. რას იტყვი?

– იმას გეტყვი, რომ ძალიან ვიტანჯები. იმედი მქონდა, რომ დრო ოდნავ მაინც გამინელებდა ამ გრძნობას, მაგრამ არა – პირიქით ხდება. შენ და მხოლოდ შენ – სხვა და სხვები ყველა ნულს უტოლდება!!

– ომარი, შენი მესმია და მჯერა, მაგრამ მე რით შემიძლია რომ დაგეხმარო?

– საბედნიეროდ იმდენი ჭკუა კიდევ შემრჩენია, რომ ვერაფერს შემოგთავაზებ – გარდა იმისა, რომ მე ჩემი სათქმელი ვთქვი და შენ მომისმინე!

– შენ გინდა, რომ მე ბედნიერი ვიყო?

– ამას როგორ მე:კითხები?

– მაშინ სასწრაფოდ დაქორწინდი შენს შესაფერის კარგ ქალზე და შექმენი შენი საკადირისი ლამაზი ოჯახი.

– ეგ მისაღებია, მაგრამ ვშიშობ, რომ მე მალე გამოვუტყდები მას იმაში, რომ მე იგი არ მიყვარს! რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ

და მაინც კრუიზში წავალ! მირანდა ისევ იცინოდა.

– კეთილი – მაშინ მეორე ვარიანტიდან, პირველზე შევაჩერებ ჩემს არჩევანს – დადვრწმუნდი, რომ შენი ადგილი – იქ არის! რას იტყვი?ორივენი იცინოდნენ. ომარი მიუხედავად ყველაფრისა ბედნიერი იყო!

– მირანდა ვიცი, რომ სახლში გეჩქარება, ისიც ვიცი, რომ ეჭვიანი ქმარი გყავს – დიდხანს არ დაგაყოვნებ.

მე მივდივარ ბათუმში და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ რამოდენიმე წუთით მაინც შენს ხილვას და შენთან საუბარს ვეღირსე.

თუ ნებას მომცემ დაგირეკავ ხოლმე სამსახურში.

– არა, არ არის საჭირო. თუ რაიმე სერიოზული ან აუცილებელი მოხდება მე თვითონ დაგირეკავ.

არავითარი მიწერ–მოწერა! ზედმეტი პრობლემები არ გვჭირდება.

ჩვენ–ჩვენი ცხოვრება გვაქვს. დამირეკე მაშინ როცა ცოლს შეირთავ – შეიძლება ქორწილშიც კი ჩამოვიდეთ!

– მირანდა ნუ იზავ იმას, რომ ფიქრიას დავურეკო და ვუთხრა ვინც შენ მსურს, იმაზე ვქორწინდები, ჩემს ბათუმში ჩამოსვლის თანავე–მეთქი.

– მე მგონია, რომ ეგ ყველაზე კარგი აზრია!

– მოდი დაგემშვიდობო – ჩემო სიცოცხლევ და ჩემო თვალის ჩინო. მე დღეს უბედნიერესი კაცი ვარ მთელს ქვეყანაზე!

იცოდე, რომ რაც არ უნდა მოხდეს შენს ადგილს ვერავინ ვერ დაიკავებს ჩემს გულში!

ომარი მშვიდად წამოდგა. მირანდას თვალებში ჩახედა, წუთით შეაჩერა მზერა და ხმა არ ამოუღია ისე წავიდა. მას თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

მირანდა კი ნაღვლიანად იღიმებოდა – ნეტავი ბედნიერი იყოს!!!

87.

სახლში მისულმა მირანდამ ყველანი მოიკითხა. თათას მოეფერა. ცირას თვალისგადავლების თანავე მიხვდა, რომ მან ყველაფერი იცოდა და ტელეფონის ნომერიც მან მისცა.

შიოც მოვიდა. ყველამ ერთად ისადილეს. მირანდამ შიოს უთხრა, რომ აბაზანა მიიღე და გამოიძინე, დაღლილიც ხარ და ძილიც გაკლიაო. თვითონ კი იზა და ცირა მოიკითხა – დღის ამბებიც

გამოიკითხა და ცირა სხალში წასვლისას განძრახ არ გააცილა.

იგი შიოს თავს დასტრიალებდა.

– მირანდა რა ხდება? დღეს განსაკუთრებულად ლამაზი ხარ!

– ამაზე მეტი რა უნდა ხდებოდეს? ეს ცოტაა? მადლობა ღმერთს ყველანი კარგად ვართ და ვმუშაობთ. ისეა თუ ისე არ გვშია – ეს რა ცოტაა? მართალია ძალიან ვიღლებით, მაგრამ ერთმანეთს ვეხმარებით და თათაც კარგ ფერზეა.

– სულ ეგ არის?

– კიდევ ის, რომ შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ!

– ღმერთმა ინებოს, რომ მხოლოდ ხუმრობა იყოს!

მირანდამ შიოს გაკვირვებულმა შეხედა.

მან კი გაუღიმა და უთხრა:

– გეხუმრე საყვარელო, როცა ეგრე გაცისკროვნებულს გხედავ მიკვირს – ჩენს დროში, ეგ ეშხი? მირანდას უნდოდა, რომ ეთქვა – რაც ჩვენ გადავიტანეთ – იმ ჯოჯოხეთთან შედარებით – სამოთხეში ვართო, მაგრამ გადაიფიქრა. შეიძლება ჩემმა ნათქვამმა იგი გააღზიანოს ან რაიმე ცუდი გაახსენოსო და ნაცვლად მხოლოდ ეს უთხრა – შიო, თათა რახანია გელოდება, ბავშვი განერვიულდებაო.

მას კი დღევანდელმა შემთხვევამ მართლაც რომ გული გაუთბო.

შიოს და მირანდას ისევ ძველებურად ძალიან უყვართ ერთმანეთი.

იზა – მართალია გიორგის დაკარგვას ვერ ურიგდება, მაგრა მშიოს ასეთმა სასიკეთოდ შემობრუნებამ იგი დაამშვიდა. თათაზე და მირანდაზე ხომ გიჟდება – ორივე ძალიან უყვარს. ცირაც საკუთარ დასავით უყვარს და ცდილობს, რითაც შეუძლია ასიამოვნოს.

შიო სამსახურის შემდეგ, როცა სახლში ბრუნდება და ისადილებს, ყველას გაესაუბრება და ცოტასდაისვენებს, შემდეგ – მოიმიზეზებს – ცოტას გავივლიო და სადღაც გაუჩინარდება–ხოლმე. რითაც მირანდას სამართლიან საყვედურს იმსახურებს.

– შიო, საყვარელო შენი საღამოობით „გასეირნება“ ძალიან მაფიქრებს, ხომ არ გამიმხელდი საიდუმლოს – სად დადიხარ? და რითი ან „ვითი“ ხარ იქ დაკავებული? შიოს ეშმაკურად ეღიმებოდა.

– შენ რა ეჭვიანობ?

– რატომაც არა! მინდა ყველაფერი ვიცოდე და თუ ეს „მაციონი“ შენ ზიანს არ მოგიტანს, მხოლოდ მოხარული ვიქნები!

– დამშვიდდი ძვირფასო. მართალია „სახელს გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო“, მაგრამ ის რაც მე შემემთხვა, ჩემი სურვილით არ იყო გამოწვეული, ის ღვთის რისხვა იყო – ღვთის კი არა, უფრო სწორად უღმერთოების!

ამჟამად კი საქმე ფრიად სერიოზულ ამბავს ეხება! საქმეს, როგორც თვით ქვეყნისას, ასევე ამ ქვეყანაში მცხოვრებელთა, საერთო საქმის – სასიკეთოდ აწყობისას.

– როგორც მივხვდი, შენ – იატაკქვეშეთში დადიხარ და შენს თანამოაზრეებთან ერთად რევოლუციის მოწყობას აპირებთ! სწორეა?

– არა, ჩვენ მხოლოდ ქვეყნის – არსებულ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის ვარიანტებს ვარჩევთ და ეს მხოლოდ დიალოგია!

– ეგ, დიალოგი კი არა შეთქმულებაა!!! და გირჩევ, რომ ჭკუას მოეგო.

პატრიოტობამ ხომ ნახე რა მომგიტანა? ეხლა რევოლუციის შედეგებს მოიმკი!

მომისმინე და დაიმახსოვრე – ყველამ თავთავის საქმე უნდა აკეთოს!

ამისათვის არსებობენ. პოლიტიკოსები, დიპლომატები, პოლიტოლოგები და სახელმწიფო მრჩეველები.

შენ კი ექიმი ხარ და ვინაიდან მძიმე პერიოდში მოგიხდა ცხოვრება – დროებით ქვეყნის „აღმშენებლობას“ ემსახურები – შენებას კი ზიანი ჯერ არავისთვის არ მიუყენებია! – მაგრამ არაკომპეტენტურებმა – ქვეყანა დაანგრიეს!

როცა ნების მიერ ქვეყანაში – ყველა თავის საქმეს აკეთებს და აკეთებს სანიმუშოდ – მაშინ შეიძლება ქვეყანასაც ეშველოს.

შენ ექიმი ხარ, მაგრამ ამჟამად მშენებლობას ამარაგებ საშენ მასალებით – პატიოსანი შრომით მიღებული ფულით ოჯახს ინახავ – ამით არაფერი შავდება. მაგრამ არაპოლიტიკოსები, რომ ქვეყნის მართვას ცდილობენ, ამას მოყვება ის რისი მომსწრენიც და საუბედუროდ მსხვერპლნიც ჩვენ ყველანი ვართ!

– მართალი ხარ მირანდა, მაგრამ დღეს ბრძოლა პროგრესისთვის კი არ არის გაჩაღებული არამედ ბრძოლა ძალაუფლებისათვის და დიდი ფულისათვის არის!

– შიო, გთხოვ დაანებო თავი ყოველგვარ სისულელეებს. შენი

თავი ღმერთმა შენს ოჯახს აჩუქა და მართალია ძალიან გიჭირს, იღლები, გული გტკივა, რათა შენს ოცნებებს ჯერჯერობით ასრულება არ ეწერა, მაგრამ იმუშავე სადაც მუშაობ და ნუღარ დაგვაყენებ კვლავ იმ ჯოჯოხეთის წინაშე, რაც ჩვენმა ოჯახმა გადაიტანა.

– მართალს ამბობ საყვარელო, თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ. ამიერიდან როგორც შენ მეტყვი ისე მოვიქცევი, მაგრამ ეხლა უნდა წავიდე – ბუჩქებში ჯდომა, ჩემი მოწოდება არ არის!!!

და კიდევ ის რომ მსოფლიო იცნობს ბევრ ისეთ გამოჩენილ ადამიანს, რომლებმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრეს არა თავისი სპეციალობის მიხედვით, არამედ სულ სხვა ასპარეზზე.

მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვან: მორზეს როგორც მხატვარს ბევრი არ იცნობს, მაგრამ მსოფლიო სარგებლობს მის მიერ გამოგონებულ ანბანით! და ესეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

– და შენ იმის იმედი გაქვს, რომ თქვენი კოლექტივი ამდაგვარ სენსაციას მოახდენს?

– რა იცი?! იქნებ ჩვენი ჯგუფის რომელიმე წევრსაც დაგვეცეს თავზე ვაშლი ან აგური!

– ღმერთმა დაგიფაროთ!

– დიდი მადლობა

და გზა დაგვილოცეთ!

ჩვენ მალე დავბრუნდებით!!!

თავი II

მირანდა სახლში მარტო იყო, იგი ფიქრებმა გაიტაცა – „ვარდების რევოლუცია“ – დასრულდა.

ეს გუშინ იყო, დღეს კი მათ ახალი საფიქრალი და საზრუნავი გაუჩნდათ – ქვეყანა უნდა შეიცვალოს!

რა თქმა უნდა,ცვლილებები ყველა ქვეყანაში საჭირო და გარდუვალია, მაგრამ ცვლილებები მაშინ არის გამართლებული, როცა იგი ქვეყანას და ხალხს სასიკეთოდ წაადგება, ვნახოთ რასმოგვიტანს დრო და ახალი მთავრობა!

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ოჯახში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. მე და შიო ვმუშაობთ თათა კარგად სწავლობს – იგი ჭკვიანი, ჯანმრთელი და თბილი გოგოა სექტემბერში ჩვიდმეტი წლის გახდება.

იზა, ცირა და ესმა კარგად არიან, ოჯახს უძღვებიან, თათას ნორმალურად ამეცადინებენ და შეძლებისდაგვარად სასიამოვნო გარემოს უქმნიან.

რაც შეეხება შიოს მან 9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთის ომის კოშმარი და მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, საკუთარი პიროვნული, სულიერი თუ ფიზიკური ტრავმები ოჯახში შექმნილი ეკონომიური სიდუხჭირე თუ ვარდების რევოლუციის პოლიტიკური ბატალიები არ იკმარა და მისი სულიერი სამყარო კვლავ რაღაც ენით აუწერელი ენერგით არის დამუხტული, რომელიც როგორც ყოველთვის გზის დასაწყისში იდუმალებით არის მოცული, ხოლო ფინალი ჩემი თავში სახლელია!

მირანდა ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოიყვანა, მას ეკამ დაურეკა. მოკითხვის შემდეგ მირანდას უთხრა, რომ დილით შიო და ვაჟა ერთად დაინახა, მანქანით სადღაც მიდიოდნენ – ე.ი. სამსახურში არცერთი არ იყოო.

მირანდამ იგი დაამშვიდა –ნუ ღელავ, შიოს ყველაფერი რიგზე აქვს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, იგი რამეს რომ აპირებდეს მე უეჭველად მეტყოდაო.

ეკას თავისთვის გაეღიმა – არ უნდოდა მირანდასთვის გული ეტკინა და სათქმელად გამზადებული სიტყვები – რაც შიოს თავში უტრიალებს შენ იმას ყველაზე ბოლოს გებულობო – სხვა დროისათვის გადადო, მას კი უთხრა, როგორმე მოვიცლი და შემოგივლი, რამდენი ხანია სალაპარაკოდ არ მინახიხარო. ერთ-

მანეთს ყოველივე სიკეთე უსურვეს და ურთიერთს დაემშვიდობ-დნენ, ეკა, შიოს და მირანდას ქორწილის შემდეგ ვაჟას მალე და-შორდა რაღაც უმნიშვნელო საკითხზე კამათის შემდეგ.

ეტყობა მათ ერთმანეთი იმდენად არ უყვარდათ, რომ შეუღლე-ბულიყვნენ, მეგობრობის პერიოდი კი ისედაც საკმაოდ გაუგრ-ძელდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მირანდა თავს მშვიდად გრძნობდა და გშიოს მხრიდან არასერიოზულ ქმედებებს აღარ ელოდა, ეკას ნათქვამმა იგი მაინც ჩააფიქრა – რა უნდოდათ სამუშაო საათე-ბის დროს ქალაქში სასეირნოდ.

მირანდას ეჭვი გაუმძაფრდა და სამსახურიდან მოსულ შიოს სა-დილის შემდეგ მშვიდად ჰკითხა – დღეს სამსახურში დაგირეკე და მითხრეს, რომ ქალაქში გასულხარ, სად იყავი? ხომ მშვიდო-ბაა. შიომაც მას მშვიდად უპასუხა, რომ თანამშრომელთან ერ-თად ქალაქში მანქანის ნაწილის საყიდლად წავიდნენ. მირანდამ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა და დარწმუნდა, რომ შიოს საქ-მე რაღაც რიგზე ვერ არის.

ასე რომ არ იყოს იგი მას სიმართლეს ეტყოდა.

ჩვეულებრივად ისადილეს მთელი ოჯახის შემადგენლობით, თათამ მათუთხრა, რომ სკოლის დამთავრებისთანავე თუკი სურ-ვილი ექნება, სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გააგ-ზავნიან.

ამ ამბავმა რა თქმა უნდა ყველანი გაახარა, იზამ იგი გვერდით მოისვა, მოეფერა, შეაქო და იმედი გამოთქვა, რომ ინსტიტუტ-საც ისევე წარჩინებით დაამთავრებს, როგორც სკოლას ამთავ-რებს, არჩევანიც მოუწონა – უთხრა, შენ მართლაც რომ საუკე-თესო ჟურნალისტი იქნებიო.

ყველანი ბედნიერები იყვნენ, თათას და მირანდას ერთმანეთი ძალიან უყვართ. თათა მას როგორც ახლო მეგობარს ისე უფრო აღიქვამს ვიდრე როგორც მშობელს, იგი გულღიაა და სიამოვნე-ბით ღებულობს უფროსების შენიშვნებს და რჩევა–დარიგებებს. მასყველანი ძალიან უყვარს – შიო, იზა, ცირა და ესმა არც მარ-სიას ტოვებს უყურადღებოდ, მასთან ხომ ბავშვობიდან მეგობ-რობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე დაბერდა თათას სახლ-ში შემოსვლას ყოველთვის თავისებური სიხარულით აღნიშნავს ხოლმე.

მირანდა და თათა ერთმანეთს არაფერს უმალავენ და გულახ-

დილად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს. არასდროს არ კამათობენ, მშვიდად იცავენ საკუთარ პრინციპებს, თათა თავის წლებთან შედარებით ძალიან ერუდირებული და გონებაგახსნილია – ლოგიკურად მსჯელობს და პატივს სცემს სხვის მოსაზრებებსაც – მოსწონს იგი მას თუ არა, არასოდეს ეკამათება უფროსებს და არც იმასცდილობს, რომ თავისი აზრი სხვას თავს მოახვიოს. სკოლაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მას რბილი ხასიათი აქვს და თითქმის ყველასთან ნახულობს საერთო ენას.

მირანდას კითხვაზე – უყვარს თუ არა მას ვინმე.? თათამ უპასუხა, რომ განსაკუთრებით არავინ, მაგრამ ყველანი კარგები არიანო,. მირანდა დარწმუნებული იყო მის აღიარების სიმართლეში, რითიც ნასიამოვნები დარჩა. მას ეშინოდა, რომ ამ უმშვენიერეს გრძნობის გაჩენას თათას აკადემიურ მაჩვენებლებზე უარყოფითად არ ემოქმედა.

თათამ კი – მირანდას სკოლის პერიოდის შესახებ ყველაფერი იცოდა და მარსიას მათ ოჯახში ყოფნის ისტორიაც ძალიან რომანტიულად მიაჩნდა.

ერთხელ როცა მარსიას სიბერეზე ჩამოვარდა საუბარი და ყველანი სინანულით აღნიშნავდლნენ მის უახლოეს პერიოდში დაკარგვის შესაძლებლობას – თათამ მირანდას ჰკითხა – ამის შემდეგ ისევ იყოლიებს იგი სახლში სხვა ძაღლს თუ არა?

მირანდამ მას ასევე გულწრფელად უპასუხა, რომ ეს ძაღლი მას, მასზე შეყვარებულმა თანაკლასელმა აჩუქა და ეს საჩუქარი განსაკუთრებულია იმით, რომ იგი არ აძლევს მას თავისი ბავშვობის და ახალგაზრდობის წლების დავიწყების საშუალებას – რაც მას ძალიან ახარებს!

თათა არ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა და დედას მომდევნო კითხვა დაუსვა – მარსიას სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს ემახსოვრება ბავშვობა და ის ვისაც იგი ასე ძალიან უყვარდა?

მირანდას გაეღიმა და უპასუხა – რა თქმა უნდა, მოგონეები და სიყვარული ჩვენთან ერთად კვდებიანო.

თათა მას სინანულით შესცქეროდა – დედასაც და შვილსაც თვაოლები ცრემლით დაენამათ.

მირანდა ვერ გარკვეულიყო იმაში, თუ რა ხდებოდა შიოს ირგვლივ. თითონ არაფერს ამბობდა, თავი ნომალურად ეჭირა, სახლში ყველას ალერსიანად და მოწიწებით ეპყრობოდა. სამსახურ-

შიც დიდი ხანია რაც დააწინაურეს და ოფისში კარგი ანაზღაურებიანი თანამდებობა ეკავა.

ძალიან ეამაყებოდა, რომ მის ქალიშვილს ამერიკაში აგზავნიან როგორც წარჩინებით სკოლადამთავრებულს და ნათელი მომავლის მქონე ახალგაზრდას. მიუხედავად იმისაბ რომ თათას გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა და არავითარი სურვილი არ ჰქონდა მისი სხვა ქვეყანაში გაგზავნისა

ამავე განიცდიდა მირანდაც, მაგრამ შვილის მომავალზე ფიქრი ყველაფერს ჩრდილავდა – ხუთი ან ექვსი წელი არც ისე დიდი დროა, სამაგიეროდ მისი შვილის მომავალი გარანტირებული ექნება, რაც შეეხება ბედნიერებას ეს – მისი ბედისწერაა!

იზა, ცირა და ესმა ღმერთს მხოლოდ მის ბედნიერებას და კარგ მომავალს შესთხოვდნენ.

ყველაფერი ნორმალურად იყო, მთელი ოჯახი მის გამგზავრებით იყვნენ დაკავებულნი.

ერთ დილით ცირასთან დარეკეს და როგორც ამბობენ „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით“ აუწყეს რომ – ესმას გულის ინფარქტი დაემართა, ძალიან ცუდად არის. იგი ხონის საავადმბოფოში სასწრაფოდ მოათავსეს და ცირას ჩასვლას ითხოვს.

ამ ამბავმა ყველანი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მირანდამ შიოს უთხრა, რომ ცირა სასწრაფოდ წაიყვანეო ხონში, შიოც არანაკლებ იყო მომხდარით შეწუხებული მაგრამ ყველანი ანუგეშა – ნუ ნერვიულობთ, ამ საღამოსვე გავემგზავრებით. ხვალევე დაგირეკავთ და ამბავს გაგაგებინებთო.

ყველანი დაბნეულები იყვნენ, ტიროდნენ, ნერვიულობდნენ აღარ იცოდნენ რა ეღონათ.

შიო და ცირა ხონში გაისტუმრეს და თვითონაც ამბის მოლოდინში საქმეს ვაი–ვაგლახით გაუძღვნენ.

თათას გამგზავრებამდე ოცი დღეღა რჩებოდა, დედა–შვილი ერთმანეთს ერთი წუთითაც არ შორდებოდნენ, თითქოს იმ დროის დაზოგვას ცდილობდნენ რაც მათ განშორებას უნდა წაეღო.

მეორე დღეს დილითვე შიომ დარეკა და აუწყა მათ, რომ ესმას უკვე ელაპარაკა. იგი თავს კარგად გრძნობსო. ექიმებმა კი უთხრეს მას, რომ ეს წამლების ეფექტია, მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, შეიძლება ინფარქტი გაუმეორდეს და ამ ამბავს უნდა შეეგუოთო. ცირა მას თავზე ადგას და თვითონ უფროა მოსავლე-

ლია ვიდრე თავისი და, ექიმები მასაც უტარებენ მკურნალობას.

შიომ მათ ისიც უთხრა, რომ კიდევ ერთი დღე დარჩება და ზეგ სამსახურში უნდა იყოს.

მირანდა და თათა ერთმანეთს ამხნევებდნენ, სინამდვილეში კი ორივენი უკიდურესად დაძაბულები იყვნენ. მის გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო. მიუხედავად ყველაფრისა – ცუდი ამბის მოლდინში განაბულები იყვნენ.

ორშაბათს შიო ჩამოვიდა და მათ ვერაფერი საიმედო ვერ უთხრა, ისიც დაამატა რომ ცირაისეთ დღეშია, მეშინია ესმას რომ რამე დაემართოს ისიც ზედ არ მიყვესო.

ამ ამბავმა მირანდა იზა და თათა სრულიად გააოგნა,

მირანდამ უთხრა შიოს, რომ ხვალ მე და თათა წავალთო, იგი მათ გადაწყვეტილებას დაეთანხმა.

მეორე დღეს შიომ ისინი ტაქსში ჩასვა და ხონში გაისტუმრა.

მარტო დარჩენილი იზა და შიო დიდხანს საუბრობდნენ. შიომ მას უთხრა, რომ მშვიდად იყავი, მე შეიძლება ღამე შინ არ დავბრუნდე და არ ინერვიულო – მეგობრებთან ვიქნები დაბადების დღეზეო.

იზა შეეცადა მის გადარწმუნებას – იქნებ დარეკონ და სასწრაფოდ დასჭირდე, მერა უნდა ვუპასუხო? – თქვენ მაგ დღეში ხართ და შიო მეგობრის დაბადების დღეზე ქეიფობს–თქო?

შიო მას მოეფერა, აკოცა და უთხრა, რომ ისინი ჯერ გზაში არიან და ჩემი ვაი–ვიში არაფერში სჭირდებათ. დილით მოვალ და ყველაფერი რიგზე იქნებაო. იზა როგორც ყოველთვის მას მორჩილად და სიყვარულით შესცქეროდა.

შიო არც იმ დილით მოსულა სახლში და არც საღამოს. მეორე დღესკი როცა იზას დაურეკა ამბის გასაგებად მაშინ გაიგო, რომ მირანდამ და თათამ ესმას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრეს. შიოს კი თხოვდნენ, რომ იგი ჩავიდეს მათთან და რაც შეიძლება ჩქარა!

III

შიო და იზა ხონში დაკრძალვის დღეს ჩავიდნენ,. იქ დილიდან უკვე ხალხმრავლობა იყო. ყველანი საქმით იყვნენ დაკავებულნი. ჭირისუფლები ტიროდნენ და მირანდამ იზას სთხოვა, რომ მას ცირასათვის განსაკუთრებულად მიექცია ყურადღება – წვეთები დროზე დაალევინეო. თვითონ კი დაკრძალვის ცერემონიალით იყო დაკავებული.

შიო მას გვერდიდან არ შორდებოდა,. ამხნევებდა ნუ ტირი ამდენს, მაგას ვერაფერს უშველი და შენ ცუდად არ გახდეო. ცირასაც ეფერებოდა თათას თხოვდა რომ მათთვის ყურადღება არ მოეკლო, თითონ კი დაკრძალვაზე მოსულ ნათესავებთან იდგა და იკვლევდა ვინ ვინ იყო,. მას არავინ არ აინტერესებდა ერთის გარდა.

როცა გაიგო, რომ ბათუმიდან ჩამოსული ქალბატონი თავის მეუღლით და ქალიშვილით ესმას ბავშვობის მეგობარია და ისიც ყველამ აღნიშნა – ომარი რატომ არ ჩამოვიდა მამიდასთან ერთადო – მერე შიოს ყურადღება მხოლოდ მათკენ იყო მიმართული, ფიქრობდა – ახლა ვნახავ რა ვაჟბატონიც არის ალბათ მარტო ჩამოვა მირანდას სანუგეშებლადო.

შიოს იმედი გაუცრუვდა, ომარი დაკრძალვაზე არ ჩამოვიდა. იგი საგონებელში ჩავარდა – ნუთუ მირანდამ მართალი თქვა – აღარც მე ვახსოვარ და აღარც ....?! – შეუძლებელია!

ესმა მისი საკადრისი პატივით დაკრძალეს, მეორე დღეს სასაფლაოზე გასვლის შემდეგ ისადილეს და შიო თბილისში გაემსგზავრა.

მირანდა მისმა საქციელმა გააკვირვა, როცა ისინი შიოს აცილებდნენ, რომელიც თბილისიდან ჩამოსულ ნათესავებს მიყვებოდა, მან იზას ცირას მირანდას და თათას აკოცა, ნათესავებს გამოემშვიდობა, ჩაჯდა მანქანაში და მათთან ერთად წავიდა ისე, რომ მირანდას არც კი შეეკითხა როდის ჩამოხვალთო. მაგრამ მირანდა მაინც მის გამართლებას ცდილობდა – ნათესავების მოერიდა და ამისთვის ზედმეტად სიტყვაძვირი იყოო.

მირანდა, იზა, ცირა და თათა კიდევ ერთხელ იყვნენ სასაფლაოზე – როგორც წესი მეცხრე დღეზე და მერე კი ყველამ იცოდა, რომ თათა საზღვარგარეთ მიდიოდა და ამ დრომდე ერთი კვირაღა რჩებოდა.

ცირა თავს უკეთ გრძნობდა. მირანდამ იზაც მასთან დატოვა და დაუბარა, რომ თათას გავაცილებთ მე და შიო ორმოცისათვის ჩამოვალთ – თან რაც საჭიროა ყველაფერს ჩამოვიტანთო.

მართალია ძალიან უჭირდათ ერთმანეთთან განშორება, მაგრამ დრო არ ითმენდა. მირანდა და თათა თბილისში წამოვიდნენ.

შინ მისულებს კარი დაკეტილი დახვდათ, შიო სამსახურში იყო და არც ბარათი დაუტოვებია – იცოდა რომ დედა–შვილი დღეს ჩამოდიოდნენ.

სადაც კი შეიძლებოდა მირანდამ ყველგან დარეკა, მაგრამ უშედეგოდ ორივენი ძალიან ღელავდნენ.

გვიან საღამოს შიო მოვიდა, იგი ცოტათი ნასვამი იყო, ორივეს აკოცა, მოეფერა, ბოდიში მოუხადა და ყოველივე ახსნა–განმარტების გარეშე საძინებელს მიაშურა. თათამ და მირანდამ ერთმანეთს გადახედეს და არც მათ დაუწყიათ თავიანთი ვარაუდების გამოთქმა – მთავარია, რომ უვნებელი დაბრუნდაო.

დილით შიო მათ ჩვეულებრივად გამოელაპარაკა, იკითხა ცირას ამბავი და უთხრა რომ მართალია ესმას დაკარგვა ჩვენი ოჯახისათვის დიდი ტკივილი და დანაკლისია მაგრამ ეხლა ცირას ესაჭიროება ყურადღება და კარგია რომ დედა იქ დარჩაო.

თათას ჰკითხა – ყველაფერი რიგზე თუ არა, ხომ არაფერი გამორჩათ მხედველობიდან? სასურველი პასუხის მიღებით კმაყოფილი შიო მათ გამოეთხოვა და სამსახურში წავიდა.

თათას გამგზავრებამდე ხუთი დღე–ღა რჩებოდა. შიო თავისუფალ დროს სულ მათ გვერდით ატარებდა. მამა–შვილს განსაკუთრებულად უყვართ ერთმანეთი, ისინი დიდი მეგობრები არიან.

თათა ოთხ კაციან ჯგუფში იყო ჩაწერილი. მათგან სამი გოგო და ერთი ვაჟი იყო, რომელსაც მშობლები ამერიკაშიც მიყვებოდნენ.

მირანდას იმედი ჰქონდა, რომ ისინი ყველას ყურადღებით მოეპყრობიან და იქაურ პატრონს ჩააბარებენ.

მათი გამგზავრების დღეც დადგა – ყველაფერმა შეფერხების გარეშე ჩაიარა. ოთხივენი ახლად სკოლადამთავრებულები იყვნენ, მათმა და მეგობრებმაც მოასწრეს.

ძალიან გულისამაჩუყებელი იყო მათი გამომშვიდობების მომენტი – რომელიც ცრემლის გარეშე ვერ მოხერხდა.

სახლში დაბრუნებული შიო და მირანდა უჩვეულო სიცარიელეს გრძნობდნენ – ლაპარაკის ხასიათზეც კი არ იყვნენ. მირანდას ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ თათას წასვლას – შიოს სული და გულიც თან გაყვა,. იგი ხმაამოუღებლივ შევიდა საძინებელში და მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი გრილი ზაფხულის საღამო იყო, აივანზე დაჯდომას და მირანდას გამხნევებას ლოგინში ჩაწოლა და ძილი არჩია.

მირანდას ამაში უარყოფითი არაფერი შეუმჩნევია – უჭირს, რა თქმა უნდა, უჭირს, ჯერ სულ მთლად ბავშვი გოგოს ამერიკაში გაშვება – მიუხედავად იმისა იცოდა რომ თათას იქ არაფერი

გაუჭირდება – იგი ერთმა ქვეყანამ ოფიციალურად ჩააბარა მეორეს – მთელი პასუხისმგებლობით.

მიუხედავად ყველაფრისა ორივენი ერთმანეთს უმალავდნენ, რომ ნანობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებას – თათა იქ არ უნდა გაეშვათ!!! იგი აქაც წარჩინებით დაამთავრებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მათ თვალწინაც იქნებოდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო ამაზე ფიქრი და ისღა დარჩენოდათ, რომ ელოცათ მის საკეთილდღეოდ.

IV

მეორე დღეს გვიან ღამით თათამ დარეკა და მათ აუწყა, რომ კარგად ჩავიდნენ, რომ მათ იქ დახვდნენ ოფიციალური წარმომადგენლები რომლებმაც ისინი ნორმალურად დააბინავეს.

მირანდას და შიოს სთხოვა, რომ მასზე არ ინერვიულონ და თვითონ მოუარონ თავს, რათა მას პრობლემა და სანერვიულო არ შეექმნეს, რომ თვითონ მხოლოდ სწავლით და მომავალი სპეციალობის ცოდნის გაღრმავებით იყოს დაკავებული. იგი ხშირად დაურეკავს მათ და ერთმანეთის ამბავს მშვიდად გაიგებენ.

შიოს და მირანდას მიუხედავად იმისა, რომ თათას ხმა გაიგეს და რომ მას ყველაფერი წესრიგში აქვს – მათ გული მაინც დამძიმებული ჰყონდათ – ორივენი ტიროდნენ.

შიო მირანდას მოეხვია, მოეფერა და უთხრა შენ ხომ ყოჩაღი ქალი ხარ, რამდენ გასაჭირს გაუძელი, ამიერიდან ჩვენი საქმე ღვთის წყადლობით კარგად იქნება. ხუთი წელი სწრაფად გაირბენს, განათლებული და ბედნიერი შვილი ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებაო.

მირანდა ოდნავ დამშვიდდა, თვითონაც მიუალერსა შიოს და უთხრა – ღმერთმა გისმინოსო. მას ღამე ნებისა უსურვა და თითონ სამზარეულოს მიაშურა, სკამზე ჩამოჯდა და ყოყმანით ჩაიბუტბუტა – ნუთუ მართლა ყველაფერი კარგად იქნება?!

დილით იზამ დარეკა და მოკითხვის შემდეგ უთხრა, რომ ცირა უკეთ არისო, ორმოცისათვის რისი ჩატანაც არის საჭირორ ისიც უთხრა. პარასკევს ხომ იცით რომ მთელი სამეზობლო ჩვენს გვერდით არიანო. მან შიოს სიტყვა–სიტყვით გადასცა იზას ნათქვამი და სთხოვა, რომ ამ დროისათვის სამსახურიდან დაეთხოვოს, ალბათ ორი ან სამი დღე ჩვენთან დარჩები, მე კი ათდღიან უხელფასო შვებულებას მოვითხოვ და ცირას ოდნავ გამხნევე-

ბულს მაინც წამოვიყვანთ აქეთო.

შიო მორჩილად შესცქეროდა მას და თითქოს მის ლაპარაკს ყურს არც კი უგდებდა – საპასუხოდ მხოლოდ გაუღიმა.

მირანდამ მას გაკვირვებული შეხედა და უთხრა

–რა გაცინებს? რა არის აქ სასაცილო – რაიმე ისე არ ვთქვი თუ რა ხდება?

–არაფერია – სასაცილო მართლაც რომ არაფერია, მაგრამ თვითონ სიტუაციაა ძალიან სასაცილო – მხოლოდ არა აქ!

მირანდა ამ ფრაზამ ძალიან შეაშფოთა,. შიოს დააკვირდა და უთხრა – შენ ხომ არ გაგიჟდი, რა დროს ხუმრობაა, და თუ არ ხუმრობ, მაშინ მითხარი რა ხდება.

–არაფერია, ძვირფასო არაფერიც არ ხდება ისეთი რაც არ მომ-ხდარა – უბრალოდ ამ მძიმე დღეებმა დამღალა.

მირანდას ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ თავი გადააქნია და საქ-მე განაგრძო.

დილით შიო სამსახურში წავიდა. მირანდას ღამის მორიგეობა ჰქონდა და გვიან აპირებდა წასვლას, ჯერ ოჯახური საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი.

მისმა მორიგეობამ ჩვეულებრივ ჩაიარა, სახლში დაბრუნებულს კი არაჩვეულებრივი სანახაობა დახვდა,

შიოს ტანსაცმელი აქეთ–იქით სკამებზე და დივანზე ეყარა. ჩანთაც იქვე იყო, მირანდამ იფიქრა – ალბათ გაგვქურდესო და ოთახებში მიიხედ–მოიხედა – დარწმუნდა, რომ ეს არ მომხდარა. საძინებელ ოთახში შეიხედა და მიხვდა რომ შიოს ღამე სახლში არ გაუთევია. კარადიდან მისი ტანსაცმელი და პირადი ნივთები იყო წაღებული, მირანდა ლამის გაგიჟდა – ნუთუ წავიდა?!!!

იგი სკამზე ჩამოჯდა, მუხლები მოეკვეთა, აზროვნების უნარი დაეკარგა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოათვალიერა ყველაფერი, რომ დარწმუნებულიყო მომხდარის შესახებ და გარკვეულიყო რა მოხდა. ბოლოს დარწმუნდა რომ მისი ეჭვი და რეაქცია უტყუარი იყო – წავიდა!!!

კი მაგრამ რაღა ეხლა? რატომ გუშინვე არ მითხრა ამის შესა-ხებ? სად წავიდა, რა გადაწყვიტა, რაშია საქმე, რა მოხდა და კი-დევ მრავალი რატომ?!!

მირანდა გაოგნებული იყო – სად წავიდეს? ვის კითხოს რა მოხ-და და სხვა. პირველი რაც აზრად მოუვიდა მირანდას, ის იყო, რომ რა ცბიერია!! – ხომ იცოდა რას აპირებდა, რატომ არ დაჯდა

ჩემს გვერდით და ადამიანურად, მეგობრულად, ოჯახურად, როგორც თავის მეუღლეს ისე არ დამელაპარაკა და არ გამარკვია ყველაფერში. ასე რატომ მომექცა? – შუა ზღვაში, უნიჩბო ნავში მარტო დატოვებულივით?! თათას გამგზავრებას დაელოდა – ე.ი. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა! ღმერთო მიშველე! რა დავაშავე ისეთი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ასე ვიტანჯები?!!

იმის ღირსიც კი არ გამხადა, რომ სიმართლე მწარე სიმართლე, მაგრამ მაინც სიმართლე გამეგო და ასეთ გაურკვევლობაში და ასე დამცირებული არ დავეტოვებინე? ნუთუ იმის ღირსი არ ვიყავი, რომ მცოდნოდა რისთვის ვიხდი ამ სასჯელს?

მირანდა ტიროდა მწარედ და უზომოდ გულის ტკივილით. როცა ტირილით გული იჯერა, ცრემლები შეიმშრალა, თავი მაღლა ასწია და თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა – ხმამაღლა თქვა – მე მაგას ამ ამბავს არასოდეს ვაპატიებ.

სამზარეულოში მაგიდაზე მხოლოდ ფული იდო. ეტყობა ბარათის დატოვების შერცხვა – ფული ესმას ორმოცზე საჭირო საყიდლებისათვის იყო. მირანდამ ფულს ხელი არ ახლო, თითქოს მათი არსებობაც კი ზიზღს გვრიდა მას. იგი ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა, იქ რა ხდებოდა მას არ აინტერესებდა – აღარც ის აინტერესებდა სად წავიდა შიო, მას ერთხელ განცდილი გრძნობა გაუცოცხლდა – რევანში! – მხოლოდ რევანში!

V

მირანდა თავს საშინლად გრძნობდა, თავბრუ ეხვეოდა. წამოწვა, ძილი არ ეკარებოდა, დასაძინებელი აბი მიიღო.

იმ დღეს ძალიან ცხელოდა, მას მხოლოდ საღამოს გამოეღვიძა. როცა თვალები გაახილა გაახსენდა რაც ხდებოდა და ისევ დახუჭა. იგრძნო თავისი გამოუვალი მდგომარეობის სრული სიმძიმე. იგი წამოდგა, თავს ძალა დაატანა, მაგრამ არაფრის მილაგების უნარი არ ჰქონდა. უმწეოდ ჩაჯდა სავარძელში მას ფიქრის ან მომხდარის გაანალიზების თავიც აღარ ჰქონდა. ცოტა ხანს კიდევ დარჩა ასეთ უმწეო მდგომარეობაში, კარზე ზარი დარეკეს., მან კარი გამოაღო – შიო მოვიდა. მირანდას უნდოდა კარი სწრაფად მიეხურა, რომ იგი სახლში ვერ შემოსულიყო, მაგრამ იგი უკვე მის წინ იდგა. მას ხმა არ ამოუღია ისე წავიდა და ჩაჯდა სავარძელში. მირანდას მისკენ არც კი გაუხედავს ისე გავიდა სამზარეულოში, შიო მას იქ შეყვა და მოკრძალებულად დაუწყო

ლაპარაკი.

–მირანდა დაჯექი და მომისმინე, ყველაფერს აგიხსნი

–ასახსნელი აქ არაფერია! შენ ყოველთვის იქცევი ისე, როგორც შენ გსურს მხოლოდ და ესეც მორიგი სვლა არის?

–არა, ეს მორიგი სვლა არ არის – ეს უკანასკნელია! მე ვაღიარებ დამარცხებას – სიკეთის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების, ოჯახის წინაშე აღებული მოვალეობების, ღვთის წინაშე დადებული ფიცის და ყველა კეთილშობილი იდეების უგულვებელყოფისათვის.

მე ყველას წინაშე დამნაშავე ვარ, ჩასაქოლი ვარ, მაგრამ რა ვქნა – თავს იქით ძალა არა მაქვს!

–საინტერესოა რა ძალაა ასეთი, რომელმაც შენ ამქვეყნიურ ყველა სიკეთეზე უარი გათქმევინა?! – შიო დუმდა. მირანდამ მზერა დაძაბა, იგი ქვის ქანდაკებას ჰგავდა.

–თქვი ნუ გერიდება – შენ როგორც აღიარე ყველაფერზე აიღე ხელი რაღაცისთვის! არ მეტყვი რამ გაიძულა? შიო მირანდას თვალს ვერ უსწორებდა.

–სიყვარულმა, მირანდა სიყვარულმა!

მირანდა ყველაფერს მოელოდა ამის გარდა.

–მერე მითხარი რა მოგდის, ვინ გიყვარს და მე როგორც ყოველთვის, ახლაც გაგიგებ!

–ვერა, ვერ გეტყვი, მე გადავწყვიტე ბოლო მოვუღო ამ სატანჯველს, შენც გაგანთავისუფლო ჩემი სისულელეებისაგან და მეც დავისვენო!

–კი მაგრამ, მე რატომ არ ვიცოდი, რომ შენ რაღაც გტანჯავდა? თუმცა არც ახლაა გვიან გისმენ!

შიო წამოდგა და წასასვლელად მოემზადა –

–ვერა, ვერ გეტყვი!

–კეთილი, ბედნიერებას გისურვებ! მე რაც შენ გაგიცანი მის მერე სულ შენს ბედნიერებაზე ვზრუნავდი.

ის მაინც მითხარი – ეგ ქალი ღირსია იმის, რაც მისმა შენს ცხოვრებაში გამოჩენამ ჩვენს ოჯახს ასეთი ტკივილი მოუტანა?!!

–არა მირანდა მთელი უბედურებაც მაგაშია, რომ არა!

–კარგი, როგორც ამბობენ – გულს ვერ უბრძანებ – ბედნიერი იყავი, მხოლოდ გახსოვდეს, რომ შენ ჩემთვის დღეიდან მკვდარი ხარ! – და მხოლოდ იმ პრივილეგიებით ისარგებლებ რითაც – ოჯახის, ცოლ–შვილის, დედის, მამის ხსოვნის და ყოველი წმინ-

დას მოღალატეს შეეფერება!!!

შიო უხმოდ მივიდა კარებთან, მან მხოლოდ თავი მიაბრუნა მირანდასაკენ და უთხრა – შენ კარგი ქალი ხარ, მაგრამ ის დედოფალია!

ამის გამგონე მირანდას კინაღამ გული გაუსკდა, ძლივს გასაგონად უთხრა – ალბათ ისიც ისეთივე დედოფალია, როგორი მეფეც შენა ხარო! – შიომ მას ოდნავ ირონიით გაუღიმა და უთხრა „ერთხელ დედოფალი, როგორიც არ უნდა იყოს იგი – მუდამ დედოფალიაო“!

შიოს ამ გაღიმებამ და მისმა სიტყვებმა მირანდას გული თითქოს ხანჯლით გაუპო. მან სახეგაფითრებულმა და ხმაწასულმა თითქმის ჩურჩულით ჰკითხა.

–ვინ არის ის?! – შიო უკვე სადარბაზოში გავიდა და მიაძახა

–ვინ არის და მერი! – შემდეგ კიბეებზე სირბილით დაეშვა.

მირანდას შეძრწუნებულმა ყვირილმა – არა! მხოლოდ ეგ არა!!! სადარბაზოში გამოყარა მთელი მეზობლები, რომლებიც ვერ გარკვეულიყვნენ რა მოხდა, რამ აიძულა მირანდა ესეთი არაადამიანური ხმა ამოეღო და ასე უმოწყალოდ გულწასული იატაკზე გდებულიყო?

დიდხანს მოყავდათ იგი გონს თავის საყვარელ მეზობლებს, რომელთათვისაც მირანდა ყველაში გამორჩეული და სათაყვანებელი პიროვნება იყო. ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ და ყველას თითქოს სახეზე ეწერა პასუხი – ვინ იფიქრებდა ამას“?!!

VI

როცა მირანდა გონს მოეგო მის საწოლთან იზას რძალი ნანი იჯდა, ზაზა აივანზე იყო გასული და სიგარეტს ეწეოდა.

მირანდა ხმას არ იღებდა მხოლოდ თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ნანის იგი კითხვებით არ შეუწუხებია, თავზე ხელს უსვამდა, ცრემლებს უმშრალებდა და ყველაფერი კარგად იქნებაო ეუბნებოდა. როცა მირანდამ ტირილით გული იჯერა საწოლზე წამოჯდა. არც მას დაუსვამს მათთვის კითხვები, მხოლოდ ზაზას დანახვაზე კინაღამ ისევ ცუდად გახდა.

ზაზამ მას გაუღიმა და უთხრა – რა იყო ხომ არ დაბერდი ჩემო მებრძოლო? თავი მაღლა ასწიე და შენებურად მხოლოდ წინ იყურე,. იგი მივიდა მასთან შუბლზე აკოცა და უთხრა – აბა წამოდექი, ნაბახუსევი ვარ და შენებურად მოდუღებული ყავათუგამო-

მიყვანს ამ მდგომარეობიდან, თორემ ჩემი საქმე შენზე უარესად იქნებაო.

მირანდამ მას ოდნავ გაუღიმა და ნანისთან ერთად სამზარეულოში გავიდნენ, მირანდას არაფრის თავი არ ჰქონდა, ყავა ნანიმ მოადუღა და თითო ფინჯანი სამივემ ჩუმად დალიეს.

ზაზამ უთხრა მირანდას, რომ მისთვის მიეცა ხონში წასაღები საყიდლების სია. ნანი შენთან დარჩება, მე ყველაფერს ვიყიდი და ხვალ დილით ადრე ჩემიმანქანით სამივენი წავალთ ხონშიო.

ნანიმ უთხრა მირანდას, რომ დღეს დავისვენოთ, თორემ ხონელებმა რომ ესეთი უუნარო გვნახონ სასაცილოდ არ ვეყოფითო.

მირანდა ხმას არ იღებდა, იჯდა სავარძელში და ერთ წერტილს მისჩერებოდა – რითაც ნანი სერიოზულად შეაშფოთა მისმა ამ პოზაში ჯდომამ – ალბათ დეპრესიაშია, სასწრაფოდაა საჭირო მისი მდგომარეობიდან გამოყვანაო – დაასკვნა მან.

როცა ზაზა საყიდლებით სახლში დაბრუნდა, მან ყველაფერი აუხსნა მას, ზაზამ მირანდას გადახედა.

–ნუ გეშინია, ნანი, მირანდა ძლიერია, გადაიტანს მიუხედავად იმისა, რომ დარტყმაც ძალიან ძლიერიაო.

ღამე ყველას მშვიდად ეძინათ. დილით ადრე ადგნენ და თითქოს არაფერი მომხდარიყოს ისე შეუდგა მირანდა საქმის მოგვარებას, მშვიდად აუჩქარებლად ქალაქიდან გავიდნენ.

ნანი გაკვირვებული იყო მირანდას ასეთი უეცარი ცვლილებით, არცერთი სიტყვა არ თქმულა არც შიოს და არც მის მიერ ჩადენილი საქციელის შესახებ.

როცა შუაგზა გაიარეს ზაზამ მანქანა რესტორანთან გააჩერა, მშვიდად და გემრიელად ისადილეს. მირანდა თითქოს გამხიარულდა კიდეც. ხონში სამივენი ნორმალური გუნებაგანწყობით ჩავიდნენ.

მირანდამ სთხოვა მათ, რომ მომხდარის შესახებ არავის არაფერი გაეგო.

ჩასულებს იზამ და ცირამ სთხოვეს, რომ თათას ამბავი ეამბნათ – როგორ გააცილეს და ყველაფერი მის შესახებ.

როცა ზაზამ მათი ცნობისმოყვარეობა მთლიანად დააკმაყოფილა, მერე სთხოვა, რომ მსითვის საქმის ვითარება გაეცნოთ – სანათესაო დიდია და ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა ჩატარდესო.

ცირამ მას შრომა, პატივისცემა და მონდომება არ დაუკარგა

და გულწრფელად უთხრა – რასაც შენ უხელმძღვანელებ იქ ყველაფერი რიგზე იქნებაო.

VII

კვირას დილიდან ყველანი თავ–თავიანთი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი: ნანი მირანდას ერთი წუთითაც მარტო არ ტოვებდა.

ნათესავების შეკითხვაზე თუ შიო სად არის?. რატომ არ ჩამოვიდა? ნანიმ უპასუხა, რომ სასწრაფო მივლინებაში გაგზავნესო. ნანიმ კარგად იცოდა,სად იყო და ამას ვინ დაიჯერებდა – მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რაღაცა ხომ უნდა ეთქვა?!

მალე სასაფლაოზე გასვლის დროც მოვიდა, ყველანი მანქანებით წავიდნენ. სასაფლაო შორს არ იყო. ნათესავების ნაწილი მათ იქ დახვდათ.

მირანდას ფერი არ ედო., თავს შებოჭილად გრძნობდა. ესმა ეცოდებოდა, გული საშინლად ტკიოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს მშობელი დედა მოუკვდა. მან ყველას ამდენი ამაგი დასდო, თვითონ კი ჩემი ხელიდან ჭიქა წყალიც კი ვერ მოსვაო როცა მირანდას ეძინა ესმა საათობით მის გვერდით იჯდა და მისი ცქერით ტკბებოდა. მასზე ლოცულობდა და ღმერთს მისთვის ყოველივე კარგს შესთხოვდა, მან კი სიკვდილის წინ თავისი ხმაც კი ვერ გააგონა, ვერც თავზე ხელი გადაუსვა, ვერც ნუგეშის სიტყვა უთხრა და ვერც მისი სიყვარულით სავსე თვალები დაუხუჭა.

მირანდას ტირილისაგან თვალები დასიებოდა, სახე გაფითრებოდა, იგი იდგა და ესმას მომიღმარე სიკეთით სავსე გამომეტყველებას უცქერდა, რომელიც საფლავის ცივ ქვაზე საოცრად თბილად იყო გადმოტანილი.

მირანდამ მზერა დაძაბა, იგი თვალებს არ უჯერებდა, მასომარი მიუახლოვდა, თბილად მოეხვია, მიუსამძიმრა და ლოყაზე ნაზად ეამბორა, რითაც მის ცრემლებს უფრო მეტისინანული შესძინა.

მირანდა ისე ტიროდა, რომ ნანიმ წვეთები დაალევინა და თავშეკავებისაკენ მოუწოდა, შენ რომ ამდენი იტირო ალბათ სერიოზულად ავად გახდებიო.

მირანდას ძალიან ესიამოვნა ომარის იქ ყოფნა და გაიფიქრა – „მართალია, რომ „მეგობარი ჭირში უნდა გამოსცადოო“. ეს აქ არის და ის კი იმ ქუჩის ქალთან! არც კი მოითმინა, რომ ეს ყველაფერი დამთავრებულიყო და დღეს ჩემს გვერდით ყოფილიყო,

ყველანი მიხვდნენ, რომ მივლინებაში ყოფნა ამ დროს სასაცილო მონაჩმახია – აქაც დამამცირა საქვეყნოდ!

სამგლოვიარო ცერემონიალმა ნორმალურად ჩაიარა. მირანდა ცირა იზა და ნანი ერთი კვირით კიდევ დარჩნენ ხონში, ზაზა კი მეორე დილითვე თბილისში წავიდა,. მათკი დაპირდა, რომ შაბათს ჩამოვა და კვირას ყველას თბილისში თვითონ წაიყვანს.

ომარი სასაფლაოდან პირდაპირ ბათუმში დაბრუნდა, ერთმა კვირამ ყველაფრის მოწესრიგებაში მალე გაიარა, ცირამ სახლ–კარი თავის მამიდაშვილს ჩააბარა და ყველანი თვალცრემლიანები ქალაქისაკენ გამოეშურნენ.

VIII

იზამ და მირანდამ გადაწყვიტეს, რომ ცირა თავიანთ ოჯახში დატოვონ. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ცირას ნაკლებად ეტირა. მირანდა სამსახურში გავიდა თათა ხშირად ურეკავდა მათ, მაგრამ მირანდას შიოს შესახებ არაფერი უთქვამს მისთვის. ეკამ მირანდას დაურეკა და უსაყვედურა რატომ ესმას ამბავი არ გამაგებინე – მაგ დროს მე შენს გვერდით უნდა ვყოფილიყავიო. მირანდამ იგი კვირადღისათვის თავისთან სახლში დაიბარა.

ცირა გრძნობდა, რომ ცოლ–ქმარს შორის რაღაც მოხდა, მაგრამ, ამაზე ლაპარაკის არც დრო იყო და არც განწყობა,. მირანდა კი სიმართლეს არ უმხელდა – სერიოზული არაფერია – მისი მორიგი ოინებიაო ამშვიდებდა მას. იზას კი დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაზეც ძალიან ინანა. იზა ისე ცუდად გახდა, რომ ექიმების დახმარება დასჭირდათ.

იზაზე განსაკუთრებით ცუდად იმან იმოქმედა, რომ მირანდა მერიზე გაცვალა!

მირანდაც ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ რატომ მაინც და მაინც მერი? ქალი გაწყდა ქვეყანაზე?! თუნდაც ათი ცოლი ეთხოვა მხოლოდ არა ის! თანაც როგორ დამამცირა – „ის დედოფალია და ერთხელ დედოფალი, ყოველთვის დედოფალიაო!“

მირანდას შიო ეხლა მერისავით სძულდა და გულსაც იმით იმშვიდებდა რომ უთხრა – როგორც მეფე შენა ხარ არაო?! ასეა თუ ისე უკვე ყველაფერი ითქვა და ყველაფერს წერტილი დაესვა. ამდენი წლის ამაგი წყალში გადაუყარა,. თვითონ კი თავისი შესაფერისი ადგილი დაიმკვიდრა! – ოქროს სინზე იდო და სანამ წუმპეში არ ჩაგორდა ვერ მოისვენა – თავის თავს თითონ დაადო

ფასი!

კვირას მას ეკა ესტუმრა. მირანდა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა.ისაუბრეს ყავაც დალიეს. როცა მან სრულიად დამშვიდებულმა ეკას ყველაფერი უამბო, იგი ყურებს არ უჯერებდა. მერე კი უთხრა, რადგან ეგ ამბავი უკვე გადაიტანე და მიხარია რომ ასე გონივრულად შეხვდი მაგ დარტყას, სჯობია მაგ ამბის დასასრულიც ჩემგან გაიგო და ერთად მოიშორო სატკივარიო.

მირანდა მას მონუსხულივით მიაჩერდა – რა იყო?! კიდევ რამე უნ და მოხდეს ჩემ თავს?!! მითხარი მალე...

–ის იყო, რომ ორივენი მოხალისე ექიმებად ერაყში გაემგზავრნენ! მერი შიოს თურმე შონის ეძახის!

მირანდა ამ ამბავს აუღელვებლად შეხვდა მაგრამ, ძალიან გაოცდა – მართლა?! ე.ი. შიო დიდი ხანია ამ ამბავს გეგმავდა. საბუთებს ხომ შეგროვება უნდოდა. აი თურმე რატომ დარბოდნენ ეგ და ვაჟა სამუშაო საათების დროს ქალაქში – ვაჟას მანქანით. გასაგებია! ღმერთმა ხელი მოუმართოს! შეიძლება ესეც სჯობდეს – ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენებ, მომბეზრდა ვულკანზე ცხოვრება!

სულ მაგის საკეთილდღეოდ ვითმენდი ყველაფერს, მაგრამ არჩევანი თითონ გააკეთა. ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“ სწორედ მაგათზეა ნათქვამი.

მირანდამ საუბრის თემა შეცვალა. ეკა მიხვდა, რომ მას შიოს შესახებ აღარაფრის გაგება აღარ სურს. ცოტა ხანს იზას და ცირას ესაუბრა. მერე ისადილეს და საღამოს გვიან ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

IX

ყველაფერი თავის დინებით მიდიოდა. მალე შემოდგომის ცივმა ქარმაც დაჰბერა.მირანდას გულზე სევდა შემოსწოლოდა. მას საზრუნავი არ ელეოდა – თითონ ამშვიდებდა ცირას და იზას, რომლებიც იგივეთი პასუხობდნენ მას.

ერთ დღეს ცირამ ამდენი ხნის შემდეგ ორივეს მხიარულად უთხრა – თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ სამივენი რა ნიჭიერი მსახიობები ვართ – სამივეს „ოსკარი“ გვეკუთვნისო. ყველანი გულიანად იცინოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

ბოლოს მირანდამ დაასკვნა, რომ ცხოვრება ისედაც მოკლე და უფერულია, ვეცადოთ რომ იგი უფრო არ გავიუარესოთ.რაც იყო,

იყო – ეს ხომ გარდუვალია, მარადიული ამ ქვეყნად არაფერია!

მირანდას მორიგეობის დროს ექთანმა უთხრა, რომ ტელეფონთან მამაკაცი გთხოვთო. მირანდას გული აუძგერდა – ნუთუ შიოა?! – ღმერთმა დამიფაროს!

მას ომარი ურეკავდა. მან იგი მოიკითხა და იგრძნო, რომ მირანდას მისი ხმის გაგონება ესიამოვნა, გამოკითხა ოჯახის ამბები. თითონ კი მირანდას შეკითხვაზე – შენ როგორა ხარ? ისევ მარტო ხარ? უპასუხა, რომ – რა თქმა უნდა, ისევ, „სული ობოლი“ ვარ, თუმცა რაღა დროს ჩემი ობლობაა თმაში უკვე ჭაღარა გამომერიაო.

მირანდამ სიტყვა ბანზე აუგდო, მისიანები მოიკითხა და ხონში წასვლას თუ აპირებთო ჰკითხა.

–უშენოდ არც ხონი ხონობს, და არც ბათუმი ბათუმობსო უპასუხა მან, ისიც უთხრა, რომ იმ კვირაშიც დაგირეკავო.

მირანდა საგონებელში ჩავარდა – ნუთუ რამე გაიგო? რამდენი ხანია ჩემთვის აღარ დაურეკია. სასაფლაოზეც ერთი წუთით მომიახლოვდა, მომისამძიმრა, ვერც კი მოვასწარი მისთვის წესიერად შეხედვა ისე უცბად გაუჩინარდა.

მირანდას მძიმე ავადმყოფები არ ყავდა და შეეძლო ფიქრს გაყოლოდა – საინტერესოა რატომ არ ირთავს ცოლს? მართლა მე ვუყვარვარ და სერიოზულად აპირებს უცოლშვილოდ დაბერებას თუსხვა მიზეზიც არსებობს? – ნეტავი რა ხდება?! სულ იმას მეუბნებოდა, რომ მე შენს მეტს ცოლად არავის შევირთავო, როცა გასათხოვარი ვიყავი შეიძლება დამეჯერებინა მაგრამ როცა გავთხოვდი, შვილიც მეყოლა და ასე ვთქვათ ნორმალური ოჯახიც მქონდა – მაშინ რისი იმედიღა ჰქონდა?რატომ არ შეირთო ცოლი? ეს ამბავი მენორმალურად არ მიმაჩნია! შეიძლება ცოლი არა მაგრამქალი ჰყავს და შესაძლებელია მასთან შვილიც ყავს და ცოლის თხოვას არ ჩქარობს. მაგრამ როდისღა? უკვე ოცდათვრამეტი წლის არის და საინტერესოა რას ელოდება? – ნუთუ მართლა მე?! არა მგონია, აქ საქმე რაღაცაშია!

დავუშვათ, რომ გაიგო ჩვენი ამბავი და სერიოზულად მთხოვოს ცოლად გაყოლა – მაშინ მე რა უნდა ვუთხრა? რა თქმა უნდა ცივი უარი! მაგრამ ლამაზად და ტაქტიანად, როგორც თვითონ ჩვევია ისე! მე მაგას ცოლად არასოდეს გავყვები და აი რატომ – პირველი ის, რომ როცა სკოლა დავამთავრეთ მაშინ მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გავყოლოდი, ისიც თუ სიგიჟემდე მეყვარებო-

და, ერთმანეთის შესაფერისები ვიყავით და მას ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ეს არ მოხდა! მერე შიო შემიყვარდა. და ყველაფერი დამთავრდა, იგი ჩემს უახლოეს სულიერ მეგობრად დარჩა. ეხლა კი საქმე სხვანაირად არის, მე შიოს არასოდეს დავუბრუნდები! ომარის კი ცოლად არ გავყვები –იგი ამისათვის არ მემეტება! იმიტომ რომ იგი ყოველივე სიკეთის ღირსია და თავისი ასაკის ქალი–განათხოვარი, ქმარს გაცილებული სტუდენტი შვილით და დაწყვეტილი ნერვებით მაგისათვის საცოლედ ნამდვილად შეუფერებელია – უფრო მეტიც, მას ესეთი არჩევანი შეურაცხყოფს კიდეც. მე ესეთრამეს მტერსაც კი არ ვუსურვებ, მე რომ მისი გრძნობებით ვისარგებლო და მას ქუჩაში არ გამოესვლებოდეს, ამას ნამდვილად არც მე ვიკადრებ და არც მაგას ვაკადრებ!

ეს რისი თქმაც შეიძლება მისთვის და მხოლოდ ჩემს პრინციპებიდან გამომდინარეობს ის რომ

–მე იმ კაცს რომელსაც – რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო ცოლად არ გავყვები, მის ხასად ყოფნას ღმერთიც კი ვერ მაიძულებს!! აი სიმართლე და თანაც მწარე სიმართლე!!

ისე რომ თუ ჩამოსვლას გადაწყვეტს და ჩემთან სერიოზულად დალაპარაკებას მოინდომებს ამ საკითხზე მე პასუხი უკვე გადაწყვეტილი მაქვს!

X

მირანდა თითქოს ახალ ცხოვრებას მოერგო. თითქოს რაღაც ზეწოლისაგან განთავისუფლდა, უფრო თავდაჯერებული და ენერგიული გახდა.

ცირას და იზას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. და როცა მარტო რჩებოდნენ ამ საკითხის გარჩევით იყვნენ ხოლმე დაკავებული.

ერთხელ იზამ მირანდას სერიოზულად უთხრა მირანდა შენ, ძლიერი, ლამაზი ჭკვიანი და უაღრესად მომთმენი ქალი ხარ, ხომ ნახე რომ შენი სიკეთე და ამაგი ამაო გამოდგა, შიო შენს წინაშე ძალიან დამნაშავეა. შენ ყველაფერი იღონე იმისათვის, რომ იგი ნორმალურ ფორმაში ყოფილიყო და ღირსეულად გაეტარებინა თავისი ცხოვრება, დამტკბარიყო ყველაფერ იმით, რაც ბედმა და ჩვენმა მცდელობამ არგუნა, მაგრამ ხომ ნახე ეს სიკეთე როგორ შემოგიბრუნდა?!

მე შიოს მეტი შვილი არა მყავს, ეხლა და ყოველთვის შენ იყავი

ჩემი მეორე შვილი. გთხოვ მომისმინო და დამიჯერო – მე შიოსათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ მაგრამ შენ იმის ღირსი არ იყავი როგორც იგი შენ მოგექცა. მეგირჩევ, რომ სანამახალგაზრდა ხარ მოიწყვე შენი ცხოვრება, შენი მარტო დარჩენა დიდი შეცდომა იქნება შენს მხრიდან აბა დაფიქრდი – თათა დაამთავრებს და შეიძლება აქეთ აღარც ჩამოვიდეს ისე გათხოვდეს საზღვარგარეთ. შენ მას ძალიან უყვარხარ და ყოველთვის გაგიგებს. მე და ცირა როგორც ყოველთვის შენს ბედნიერებაზე ვილოცებთ. შენი ტოლები ჯერ კიდევ ბევრნი, გაუთხოვრები არიან – თუნდაც ეკას შეხედა – რა მშვენიერი გოგოა, მერე დარა ოჯახი აქვს. ნუ დაიჩაგრავ თავს, დაჩაგრულები და დაბეჩავებულები არავის უყვარს, საკუთარ ქმარშვილსაც კი!

მე ჩემი სათქმელი გითხარი, ჩვენ ყოველთვის დედა–შვილი ვიყავით. დამიჯერე და იფიქრე იმაზე რაც გითხარი, ცირა მირანდას შესცქეროდა და თანხმობის ნიშნად იზას თავს უკრავდა.

მირანდაიზას მოეხვია, აკოცადა უთხრა – მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ვეცდები რომ ცხოვრებას ფეხი ავუწყო. ერთი რამე კი ორივემ იცოდეთ რომ ჩვენ ერთმანეთს ვერავინ დაგვაშორებს!

მირანდა სამორიგეოში მარტო იყო. იგი ფიქრებს გაყვა – იზამ და ცირამ მწვანე შუქი ამინთეს, ვნახოთ, ვინ გამოჩნდება ჰორიზონტზე! სხვა რომ არაფერი, იმ „წყვილს“ ხომ არ უნდა ვათქმევინო, რომ არავის ვჭირდები! თანაც ის, რომ შიომ ძალიანაცრომ მოისურვოს ჩემთან დაბრუნება – რაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ – მას უკან დასაბრუნებული გზა უნდა მოვუჭრა. იგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ თვითონ თუ თავისი შესაფერისი დედოფალი იშოვნა, მე როგორმე ჩემს შესაფერის ნორმალურ ადამიანს მაინც მარგუნებს ღმერთი!

მე სულაც არ ვაპირებ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნას, მისი დაკარგვით დეპრესიაში ყოფნას და დარჩენილი წლების უღიმღამოდ გატარებას,

იზას და ცირას, რომ ჩემს მეტი პატრონი ყავდეთ იქნებ თათასთან ამერიკაშიც წავსულიყავი და იქ რომელიმე სანატორისათვის გამომეკრა ხელი?! – ამ ფრაზამ მირანდა ძალიან გაამხიარულა და გულიანადაც გაეცინა, კიდევ კარგი, რომ იქ მის გარდა არავინ იყო.

როცა თათა რეკავდა ის დღესმათთვის ნამდვილად ბედნიერი

დღე იყო. მაგრამ იყო დღეები როცა მირანდა თავს კარგად ვერ გრძნობდა, მას თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა, სახლიდან გასვლა უნდოდა, ენერგიის უცნაურ მოზღვავებას გრძნობდა და რაღაცის ან ვიღაცასთან შეჭიდებას ლამობდა.

ერთხელ ცირას ხუმრობით ისიც კი ჰკითხა – მამაჩემი მთიული ან სიცილიელი ხომ არ იყოო! რითაც იგი ძალიან შეაშფოთა – იფიქრა მირანდა ხომ არ გაგიჟდაო. მის კითხვას თუ რა ემართება? მირანდამ მას თვალებში შეხედა და უთხრა – შურისძიება ცირა! შურისძიება მახრჩობს!

ცირას მისდაუნებურად გაეცინა და მიუგო – ჰოდა, შენც იძიე შური და მასზე უკეთესზე გათხოვდი! მირანდას ეღიმებოდა.

– სათქმელად ადვილია, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება არა მგონია მოვახერხო.

XI

როგორც იქნა ეკა და ვაჟა შერიგდნენ და ქორწილის დღეც დაასახელეს.

მიუხედავად ეკას თხოვნისა მირანდამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ქორწილში არ წავა.

ეკამ იცოდა ამის მიზეზი და ის აღარ შეუწუხებია – მხოლოდ სადილად ოჯახში მიიწვია.

სახლში ეკას მშობლებმა, ბესიკი, ვაჟა და ბესიკის მეუღლე თავის ქალ–ვაჟით იყვნენ.

მათმა მირანდა ჩვეული სიხარულით მიიღეს, ყველას ძალიან გაუხარდა მისი ნახვა.

ბესიკმა მას თავისი მეუღლე და ბავშვები გააცნო – გოგონა უკვე შვიდი წლისაა, ვაჟი კი ხუთის. მირანდას შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა. მას თათას ამბავი გამოკითხეს და ყველანი ნასიამოვნები იყვნენ მისი წარმატებით.

ბესიკი მირანდას თვალს ვერ აშორებდა, რაც მის მეუღლეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. სადილობის დროს მან ბესიკს ხმადაბლა უთხრა – მე ხომ მაგის ქმარს არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი სრულ ჭკუაზე ნამდვილად არ არის! ესეთი ქალი როგორ მიატოვა და ისიც ვისთვის?! ბესიკმა მას გულახდილად უთხრა, რომ – მე მირანდა ყოველთვის მომწონდა და შეყვარებულიც ვიყავი მასზე. ვიცოდი, რომ ის ამის ღირსი არ იყო, მაგრამ მან უპირატესობა მას მიანიჭა და ხომ ხედავ – ეხლა

მოგებული შენა ხარო! ორივენი იცინოდნენ.

ეკას მშობლებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი იცოდნენ მომხდარის შესახებ.

დამშვიდობებისას მათმა მირანდას თხოვეს რომ როცა დრო და სურვილი გექნებათ გვესტუმრეთ. იზას და ცირას ჩვენგან მოკითხვა გადაეციო.

სამსახურში კი – შიოს და მერის ერთად გამგზავრების შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა, ყველას აინტერესებდა როგორი გეგმები ჰქონდა მირანდას თავისი პირადი ცხოვრების უახლოეს პერიოდზე.

XII

იზას რძალი ნანი, მირანდას ხშირად იწვევდა თავის ოჯახში. ახლა კი მათი უფროსი ქალიშვილი ბავშვს ელოდებოდა და თვითონაც თავისი ოჯახის ამბებით დატვირთული, მირანდასთან საუბარში შვებას ეძებდა. მასზე უკეთ არავინ იცოდა მირანდას პირადი ცხოვრების დეტალები. იგი მას საკუთარ დასავით უთანაგრძნობდა და ამხნევებდა.

თავისუფალ დროს ორივენი ერთად შეუდგნენ მომავალი შვილიშვილისათვის საყიდლების შერჩევას და შეძენას.

მირანდა ნატრობდა, რომ ისიც მოსწრებოდა ასეთ ბედნიერებას. შეიძლება ამას მაინც გაექარწყლებინა ეს გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა, როგორც ამბობენ – „ადამიანი იმედით ცოცხლობსო“ და ეს სრული ჭეშმარიტებაა!

მირანდა გრძნობდა, რომ ვისაც როგორც შეეძლო ისე ცდილობდნენ მის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას, იგი გარეგნულად არ იყო დათრგუნული, არ იწვევდა სიბრალულის შეგრძნებას, მაგრამ როცა იგი მარტო რჩებოდა, თავისი თავი თვითონ ეცოდებოდა. თავს ძალიან შეურაცხყოფილად და დაბეჩავებულად გრძნობდა, ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ ამ მდგომარეობიდან ოდესმ თავს დააღწევდა, მაგრამ მისი ამჯერად უახლოესი „სამეული“ – იზა, ცირა და ნანი – ყველა ღონეს ხმარობდნენ მის „გადასარჩენად“. ზაზაც არანაკლებ ზრუნავდა მათი იდეების განსახორციელებლად.

ნანიმ შვილიშვილის დაბადების აღსანიშნავად წვეულება გამართა. მართალია ძალიან დიდი სუფრა არ იყო, მაგრამ იყვნენ ძალიან ახლო ნათესავები და ზაზას მიერ მოწვეული თავისი ორი

მეგობარი.

ყველანი გულწრფელად ლოცავდნენ ახალშობილს – მომავალ ვაჟკაცს და როგორც ქართულ სუფრას ჩვევია ყველანი მხიარულობდნენ. მირანდა იზას და ცირას გვერდით იჯდა, კარგ ხასიათზე იყო, ხშირად მათ კითხვებზე ეშმაკურად ეღიმებოდა, მათ მხიარულად პასუხობდა და გუნებაში ფიქრობდა – არ არსებობს, რომ ამათმა დღეს მე ან ვინმექვრივი ან ცოლს გაცილებული პიროვნება არ მომისვან გვერდითო.

როცა ნანიმ მას ძალიან სიმპათიური და ახალგაზრდა ზაზას მეგობარი ბიზნესმენი გააცნო და მას თხოვა – მირანდა არ მომიწყინოო – მირანდას ისეთი სახე ჰქონდა თითქოს მოწყენილი კი არა ამ წვეულებაზე მოწვეულთა შორის – ყველაზე ბედნიერი ის იყო! მან ნანის გადახედა და გაიფიქრა – მე ნამდვილი წინასწარმეტყველი ვარ! მაგრამ, ბედნიერი ვარ, რომ ამდენ საქმესთან და საფიქრალთან ერთად ჩემზეც ზრუნავენო.

მირანდას ახალ ნაცნობს თემო ჰქვია. მას თავი ჩინებულად ეჭირა და ეტყობოდა, რომ მირანდა ნამდვილად მოეწონა.

საუბრისას გაირკვა, რომ თემის მეუღლე არა ყავს და არც არასდროს ჰყოლია. მირანდას რატომღაც უკმარისობის გრძნობა დაეუფლა. მას ესიამოვნა, რომ ზაზამ და ნანიმ მასზე იზრუნეს, მაგრამ იქვე დაასკვნა, რომ ის მისი შესაფერისი სულაც არ არის! იგი თითქმის მისივე ასაკისაა და ცოლშვილი არასდროს ყოლია! შეიძლება მან ზაზასდა ნანის ხათრით იტვირთა მირანდას ამ საღამოს კავალრობა, ეს სასიამოვნოა, მაგრამ თუ ამ ამბავს სერიოზული აღიარება მოყვება, მაშინ იგი იძულებული იქნება,რომ პირველივე მცდელობისთანავე წერტილი დაუსვას ამ წამოწყებას.

წვეულება გვიან ღამემდე გაგრძელდა. ყველანი კმაყოფილები და სასიამოვნოდ დაღლილები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ნანიმ მირანდას გამომშვიდობებისას ჰკითხა – როგორ მოგეწონა კავალერიო? – მირანდამ მას ღიმილითვე უპასუხა, – დიდებული ვინმეა. მადლობა ჩემზე ზრუნვისათვის, ნამდვილად კარგი საღამო იყოო.

იზა, ცირა და მირანდა ზაზამ სახლში თავისი მანქანით წაიყვანა, თემოს არც კი უცდია მათი გამოცილება. ყველანი ძალიან კმაყოფილები იყვნენ.

XIII

დღე დღეს მისდევდა, მას ღამა ცვლიდა, ღამეს ისევ დღე და ყველანი ერთად კი –ზოგს ემატებოდა ზოგს კი აკლდებოდა – ასეთია წუთისოფელი!

ერთ დღეს როცა მირანდა სამსახურიდან სახლში დაღლილი მიდიოდა, მის გვერდით მანქანა შეჩერდა, მირანდას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მანქანიდან თემო გადმოვიდა და მას მიესალმა.

მირანდას მისდაუნებურად გაეღიმა და იგრძნო, რომ ამ ამბავმა მასზე დადებითად იმოქმედა.

მოკითხვის შემდეგ თემომ მას სახლში მანქანით მიცილება შესთავაზა, მირანდა მას სიამოვნებით დაეთანხმა, გზად ჩვეულებრივად უმნიშვნელო საუბრის შემდეგ თემომ მას ჰკითხა – თუ ისურვებს, რომ ხვალაც გააცილოს იგი სახლამდე? მირანდამ მას მადლობა მოუხადა და უთხრა, რომ არ თვლის საჭიროდ მის შეწუხებას, თუ კიდევ სადმე შეხვდება შემთხვევით, მაშინ რა თქმა უნდა, იმათ ოჯახის მეგობარს და ასეთ ჯენტლმენს – უარს არ აკადრებს!

თემომ გულღიად აღიარა, რომ ეს სულაც არ არის შემთხვევითი შეხვედრა, რომ იგი მას ძალიან მოსწონს და სწორედ ამდენი ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყვიტა, რომ დაუახლოვდეს მას. ერთმანეთი უკეთ გაიცნონ და სხვა თუ არაფერი კეთილ მეგობრებად შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს.

მირანდამ ზედმეტად მიიჩნია ამ წინადადების სერიოზულად მიღება და უპასუხა, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ კეთილი და მეგობრული ურთიერთობის, მაგრამ ძალიან მეწყინება თუ ამად არ დავრჩებით და თქვენზე აზრი შემეცვლებაო.

თემო მიხვდა მის ჩანაფიქრს და უთხრა – ღმერთმა დამიფაროს, რომ რაიმე ისეთი მოვიმოქმედო რაც თქვენ არ გესიამოვნებათო.

უკვე სახლს მიუახლოვდნენ. მირანდამ მას მადლობა მოუხადა მოცილებისათვის და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

სახლში მისულ მირანდას იზასათვის არაფერი უთქვამს, ცირას კი ყველაფერი მოუყვა, თან დაამატა, რომ ნანის და ზაზას ხათრით თავი რომ შეურაცხყოფილად არ იგრძნონ და უმადურობად არ ჩამომართვან, იმიტომ დავეთანხმე მანქანით მოცილებაზეო.

ცირამ მას უთხრა – შენი ჭკუის დარიგებას არ ვაპირებ, შენ პატარა გოგო აღარა ხარ და თითონ მიხედე შენს საქმეს, როგორც

გული გიკარნახებს და გონება გირჩევს ისე მოიქეცი. ჯერ ახალგაზრდა ხარ და თავს ნუ დაიჩაგრავ, ამიერიდან ცოტა შენს პირად ცხოვრებაზეც იფიქრეო.

მირანდა ბევრი ფიქრით თავს არ იწუხებდა, – მართალია მე მისი შესაფერისი არა ვარ, მაგრამ, ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახოთ რას გვიმზადებს ბედისწერა? მე კი მგონია, რომ კარგს არაფერს !

არც ის მინდა, რომ „მგლის შიშით ტყეში ვერ შევიდე“!

რაც დრო გადიოდა, მირანდა მით უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ თემომ ტყუილად არ მოუხშირა მის სახლში გამოცილებას. იგი ძალიან მოკრძალებულად და მთელი სერიოზულობით აგრძნობინებდა მას, რომ იგი სულაც არ აპირებს მასთან გამცილებლის სახით შეხვედრების გაგრძელებას! მან სერიოზულად განუცხადა, რომ იგი მას ძალიან მოსწონს და თუ თანახმა იქნება, შეიძლება, რომ წლის ბოლომდე მის დეიდას ოფიციადურად სთხოვოს მისი ხელი!

მირანდას შეკითხვაზე – თუ რატომ არის ამდენი ხანი უცოლშვილოდ მან უპასუხა, რომ ვინც მე მიყვარდა ის გათხოვდა და საზღვარგარეთ გაყვა ქმარს. იმათ ვისაც მე ვუყვარდი, ისინი მე არ მომწონდა და არც მიყვარდა – და აი, დღემდე ესე ველოდები ჩემს გულის რჩეულს – რომელიც მე მგონია რომ უკვე ვიპოვნე.

მირანდა დარწმუნებული იყო, რომ თუ თემომ მის შესახებ დეტალურად არა – მთავარი მაინც იცოდა – იგი თავს უხერხულად გრძნობდა,მაგრამ ისიც იცოდა, რომ თემო საკმაოდ დადებითი პიროვნებაა და ასეთ სერიოზულ საკითხს სათანადოდვე მიიჩნევს. მართალია მირანდა დათრგუნული იყო, მაგრამ თემოს წინადადებაში უარყოფითს ვერაფერს ხედავდა. იგი ფიქრობდა, რომ ჩემო თავისუფალი ადამიანია და მის ასაკში დაუფიქრებელ ნაბიჯებს იშვიათად დგამენ – სხვა ამბავია ვის როგორ გაუმართლებს.

თუ მე სერიოზულად მოვწონვარ და იცის, რომ ქმარს გავშორდი, რომ შვილი საზღვარგარეთ სწავლობს, ე.ი. მე მთვლის თავისუფალ ქალაქ და გადაწყვიტა თავისი ბედის ჩემთან დაკავშირება! ძალიან კარგი! მაგრამ მე როგორ მოვიქცე? როგორ გავყვე ცოლად მამაკაცს რომელიც მომწონს და მაწყობს მაგრამ, არ მიყვარს!

არადა სანამ ის ვაჟბატონი აზრზე მოვა მე მას უკან დასაბრუ-

ნებელი გზა უნდა მოვუჭრა! „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“!

ნეტავი მისი სახე მანახა მაშინ როცა ჩამოვა და გაიგებს, რომ მე გავთხოვდი! და გავთხოვდი მასზე უფრო სიმპათიურ და ბევრად უკეთესზე!

მართალია ძალიან სახალისო მომენტი იქნება მაგრამ, მერე როგორ გავაგრძელო ცხოვრება?! ისიც იმასთან ვინც ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში ხელი გამომიწოდა. მე კი მას იმ სითბოს და სიყვარულს ვერ ვაჩუქებ რასაც იგი იმსახურებს.

მან ხომ ამდენი წელი – თბილი, მყუდრო და მოსიყვარულე ოჯახის მოლოდინში გაატარა?!

მართალია მე „რევანშისტი“ ვარ, მაგრამ უსვინდისო და ეგოისტი არასოდეს ვყოფილვარ!

გადაწყვეტილია: მე ვზიდავ ჩემს მძიმე ჯვარს მარტო, მაგრამ მაგათზე გულის მოსაოხებლად – უდანაშაულო და კეთილშობილ ადამიანს ვერ გავწირავ!!

მეორე დღეს მის გასაცილებლად მოსულ თემოს გულახდილად აუხსნა ყველაფერი და სთხოვა, რომ ნუღარ გააგრძელებს მასთან შეხვედრებს. ეს მას კარგს არაფერს მოუტანს და არც ის სურს, რომ მასზე ხალხმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან.

ამ აღიარებამ მირანდა თემოს თვალში უფრო აამაღლა და გადაწყვიტა, რომ რათაც არ უნდა დაუჯდეს მოინადიროს მისი გული. ეს სწორედ ის ქალია, რომელსაც მე მთელი ჩემი ცხოვრება ვეძებდიო. მართალია თემო ყოველდღე აღარ მოდიოდა სამსახურიდან მის წამოსაყვანად, მაგრამ ტელეფონით ხშირად ესაუბრებოდა და როცა მირანდა კარგ გუნებაზე იყო, იგი სახლში მიცილებაზეც თანმხდებოდა.

თემო იმედს იტოვებდა, რომ მირანდა მიეჩვევა მის გვერდით ყოფნას და შეიძლება დაითანხმოს კიდეც ცოლად გაყოლაზე.

XV

მირანდას მორიგეობის დღეს ომარიმ დაურეკა. მოკითხვის შემდეგ უთხრა, რომ ორი დღით თბილისშია მივლინებით ჩამოსული და ძალიან უნდა მისი ნახვა. მირანდამ უთხრა, რომ ხვალ სამ საათზე ცირას სახლდან დამელოდე, იქ მოვალ და რამდენიც გინდა იმდენი ვილაპარაკოთო. გუნებაში კი გაიფიქრა:

–ამასაც დავაყენებ თავის გზაზე, ვეტყვი, რომ ვთხოვდები, დროა თავიდან ამოიგდოს თავისი სულელური აზრები და და-

ოჯახდეს.

ეტყობა ყველაფერი გაიგო და ცას ეწია სიხარულით! არა! – ეგ ნამდვილად არ არის მსხვერპლად შესაწირი კრავი! – მაგას საამისოდ ვერ გავიმეტებ!!

როცა იგი მორიგეობიდან სახლში დაბრუნდა და ცირას ყველაფერი უამბო და სახლის გასაღები გამოართვა – ქუჩაში ხომ არ დავუწყებ ლაპარაკს, ყველას დასანახად? დავჯდებით და ადამიანურად დავილაპარაკებთ. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამ ამბავს!

ცირამ მას უსიტყვოდ გაუწოდა გასაღები და უთხრა, რომ იზას ჯერ არაფერი უთხრას მის შესახებ.

მირანდამ საუზმის შემდეგ იზას თხოვა, რომ ორ საათზე გამაღვიძეთ – მძიმე ავადმყოფი მყავს და საავადმყოფოში უნდა მივაკითხოო.

ცირას სახლთან მას ომარი ელოდებოდა. მირანდამ მას ხელი გაუწოდა და სიცილით უთხრა – ახალგაზრდობაში არ გვივლია პაემანზე და ეხლა ხომ ხედავ რამდენჯერ შევხვდით ერთმანეთსო.

ომარი მას მოეხვია, ლოყაზე ნაზად ეამბორა და უთხრა – როცა მე შენ გხედავ – „ისევ ის ბიჭი ვარ ხუჭუჭა პატარა“ – როგორც ამას სიმღერაში მღერიანო.

მირანდამ მას ანიშნა წავედითო და მალე სადარბაზოში შევიდნენ. ომარი მიხვდა სად მიყავდა მას იგი. როცა კიბეები აიარეს და სახლში შევიდნენ ომარი გაკვირვებული დარჩა და იკითხა ცირას სად არისო?

მირანდამ თავი ვეღარ შეიკავა ბავშვივით გულიანად გაიცინა და უთხრა – დამშვიდდი! შენ აქ არავინ გაწყენინებს – საიმედო ხელში ხარო!

ომარიმ თავი არაჩვეულებრივად იგრძნო და სიცილითვე უპასუხა – ნეტავი იმ დროს მოვესწრო, რომ შენ მე მაწყენინოო!

მირანდამ მის ხუმრობას აღარ უპასუხა და სერიოზულად უთხრა – ეხლა ეგ ქურთუკი გაიხადე, მოშინაურდი, დაჯექი და დამშვიდდი. მე ეხლავე ყავას მოვადუღებ და ყურადღებით მოგისმენო.

ომარი სავარძელში ჩაჯდა და მოუთმენლად ელოდა მირანდას დაბრუნებას. მანამდე კი მოასწრო იქაურობის შეთვალიერება.

მას უცბათ მარსია გაახსენდა და ოთახში ყავის ფინჯნებიან სი-

ნით შემოსულ მირანდას ჰკითხა – მარსია სად არის? მირანდამ ლანგარი მაგიდაზე დადო და უპასუხა, რომ იგი მისი განუყრელი მეგობარია, ძალიან საყვარელი და ალერსიანია, იგი ჩვენ სახლშია და ძაღლი კი არა ჩვენი ოჯახის წევრიაო!

ომარის ამის გაგონება ძალიან ესიამოვნა და მირანდას გულდაწყვეტილმა უთხრა – სწორედ მე უნდა ვინატრო, რომ მისი ბედი მომცა! მარსიასი ნამდვილად მშურს! მე მაგის ღირსიც ვერ გავხდიო.

მირანდამ მას ყავიანი ფინჯანი დაუდგა, ნამცხვარიც გადაუღო და უთხრა – ყავა მიირთვი გაგიცივდება, დრო ბევრი გვაქვს, ყველას და ყველაფრის გახსენებას მოვასწრებთო. ყავა დალიეს.

მირანდამ ლანგარი სამზარეულოში გაიტანა და დაბრუნებული დივანზე ჩამოჯდა.

ომარიც თითქოს ამას ელოდა, მის გვერდით გადაჯდა. იგი მირანდას ისე შესცქეროდა თითქოს უნდოდა გაეგო რა შეიცვალა მისი ცხოვრების უახლოეს პერიოდში – ნუთუ არაფერი?!

მირანდამ უხერხულობა იგრძნო – არ იცოდა მას დაეწყო ლაპარაკი თუ ომარისათვის მიეცა – მისი ვიზიტის მიზეზის ახსნის საშუალება?

ომარიც ლაპარაკის დაწყებას აყოვნებდა – ვაი თუ ჩემს მიერ ნათქვამმა რომელიმე სიტყვამ უარყოფითად იმოქმედოს და საქმე საბოლოოდ გავაფუჭოო. ჯერ მან დაიწყოს საუბარი და მე მივხვდები რა მიმართულებით წარვმართო საუბარიო.

XVII

მირანდა სამსახურის შემდეგ სახლში დაბრუნდა. სამივემ ერთად ისადილეს. იზას შეკითხვაზე – თუ როგორი მორიგეობა ჰქონდა და როგორ გრძნობს თავს მისი მძიმე ავადმყოფები? მირანდამ უპასუხა, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ მას და ექთანს მთელი ღამე ეძინათ.

ცირა მიხვდა რაც ხდებოდა და ჰკითხა – ე. ი. ახლა არ დაიძინებო?

– არა ცირა, ეკას დავპირდი რომ მაღაზიაში წავყვები, საღამოს ალბათ აქ ერთად მოვალთ, თუ ძალიან არ დავიღალეთ, თან ნაყიდებსაც გაჩვენებთო. ცოტა ხანს ისაუბრეს და მირანდა სახლიდან გავიდა.

როცა იგი ცირას სახლში მივიდა კარზე დარეკა თან – მე ვარო

უთხრა და კარები უმალვე გაიღო.

მირანდა სახლში შევიდა, ომარის მიესალმა, აკოცა და როცა ოთახში შევიდა აღფრთოვანებულმა წამოიძახა – აი მესმის რა იდიალურად წესრიგია! აბა სამზარეულოშიშევიხედო – ო! რა სურნელია?!!!

– შენ საზღვაო აკადემიაში სწავლობდი თუ კულინარულ ტექნიკუმში? შენ კაპიტანი ხარ თუ კოკი?!!! – მოდი გაკოცო – ჯილდო გეკუთვნის. რა მოგდის? ვიცი რომ რაღაცის თქმა გინდოდა და გთხოვთ არ მოგერიდოს, ჩვენ უცხონი ხომ არა ვართ ერთმანეთისათვის, რომ ყოველი სიტყვის აწონ–დაწონა დაგვჭირდეს? მომიყევი ყველაფერი რაც შენ გსურს, მე სიამოვნებით მოგისმენ!

ომარიმ მას გაუღიმა და უთხრა – არ ვიცი საიდან დავიწყო? მე რისი თქმაც მინდა იმას უკვე ოცი წელია გეუბნები და კიდევ გიმეორებ, რომ მე შენზე – თუ შეიძლება ესე ვთქვათ – ავადმყოფურად ვარ შეყვარებული. ვერავინ და ვერაფერმა ვერ შეძლეს ჩემს არსებაში ამ გრძნობის ოდნავ მაინც შესუსტება. მე შენგან არაფერს ვითხოვ იმის მეტს, რომ ჩემს ტელეფონის ზარს უპასუხო და მე დავრწმუნდე, რომ შენ კარგად ხარ!

ეხლა როცა მდგომარეობა შეიცვალა კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენო, რომ მე შენს გვერდით ვარ! და შენ შეგიძლია გამაბედნიერო. ამდენი წლის ოცნება ამიხდინო – ბოლო მოუღო ჩემს ტანჯვას და ცოლად გამომყვე!

მირანდა იცინოდა და უნდოდა გაეხსენებინა ის სიტყვები რაც მას ჰქონდა გაზეპირებული – მისთვის ამ აღიარების შემდეგ სათქმელად. მაგრამ, მას სულ დაავიწყდა რის თქმასაც აპირებდა.

ომარის მისი ერთი ხელი თავის ხელში ეჭირა, რომელსაც მეორეთი ნაზად ეალერსებოდა.

მართალია მირანდას მისთვის სათქმელი სიტყვები დაავიწყდა, მაგრამ გაახსენდა, რომ მას ერთ დროს ძალიან ცივი ხელები ჰქონდა და თითებიც უთრთოდა. ახლა კი მისი ხელები თბილი, სათუთი და ძალიან მგრძნობიარეა. იგი მას ანდამატივით იზიდავს, მაში უცნაურ ენერგიას და ვნებას აღვიძებს და არავითარი სურვილი არა აქვს, რომ ეს შეგრძნება გააქროს, პირიქით მან ომარის თვალებში შეხედა და ჩურჩულით უთხრა – წინათ ცივი ხელები მქონდა, ეხლა კი პირიქით მათში გრძნობაც კი ჭარბობს, რა ხდება?!

ომარის ხმა აღარ ამოუღია. მან მშვიდად, ძალიან ნაზად და

ძალდაუტანებლად მირანდა თავისკენ მიიზიდა და ლოყაზე ნაზად აკოცა. მირანდა მას არ შეწინააღმდეგებია. ომარის არ უცდია, რომ მის ბაგეს დაწაფებოდა. იგი მისი ლამაზი ყელის „დაპყრობას“ შეეცადა და ცდამ გაამართლა. მირანდამ თვალებდახუჭულმა თითონ მიაგნო მის თბილ და საოცრად მგრძნობიარე ტუჩებს – ისინი ერთ მთლიანობად გადაიქცნენ.

როცა მირანდა გონს მოეგო, ომარის თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და მშვიდად ოდნავ მისგან მოშორებით გადაჯდა.

ომარი მას დააკვირდა და დამნაშავესავით უთხრა:

– თუ რაიმე გაწყენინე მაპატიე! მირანდა იცინოდა.

– არა შენ არ მაწყენინე, მაგრამ ვინც მაწყენინა, მგონი იმათაც ვაპატიო!

ომარიმ მის ნათქვამიდან ვერაფერი გაიგო. მას ამ ქვეყანაზე არავინ და არაფერი აღარ აინტერესებდა.

ამდენი წლის ოცნება აუსრულდა – მირანდა მის გვერდით არის და მან იგი მიიღო. მისი ჭკუიდან გადამყვანი კოცნის ღირსი გახდა.

ომარიმ მას წელზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და ერთმანეთს თავდავიწყებით კოცნიდნენ.

ომარიმ მას მოკრძალებულად ჰკითხა – მირანდა არ გეცოდები? კიდევ ბავშვებიხომ არა ვართ, მოუღე ბოლო ჩემს ამდენ წლიან ტანჯვას, ღმერთი არა გწამს?!! ცოლად გამომყვები?

ცოლად გამომყვები?

მირანდა ამ სიტყვებმა თითქოს ღრმა ძილიდან გამოიაფხიზლა. მან გონება დაძაბა და თავდაჯერებულად უპასუხა

– რატომაც არა?!!

ომარიმ იგი პატარა ბავშვივით ხელში აიყვანა და საძინებელიში შეიყვანა.

მირანდამ მას გაუღიმა და კარები გასაღებით ჩაკეტა.

XII

როცა გაიღვიძეს, ორივენი ბედნიერად იღიმებოდნენ, კიდევ ერთხელ გაიხსნეს ის, რაც ღამით მოხდა და ომარის შეკითხვაზე – თუ რა გაიცინებსო? მირანდამ უპასუხა – ნუ მაქცევ ყურადღებას ეს სიცილი მიმავალს ეკუთვნისო. ომარი მას გაკვირვებული უყურებდა.

– არა საყვარელო არ გავგიჟებულვარ, ერთი მომენტი წარმო-

ვიდგინე და ძალიან გავიხარე. თურმე როგორც ყველაფერს – „რევანშსაც“ – თავისებური გემო ჰქონია!

მირანდა კიდევ რაღაცეებს ამბობდა და ხმამაღლა იცინოდა.

ომარი მის სიცილს ყურადღებას აღარ აქცევდა. მას იგი მაგრად ჩაეკრა გულში და ცდილობდა წლების მანძილზე დაკარგული ნეტარების გამალებით აღდგენას.

მირანდა საწოლიდან წამოდგა. მას სიყვარულით შეხედა და უთხრა – შენ შეგიძლია საწოლში ინებივრო. როცა გამოიძინებ ისაუზმო და საღამომდე მოთმინებით დამელოდო. მე კი შხაპს მივიღებ და სამსახურში წავალ. დავბრუნდები ხუთ საათზე – ვნახავ როგორ ფორმაში დამხვდები და დასკვნასაც მეორე გავაკეთებო!

ამ სიტყვებმა ომარი საგონებელში ჩააგდო – როგორ?! – ხომ დამთანხმდა ცოლად გამოყოლაზე. რაღა დასკვნა უნდა გააკეთოს? ნუთუ იხუმრა?

არა – ამას ნამდვილად ვერ გადავიტან! აქამდე მის სულიერ ტყვეობაში ვიმყოფებოდი, ეხლა კი მან მთლიანად დაიპყრო ჩემი არსება!

რომ მითხრას ცოლად არ გამოგყვებიო – მაშინ?! მაშინ ალბათ მართლა გავგიჟდები ან თავს მოვიკლავ!

ისადილეს – მირანდა კარგ ხასიათზე იყო, მან ომარის უსაყვედურა – ასე რატომ შეიწუხე თავი კაფეშიწავიდოდითო.

სადილის შემდეგ მას ომარიმ სთხოვა, რომ – დავსხდეთ და სერიოზულად დავილაპარაკოთ ჩვენს მომავალზე. შენ შენი აზრი მითხარი, მე კი მოგისმენ და ჩემსასაც მოგახსენებთ.

– მე კი მგონია, რომ პირიქით უნდა მოხდეს – ჯერ შენ უნდა თქვა და მერე მე უნდა გიპასუხოო.

– კეთილი! მირანდა პატივი დამდე და მიპასუხე – სად და როდის დავიწერთ ჯვარს?! და ყველაფერი ის რაც შენს ინტერესს წარმოადგენს.

მირანდა მას ისე შესცქეროდა, თითქოს იგი მისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა. მას მის არცერთ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ის რაც მისთვის სათქმელად ქონდა გაზეპირებული – იგი დღეს ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო. მან მშვიდად უპასუხა:

– როგორც შენ მოისურვებ და როცა მოისურვებ:

– იქ და მაშინო! ომარი ყურებს არ უჯერებდა.

– კეთილი – ხვალ წავალთ მერიაში – ხელს მოვაწერთ კვირას კი ამ ამბავს რესტორანში ავღნიშნავთ. შენ ვინც გსურს ისინი

დაპატიჟე. მე თბილისში შენს მეტი არავინ მყავს და არც დროს გაყვანის არავითარი სურვილი არა მაქვს.

მეყო! – ოცი წელი ვიცდიდი! ძალიან გაგვიმართლა, რომ ახალი დადგენილების თანახმად ერთ დღეში შეიძლება ქორწინების გაფორმება.

– მერე სად ვიცხოვრებთ, ან შენ სამსახურს სად იშოვნი? მე ხომ ცირას და იზას ვერ მივატოვებ?!

– შენ ერთი თვით აიღე შვებულება – ეგენი ერთმანეთს მიხედავენ. წავიდეთ საქორწილო მოგზაურობაში, სადაც შენ გსურს და რომ დავბრუნდებით ბინის საკითხსაც მოვაგვარებ – რას იტყვი?

– კეთილი, მაგ ყველაფერს ეშველება, მაგრამ რას ეტყვი დედაშენს? ან სხვებს!

– რაც შეეხება დედაჩემს – მას თავისი ოცნება აუსრულდება – მისი შვილი ცოლს შეირთავს! დანარჩენი ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტია! მე არავისთან ანგარიში არა მაქვს ჩასაბარებელი! ყველაფერს მოვაწყობთ ისე როგორც შენ ცნობ საჭიროდ.

– მაშინ ეს ამბავი მხოლოდ სამ ადამიანს ეცოდინება: ჩემს მეგობარს ეკას, მის საქმროს და რა თქმა უნდა ცირას.

– კეთილი, დანარჩენზე საღამოს ვილაპარაკებთ!

VIII

ცირა ძალიან ნერვიულობდა, მირანდა ებრალებოდა. იზას შეკითხვაზე თუ რა ხდება? – როგორ არის ამ ბოლო დროს სიტყვაძვირი და დათრგუნული, რატომ მოუხშირა გულის შეტევებმა და მაღალმა წნევამ?

ცირამ იგი ანუგეშა და უთხრა, რომ ღელავს – მირანდამ გადაწყვიტა სასწრაფოდ გათხოვება და მეშინია, რომ უარეს უბედურებას არ გადაეყაროსო. მან იზას სთხოვა, რომ ეს ამბავი საიდუმლოდშეენახა.

იზაც ძალიან განიცდიდა მირანდას მდგომარეობას. იგი ორმაგად იტანჯებოდა, სინდისი ქეჯნიდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა. მას ვერ ააცილა ისგანსაცდელი, რაც მისმა სანაქებო შვილმა ჩაიდინა! ცირას უთხრა – გიორგი ცოცხალი რომ ყოფილიყო და ამ ამბავს მოსწრებოდა – ნამდვილად ვერ გადაიტანდაო. ცირა ერიდებოდა მასთან შიოს შესახებ საუბარს, იცოდა, რომ იგი მათზე არანაკლებ განიცდიდა. მომხდარის შესახებ – თუ უფრო მეტად არა! მირანდაც არასდროს ახსენებდა შიოს მის თანდასწრე-

ბით და არც მომხდარის შესახებ უთქვამს მისთვის საყვედური. იზა მას თვალს ვერ უსწორებდა. მომხდარის შესახებ მან ცირასგან გაიგო.

მირანდა გრძნობდა ამას და თვითონ ესაუბრებოდა მას ხშირად – სრულიად განყენებულ თემაზე.

მირანდამ და ომარიმ შესაშური ენთუზიაზმით დაადგეს თავი საქმეს. ერთ კვირაში ყველაფერი მოყვანილი იყო სრულ წესრიგში. მათმა ბათუმში წასვლა გადაწყვიტეს. იქ რამოდენიმე დღე დარჩებიან და შემდეგ გემით გაემგზავრებიან საქორწინო მოგზაურობაში.

ომარიმ მირანდას სთხოვა, რომ თავიანთი შეუღლების აღსანიშნავად რესტორანში ევახშმათ. მირანდამ ვაჟა და ეკა იქ დაპატიჟა – უთხრა, რომ სიუპრიზი გელით და არ დაიგვიანოთო.

მან ეკას და ვაჟას ომარი გააცნო. ყველანი მაგიდას მოუსხდნენ და სანამ შეკვეთას ელოდებოდნენ – მირანდამ მათ ქორწინების მოწმობა აჩვენა და გზა დაგვილოცეთო სთხოვა.

მერე ეკას უთხრა – ვწუხვარ ვერ დავინახავ, როცა შენ მას ეტყვი, რომ მე ომარის გავყევი ცოლად. ქორწილის გადახდა არ ჩავთვალეთ საჭიროდ, მაგრამ ამის სანაცვლოდ გემით სამოგზაუროთ გავემგზავრეთ, რომ მე ძალიან ბედნიერი ვარ და თუ შიომ თავის ცხოვრებაში სწორი არჩევანი გააკეთა და გადაწყვეტილებაც უყოყმანოდ მიიღო – ეს ის არის რომ – თითონაც საკუთარ ნავში ჩაჯდა თავის საკადრის „დედოფალთან“ ერთად და მეც გამანთავისუფლა თავის „თავგადასავლებისაგან“! მან ეკას სთხოვა, რომ ეს ყველაფერი მისთვის სიტყვა–სიტყვით გადაეცა.

ეკა მას გულწრფელად ულოცავდა გზას და მისთვის ამქვეყნიური ყოველივე სიკეთე ემეტებოდა.

ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. ეკა და ვაჟა მოხიბულნი იყვნენ ომარის პიროვნებით.

მიუხედავად იმისა, რომ შიო მათ ორივეს უყვარდა და მოსწონდათ – გულის სიღრმეში ერთმანეთის შესაფერისად მირანდა და ომარი უფრო მიიჩნიეს.

ეკამ და ვაჟამ ისინი სახლამდე მიაცილეს და შეთანხმდნენ, რომ ბათუმში ერთმანეთის გამომშვიდობების გარეშე არ წავლენ.

XIX

დეკემბრის შუა რიცხვები იყო. ყველანი ახალი წლის მოლოდინში იყვნენ და ცდილობდნენ, რომ მას კარგი გუნებ–განწყობით შეხვედროდნენ.

საღამოს თათამ დარეკა და ისინი დაამშვიდა. უთხრა რომ ძალიან კარგად არის, რომ იქ უკვე საშობაო მზადებაა და თავს ბედნიერად გრძნობს. მხოლოთ თქვენ ძალიან მენატრებით და ვოცნებობ კიდევ როდის გნახავთ. ყველანი მოიკითხა და დაიბარა, რომ მამა ძალიან მენატრება – მისი ხმის გაგონება მინდა. იმ კვირას ღამე გვიან დავრეკავ სახლში, რომ იყოს და დაველაპარაკებიო. როცა ლაპარაკით გული იჯერეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ, მერე სამივენი ხან იცინოდნენ, ხან ტიროდნენ. უკვირდათ როგორ ძლებენ მის გარეშე. მაგრამ მის ბედნიერ მომავალზე ფიქრი და ოცნებები, მათ მოთმინების უნარს და ცხოვრების სტიმულს აძლევდა.

რას არ იტანს მშობლის გული და მთელი მისი არსება შვილის ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და წარმატებული მომავლისათვის?!

ბედნიერება ის მშობელი, რომლის ამაგი და ლოცვა ფუჭად არ ჩაივლის! მათ თათას იმედი ყოველთვის და ყველაფერში ჰქონდათ – იმედი ხომ ადამიანთა სულიერი საზრდოა!

XX

მირანდა თითქოს დამშვიდდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი მოიშორა. თითქოს მის ცხოვრებაში ახალი არაფერი მომხდარა და ეს სიახლე მან ბუნებრივად მიიღო. ალბათ იმიტომ, რომ ომარი რაც მას თავი ახსოვს – სულ მის გვერდით იყო. ის ხომ მისი ბავშვობის მეგობარი და სულის ნაწილია.

მირანდა თავს კარგად გრძნობდა და არც სინდისი ქეჯნიდა. თითქოს დაივიწყა შიოს უხამსი და გაუმართლებელი საქციელი. იგი მის მიმართ აღარაფერს აღარ გრძნობდა.

თითქოს მის ცხოვრებაში მოვარდნილმა ბობოქარმა ქარმა წალეკა ყველა ის გრძნობა რაც მას და შიოს აკავშირებდა.

მართალია სიყვარული ადამიანისათვის – ბუნების მიერ ნაბოძები უდიდესი საჩუქარია, მაგრამ იგი ძალიან სათუთი და ნაზი გრძნობაა. მას სათანადო მოპყრობა და გაფრთხილება სჭირდე-

ბა! თუ იგი ერთხელ გაიბზარა მერე არასოდეს გამთელდება!

ახალ წლამდე ათი დღე–ღამე რჩებოდა. მშვენიერი ამინდები იყო. ისინი ბათუმში გასამგზავრებლად მზად იყვნენ. პირველ რიგში იმაზე იზრუნეს, რომ იზას და ცირას სახლში ყველაფერი ჰქონოდათ, რათა საყიდლებზე სირარული არ დასჭირებოდათ. მირანდა მათ პატარა ბავშვებივით არიგებდა – ფრთხილად ყოფილიყვნენ, რომ ეს ერთი თვე რაიმე ხიფას არ გადაეყარონ – მერე კი გვერდიდან არ მოგშორდებით და არც საქმეს გაგაკეთებინებთო.

ღამე გვიან თათამ დარეკა და მოკითხვის შემდეგ თავისი წარმატებებით გაახარა. ისიც უთხრა მათ, რომ მამამ დაურეკა და კმაყოფილი დარჩა მისი წარმატებებით. უთხრა, რომ სახლშიც ყველანი კარგად ვართო, მომხდარის შესახებ კი არაფერი უთქვამს.

ამ ამბავმა მირანდა გააოცა – იფიქრა ვაი თუ ერაყში არ წასულან და თბილისში არიან! მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ნებისმიერ დროს მოვიდეს სახლში ნასვამ მდგომარეობაში და მათ განუცხადოს, რომ – იხუმრა!

მირანდა ამ ამბავმა სერიოზულად შეაშფოთა. იგი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფიქრობდა ხომ არ აჩქარდა? რატომ აყვა შიოს მიერ იქნებ მართლაც წამოწყებულ პროვოკაციას? ამით კი მას მისცა საბაბი, რომ ეფიქრა – ე. ი. არ ვცდებოდი! მირანდა მიზეზს ეძებდა, რომ ომარის იგი ენუგეშებინა და თავშესაფარი მის გაშლილ მკლავებში ენახა!

მეორეს მხრივ კი ფიქრობდა თუ ეს ამბავი მან მართლა გაითამაშა ე. ი. ყველაფერთან ერთად სადისტიც ყოფილა და რაც მალე მოვშორდები მას ჩემთვის უკეთესი იქნებაო.

მან ომარის ამის შესახებ არაფერი უთხრა. იზა და ცირა გააფრთხილა, რომ თუ სახლში დარეკონ, მას და თათას მათ შესახებ არაფერი უთხრან – რომ ისინი მიდიან დილით ადრე ბათუმში და მერე კი – კრუიზში.

მირანდას უნდოდა მათთვის ეთქვა, რომ მინდა წავიდე შორს, რაც შეიძლება შორს და აქ არასოდეს დავბრუნდე! არაფერი არ მინდა რაც მის არსებობას გამახსენებსო, მაგრამ იზა და ცირა შეეცოდა. მათ გაუღიმა და კიდევ ერთხელ სთხოვა, რომ თავს გაუფრთხილდნენ. ხშირად დაგირეკავთ და როცა დავბრუნდები – სიტყვას გაძლევთ, რომ მერე სულ თქვენს გვერდით ვიქნები, მარტო არასოდეს დაგტოვებთო.

XXI

ბათუმში ჩასული მირანდა და ომარი სასტუმროში დაბინავდნენ. მირანდას არ სურდა, რომ მათი შეუღლების და გამგზავრების შესახებ ვინმეს გაეგო. მაგრამ გაუგებელი არაფერი რჩება – ეს კი უკვე განვლილი ეტაპი იქნება.

ამჟამად კი ნურაფერს გავაცხადებთო – სთხოვა მან ომარის. იგი მას უსიტყვოდ დაემორჩილა.

გამგზავრების დღეც დადგა. როცა ისინი გემზე ადიოდნენ ომარი ნაცობ მეზღვაურებს მიესალმა. ეს კი საკმარისი იყო, რომ მეორე დღესვე მთელმა მისმა მეგობრებმა იცოდნენ, ომარის ცოლად ის ქალი შეირთო მთელი ოცი წელი რომ ელოდებოდა და მასთან ერთად გემით სამოგზაუროდ გაემგზავრაო.

მირანდა როცა გემზე ავიდა თავიანთ „კაიუტაში“ ომარიმ მოწიწებით შეიყვანა – მას ისეთი გრძნობა დაეუფლა თითქოს დედი ხნის ღრმა ძილის შემდეგ გამოეღვიძა და ეხლა იწყებს ცხოვრებას.

გემმა ნელ–ნელა შესცურა უკიდეგანო ზღვაში. გემბანზე მგზავრების ჟრიამულმა პიკს მიაღწია – ყველანი ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ – ხელის ქნევით და შეძახილებით. უკრავდა მუსიკა. მირანდა ილუმინატორთან იდგა, ზღვას გასცქეროდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

ომარი მასთან მივიდა. მხრებზე ხელი მოხვია, თბილად ჩაიკრა გულში და უთხრა:

– ნუ ტირი ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება. შენ მე ისეთი ბედნიერება მაჩუქე, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე შენი მადლიერი ვიქნები. თვალის ჩინივით მოგივლი და შენი ყველა სიტყვა ჩემთვის კანონი იქნება! შენ ჩემსავით არავის ყვარებიხარ და არც ეყვარები. ჩვენ ერთმანეთის მონათესავე სულები ვართ, ერთად დაზრდილები და ყოველთვის უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის – ეს კი ცოტას არ ნიშნავს. უშენოდ სიცოცხლეს ჩემთვის აზრი არ ჰქონდა, შენ მე უბედნიერეს ადამიანად მაქციე. ცხოვრებაში არაფერი სიკეთე რომ არ გეკეთებინოს, მხოლოდ ეს ერთიც კმარა – იმისათვის, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა და დარჩენილი წლები ფუჭად და უშინარსოდ არ გავატარე.

ჩვენ ბედნიერი ვიქნებით – გვეყოლება შვილები და დავტკბებით მათი წარმატებებით!

ამ სიტყვებმა თითქოს მირანდა გამოაღვიძა, მან თავი ომარი-

საკენ მიაბრუნა და მას გაკვირვებულმა შეხედა.

– რა იყო საყვარელო მოხდა რამე? – მირანდა მას პასუხი არ გასცა. ოდნავ გაუღიმა – ილუმინატორს მოსცილდა და სავარძელში ჩაჯდა. თავი უხერხულად იგრძნო, არ უნდოდა, რომ ომარის ამ ბედნიერ წუთებს ბინდის გადაჰკროდა. იგი მას მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა – მაპატიე! ცირა და იზა მარტო, რომ დავტოვე ამას ვერ ვეგუები. შენ კი რას ელოდები? თუ ესეთი ბედნიერი ხარ ეგ ხომ უნდა ავღნიშნოთ?!

– მართალი ხარ! აბა ეხლა ლამაზად ჩავიცვად და რესტორანში შევიდეთ.

ორივენი ძალიან სიმპათიურები და ელეგანტურად ჩაცმულები რესტორნის მყუდრო ადგილას თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ. იქ საზეიმო ვითარება სუფევდა. უკრავდ მუსიკა. ცეკვავდნენ.

მირანდა და ომარი შეკვეთას ელოდნენ – ორივეს ისე უბწყინავდა თვალები თითქოს დღეს პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. ორივენი ერთი და იგივეს გრძნობდნენ, რომ ისინი ორივენი ერთად უნდა იყვნენ, რომ მათი განშორება შეუძლებელია. შეკვეთა მოართვეს. ისადილეს, ცოტა ღვინოც დალიეს ორივენი გამხიარულდნენ და გათამამდნენ, როგორც ამბობენ „ერთმანეთს გულის კარი გაუღეს“! თავს ისე გრძნობდნენ თითქოს ისევ კლასელები ყოფილიყვნენ. იხსენებდნენ ყველას და ყველაფერს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. მართალია ეხლა იმ ასაკისა აღარ არიან, მაგრამ მათი გრძნობები ისეთივე ხალასია როგორც მაშინ იყო, როცა ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ.

ისინი რესტორანში გვიან ღამემდე დარჩნენ, როცა კაიუტაში შევიდნენ კარი მოიხურეს და დასაძინებლად დაწვნენ, საათის ისრის მიხედვით უკვე ახალი დღე იყო მათთვის კი თაფლობის თვის პირველი ღამე!

ზღვაში ყოფნისას, დიდებული სანახავია – წყნარ ამინდაში – მზის ამოსვლა.

უზარმაზარი წითელი ბურთი ზღვიდან ამოდის ჰორიზონტზე და ნელა, ძალიან ნელა მიიწევს ცის გუმბათისაკენ – ერთი უსასრულობიდან მეორესკენ.

ზღვის ტალღები კი მას, ისე ნაზად და ლივ–ლივით აცილებენ თითქოს მასთან განშორება უძნელდებოდეთ.

მიუხედავად ყველაფრისა ბუნება არ არღვევს თავის კანონებს და ამქვეყნიურად მარადიულიც არაფერია!

ღამე დღემ შეცვალა, დღემ რომელიც მირანდას და ომარის ცხოვრებაში არსებულ დღეთა შორის ყველაზე თბილი, ყველაზე შორეული და ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა.

მირანდას უკვირდა როგორ შეიძლება, რომ ის დიდი სიყვარული ის გრძნობა და ყველაფერი ის, რაც მასა და შიოს შორის არსებობდა ერთი სიტყვით ან რაიმე მოქმედებით ასე შეიცვალოს?! მას შიოს სახელის გახსენებაც კი აღარ უნდოდა. ნატრობდა, რომ იგი თავის მეხსიერებიდან უკვალოდ გამქრალიყო. ნუთუ ადამიანის მიერ ნათქვამ ერთ სიტყვასაც კი შეუძლია მოკლას ის უდიდესი გრძნობა – რასაც სიყვარული ჰქვია?!

საუბედუროდ შესძლებია და მრავალთათვის არარაობად უქცევია – არა მარტო ოცნებები, არამედ მთელი ცხოვრების საუკეთესო წლებიც კი!

მირანდა ფიქრობდა, რომ შიო 9 აპრილს, აფხაზეთის ომში ან ნარკოტიკის დიდი დოზის მიღებისას რომ დაღუპულიყო იგი ამ დარტყმას ვერ გადაიტანდა, ალბათ მთელი თავის სიცოცხლე იგლოვებდა მას და ბედნიერი აღარასოდეს იქნებოდა. მოუყვებოდა თათას როგორ უყვადათ მათ ერთმანეთი, რა კარგი და რა საყვარელი მამიკო ჰყავდა მას და თავის დარჩენილ სიცოცხლეს წლებს სულ მის სასაფლაოზე სიარულში და შიოს სულის ნათელში სამყოფალ – ეკლესიაში ლოცვებში გაატარებდა.

მაგრამ, ეხლა მირანდა სულაც არ აპირებს, რომ თავისი სიცოცხლის დარჩენილი წლები ვაი–ვიშით გაატაროს – ისეთი უპრინციპო პიროვნებისათვის როგორიც შიოა! რომელიც ავსა და კარგს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, თავისი სუსტი ნებისყოფით ცხოველურ ჟინს აყოლილი თავს ვერ ერევა და წყალში გადაგდებულ ნაფოტივით დინებას მიყვება!

მე კარგად მესმის – როგორც ქალს, როგორც ექიმს და როგორც მეუღლეს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთ ლტოლვა, ვნება და სექსი ის ერთ–ერთი უდიდესი და უმშვენიერესი გრძნობაა რაც კი ბუნებამ ადამიანს უბოძა, მაგრამ, ხომ არსებობს ცხოველებისგან განსვავებით – მის მიმართ განსაზღვრული გონებრივი მიდგომაც?!

აბა რითიღა განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან?!

როცა გრძნობა დომინირებს გონებას და ზრდასრულ ადამიანს არა აქვს მისი მოთოკვის სურვილი ან უნარი – ასეთი ადამიანი ქალია იგი თუ მამაკაცი პატივისცემას არ იმსახურებს!

მადლობა ღმერთს, რომ ახლა ის დრო აღარ არის როცა ქალი მთლიანად დამოკიდებული იყო ქმარზე და ყველაფერს მოთმენა უხდებოდა! ის დრო ისტორიას ჩაბარდა!

დღეს უამრავი ოჯახის მოსაზრდოებელი ქალები არიან!

რაც დრო გადიოდა მირანდა მით უფრო ღრმად რწმუნდებოდა თავისი გადაწყვეტილების აუცილებლობაში და მის სამართლიანობაში.

XXIII

მირანდას თავი სიზამარში ეგონა – ვერ იჯერებდა, რომ რაც მის გარშემო ხდებოდა – რეალობაა.

ომარი მისი სიყვარულით და ფერებით იყო გართული, მირანდა კი მას საცდელ ბაჭიასავით აკვირდებოდა. როგორ გათამამდა, როგორი მხიარული და მკვირცხლი გახდა, როგორ უსიტყვოდ ხვდება რა მომწონს და რა არ მსიამოვნებს, როგორი მგრძნობიარე, ნაზი და მოსიყვარულეა!

არაფერი აღიზიანებს, რასაც ვეუბნები ყველაფერი ახალისებს. მხოლოდ იმას ცდილობს რითი მასიამოვნოს.

საინტერესოა – რომდემდე გაგრძელდება ასე?! ომარი მას მოუახლოვდა მოეფერა და სთხოვა – ნუ ხარ ეგრე ჩაფიქრებული. დაივიწყე რაც იყო, ამიერიდან შენ ვერავინ გაწყენინებს და არც პრობლემებს შეგიქმნის. მე შენს გვერდით ვარ და ნურაფერზე ფიქრობ. თათა ჭკვიანი გოგოა, მას არაფერი გაუჭირდება, ხშირად გირეკავთ და ყველანი მშვიდად ვართ. შენ ძალიან დაიღალე დასვენება გჭირდება. გემზე ხომ არც საოჯახო საქმე გაწუხებს და არც სამსახური. დაიმშვიდე ნერვები და დაიწყე ახალი ცხოვრება. ჯერ ახალგაზრდები ვართ! თავი მაღლა ასწიე და შენებურად გაუძეხი ახალ ოჯახს. შენი ტოლები ბევრნი ჯერ კიდევ გაუთხოვრები არიან და თავიანთ ბედს ელიან. მოდი ძვირფასო მოგეფერები და რაც კი უსიამოვნება შეგხვედრია წარსულს გაატანე.

მირანდა მას გაღიმებული უცქერდა და ღრმად იყო დარწმუნებული მისი ყოველი სიტყვის სიმართლეში:

– კარგი დამარწმწუნე, წამოდი გემბანზე ავიდეთ. ზღვა ძალიან შემიყვარდა და იგი ჩემზე სასიკეთოდ მოქმედებს! ომარი მას შეყვარებული თვალებით უმზერდა.

– გასაგებია ზღვა კარგ აურას გიქმნის მაგრამ მეზღვაურებზე

არაფერს იტყვი?

– როგორ არა – მხოლოდ ერთზე! და ვიტყვი, რომ იგი ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზი, ყველაზე მოხდენილი, ყველაზე კარგი და საყვარელი მეზღვაურია!

კმაყოფილი ხარ?

– ჩემს ცხოვრებაში ესეთი კმაყოფილი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ – რისთვისაც მადლობას ვწირავ ღმერთს!

ხვალ იტალიაში ვიქნებით და პირველსავე ეკლესიაში დავიწერთ ჯვარს!

რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენი ჯვრისწერის ფოტო სურათების ნახვით გაიხარონ და ჩვენით იამაყონ, რას იტყვი?

– იმას ვიტყვი, რომ ფოტო სურათები ნამდვილად იქნება, მაგრამ შვილებისა რა მოგახსენო!

– კარგი ძვირასო, როგორც შენ მოისურვებ ისეც იქნება! ეხლა კი წავიდეთ და მზის ჩასვლის საოცარი სანახაობით დავტკბეთ.

ახალ წელსაც გემის რესტორანში შეხვდნენ. იქ ყველანი ერთი ოჯახის წევრებივით ულოცავდნენ ერთმანეთს ახალი წლის დადგომას და გვარიანადაც მოილხინეს.

მათმა ერთმანეთი ძალიან ახლოს გაიცნეს. ორივეს თავი სიზმარში ეგონა და მაინც სასიამოვნოდ დაღლილები ნატრობდნენ მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმას და ოჯახურად მშვიდად დასვენებას.

მათ უამრავი ფოტო–სურათი გადაიღეს, მაგრამ მირანდას განსაკუთრებით მოსწონდა ქალაქ მარსელში გადაღებული ფოტოები.

მათმა იქ, ზღვის ნაპირას თეთრ კლდეზე სპეციალურად მეზღვაურთათვის აგებულ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. მათი ახლობლები და მეჯვარეები – სუმთლად უცნობი ადამიანები – მარსელის ეკლესიის მრევლიდან იყვნენ. ისინი მათ გამრავლებას და დიდხანს ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებდნენ.

მათვე უამბეს, რომ ეს ეკლესია აგებულია მეზღვაურებისათვის. ისინი მარსელში ყოფნისას აუცილებლივ ეწვევიან მას და ლოცვით გულდამშვიდებულები უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს თუ თავიანთ გემებს.

მირანდა სიამოვნებით ათვალიერებდა სურათებს და ფიქრობდა – როგორ შეუძლია ადამიანს რაიმე გადაწყვეტილების მიღებით შეცვალოს საკუთარი ცხოვრება! – გაუმართლებს თუ არა

მას ეგ სხვა საკითხია.

მათი თაფლობის თვე იწურებოდა. ბოლო ქალაქი პორტი ისევ ბათუმი იყო. სადაც არ უნდა იმოგზაუროს ადამიანმა, ქვეყნის რა საოცრებებიც არ უნდა ნახოს, რა კომფორტითაც არ უნდა დატკბეს – საკუთარ სახლში თავს მაინც უკეთ გრძნობს. რაც უფრო შორდება იგი სამშობლოს და საკუთარ კერას მით უფრო უმძაფრდება გრძნობა კვლავ შინ დაბრუნების და იქ სამუდამოდ დარჩენის მიუხედავად იმისა, რომ მათ ზღაპრული თაფლობის თვე ჰქონდათ დატკბნენ შავი და ხმელთა შუა ზღვის საპორტო ქალაქების გასაოცარი სილამაზით და ენით აუწერელი ბუნების ხილვით.

XXIV

ბათუმში მათ არავინ ხვდებოდა – ეს გადაწყვეტილება თვითონ მიიღეს. დაბინავდნენ სასტუმროში. მათ არავისი და არაფრის ნახვა აღარ სურდათ – მხოლოდ მყარ საფუძველზე ნაშენი სასტუმრო, ძილი და მშობლიურ მიწაზე ფეხით სიარული!

ომარიმ სთხოვა, მირანდას, რომ მამიდასთან ერთი საათით მაინც მისულიყვნენ, მაგრამ მან მისი წინადადება არ მიიღო!

– ცოტაც მოიცადე. ჩემს მდგომარეობას შევეგუები და როცა თავს ოდნავ უკეთ ვიგრძნობ, მაშინ ჩამოვალთ ორივე მათ სანახავად თუ შენ გსურს შეგიძლია წახვიდე და მოინახულო მამიდა და ყველა ახლობლები.

– კარგი, როგორც შენ გსურს ისე მოვიქცევი! მაგრამ რა აზრი აქვს დროს გაყვანას? შოთა და ფიქრია შენ ბაშვობიდან გიცნობენ და ორივეს ძალიან უყვარხარ. ნინოსაც დაურეკეს და მასაც ყველაფერი უთხრეს. ძალიან გაუხარდა ჩვენი ამბავი.

უკვე ყველამ იცის, რომ კანონიერი ცოლ–ქმარი ვართ და დანარჩენები ერთი კვირით ადრე გაგიცნობენ თუ გვიან ამას რა აზრი აქვს?

მირანდას მისი განაწყენება არ უნდოდა და არც ის უნდოდა, რომ ნათესავებს იგი თავნება ან სხვა ეპითეტებით შეემკოთ. მან ომარის გაუღიმა და უთხრა – შენ როგორც გინდა ისე გამიგე, მაგრამ მე შენს ნათესავებს თვალს ვერ გავუსწორებ, ყოველშემთხვევაში ამ უახლოეს დღეებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – ესმას პატივსაცემად მაინც უნდა გადაგვეწია დროო!

– რატომ მირანდა? შენ სიკეთის მეტი არაფერი გიკეთებია.

შენ მაზიარე იმ ბედნიერებას, ურომლისობაც ჩემს ახალგაზრდა ცხოვრებას უფერულს ხდიდა.

– შეიძლება მასეც არის მაგრამ, მე ჯერ დრო მჭირდება!

– კეთილი ჩემო სიცოცხლევ – ხომ გითხარი, როგორც შენ მოისურვებ ყველაფერიც ისე იქნება!

მეორე დღეს მირანდამ განუცხადა ომარის, რომ დღეს წავიდეთ და ფიქრია მოვინახულოთო.

ომარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მას ყველაფერი მოსწონდა რასაც იგი ამბობდა ან აკეთებდა.

მირანდას თავისი ბედნიერების თვითონ შურდა – რომ მცოდნოდა ესეთი კარგი იქნებოდა ალბათ სკოლის დამთავრების თანავე გავყვებოდი ცოლად! აღარც თბილისში წავიდოდი და არც ინსტიტუტს დავამთავრებდი.

სამუდამოდ დავჩებოდიხონში. მთელი დღე ოჯახში და ბოსტანში ვიფუსფუსებდი. ცხოვრებას ტკბილად და ბედნიერად გავატარებდი. გვეყოლებოდა შვილები და ასეთი შეურაცხყოფეილი და გულნატკენი არ ვიქნებოდი.

ფიქრიასთან სტუმრობამ ჩვეულებრივად ჩაიარა. მირანდა მათ ისე მიიღეს თითქოს იგი მათი დიდიხნის რძალი ყოფილიყო. არც ერთი ზედმეტი სიტყვა ართქმულა. მათ ყველანი ულოცავდნენ გაბედნიერებას.

მირანდამ ფიქრიას მისთვის, ნინოს და შოთასათვის ჩამოტანილი სუვენირები გადასცა.

საღამოს გვიან, ერთმანეთის ნახვით გახარებულები და სტუმარ–მასპინძლობით კმაყოფილები ერთმანეთს დაემშვიდობნენ – მათ, ხვალ თბილილისისაკენ მიმავალი გზა დაულოცეს.

XXV

თბილისში ჩასული ბედნიერი წყვილი ცირას ბინაში დაბინავდა. მირანდას მოთიმნება არ ყოფნიდა სანამ გაიგებდა თუ რა მოხდა, მათ თბილისში არყოფნის დროს.

მან სასწრაფოდ ცირას დაურეკა და ორივენი მოიკითხა, იზასაც მშვიდად და მოკლედ ელაპარაკა. მას უთხრეს, რომ მის თბილისში არ ყოფნის დროს თათამ დარეკა რამდენიმეჯერ და მშობლები მოიკითხა. მათმა კი უპასუხეს, რომ ისინი ძალიან დაიღალნენ და გადაწყვიტეს, რომ 20–დღით ბაკურიანში დაისვენონო.

მირანდა ინფორმაციით კმაყოფილი დარჩა. მათ უთხრა, რომ

ცოტას დავისვენებთ და მერე მე და ომარი თქვენთან მოვალთო.

მათმა ისადილეს და იზასთან წასასვლელად ემზადებოდნენ, რომ ტელეფონმა დარეკა. მირანდამ უპასუხა, თათა რეკავდა. ორივეს ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ხმის გაგონება. ერთმანეთი მოიკითხეს. მირანდას ძალიან ახარებდა თათას ახალი წარმატებები და კარგი პირობები, მაგრამ მისი ხმა რატომღაც შეცვლილი ეჩვენა.

მან ამის მიზეზი ჰკითხა, მან კი უთხრა, რომ მისგან ასეთ მოქცევას არ ელოდა! რომ ის უკვე დიდია და გაცილებით პატარას მასთან უფრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა! როდის აქეთ აღარ ვარ შენთვის ყველაზე ძვირფასი?! როგორც ამას შენ მე მეუბნებოდი? რატომ დამიმალე სიმართლე?! მე ყველაფერი ვიცი!

მიყვარხარ, შენი კარგად მესმის და ბედნიერებას გისურვებ, ისევე როგორც შენ მე მისურვებდი!

მე მამამ დამირეკა და მითხრა რაც მოხდა თქვენს შორის.ძ ალიან განიცდის და ნანობს შენ, რომ ასე გაწყენინა, რომ ძალიან უმადურად მოგექცა რასაც შენ არ იმსახურებდი. როცა მელაპარაკებოდა ტიროდა და მე პირიქით მას ვამშვიდებდი. მას თბილისში დაურეკავს და ეკას უთქვია – ჩათვალე, რომ შენ მირანდას ტყვია შიგ გულში ესროლე. შენ მას მისი ყველაზე მტკივნეული ადგილი – თავმოყვარეობა შეულახე და იგი შენ მაგას არასოდეს გაპატიებს. ჩათვალე, რომ შენ მისთვის მკვდარი ხარო!

მირანდა სასწრაფოდ გათხოვდა რომ შენსკენ არასოდეს მოიხედოსო!

– დედიკო მე მას ვუთხარი, რომ მან მარტო შენ კი არ დაგამცირა, არამედ მეც და ძალიან უკმაყოფილი ვარ მისი საქციელით. მაგრამ, არ მინდოდა, რომ გული ძალიან გტკენოდა, ვიცი მაგისი ნებისყოფის ამბავი და შემეცოდა. ეხლა დამშვიდდი, ნუ ტირი, ხვალ დაგირეკავ და უფრო მშვიდად ვილაპარაკოთ. მოკითხვა გადაეცი ომარის, ორვიეს გილოცავთ გულით და სულით!

მირანდა ტიროდა. ომარი მას ამშვიდებდა. ერთის მხრივ კარგიც არის, რომ მან ყველაფერი გაიგო. თათა ჭკვიანი გოგოა – ხომ ნახე როგორ უმტკივნეულოდ მიიღო ყველაფერი. პირიქით, შენ გამშვიდებდა. დაწყნარდი საყვარელო, შეიმშრალე ცრემლები და წავიდეთ, ცირა და იზა ვნახოთ ხომ იცი როგორ გველიან.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ცირას და იზას დედა–შვილურად

მშვიდად ესაუბრებოდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა იზას უხაროდა, რომ მირანდამ თავისი გზა იპოვა და ბედნიერია. იგი მას თვალს ძველებურად მაინც ვერ უსწორებდა, მირანდა გრძნობდა, რომ შიოს საქციელმა არანაკლებად იმოქმედა იზაზე და ცდიდლობდა მის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას.

ბოლოს საოჯახო საბჭომ ოთხივეს შემადგენლობით გადაწყვიტა, რომ მირანდა და ომარი ცირას ბინაში იცხოვრებენ, რომ ომარი თბილისში იმუშავებს. მირანდა შვებულებიდან ისევ თავის სამსახურს დაუბრუნდება და ყველანი ერთად, საღამოს იზასთან და ცირასთან ისადილებენ.

ცირას და იზას ომარი ძალიან მოსწონთ და იმედი აქვთ, რომ იგი მირანდას ღირსეულ მეუღლეობას გაუწევს.

დრო გადიოდა. ომარი სამშენებლო სამინისტროს საპროექტო განყოფილებაში – ინჟინრად მოეწყო. სამსახურით ძალიან კმაყოფილია. მირანდა ისევ თავის საავადმყოფოში გინეკოლოგად მუშაობს. ცირა და იზა ყველაფრით უზრუნველყოიფლნი არიან და მათ დიდის პატივისცემით ეპყრობიან. თათა ხშირად რეკავს და ომარის მეგობრულად ესაუბრება. მირანდა და ომარი შიოს არასდროს არ ახსენებენ ისინი თავიანთი მომავლით არიან დაკავებულნი.

მირანდა ომარისაგან ბავშვს ელოდება. ექიმმა მათ ბიჭიანობა ამცნო. ყველანი ძალიან გახარებულები არიან.

მიუხედავად ყველაფრისა მირანდას ხშირად გაიტაცებს ხოლმე ფიქრი. მას უკვირს რატომ ვერ შესძლო კაცობრიობამ მომავლის განჭვრეტა?! – ან საჭიროა კი?!!

იქნებ სწორედ მაგაში გამოიხატება ღვთისაგან ნაბოძები უდიდესი სიკეთე და ბედნიერება, რომ არ ვიცით რა მოხდება – თუნდაც ერთი წამის შემდეგ?!

რად გვექცეოდა ცხოვრება, რომ ვიცოდეთ რა გველოდება ხვალ?! – და ვილოცოდ, რომ ეს არ მოხდეს!!! უფალმა შეგვიბრალა და ეს საიდუმლო არ გაგვანდო ჩვენ!

ადამიანის უდიდესი სურვილი და მისწრაფებაა, შეიცნოს ყოველივე ის რაც დღეისათვის მისთვის უცნობია. ნუ ვიქნებით სულსწრაფნი და უმადურები. ვიკმაროთ ის რაც დანამდვილებით ვიცით, რომ – „რაც ადამიანს შუბლზე აწერია ეს მისი ბედისწერაა და იგი მას ვერსად გაექცევა“!

მადლი მივაგოთ უფალს და ვთხოვოთ, რომ აგვარიდოს ყოველივე განსაცდელს – ჩვენ და ჩვენი ქვეყნა!

დიდება შენდა ღმერთო,

უკუნისიდან – უკუნისამდე!!!

ამინ!

2006.

აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა

შ.პ.ს „პრეპრინტში“